

აღამ მახარაძე



**სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობა
დანაშაულები
დახმარებისათვის**

ადამ მახარაძე

19918 - - 19918 -

სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობა დანაშაულში
დახმარებისათვის



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2006

ნაშრომი წარმოადგენს ქართული სისხლის სამართლის თეორიაში თანამონაწილის ერთ-ერთი სახის – დამხმარის პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას. მასში ღებულად არის გაანალიზებული დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნებისა და დასჯადობის საფუძვლის შესახებ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული თეორიული მიმართულებები. დახასიათებულია დანაშაულში დამხმარების კონკრეტული ფორმები და სახეები. დადგენილია ის კრიტერიუმები, რომლის შეშვეობითაც, თანამონაწილის ეს სახე, უნდა გაიმიჯნოს სხვა თანამონაწილეებისაგან ან კიდევ დანაშაულის შემხებლობის ცალკეული კატეგორიებისაგან. დიფერენცირებული მიდგომით ერთგვაროვან დანაშაულებში განსაზღვრულია დამხმარის დანაშაულებრივ ქმედებაში ჩაბმის ის გიპიური შტრიხები, რომლებიც შეგაუღენას ახდენენ მისი მოქმედების იურიდიულ კვალიფიკაციაზე. დადგენილია დამხმარის პასუხისმგებლობის საფუძვლი. განმოგადოებულია ყველა ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც მისი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას უკავშირდება.

ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერ-იურისტების, ასპირანტების, სტუდენტებისა და სისხლის სამართლით დაინტერესებული პრაქტიკოსი მუშაკებისათვის.

- რედაქტორი:** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ო. გამყრელიძე**
- რეცენზენტები:** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. გყეშელიძე**
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ნ. გვენეცაძე**

უამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2006

თბილისი, 0128, 0. შავსაძაძის ბაზ. 1. ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

© ა. მახარაძე, 2006

ISBN 99940-61-21-6

შესავალი

დამხმარე დანაშაულის თანამონაწილის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. თანამონაწილეობა კი დანაშაულის გამოვლინების განსაკუთრებული ფორმაა, რომელსაც როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ მოსაზრებათა გადაწყვეტის კუთხით ახასიათებს მთელი რიგი სირთულეები. მასში მჭიდროდაა გადაჯაჭვული სისხლის სამართლის ზოგადი საკითხები: პასუხისმგებლობის საფუძვლის, მიზეზობრივი კავშირის, ბრალის, დამნაშავეთა მოქმედებების იურიდიული შეფასების და სხვ. ამიგომაც სრულიად ბუნებრივი და გასაგებია ის დიდი ყურადღება, რომელიც ქართველი, რუსი, თუ სხვა უცხოელი კრიმინალისტების ნაშრომებშია გამახვილებული ზოგადად თანამონაწილეობის და მისი ცალკეული ასპექტების გამოკვლევებზე.

მიუხედავად არსებითი რაოდენობის მონოგრაფიული, საღისერგაციო თუ პუბლიკაციური ნაშრომებისა, მიძღვნილს თანამონაწილეობის ინსტიტუტისადმი, დღესაც რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც დავის საგანს წარმოადგენენ. ამასთან, დისკუსორია არა მხოლოდ თანამონაწილეობის თანდართული ასპექტები, არამედ ფუნდამენტური ამოსავალი პოზიციებიც, რომლებიც ამ ინსტიტუტის არსს და მის ბუნებას განსაზღვრავენ. მეცნიერთა შორის დღემდე არ არის ერთიანი პოზიცია თანამონაწილეთა აქტესორული ბუნების, მათი დასჯადობის საფუძვლის თუ ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების შინაარსის გარშემო.

დავა მიმდინარეობს თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის მოცულობაზე. მართალია ჯერ კიდევ 1958 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საფუძვლებში დააკანონა, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა განმრავნო მოქმედება, თუმცა ამით, კამათი სუბიექტური მხარის მოცულობაზე მაინც არ ამოწურულა. მეცნიერთა ამრის ჳიდილი საბჭოური და პოს-

კლასიციური პერიოდის ლიტერატურაშიც ძირითადად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ამეამადაც იმის გარკვევაზე, რომ თანამონაწილეობა მართალია განზრახი მოქმედებაა, მაგრამ დანაშაულის ამ ფორმით გამოვლენისათვის არის თუ არა შეთავსებადი ევენტუალური განზრახვა, თუ ის, მხოლოდ პირდაპირი განზრახვით უნდა შემოიფარგლოს. თანამონაწილეობის პრობლემების მკვლევართა შორის არ არის ერთიანი ხედვა თანამონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების გარშემოც. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ დანაშაულის ამ ფორმის გამოვლენისათვის აუცილებელია არა მხოლოდ თანამონაწილემ იცოდეს ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, არამედ ამსრულებელმაც უნდა იცოდეს, რომ ის სხვასთან ერთად მოქმედებს და ერთად სჩადიან საერთო დანაშაულს. ამ პოზიციას მეორე მიმართულების წარმომადგენლები უპირისპირდებიან, რომლებიც ცალმხრივ, ანუ მინიმალურ სუბიექტურ კავშირს უჭერენ მხარს. ნიშანდობლივია, რომ თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის გარშემო წარმოქმნილი ეს კამათი უფრო მძაფრ ხასიათს, როგორც წესი, დამხმარის ფიგურასთან მიმართებაში იძენს, რაც დანაშაულში ამ სახით თანამონაწილეობის გამოკვლევას, ბუნებრივია, უფრო მეტ ინტრიგას სძენს და უფრო აქტუალურს ხდის.

თუმცა, თემის ინტერესს არა მხოლოდ თანამონაწილეობის პრიზმაში დასმული ეს ზოგადი პრობლემები განსაზღვრავენ, არამედ ის კერძო ასპექტებიც, რომლებიც უშუალოდ დამხმარის ქმედების ხასიათისა და მისი დანაშაულში ჩაბმის მექანიზმის გათვალისწინებით წარმოიქმნება. განსაკუთრებით ეს ეხება დამხმარის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფილებით ხელის აღებას, მის გამიჯვნას დანაშაულის სხვა თანამონაწილეებისაგან, ან კიდევ მასთან ძალის მდგომი ისეთი დანაშაულებრივი გამოვლინებებისაგან, რიცხორსაც დანაშაულის შემხებლობის ცალკეული კატეგორიები წარმოადგენენ და სხვ. დამხმარის ცალკეული, კერძო პრობლემების გარშემო თეორიაში არსებობს არაერთი განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები, რომლებიც დეტალურ შესწავ-

ლას და კომპლექსური ანალიზის საფუძველზე სათანადო გადაწყვეტას საჭიროებენ. მითუმეტეს ეს იმ ფონზე, როდესაც ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, დღემდე არარსებობს დამხმარის სახისადმი მიძღვნილი ერთიანი მონოგრაფიული გამოკვლევა. მართალია, თანამონაწილეობის ინსტიტუტზე ვრცელი ლიტერატურა შეიქმნა, მაგრამ დამხმარის სახემ დღემდე ვერ პოვა სათანადო განვითარება და ეს, ბუნებრივად არის. ვინაიდან თანამონაწილეობის ინსტიტუტის გამოკვლევის ზოგადი პრიზმიდან შეუძლებელია არსებითი ზომით ჩაგწვდეთ ყველა იმ სპეციფიკურ კანონზომიერებას, რომელიც თანამონაწილის ცალკეულ სახეს, და კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, დანაშაულის დამხმარეს ახასიათებს.

თუმცა, აქვე უნდა აღიშნოს ისიც, რომ დამხმარის სისხლისმამართლებრივი პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრა ვიწრო ჩარჩოებში, თანამონაწილეობის ზოგადთეორიული მიმართულებების შესწავლის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში ჩვენ საკმაოდ ღრმად გაგებანალიზეთ თანამონაწილეობის ბუნების გარშემო ლიტერატურაში ჩამოყალიბებული თეორიული პოზიციები. მათი შეფასებისა და სისხლის სამართლის კოდექსში ასახული რიგი ნორმების შინაარსის დადგენის გზით განვსაზღვრეთ დანაშაულში თანამონაწილეობის ბუნება. თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველის შემუშავებისას გამოვიკვლიეთ მიზეზობრიობის, კორუფციისა და ერთიანი უმართლობის თეორიები. ამ თეორიების შესწავლა და მათი სწორი შეფასება, როგორც წინამდებარე ნაშრომიდან დავეინახავთ, არის დანაშაულში დამხმარების არაერთი პრობლემის გადაჭრის აუცილებელი წინაპირობა.

თავი I. თანამონაწილეობის ბუნება
და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი

§1. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება

თანამონაწილეობის არსისა და მისი ბუნების გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ თეორიულ ამოსავალ პოზიციებს, რომლის მიხედვითაც თანამონაწილეობის ბუნება განიშარგება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ლიგურაგურაში ორი მყარი თეორია ჩამოყალიბდა: ერთი მათგანი თანამონაწილეთა მოქმედებას განიხილავს, როგორც დანაშაულებრივი ქმედების დამოუკიდებელ ფორმას. ამ პოზიციის თანახმად, ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების თითოეული თანამონაწილე არ კარგავს თავის დამოუკიდებლობას პასუხისმგებლობის თვალსაზრისით და მისი მოქმედების იურიდიული შეფასება არ არის დამოკიდებული სხვის მოქმედებაზე. აღნიშნული შეხედულების მომხრეები¹ არ გამოყოფენ იმ ფიგურას, რომელიც განსაზღვრავდა პასუხისმგებლობის არსებობას ან უარყოფას თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის. მეორე პოზიცია თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარეობს. სიგყვა „აქცესორული“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს დამატებითს, დამოკიდებულს, მიერთებულს. თუ აღნიშნულ გერმინს თანამონაწილეობას შევეუთავსებთ, მივიღებთ, რომ თანამონაწილის მოქმედებას არ აქვს დამოუ-

¹ Ван ши, Виды соучастников по советскому уголовному праву, дис.... канд. юр. наук., Ленинград, 1959, с. 138-140; В. С. Прохоров, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, дис. ... канд. юр. наук., Ленинград, 1962, с. 105-118; А. И. Трайнин, Учение о соучастии, М., Юриздат, 1941, с. 124-125; П. И. Гривашев, Г. А. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, М., Госюриздат, 1959, с. 172; П. Ф. Тельнов, Ответственность за соучастие в преступлении, М., РИО ВЮЗИ, 1978, с. 52-53; У. М. Джекебаев, Л. М. Вайсберг, Р. Н. Суданова, Соучастие в преступлении, Алма-Ата, Наука, 1981, с. 120-123; Ф. Г. Бурчак Соучастие: Социальные, криминологические и правовые проблемы, Киев, Виши школа, 1986, с. 156-160; Л. Д. Глухман, Соучастие в преступление по советскому законодательству, (опит сравнительного правоведения), М., Академия МВД СССР, 1990, с. 41; В. А. Григорьев, Соучастие в преступлении по уголовному праву Российской Федерации, Уфа, УВШ, 1995, с. 47-48 и др.

კიდებელი იურიდიული მნიშვნელობა და მის კვალიფიკაციას განსაზღვრავს ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაცია.²

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება, რომელიც სათავეს იღებს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გარიჟრაჟზე, ინტენსიური კვლევის საგანია რუსეთის რევოლუციამდელი სისხლის სამართლის ლიგურაგურაშიც. ამ თეორიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, ჯერ კიდევ მისი წარმოშობის საფუძველშივე, გამოისახებოდა თემისში, რომ „თანამონაწილეობა არ არის ამსრულებლის გარეშე.“ რუსი მეცნიერი ა. ყირიაევი 1850 წელს გამოცემულ ერთ-ერთ მონოგრაფიულ გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ წაქეზება და დახმარება მთავარი დანაშაულის არარსებობის გარეშე, შესაძლებელია დანაშაულებრივ ქმედებებზე იქნას მიჩნეული, როგორც ცალკეული უკანონო მოქმედებები, დასჯადი ყოველგვარი ურთიერთობის გარეშე მთავარ დანაშაულთან (რომელიც რაღაც მიზეზის გამო არ განხორციელდა) და არა როგორც ამ ქმედებათა განსაკუთრებული სახის თავშეყრა.³ მაშასადამე, ავგორი მიიჩნევს, რომ ამსრულებლის, ანუ იმ პირის გარეშე, ვისთანაც მთავარი დანაშაულის ჩადენა ასოცირდება, არ შეიძლება საუბარი იყოს რამდენიმე პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობაზე, ანუ დანაშაულში თანამონაწილეობაზე. აქცესორული თეორიის თემისს იყავდა ბელინ-

² თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., „მეცნიერება“, 1965, გვ. 71-84; თ. გამყრელიძე, დანაშაულის შედეგობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., „მეცნიერება“, 1974, გვ. 3-23; თ. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 179; ლ. ზურგულაძე, სისხლის სამართალი (დანაშაული), თბ., „ქრონოგრაფი“, 1997, გვ. 354-358; მ. ტურავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბ., „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 200, გვ. 87-90; ბ. სარია, თანამონაწილეობა და შეჯდომის პრობლემა სისხლის სამართალში, // ჟ. „სამართალი“, 1997, №7-8, გვ. 49-54; М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть II, Свердловск, Ученые труды СЮИ, 1962, с. 138-149; С. В. Афиногенов, Соучастие в преступлении, (понятие, виды и формы), автореф. дис.... канд. юр. наук, М., 1991 с. 16-17; Уголовное право, Общая часть, учебник для вузов, ответ. ред. И. Я. Козаченко и З. А. Незнамова, М., Изд. группа ИНФРА, М-НОРМА, 1998, с. 256 и др.

³ А. И. Жиряев, О стеснении нескольких преступников при одном и том же преступлении, Дертт, 1850, С. 39

ციკ, რომელიც აღნიშნავდა, რომ „სადაც არ არის მთავარი მოქმედება, იქ არაა თანამონაწილეობა“⁴.

დავა თანამონაწილეობის აქცესორული თუ დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის შესახებ განსაკუთრებით მწვავე ხასიათის საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის ლიგერაგურაში იღებს. ამ დროის ნაშრომებში ამკარად იკვეთება მეცნიერთა უმრავლესობის მხარდაჭერა თანამონაწილეობა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მიმართ, ხოლო აქცესორული თეორია მიჩნეულია, როგორც ანტიმატერიალისტური და რეაქციული მოვლენა სისხლის სამართალში. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აქცესორული თეორიის კრიტიკოსთა უმრავლესობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ძირითადად ფორმალურ ხასიათის აგარებენ, ვინაიდან, ისინი, ერთის მხრივ, უარყოფენ ამ თეორიას, ხოლო მეორეს მხრივ, აკეთებენ დასკვნებს, რომლებიც უშუალოდ ამ თეორიის პრინციპებიდან გამომდინარეობენ. ასე, მაგალითად, აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგე ლ. გაუხმანი წერს: „საბჭოთა მეცნიერთა უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს, რომ აქცესორობა თავის ასახვას ვერ პოულობს საბჭოთა სისხლის სამართალში, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამსრულებლის მოქმედებას არ ეძლევა მნიშვნელობა სხვა თანამონაწილეობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ფარგლებს განსამდგურისათვის. ამსრულებლის მიერ დანაშაულის მცდელობის განხორციელებისას სხვა თანამონაწილეები პასუხს აგებენ ასევე მცდელობისათვის და არა დამთავრებული დანაშაულისათვის.“⁵ თუ ამსრულებლის მოქმედებას ეძლევა მნიშვნელობა სხვა თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის განსამდგურისათვის და თუ, თანამონაწილე მამინ აგებს პასუხს დანაშაულის მცდელობისათვის, როცა ამსრულებელმა დანაშაულის მცდელობა განახორციელა, ეს არც მეტი, არც ნაკლები თანამონაწილეობა აქცესორული ხასიათის აღიარებაა. მიგვაჩნია, რომ ავტორის აღნიშნულ მოსაზრებაში ჩამოყალიბებული ორი წინადადება ურთიერთსაწინააღმდეგოა და ის ერთდროულად ამტკიცებს და თან გამოორიქხავს ერთი და იგივე საგანს, ეს კი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფორმალური ლოგიკის კანონების დარღვევაა.

⁴ ციტატა ა. ტრაინის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 21.

⁵ ლ. გაუხმანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 41

მსგავსი წინააღმდეგობა პ. ტელნოვის მსჯელობაშიც შეიმჩნევა, როცა ის კრიტიკულად აფასებს თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას და ცდილობს დაასაბუთოს ამ თეორიის „ნაკლოვანებანი.“ მისი მტკიცებით, ეს თეორია თანამონაწილეობა ბედს ამსრულებლის მოქმედებამდე დამოკიდებულებაში განიხილავს და შესაბამისად უარყოფს წამქმებლისა და დამხმარის მოქმედებაში დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის არსებობას, რაც მიუღებელია საბჭოთა სისხლის სამართლისათვის, რამდენადაც ის ეწინააღმდეგება ერთობლივად მოქმედი პირების პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას. თუმცა იგი იქვე დასძენს, რომ, „ცხადია, მასში არის მხოლოდ რაციონალური მარცვალი – ამრი თანამონაწილეობა ბედის ნაწილობრივ დამოკიდებულებისა ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედებაზე, ამ ქმედების დროსა და ადგილზე.“⁶ აღნიშნული ციტატა არათუ უარყოფაა, არამედ ნათელი დადასტურებაა ამ უკანასკნელის პოზიციების განმტკიცებისათვის, რადგან თანამონაწილეობა აქცესორული ბუნების ძირითადი დედაბერი, სწორედ ასეთი „რაციონალური მარცვლის“ ძიებით შემოიფარგლება „თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის ერთგვაროვანი დამოკიდებულებით ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედობისაგან.“⁷

თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათის ფორმალური უარყოფა, ნათლადაა ასახული იმ მეცნიერთა ნაშრომებში, რომლებიც მოითხოვენ უშედეგო თანამონაწილეობის კვალიფიკაციას დანაშაულის მომზადებად.⁸ ეს უდავო აღიარებაა იმ დებულებისა, რომ, თუ არ არის ამსრულებლის მოქმედება, არ არის არც წამქმებლისა და დამხმარის მოქმედებაც, როგორც თანამონაწილისა, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში მათ მიერ ჩადენილია თავისი ობიექტური ფორმით წამქმებლური ან დამხმარებითი მოქმედება. ამიგომ, ამ ავტორთა მხრიდან აღნიშნული საკითხის ამ კუთხით დასმა და ასეთი დამხმარის პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზა-

⁶ პ. ტელნოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53

⁷ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 73; М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть I, Ученые труды СЮИ, Свердловск, 1960, с. 101.

⁸ პ. გრიშავეი, გ. კრივური, დასახელებული ნაშრომი, გვ. 73; პ. ტელნოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52-53, 63-64; ვ. გრიგორიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 47-48, 54-55 და სხვ.

ღებისათვის, რომლის ჩადენაშიც ის ხელს უწყობდა ამსრულებელს, ე. ი. ინდივიდუალურად ჩადენილი ქმედებისათვის, აქცესორული თეორიის სასარგებლოდ და ის უშუალოდ მიუთითებს დანაშაულის ამსრულებლის განმსაზღვრელ ფუნქციაზე. მას თავისი დომინირებული როლის მეშვეობით შეუძლია, ცალკეული, ინდივიდუალური მოქმედებები ერთ მთელად შეკრას და უშუალოდ მიმართოს დანაშაულის ობიექტის ხელყოფისაკენ აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთი და იგივე ობიექტური მოქმედებები ამსრულებლის ქცევის მიხედვით, ჩაიდინა თუ არა მან თანამონაწილეთა მიერ ჩაფიქრებული დანაშაული, შეფასდეს თანამონაწილეობად ან დანაშაულის მომზადებად.

ეფიქრობთ, სრულიად სამართლიანად მიუთითებს აქცესორული თეორიის მომხრე პროფ. თ. გამყრელიძე, ამ ავტორთა მსჯელობის არათანმიმდევრობაზე, რომლებიც ერთის მხრივ, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის წინააღმდეგ გამოდიან და ამავე დროს შუალობით ამსრულებლობას ამსრულებლობის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევენ.⁹ როგორც ცნობილია, ასეთ ამსრულებლად მიიჩნევა ის, ვინც დანაშაულის ჩასადენად „ცოცხალ იარაღს“ გამოიყენებს, რომელიც საერთოდ არ აგებს პასუხს სისხლის სამართლებრივი წესით, ან რომელმაც შეიძლება პასუხი აგოს გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის. თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის უარყოფა და ამავე დროს წამქეზების და დამხმარის მოქმედებათა განხილვა თანამონაწილეობად ან შუალობით ამსრულებლობად, იმისდა მიხედვით, ამსრულებელმა ჩაიდინა თუ არა მართლსაწინააღმდეგო და განზრახ მოქმედება, აქცესორული თეორიის ფორმალურად უარყოფას, ხოლო კონკრეტული საკითხების განხილვისას ამ თეორიის დებულებებიდან ამოსვლას ნიშნავს.

თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრე მოგიერთი ავტორის აზრით, ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების დროს, როგორც არ უნდა იყოს თანამონაწილეთა მოქმედების ობიექტური და სუბიექტური ხასიათი დანაშაულის ჩადენაში, პასუხს აგებენ ერთი და იგივე დანაშაულისათვის, ამასთან, საერ-

თოა მათი ხელყოფის ობიექტი და დანაშაულებრივი შედეგი. მიუხედავად ამისა მიიჩნევენ, რომ თითოეული თანამონაწილის მხარეს გვაქვს დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობა, რაც მათი აზრით, განპირობებულია იმით, რომ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის ობიექტური მხარის თავისებური ხასიათი აღწერილია არა კერძო ნაწილის მუხლის შემადგენლობაში, არამედ დისკომპონიაში თანამონაწილეობის შესახებ. მათი აზრით, თითოეულის პასუხისმგებლობის საფუძველი დევს არა ამსრულებლის მოქმედებაში, არამედ მათი მოქმედების ხასიათში, დანაშაულის ორგანიზაციაში, დანაშაულის წაქეზებაში, ან დანაშაულის ჩასადენად ხელშეწყობაში, რომელიც შეიცავს ყველა აუცილებელ ნიშანს დანაშაულის შემადგენლობის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე.¹⁰

აღნიშნული შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ თანამონაწილეებმა პასუხი უნდა აგონ დამთავრებული დანაშაულისათვის მაშინაც კი, როცა ამსრულებელს დანაშაული არათუ არ დაუმთავრებია, არამედ არ განუხორციელებია რაიმე მოქმედება, არ გამოუღწევილა ამ დანაშაულის ძირითადი ბირთვი — დანაშაულის ობიექტური მხარე, არ არის მიზნობრივი კავშირი თანამონაწილეებსა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის. ამ მოსაზრებათა ავტორები ანგარიშს არ უწყევენ იმ ობიექტურ კანონზომიერებას, რომ ამსრულებელი ის „გასალებია“, რომელიც გზას უხსნის თანამონაწილეთა მოქმედებებს და თუ არ არის ამ „გასალების“ ნება და ამ ნების შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედება, სხვა თანამონაწილეთა მოქმედებებიც, როგორც დანაშაულში მონაწილეებისა „ჩაკეტილია.“

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების მიუღებლობის ძირითადი მიზეზი ცალკეული ავტორების მიერ აღნიშნული თეორიის შეცდომით გაგებიდან გამომდინარეობს, რაც გამოიხატება მათ შეხედულებებში, თანამონაწილეთა დასჯადობის პროპორციულ დამოკიდებულებაში ამსრულებლის ბრალის ხარისხზე. აქცესორობის არსი იმ აუცილებელი ობიექტური დებულების შეცნობაში აისახება, რომ ამსრულებლის გარეშე არ არის თანამონაწილეობა და რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ის ძირითადი საფუძველი და პირობებია, რომლებიც თვით თანამონაწილეობის ნორმაში ივარაუ-

⁹ თ. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., 1965, გვ. 9-10

¹⁰ თ. ჯაგუბაძე, ლ. ვაიხერგი, რ. სულანოვი, დასასწავლელი ნაშრომი, გვ. 121-123

დებს, მხოლოდ ამსრულებლის მიერ თანამონაწილეთა განზრახვით მოცული ობიექტური მხარის განხორციელებაშია (ან ნაწილობრივ განხორციელებაშია) შესაძლებელი. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. მ. კოვალიოვი: „თანამონაწილეთა საერთო პასუხისმგებლობის საფუძველს დანაშაულის ყველა თანამონაწილის მოქმედებათა ერთიანობა წარმოადგენს, ამ ერთიანობის ბერკეტი ამსრულებელია და თუ იგი არ არის, როგორც სუსულა, თანამონაწილეობაც ინგრევა“.¹¹

თანამონაწილეთა აქცესორული ბუნების მოწინააღმდეგეები უარყოფენ იმ მოსაზრებას, რომ თანამონაწილეობით ჩაღწეული დაზარალებული თავისებურად სპეციფიურია იმით, რომ ეს ინსტიტუტი ნამდვილად განსაზღვრავს რამდენიმე პირის პასუხისმგებლობას ერთი და იმავე დანაშაულებრივი ქმედებისა და ერთიანი დანაშაულებრივი შედეგისათვის, თუმცა, მისი ჩაღწევა ხდება ამსრულებლის მიერ და მისივე მოქმედებით ხდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის გაზოჭვევა.

თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას აღიარებდა საბჭოური და მას აღიარებს, ასევე ამკამინდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობაც. მტკიცების საფუძველს იძლევა თანამონაწილეობით ჩაღწეული დანაშაულის საკანონმდებლო ცნება, ასევე თანამონაწილეთა სახეების საკანონმდებლო განმარტებების ფუნქციონალური ანალიზი. საბჭოური პერიოდის კანონმდებლობა, კერძოდ, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა 1958 წლის 25 დეკემბრის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველი თანამონაწილეობას განსაზღვრავდა, როგორც „ორი ან მეტი პირის განზრახვით ერთობლივ მონაწილეობას დანაშაულის ჩაღწევაში.“ საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლი კი მას აყალიბებს, როგორც „ორი ან მეტი პირის განზრახვით ერთობლივ მონაწილეობას განზრახვით დანაშაულის ჩაღწევაში.“ აღნიშნულ ნორმათა შორის სხვაობა თითქმის არ არსებობს, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ კანონმდებელმა უკანასკნელ შემთხვევაში კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთა ის რეალობა, რომ თანამონაწილეობა მხოლოდ იმ დანაშაულშია შესაძლებელი, რომლის სუბიექტური მხა-

¹¹ მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი პირველი, გვ. 99

რეც შემთავარგლება განზრახვით. ამით კი ყოველგვარი ეჭვი გამოაცალა იმ ავტორთა პოზიციებს, რომლებიც ამა თუ იმ სახით გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის დაცვის იდეით გამოდიოდნენ.

კანონმდებლის ნება ცალსახაა: თანამონაწილეობას ადგილი აქვს მაშინ, როცა თანამონაწილეთა და ამსრულებელიც განზრახ მოქმედებდნენ. ამიტომ, თუ დანაშაულის უშუალო ამსრულებელი გაუფრთხილებლობით მოქმედებდა, წამქმნებელი ან დამხმარე, რომელიც განზრახ მოქმედებდა, პასუხს აგებს როგორც შუალობითი ამსრულებელი და არა როგორც თანამონაწილე. მაშასადამე, ირკვევა, რომ კანონმდებელმა არსობრივად დაუკავშირა ამსრულებლის განზრახ მოქმედებას თანამონაწილეთა მოქმედება და იმ შემთხვევაში, თუ არ არის ამსრულებელი, რომელიც განზრახ მოქმედებს, მაშინ არ არის თანამონაწილეობაც და დამხმარემ ან წამქმნებელმა პასუხი უნდა აგოს შუალობითი ამსრულებლობისათვის, ე. ი. პასუხისმგებლობა ასეთი პირის სრულიად განსხვავებული, სპეციფიური კანონმომიერების შესაბამისად დგება, რომლის არსიც გამოისატება იმაში, რომ დაუშვებელია გაუფრთხილებლობით მთავარ მოქმედებაში განზრახი თანამონაწილეობა და ამ დანაშაულის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობას იღებს ერთი პირი, — შუალობითი ამსრულებელი, რომელიც გაუფრთხილებლობით მოქმედებს თავისი მიზნების განხორციელების „იარაღად“ იყენებს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ მოსაზრებას, არ უარყოფენ ის ავტორებიც, რომლებსაც აქცესორული თეორიის კრიტიკისას გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის კონცეფცია გამოყოფათ და ეს, რასაკვირველია, მათი მსჯელობების არათანმიმდევრობაზე შეგუწეულს.¹²

რაც შეეხება თანამონაწილეთა ფუნქციონალურ ანალიზს, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ყველა მათი მოქმედება, არსობრივად მამართულია არაფრისაკენ, თუ ამსრულებელი არ ასრულებს თავის ფუნქციას. არგუმენტად, რომელიც თანამონაწილეთა მოქმედების

¹² ა. ი. ტრანინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 112., 124-125; М. И. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, // Ж. „Правоведение“, 1960, №1, с. 87-92.

დამოუკიდებულებას ამსრულებლის მოქმედებაზე ასახულებს, კანონის დებულებას გვევლინება, რომელიც თანამონაწილეთა სახეებს განსაზღვრავს. ადრე მოქმედი კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებდა, რომ ამსრულებლის გვერდით თანამონაწილეებად მიიჩნევიან ორგანიზატორები, წამქმნებლები და დამხმარეები. აღნიშნულით კანონმდებელი ცალსახად უსვაზდა ხაზს თანამონაწილეების არსებობისათვის ამსრულებლის განსაზღვრულ მნიშვნელობას. გარდა ამისა, განსაზღვრავდა რა ამსრულებლის ფიგურას, იგი შემთხვევით არ აყენებდა მას პირველ ადგილზე სხვა თანამონაწილეებთან მიმართებაში, რითაც აღიარებდა მის დამოუკიდებელ მდგომარეობას სხვა თანამონაწილეებთან ურთიერთობაში.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ამ კონტექსტში, აღნიშნული მოსაზრების მტკიცების კიდევ უფრო მეტ საშუალებას იძლევა, როცა ამსრულებლის ფიგურას გამოყოფს ცალკე 22-ე მუხლი, ხოლო 24-ე მუხლი თანამონაწილეებად მოიხსენიებს ორგანიზატორს, წამქმნებელს და დამხმარეს. ამასთან, ამსრულებლის ცნების განსაზღვრისას აღნიშნავს, რომ ამსრულებელია არა მხოლოდ ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, არამედ ისიც, „ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.“ ბუნებრივია, ამ საკანონმდებლო ნორმაში, შუალობითი ამსრულებლის ფიგურა იგულისხმება, რომელიც აქცესორული თეორიის ნაყოფია და ამას, არ უარყოფენ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეებიც.

თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება ნათლადაა წარმოდგენილი რიგი საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც. ასე მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის (მიღებულია 1992 წელს და ძალაში შევიდა 1994 წლის 1 მარტს. შეცვალა 1810 წლის კოდექსი რომელიც შექმნილი იყო ნაპოლეონ ბონაპარტეს მმართველობის დროს) 121-6 მუხლში ნათქვამია, რომ „დანაშაულებრივი ქმედების თანამონაწილე დაისჯება როგორც მისი ამსრულებელი.“ ამ საკანონმდებლო ფორმული-

რებაში თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათი იკვეთება. თანამონაწილე, რომელიც ნებაყოფილებით უერთდება სხვა თანამონაწილეთა დანაშაულებრივ ქმედებას, მთლიანი მოცულობით პასუხს აგებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ანუ მისი პასუხისმგებლობის ფარგლებს განსაზღვრავს ამსრულებლის მოქმედება, თუ ცხადია, თანამონაწილემ იცოდა ამსრულებლის განზრახვის შესახებ და შეგნებული პქონდა, რომ თავისი მოქმედებით ის უერთდებოდა ამ განზრახვის განხორციელებას. ამასთან, თანამონაწილის პასუხისმგებლობა, სრულიად სამართლიანად შენიშნავენ ნ. კრილოვი და ა. სერებრიანიკოვი, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების თანახმად, ორი გარემოების მიხედვითაა განპირობებული: პირველი, ამსრულებლის მიერ დამთავრებული დანაშაულის ან დასჯადი მცდელობის ჩადენისათვის და მეორე, ამსრულებლის მიერ დანაშაულის ან გადაცდომის (და არა დარღვევის) ჩადენისათვის.¹³

თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას აღიარებს გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინაც.¹⁴ ამ თეორიის პრინციპებს იმიარებს რუსეთის ფედერაციის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსიც, რომლის 34-ე მუხლის მე-5 ნაწილი, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის მოცულობისა და შინაარსის დადგენისას უშუალოდ მიუთითებს დანაშაულის ამსრულებლის განსაზღვრულ ფუნქციაზე.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის ლიგურაგურაში ჩამოყალიბებული თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის უარყოფის ფართო სპექტრი არ შეესაბამება ამ თეორიის არსის თანამედროვე გაგებას, კერძოდ, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის წარმომადგენლების მცდელობები დაამტკიცონ, რომ აქცესორული თეორია ხელს უწყობს ობიექტურ შერაცხვას, რითაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის

¹³ Кривола Н. Е. Серебряникова А. В., Уголовное право зарубежных стран (Англия, США, Франция, Германия). Изд. 2-е, перераб. и доп. Учебное пособие, М., „Зерцало“, 1998, с. 118-119;

¹⁴ იხ. ნ. ვ. კრილოვი, ა. ვ. სერებრიანიკოვი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 125-126; Малиновский А. А. Уголовное право зарубежных государств. — М.: Новый юрист, 1998 ст. 49

სისხლის სამართლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი პრინციპის — ინდივიდუალური პასუხისმგებლობის იგნორირებისათვის, რომლის თანახმადაც თითოეულმა პირმა პასუხი უნდა აგოს საკუთარი მოქმედებისათვის და საკუთარი ბრალისათვის, არ არის დამაჯერებელი.¹⁵

იმ ობიექტური რეალობის აღიარება, რომ ყველა თანამონაწილეთა განზრახვის ხორცშესხმა და განსახიერება ამსრულებლის მოქმედებაში ხდება და აქედან გამომდინარე, თანამონაწილეთა მოქმედების იურიდიული შეფასება ამსრულებლის მოქმედებაზე დამოკიდებული, არ ნიშნავს პირის პასუხისმგებლობას სხვისი მოქმედებისათვის და სხვისი ბრალისათვის. დანაშაულის გამოვლენების ამ ფორმაში უნდა ვეძიოთ არა რამდენიმე დანაშაული, არამედ რამდენიმე დაშინაშავე, რომელთა მოქმედებებიც მიმართულია საერთო დანაშაულებრივი შედეგისაკენ, თუმცა, ამ საერთო დანაშაულებრივი შედეგის მიღწევის გზაზე თითოეულ ინდივიდს მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი როლი აკისრია, რომლის მეშვეობითაც ჩართულია ერთიანი უმართლობის განხორციელებაში. ამიგომ, ინდივიდუალურად ჩადენილი დანაშაულის მსგავსად, თუ თანამონაწილის მოქმედება მიმეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან და ეს შედეგი მოცულია მისი განზრახვით, მან პასუხი უნდა აგოს ამ შედეგისათვის. სავსებით სამართლიანად შენიშნავს მ. კოვალისკი, რომ „ყველა მონაწილე პასუხს აგებს იმ დანაშაულებრივი შედეგისათვის, რომელიც უშუალოდ ამსრულებელმა გამოიწვია, მაგრამ ისინი ამსრულებლის მეშვეობით თვითონაც მონაწილეობდნენ მის განხორციელებაში, განზრახული პქონდათ დანაშაულებრივი გზით მიეღწიათ ამ შედეგისათვის. ამსრულებლის მოქმედებაში მათი ფიზიკური და სულიერი ენერჯის ნაწილიცაა ჩაქსოვილი, ამიგომაც დანაშაული მათი ერთობლივი შეკადინების ნაყოფია, რომელმაც საბოლოო ანგარიშით თავი მოიყარა ამსრულებლის მოქმედებაში.“¹⁶ ასევე დასძენს პროფ. თ. წერეთელი, რომ „დამდგარი დანაშაულებრივი შედეგი მათი ერთობლივი საქმიანობის პროდუქტია. ცხადია ობიექ-

¹⁵ უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, // „სამართლის სამართალი“, №3, 1968, გვ. 27; ბ. ტელნიკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53; ვ. ვრიგორიევა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48

¹⁶ ბ. კოვალისკი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 148

ტური როლი ამ შედეგის წარმოშობაში სხვადასხვაგვარია როგორც მიმეზობრიობის, ისე მისი აქციურობის მიხედვით. ამაზე ბევრბულია განსხვავება თანამონაწილეთა შორის. მაგრამ ეს სხვადასხვაობა არ გამორიცხავს იმას, რომ თითოეული თანამონაწილე ობიექტურადაც და სუბიექტურადაც დაკავშირებულია იმავე დანაშაულთან, რომელსაც იღენს ამსრულებელი და მასთან ერთად ერთ ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს.“¹⁷

ამდენად, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია არ ნიშნავს ამსრულებლის მოქმედებისაგან მათ იზოლირებას. რამდენადაც ამსრულებლის მოქმედება ყველა სხვა თანამონაწილეთა სიძლიერის ნაყოფად გვევლინება, თითოეული თანამონაწილე, მათი მოქმედების შედეგად, ამსრულებელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამ კავშირის რეალიზება კი ხდება იმით, რომ დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენლობა, რომელიც ჩაფიქრებული პქონდათ თანამონაწილეებს, სრულდება იმ პირის მიერ, რომელ დანაშაულებრივ განზრახვასთანაც მათ მიიყვანეს ან მათ შეუწყვეს ხელი. ამასთან ერთად, მიმეზობრივი კავშირი, დანაშაულის ინიციატორის (ორგანიზატორის, წამქმნებლის) თუ დამხმარის, რომელიც გამოწვეულია მათ მიერ, ამსრულებლის მოქმედებით გრძელდება იმ მოქმედების შედეგად, რომელიც გვევლინება შედეგად სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით. მაშასადამე, აქცესორული ბუნება გულისხმობს იმას, რომ თანამონაწილეთა მოქმედებები დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ დანაშაულის შესრულებაზე და არ გულისხმობს ამსრულებლის მოქმედების ობიექტურ, მექანიკურ შერაცხვას თანამონაწილეებისადმი. თანამონაწილე, რომელიც თავისი ნებით უერთდება საერთო დანაშაულებრივ ქმედებას, აწვდის დანაშაულის ჩადენის იარაღს, აძლევს რჩევადარიგებას, მითითებას და სხვ. ყველა ამ მოქმედებათა გაერთიანება საბოლოო ჯამში ამსრულებლის მოქმედებაში ხდება. ამიგომ, ობიექტური თვალსაზრისით, ამსრულებლის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოცულობა იმ საზღვრად გვევლინება, რომლის იქითაც შეუძლებელია გავრცელდეს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა. აღნიშნული ნათლად ვლინდება თანამონაწილეობით

¹⁷ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66-67

ჩაღენილი დანაშაულის სგადიების განვითარებისას, როცა ამსრულებლის მოქმედება აწონასწორებს, აბალანსებს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ფარგლებს, თითოეული თანამონაწილის მიერ გამსორციელებული ქმედების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, აქცესორული თეორია სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, პირიქით, სწორედ ეს თეორია აღიარებს, რომ „პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმ დანაშაულისთვის, რომლის ჩადენაშიც იგი მონაწილეობას იღებდა და რომელიც მისი ბრალითაა მოცული.“¹⁸

აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეთა მსჯელობებში იკვეთება აშკარა ეჭვი ამ თეორიის მექანიკური გაგებისა, როცა წერენ, რომ სისხლის სამართლის აქცესორული თეორიის დებულებები, მთელი რიგი დამატებებისა და შესწორებების მიუხედავად, მათი მომხრეების მხრიდან, მიუღებელია ჩვენთვის, ხოლო ამ მიუღებლობის მოტივად მოჰყავთ ის გარემოება, რომ დაუშვებელია თანამონაწილეთა გათავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, როცა ამგვარ პასუხისმგებლობაში არ არის მიყვანილი დანაშაულის ამსრულებელი, ან პირიქით, თანამონაწილეებს უნდა შეარაცხონ ისეთი მოქმედებები, რომლებიც არაა მოცული სხვა თანამონაწილეთა განზრახვით (ამსრულებლის ექსცესი).¹⁹ მაშასადამე, ამ ავგორთა მტკიცებით, თითქოსდა აქცესორული ბუნება, დაუსაბუთებლად ავიწროვებს ან აფართოვებს დანაშაულის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას. თუმცა, შევნიშნავთ, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ასეთ უპირობო დამოკიდებულებას ამსრულებლის მოქმედებისადმი, კერძოდ კი, ამსრულებლის ექსცესის შერაცხვას თანამონაწილეებისადმი არ მოითხოვდა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული ხასიათის არც ერთი მიმდევარი. აღნიშნული საკითხი ბრალის სისხლისსამართლებრივ დებულებათა გამოყენებით უნდა გადაწყდეს. „თუ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს საზოგადოდ, — შენიშნავს პროფ. ი. გამყრე-

¹⁸ ი. წერეთელი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 22

¹⁹ ე. გრიგორიევი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 47-48; უ. ჯაკობაძე, ლ. ვაიბერ-გო, რ. სუდანოვი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 122; ა. გრინაევი, გ. კრიგერი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 172

ლიძე, — ის თანაბრად შეეხება როგორც ამსრულებელს, ისე თანამონაწილეს და ამ პრინციპის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს ამსრულებლის ექსცესის საკითხი თანამონაწილეობის დროს როგორც აქცესორული თეორიის მომხრემ, ისე მისმა მოწინააღმდეგემ.“²⁰

მოცემულ საკითხს კიდევ უფრო დაწვრილებით ახალბეებს ნ. სარია, რომელიც ამსრულებლის ექსცესის საკითხს ბრალზე ფაქტობრივი შეცდომის ზეგავლენის კუთხით განიხილავს. ავგორის სამართლიანი თქმით, ამსრულებლის საქმიანობაზე თანამონაწილეთა არასწორ წარმოდგენას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამსრულებლის ექსცესის შემთხვევაში, როცა ამსრულებელი ჩაიდენს ისეთ მოქმედებას, რაც არ არის გაცნობიერებული თანამონაწილეთა მიერ. რაოლენობრივი ექსცესის დროს, როცა ამსრულებელი ჩაიდენს იმავე გვარის დანაშაულს, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა გადაწყდება ბრალის პრინციპით, ე. ი. მათი პასუხისმგებლობა დადგება იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ჩადენაც გათვალისწინებული იყო მათი საერთო განზრახვით, ხოლო თვისობრივი ექსცესის დროს, როცა ამსრულებელი ჩაიდენს არაერთგვაროვან დანაშაულს, საერთოდ არ გვაქვს თანამონაწილეობა. ისინი პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადებისათვის.²¹ ის დებულება, რომ ამსრულებლის ექსცესი ბრალის სისხლისსამართლებრივი დოგმატიკიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს და მან არ უნდა გააფართოვოს სხვა თანამონაწილეების პასუხისმგებლობა, ამ მოთხოვნისადმი, ცალკეულ სისხლისსამართლის საქმეთა განხილვისას, ურყევად იცავენ ჩვენი სასამართლო ორგანოებიც (იხ. ქვევით III თავის I §).

ამსრულებლის ექსცესი, რომელიც მისი ამსრულებლის დამოუკიდებელი შეგნებისა და ნებითი მოქმედების ნაყოფია, დაუშვებელია მან ზეგავლენა მოახდინოს სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის გაფართოვებაზე. თანამონაწილე ამსრულებლის ექსცესისათვის არ აგებს პასუხს იმიტომ, რომ მის მხარეს არ არის ამ პასუხისმგებლობის სუბიექტური წანამდგარი და არა იმიტომ, რომ თანამონაწილეთა დანაშაულებრივ ქმედებას აქვს დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული ხასიათი, როგორც ამის მანიპულირებას ახლენენ

²⁰ ი. გამყრელიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 12-13

²¹ ნ. სარია, დასახლებული ნაშრომი, გვ. 52

დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრე. ჩვენი ოპონენტების მხრიდან ასევე უსაფუძვლოა აპელირება იმისა, რომ ამსრულებლის გათავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან, თითქოსდა ავტომატურად იწვევს თანამონაწილეთა გათავისუფლებას ამგვარი ღონისძიებებისაგან. თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათი ბაზირებულია იმაზე, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა და მათი დასჯადობის ოდენობა მთლიანად და აუცილებლობით როდია დამოკიდებული ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე და მისი დასჯადობის ოდენობაზე. ამ თეორიის პრინციპები გამოიხატება იმაშიც, რომ ის იძლევა შესაძლებლობას სისხლის სამართლებრივ ღონისძიებათა გაგარებისას თანამონაწილეების მიმართ მაშინაც, როცა პირადი თუ სხვა გარემოებები მიზანშეუწონელს ხდიან ამსრულებლის პასუხისმგებლობაში მიყვანას. აღნიშნულთან დაკავშირებით სწორად შენიშნავს აქცესორული თეორიის მომხრე ნ. გაგანცევი, რომ თანამონაწილეები შეიძლება მიცემულ იქნენ პასუხისმგებლობაში იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებლის პიროვნება სასამართლოსათვის დარჩა უცნობი, ასევე, როცა ამსრულებელი გამართლებული იქნა სასამართლოს მიერ აღიბის სახით ან სხვა გარემოებების გამო, თუ ამასთან დამტკიცებულ იქნა დანაშაულის არსებობა, წამქეზებლისა და დამხმარის ბრალი.²²

აქცესორული თეორიის წარმომადგენლის ძირითადი მიზეზი თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის თავისებურებით არის განპირობებული. საქმე იმაშია, რომ დანაშაულის ნებისმიერი გამოვლინება, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კერძო ნაწილში, აუცილებლად გულისხმობს დანაშაულის ამსრულებელს. ამ დანაშაულის უშუალო განხორციელება თანამონაწილის მიერ შეუძლებელია. მაგალითად, დამხმარემ, რომ მკვლელობა ჩაიდინოს, აუცილებელია მის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის, რომლის მიღწევისკენაც იგი ისწრაფვის, აღმოჩნდეს ადამიანი, რომელმაც უშუალოდ უნდა ჩაიდინოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილში აღწერილი მოქმედება. დამხმარის მიზნის განხორციელება შეუძლებელია იმ პიროვნების გარეშე, რომელმაც ობიექტურად

²² Н. С. Таганцев, Русское уголовное право (лекции), часть общая, том 1, С-Петербург, 1902, с. 759

უნდა განახორციელოს ეს მოქმედება. ამიგომ ერთი შეხედვითაც კი ნათელია, რომ თანამონაწილეთა მოქმედებები არსობრივად დაკავშირებული ამსრულებლის მოქმედებასთან. აქედან გამომდინარე, იმის მიხედვით, თუ დანაშაულის განვითარების რომელ სტადიაზე შეჩერდა ამსრულებლის მოქმედება, შესაბამისად უნდა მოხდეს სხვა თანამონაწილეთა მოქმედებების კვალიფიკაციაც, ე. ი., თუ ამსრულებლის მოქმედება შეჩერდა მკვლელობის სტადიაზე, თანამონაწილეებმაც პასუხი უნდა აგონ დანაშაულის მკვლელობისათვის, თუ დაასრულა დანაშაული, მათ პასუხი უნდა აგონ დამთავრებული დანაშაულისათვის. თუ ამსრულებელი ჯერ არ შესდგომია დანაშაულის განხორციელებას, ან მან არ ჩაიდინა არავითარი დანაშაულებრივი ქმედება, თანამონაწილეობას ადგილი არ ექნება და ისინი პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადებისათვის, რადგან უშედეგო წაქეზება და უშედეგო დახმარება დანაშაულის მომზადების ნიშნებს მოიცავს.

მოცემულ მოსაზრებას უარყოფენ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეები. ამ თეორიის ერთ-ერთი დამცველი უ. კობიაშვილი აღნიშნავს, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და მხოლოდ საკუთარი მოქმედებისათვის, პირადი ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპებს. მისი აზრით, მას უშედეგ, რაც თანამონაწილეებმა განახორციელეს თავიანთი მიზანდასახული მოქმედება, ხელი შეუწყვეს დანაშაულს, ანუ ამოწურეს თავიანთი როლი, ის, რაც შემდგომ მოხდება დანაშაულის განვითარებაში, გავლენას არ უნდა ახდენდეს მათ პასუხისმგებლობაზე. ყველა იმ შემთხვევაში, როცა თანამონაწილეთა მოქმედებანი გახდნენ კონკრეტული დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორები, სახეზეა ამ დანაშაულში თანამონაწილეობა, და მათი მოქმედების იურიდიული შინაარსი არ იცვლება, შესძლო ამსრულებელმა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოახერხა ეს. მისი აზრით, თუ ა-მ წააქეზა ბ-ნი მოსაკლავად, მაგრამ ბ-მ დაზარალებულს გყვია ააყლინა, ა-მ პასუხი უნდა აგოს არა როგორც მკვლელობის მკვლელობის თანამონაწილემ, არამედ როგორც მკვლელობის თანამონაწილემ, ვინაიდან ა-მ დაამთავრა თავისი განზრახვი

მოქმედება. ბ-ს მარცხმა არ შეიძლება შეცვალოს წამქეზების იურიდიული კვალიფიკაცია, ვინაიდან მოვლენათა შემდგომი განვითარება წამქეზების ნებაზე უკვე აღარ არის დამოკიდებული და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მცდელობის მუხლზე მიუთითებლად რსფსრ სსკ-ის 17-102 (103)მ.მ., შესაბამისად, საქართველოს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 24-109(108)მ.²³

უ. კობიაშვილის აღნიშნული მოსაზრება საფუძველშივე მცდარია და ის სრულიად სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული სისხლის სამართლის ლიგერატურაში.²⁴ საკითხისადმი ასეთი მიდგომა და მისი თანმიმდევრული გატარება პრაქტიკაში, არათუ ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას, არამედ, პირიქით, იგი გააფართოვებს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას თვითობიექტური შერაცხვის ფარგლებს გარეთაც კი, რადგან თბიექტური შერაცხვა ნიშნავს ფაქტობრივად გამოვლენილი ქმედებისა თუ დამდგარი შედეგის შერაცხვას ბრალის გარეშე. ზემოთ მოყვანილი მოსაზრება და ამ მოსაზრების შესაბამისი მაგალითის კვალიფიკაცია 24-109 მუხლზე მითითებით, იმ მუხლზე მითითების გარეშე, სადაც დანაშაულის განვითარების სტადიებია ჩამოყალიბებული, ნიშნავს, რომ პირი არის დამთავრებული დანაშაულის თანამონაწილე, ე. ი. მონაწილე იმისა რაც, არ არსებობს თბიექტურად, და მხოლოდ თანამონაწილის წარმოდგენაში დარჩა, რადგან დანაშაული არ დასრულებულა. მიგვაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, თანამონაწილეთა დანაშაულებრივი ქმედების იურიდიული ხასიათი სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია ჩამოყალიბებული, მათი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ყველა ერთეულ შემთხვევაში კერძო ნაწილის იმ მუხლიდან უნდა ამოვიდეთ, სადაც ამ დანაშაულის ამსრულებლის ქმედებაა ჩამოყალიბებული. იმისათვის, რომ ეს ქმედება დამთავრებულ დანაშაულად ვცნოთ, აუცილებელია დადგეს კანონით გათ-

²³ უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, // ჟ. „საბჭოთა სამართალი“, 1968, №3, გვ. 27; У. Л. Кобиашвили, К вопросу о приобщении к преступлению и покушению на преступление при соучастии // Ж. „Правоведение“, ЛГУ, 1963, №3, с. 149.

²⁴ იხ. თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 77-78; ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13-14.

ჯალისწინებული შედეგი (მაგერიალური დანაშაული), ან განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული აკრძალული ქმედება (ფორმალური დანაშაული). მკვლელობა, როგორც ცნობილია, მაგერიალური დელიქტია, რომლის დამთავრებულ დანაშაულად მიჩნევისათვის ზემოთ აღნიშნულ მაგალითთან მიმართებაში აუცილებელი იყო, რომ ბ-ს გასროლილ ტყვიას გამოეწვია სიკვდილი, როგორც კანონით გათვალისწინებული შედეგი. აღნიშნულ შემთხვევაში გვაქვს მკვლელობის მცდელობა, რაც გამოვლინდა გარესამყაროში და არა მხოლოდ ამსრულებლის თუ თანამონაწილის წარმოდგენაში დარჩა. ამიტომ ამსრულებელიც და თანამონაწილესაც პასუხს აგებს მკვლელობის მცდელობისათვის. მაშასადამე, ირკვევა, რომ ამსრულებლის მოქმედება, რომელიც აგრძელებს მიზეზობრივ კავშირს, დაწყებულს თანამონაწილეების მიერ, განსაზღვრავს მათი შერაცხვის მოცულობას იმ შედეგისათვის, რომელიც მათი განზრახვითაა მოცული. იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებელი შეჩერდა დანაშაულის განვითარების გარკვეულ სტადიაზე, არარსებული შედეგის თანამონაწილეთა მიმართ შერაცხვა შეუძლებელია და მათ პასუხი უნდა აგონ იმასთან შესაბამისობაში, რაც ამსრულებელმა ჩაიდინა.

თანამონაწილეობა კრიმინალთა ისეთი გაერთიანებაა, როცა ყველა მათგანი ერთიან უმართლობას ჩადის, ერთიანი უმართლობის მიზნით კი დომინირებული ფუნქცია სხვა თანამონაწილეთა კვალიფიკაციის განსაზღვრაში დანაშაულის ამსრულებელს უკავია. საკითხისადმი განსხვავებულმა მიდგომამ კი შეიძლება ისეთ უსაფუძვლო დასკვნაზე მიგვიყვანოს, რომელშიც თუნდაც თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრე პროფ. ა. გრაინინი აღმოჩნდა. კერძოდ, წაქეზებისა და დახმარების საკითხის განხილვისას, იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებელმა განახორციელა დანაშაულის მცდელობა (მკვლელობის), ა. გრაინინი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ფარგლები დამოკიდებულია ამსრულებლის მოქმედებაზე. თუმცა ის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხს წყვეტს არა თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, არამედ იმ დებულებიდან, რომ თანამონაწილეობის დროს, ისევე როგორც ინდივიდუალურად ჩადენილი დანაშაულის დროს, მათვე შედეგის არარსე-

ბობა გამოორიქხავს პასუხისმგებლობას დამთავრებული დანაშაულისათვის და მათი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სსკ-ის 17-19 და 136 (137) მ.მ., ე. ი. საქართველოს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 19-24 და 109 (108) მ.მ. თანამონაწილეობად მკვლელობის მცდელობაში, ხოლო როცა წამქეზებელმა და დამხმარემ გააკეთეს ყველაფერი, რაც მათზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ამსრულებელმა არ ჩაიღინა დასჯადი ქმედება (გადაიფიქრა ბოლო წუთებში, შეეშინდა და სხვა), მიიჩნევს, ასეთი უშედეგო წაქეზება და დახმარება დაკვალიფიცირდეს რსფსრ სსკ-ის 17-136 (137) მ.მ., ე. ი. საქართველოს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 24-109 (108) მ.მ. დასრულებული მკვლელობის თანამონაწილეობად.²⁵ აღნიშნულ მოსამრებს შეუძლებელია დავეთანხმოთ. პირველ შემთხვევაში, თანამონაწილის პასუხისმგებლობა ამსრულებლის მიერ განხორციელებული ქმედების მიხედვით სრულ შესაგყვისობაშია თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებასთან და ის დაეას არ იწვევს. მეორე შემთხვევაში კი არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ ასეთი წამქეზებელი და დამხმარე მიჩნეული იქნეს დამთავრებული დანაშაულის თანამონაწილედ, რადგან არ არსებობს არა მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგი, არამედ მოქმედებაც უშუალოდ მიმართული ამ შედეგის განსახორციელებლად.

თუ ამსრულებელმა, თანამონაწილეთა შემოქმედების მიუხედავად, გათვალისწინებული დანაშაული არ ჩაიღინა, ასეთი უშედეგო თანამონაწილეობა არ შეიძლება განხილული იქნეს თანამონაწილეობის წესის შესაბამისად და მათ პასუხი უნდა აგონ დანაშაულის მომზადებისათვის. ამ მოსამრებს არ უარყოფს იმ ავგორთა უმრავლესობაც, რომლებიც აქცესორული თეორიის წინააღმდეგ გამოდიან. თუმცა კრიმინალისგთა ერთი ჯგუფის მიერ გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც, რომ უშედეგო წაქეზება და უშედეგო დახმარება დაკვალიფიცირდეს არა როგორც იმ დანაშაულის ჩადენის მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც თანამონაწილეებს განზრახული ჰქონდათ, არამედ როგორც ამ დანაშაულში თანამო-

²⁵ ა. ტრანინი, დასახლებული ნაშრომა, ვვ. 124-125.

ნაწილეობის მცდელობა.²⁶ აღნიშნულ მოსამრებს უარყოფს პროფ. ფ. ბურჩაკი, რომელიც თანამონაწილეობას, როგორც გეაროვნულ ცნებას, ცვლის სახეობითი ცნებებით და გვთავაზობს, რომ მსგავსი შემთხვევები დაკვალიფიცირდეს ორგანიზაციული საქმიანობის, წაქეზების თუ დახმარების მცდელობად.²⁷

აღნიშნული თვალსაზრისებიდან ნათლად ჩანს, რომ აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეები ჩიხში მოექცნენ და მათ არ ძალუძთ ამ საკითხის მართებული გადაწყვეტა. თანამონაწილეთა დამოუკიდებელი შემადგენლობების აღიარება ფიქციაა და მათი მცდელობა შეუძლებელია. საპირისპიროს მგვიცებამ ნებით თუ უნებლიედ იმ დასკვნამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ უნდა ვაღიაროთ ორგანიზაციული საქმიანობის, წაქეზების, ან დახმარების მოსამზადებელ მოქმედებათა არსებობა. ან კიდევ, წაქეზება დანაშაულის წაქეზებისაკენ მიმართული, ან დახმარება დანაშაულის დახმარებისაკენ მიმართული, დამთავრებული დანაშაულის თანამონაწილეობად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ, როცა პირველმა წამქეზებელმა დაიყოლია მეორე დანაშაულის წასაქეზებლად, დამხმარემ უკვე გადასცა მეორე დამხმარეს დანაშაულის ჩადენის იარაღი, ხოლო ამ უკანასკნელმა არათუ წააქეზა ან დაეხმარა ამსრულებელს, არამედ აშხილა სამართალდამცავ ორგანოებში. ცხადია, ამ პათოსით ეს თეორია უსაფუძვლოდ აფართოვებს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას და შესაბამისად ზრდის სისხლის სამართლებრივ რეპრესიათა აღზაბობას.

გაურკვეველია ასევე, თუ რომელი სანქციის ფარგლებში უნდა განხორციელდეს უშედეგო თანამონაწილეობის სასჯელის ინდივიდუალიზაცია. თუ ფ. ბურჩაკის მსჯელობას გავიზიარებთ და უშედეგო თანამონაწილეობას დავაკვალიფიცირებთ 17-19 მუხლებზე მითითებით (საქართველოს მოქმედი სსკ 19-24 მ.მ.), მაშინ სანქციის ზომა და სახეც იქ უნდა განესაზღვროთ, სადაც თანამონაწილეთა სახეობა ჩამოყალიბებული. აღნიშნულის უმართებულობაში მაშინვე

²⁶ У. Л. Кобинашвили, К вопросу о приготовлении к преступлению и покушении на преступление при соучастии // Ж. „Правоведение“, ЛГУ, 1963, №3, с151-154; А. И. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права // Ж. „Правоведение“, ЛГУ, 1960, №1, С. 104.

²⁷ ფ. ბურჩაკი, დასახლებული ნაშრომი, ვვ. 167-170

დაერწმუნდებით, თუ წარმოვიდგენთ, რომ თანამონაწილეთა საშიშროება განისაზღვრება არა თავისთავად მათი მოქმედებების ხასიათით, არამედ იმ დანაშაულის ძალით, რომლის მიმართაც ის აქეზებს, ხელს უწყობს, ხელმძღვანელობს თუ ორგანიზაციას უკეთებს ამსრულებელს ცულის მიცემით შეიძლება ხელი შეუწყოს მკვლევლობაში, ცემაში და სხვა დანაშაულის განხორციელებაში. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის თანახმად, განზრახ მკვლევლობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტი წლამდე. ცემა, რომლის შემადგენლობა აღწერილია 125-ე მუხლში ითვალისწინებს სამოგალობისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით თხუთმეტი თვემდე ან გუსაღობას ვადით ორ თვემდე. ამ სანქციითა შედარება ნათლად მოწმობს, რომ მოგად ნაწილში სანქციის ზომისა და სახის ჩამოყალიბება წარმოუდგენელია. ამიგომ მრავალ ხელოვნურ მსჯელობათა აცილების მიზნით აუცილებელია ვადიაროთ პრინციპი, რომ „თანამონაწილეობა და მკვლელობა, არ წარმოადგენენ სპეციალურ დანაშაულებს, დანაშაულებრივია თანამონაწილეობა დანაშაულში, ან დანაშაულის ჩადენის მკვლელობა.“²⁸ ორმა ან რამდენიმე პირმა შეიძლება ჩადინოს ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა. შ., მაგრამ თავად თანამონაწილეობის ჩადენა, მისი მკვლელობა თუ მომზადება შეუძლებელია. „მკვლელობა, ისევე როგორც მომზადება, — შენიშნავს ა. გრაინინი — დანაშაულის ჩადენის სგადია. ამიგომ იგი შესაძლებელია კონკრეტული დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით... თანამონაწილეობა დანაშაული არ არის, ამიგომაც თანამონაწილეობის მკვლელობა ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია მგაგალითად აუცილებელი მოგერიების მკვლელობა.“²⁹ ამასთან იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ა. გრაინინი უარყოფდა თანამონაწილეთა აქცესორულ ხასიათს, ჩვენ უფრო მეტი უფლება გვაქვს ვამტკიცოთ აღნიშნული დებულება.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ თანამონაწილეთა მოქმედებები თავისი ბუნებით აქცესორული ხასიათისაა. ორგანიზა-

²⁸ თ. წერეთელი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 69; ო. გამყრელიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 16.

²⁹ ა. ტრაინინი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 126.

ტორის, წამქმებლის, დამხმარის მოქმედებათა სხვადასხვა ხასიათი არ ქმნის თითოეული მათგანის მოქმედებაში დამოუკიდებელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ძიების საფუძველს. ყველა ეს მოქმედება დაუშვებელია იზოლირებულად ამსრულებლის მოქმედებისაგან მოწყვეტით, იქნეს განხილული და თავისთავად, წამქმებელი თუ დამხმარე დამთავრებული დანაშაულისათვის მივცეთ პასუხისგებაში, თუ მთავარი დანაშაულებრივი ქმედება არ გაცვილებია დანაშაულის მომზადების ან მკვლელობის სგადიას. თანამონაწილემ დანაშაულის მკვლელობისათვის მაშინ უნდა აგოს პასუხი, თუ ამსრულებელი თანამონაწილეთა შემოქმედების შედეგად შეუღვა დანაშაულის უშუალო განხორციელებას, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ შესძლო მათი ერთიანი მიზნის ბოლომდე მიყვანა — ესროლა მსხვერპლს, მაგრამ დააცილა, ჩაუყარა საწამლავი მსხვერპლს, მაგრამ არ აღმოჩნდა სიკვდილის დადგომისათვის აუცილებელი ღობა და სხვ. სწორედ ამ გზებით თანამონაწილეები არიან მოზიარენი ამსრულებლის ბუდისა და მის მიერ დანაშაულის განხორციელების ხარისხზე და მოუკიდებელი თანამონაწილეთა შერაცხვის მოცულობა.

დამნაშავე არ შეიძლება დანაშაულის თანამონაწილედ მივიჩნიოთ, თუ არა არის ამსრულებლის მართლსაწინააღმდეგო და განზრახი მოქმედება, თუმცა, თავისი ფორმით გამოვლენილი ორგანიზატორული საქმიანობა, წაქეზება თუ დახმარება, შეიძლება მისწეული იქნას დასჯად ქმედებად და მათ პასუხი აგონ დანაშაულის მომზადებისათვის ან შუალობითი ამსრულებლობისათვის.

აუცილებელია შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების აღიარება პროგრესული იყო და იგი, ღირსეულად უწყვედა ოპონირებას ანთროპოლოგებისა და სოციოლოგების კონცეფციებს, რომელიც ჩამოაყალიბეს გეტცმა, ლისტმა, ფონინციკიმ, კოლოკოლოვმა, ფაქტობრივად მივიდნენ თანამონაწილეობის ინსტიტუტის სრულ გაუქმებამდე, როგორც სისხლის სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტისა.

მიგვაჩნია, რომ მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, კანონმდებელმა, მრავალ ხელოვნურ დოგმათა დაწვრილებით გადახედვისას, სრულიად სამართლიანად განაზოგადა ამ თეორიის როლი თანამონაწილეობის ინსტიტუტთან შეფარებაში, რომელმაც ზევით მოყვანილი საკანონმდებლო არგუმენტების გარდა, უშუალო ასახვა ჰპოვა 25-ე მუხლის მე-7 ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ „თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად.“ როგორც ვხედავთ, კანონმდებელი თანამონაწილეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ამსრულებლის მოქმედების მიხედვით განსაზღვრავს, ანუ აღიარებს მათ აქცესორულ ხასიათს. თუმცა, ეს არ ნიშნავს მკაცრი აქცესორობის აღიარებას, როდესაც ყველა დასჯაც და განთავისუფლებაც სასჯელისაგან დაქვემდებარებულია დანაშაულის აღსრულებასთან, არამედ ეს არის მინიშნება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ერთიანი საფუძვლის აგებისათვის.

ამრიგად, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას, რომელსაც თავისი კვლევის ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მან მყარად დაიმკვიდრა თავისი ადგილი ქართულ კანონმდებლობაში. ამ თეორიის პრინციპებიდან ამოდის ჩვენი სასამართლო პრაქტიკა. მამასადაბე, მას დაუმსახურებლად შემორჩა მხოლოდ ზოგადი სახელი, როგორც ანტიმაგერიალისტური, რეაქციული, ფორმალურ-იურიდიული, აბსტრაქტული მოვლენა სისხლის სამართალში.

§ 2. მიზეზობრიობის თეორია

ზოგადად თანამონაწილეობით და კერძოდ, დანაშაულში დასმარებით ერთიანი დანაშაულის ჩადენისას ცალკეულ პირობათა თანმიმდევრული გადაწყვეტის მიზნით აუცილებელია არა მხოლოდ თანამონაწილეობის ბუნების განსაზღვრა, არამედ იმ თეორიული პოზიციების ანალიზიც, რომლის თანახმადაც თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი განისაზღვრება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში სამი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა: 1) მიზეზობრიობის თეორია; 2) კორუფციის თეორია; 3) ერთიანი უმართლობის თეორია.

მიზეზობრიობის თეორია სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ მიმართულებას წარმოადგენს. მისი ძირითადი არსი თანამონაწილეთა დასჯადობის პრობლემის გადაწყვეტის კუთხით გამოიხატება მიზეზობრივი კავშირის დაცვაში თანამონაწილის მოქმედებასა და ამსრულებლის მიერ გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგს შორის. შესაბამისად ამ დებულებისა თანამონაწილე ხელყოფს და ამიანებს იმავე სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც დანაშაულის ამსრულებელი. ამიტომ თანამონაწილეს და ამსრულებელიც ერთი საერთო სამართლებრივი სიკეთის დამიანებლთვის ისჯებიან. მამასადაბე, ამ მიმართულების თანახმად, თანამონაწილის დასჯადობა ობიექტური მხრივ დაფუძნებულია მიზეზობრიობის ფაქტორზე.

მიზეზობრივი კავშირის არსებობა თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებლის მიერ გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგს შორის, არის ძირითადი გარანტი იმ პრინციპის დაცვისათვის, რომ თანამონაწილემ პასუხი აგოს მხოლოდ იმ შედეგისათვის, რომელიც მისმა მოქმედებამ გამოიწვია. ამ თვალსაზრისით მეცნიერთა აბსტრაქტური უმრავლესობა სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ ობიექტურ საზღვრად, რომლის იქითაც შეუძლებელია თანამონაწი-

ლეობისათვის პასუხისმგებლობა გაგრესიულად, გვევლინება, მიზეზობრივი კავშირი.³⁰

ეს თავისთავად სწორი დებულება საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის ლიგერატურაში ყოველთვის ერთხმად არ იყო გამოიარებული. მაგალითად, ა. ვიშინსკის მიერ 1938 წელს გამოთქმული იქნა საპირისპირო აზრი „...თანამონაწილეობის ცნების ჩამოყალიბებისა, როგორც ქმედებისა, რომელიც მიზეზობრივ კავშირში იმყოფება ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ შედეგთან.“³¹ აღნიშნულმა მოსაზრებამ შემდგომი მხარდაჭერა პპოვა რ. სრულინსკი-ბურბო, მ. მერკუშევის, პ. მიშუნინის და სხვა კრიმინალისტების ნაშრომებში.³² ედავებოდნენ რა გაბაგონებულ მოსაზრებას, აღნიშნული ავტორები ამოდიოდნენ დანაშაულის დაფარვისათვის პასუხისმგებლობის თეორიული საფუძვლიდან, რომელიც დადგენილი იყო რუსეთის და მოგვიანებითი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. საკითხის ამ კუთხით დასმა და იმის მტკიცება, რომ „მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს შორის არ გვევლინება კონსტრუქციულ ელემენტად თანამონაწილეობისათვის სისხლის სა-

³⁰ მიზეზობრივ კავშირს თანამონაწილეობის აუცილებელ ნიშნად აღიარებენ: თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12-34; მ. კოვალოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი პირველი, გვ. 210-234; ა. ტრანინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63-65; პ. გრიშაევი, გ. კრივერა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 20-33; პ. ტელნოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 13-16; ლ. ვაუხანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7-11; М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, ст. 11-15; Н. Т. Иванов, Понятие и формы соучастия советском уголовном праве, Саратов, 1991, ст. 64-87; Г. И. Баймураин, Ответственность за прикосновенность к преступлению, Алма-ата, наука, 1968, ст. 176; Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, Общая часть, под ред. Ю. И. Скуратова и В. М. Лебедина, М., изд. группа ИНФРА, М. НОРМА, 1996, с. 79-80 и др.

³¹ А. Я. Вышинский, прения и заключительное слово на I Совещании по вопросам науки советского государства и права. // Основные задачи науки советского социалистического права, М., НКЮ СССР, 1938, с. 72.

³² Р. А. Хрулинский-Бурбо, Против института прикосновенности в теории советского уголовного права, // Ученые записки СЮИ, 1952, Вып. III; М. Н. Меркушев, Ответственность за укрывательство, // Ж. Социалистическая законность, 1955, №1; П. Мшауни, Институт прикосновенности к преступлению в советском уголовном праве, // Ж. Социалистическая законность, 1956, №10

მართალში,³³ რომ ის „...არ მიიჩნევა თეორიულ საფუძვლად თანამონაწილეობის კონსტრუქციისათვის...“³⁴ არსებითად უარყოფითად პასუხობს კითხვას, უნდა იყოს, თუ არა მიზეზობრივი კავშირი „კონსტრუქციული ნიშანი“ თუ „თეორიული საფუძველი.“ აქ მცდარია თავად საკითხის დასმა. ის აღნიშნავს, რომ გამოკვლევას არ განეკუთვნება ობიექტურად არსებული კავშირი სხვადასხვა პირების მოქმედებასა და განსაზღვრულ შედეგს შორის. თუ ობიექტური კავშირების კვლევა გულისხმობს იმის გარკვევას, აქვს თუ არა განსახილველ შემთხვევაში ადგილი მიზეზობრივ კავშირს, ე. ი. შედეგის მიღებას, ამსახველს საგნების ობიექტური მდგომარეობის, ა. ვიშინსკისა და პ. მიშუნინის პოზიციიდან ამ ანალიზის ჩანაცვლება სხეობდა იმ საკითხის განხილვით „აუცილებელია“ თუ არა მიზეზობრივი კავშირი იყოს თანამონაწილეობის კონსტრუქციული ელემენტი. ამიტომ პ. მიშუნინი მიდის თავისი პირველი შეხედულების საწინააღმდეგო დასკვნამდე, რომ თითოეული თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივად დაკავშირებულია დანაშაულებრივ შედეგთან, მაგრამ მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეობის აუცილებელ ობიექტურ ნიშნად არ გვევლინება.³⁵

მოკემულ შემთხვევაში საკითხის ამ კუთხით დასმამ განაპირობა მცდარი დასკვნები, რომლებიც დაიყვანება, პირველ რიგში მიზეზობრივი კავშირის უარყოფასთან თანამონაწილეობის ინსტიტუტის აგებისათვის, თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებლის მოქმედების დანაშაულებრივ შედეგს შორის, და მეორეც მოთხოვნილებასთან, მიუხედავად მიზეზობრივი კავშირის არსებობისა, განხილული იქნას თანამონაწილეობის ინსტიტუტი, როგორც პასუხისმგებლობის ფორმა რამდენიმე პირის ერთი და იგივე დანაშაულებრივი შედეგისათვის, მხოლოდ აღნიშნული პირის „...საერთო კავშირის არსებობისას ჩადენილ დანაშაულთან.“³⁶ ან „...მინიმალური სუბიექტური კავშირის არსებობისას თანამონაწილეებს შორ-

³³ რ. სრულინსკი-ბურბო, დასახელებული ნაშრომი, გვ. 169

³⁴ პ. მიშუნინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 10

³⁵ იქვე, გვ. 11

³⁶ ა. ვიშინსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 72

რის³⁷ ამ უაღრესად ბუნდოვანმა და განუსაზღვრელმა ცნებებმა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრის პრაკტიკაში, შეიძლება მიგვიყვანოს გაურკვეველობამდე და თვითნებობამდე, ხოლო თეორიულად აღნიშნავენ სისხლის სამართლის პრინციპების რღვევას და თანამონაწილეთა ჩაღვნილი დანაშაულისთვის „თავიანთი“ პრინციპების აღიარებას. ამიტომ სამართლიანად მიგვაჩნია ა. ვიშინსკისა და მისი მომხრეების მოსაზრებათა კრიტიკული შეფასება, ასახული ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომებში.³⁸

დანაშაულში თანამონაწილეობისას მიმეზობრივი კავშირის ძირითადი როლი რამდენიმე პირის მიერ განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევაში გამოიხატება. ამ ზოგადი სასიათის დებულებამ სისხლის სამართლის ლიგერაგურაში აშეამინდელი გადასახედიდან მძლავრად მოიჭიდა ფეხი და მისი უარყოფა არავითარ თეორიას არ ძალუძს. ამასთან, აღნიშნული დებულების დაფუძნებისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბი გაუსვათ იმ გარემოებასაც, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის არ შეიძლება მიმეზობრივი კავშირის განსაკუთრებული გაგება არსებობდეს. მტკიცება, რომ „...თანამონაწილეობას შეაქვს მიმეზობრივ კავშირში, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თბიექტურ საფუძველში, გარკვეული ცვლილება, ნაკარნახევი ამ ინსტიტუტის განსაკუთრებული მნიშვნელობით,³⁹ მცდარ მოსაზრებად მიგვაჩნია. იურიდიულ ინსტიტუტს არ შეუძლია მიმეზობრივ კავშირში რაიმე ცვლილება შეიტანოს, პირიქით, იურიდიული ინსტიტუტები და მათ შორის თანამონაწილეობის ინსტიტუტიც სწორად შემეცნებული მიმეზობრივი კავშირის საფუძველზე უნდა აიგოს.

³⁷ პ. მიშინინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 10

³⁸ იხ. თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 26-28; მ. შნაიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12-14 პ. გრიშაევი, გ. კრიგერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 27-33; გ. ბაიურზინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 26; თ. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეთა დაჯიჯილობის საფუძველი, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 19-20; А. Ф. Зелинский, Соучастие в преступлении, Волгоград, 1971, ст. 7 и др.

³⁹ И. П. Малахов, Некоторые вопросы учения о соучастии по советскому уголовному праву, М., труды ВПА, 1957, №17, с. 161

დებულება, რომ ამსრულებელი უშუალოდ სჩადის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, ხოლო თანამონაწილეთა მოქმედებები გაშუალებულია ამ ქმედებით, ეს გარემოება არ უნდა ქმნიდეს იმის მტკიცების საფუძველს, რომ თანამონაწილეობისათვის მიმეზობრივი კავშირის განსაკუთრებული გაგება დავამკვიდროთ.

თანამონაწილეობისას, სადაც ერთიანი მოქმედება ხორციელდება, ამ ერთიანი მოქმედების მიგნით დაუმეზობელია მიმეზობრივი კავშირის ორი ცნება ჩამოვყალიბებით და ურთიერთსაწინააღმდეგოდ დაეაყენოთ მიმეზობრივი კავშირი მიმეზობრიობის თვალსაზრისით (ამსრულებელთან მიმართებაში) და მიმეზობრივი კავშირი პირობის შექმნის თვალსაზრისით (თანამონაწილესთან მიმართებაში).⁴⁰ საკითხის ასეთი დასმა დანაშაულში თანამონაწილეობისას განსაკუთრებული კავშირით პასუხისმგებლობის აგებას ნიშნავს, რომელიც თავისი სასიათით განსხვავებული იქნება საერთოდ მიჩნეული მიმეზობრიობისაგან. ეს გარემოება კი სისხლის სამართლის სფეროში მოქმედი პრინციპებიდან თანამონაწილეობის ინსტიტუტის გაძვეების საფუძველს შექმნის. ფაქტობრივად თანამონაწილეობის ინსტიტუტი, როგორც ყველა ინსტიტუტი, მიიჩნევენ ერთიანი პრინციპების მოქმედებას, რომლებიც თანაბრსია მთლიანად სისხლის სამართლის ინსტიტუტისათვის.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ მიმეზობრივი კავშირის საკითხი სისხლის სამართალში უნდა გადაწყდეს არა იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ რომელ კონკრეტულ სისხლის სამართლებრივ ინსტიტუტთან გვაქვს საქმე, არამედ შემუშავებული უნდა იქნას მიმეზობრივი კავშირის ერთიანი კონცეფცია, რომელიც საერთო საფუძველად უნდა დაედოს სისხლის სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს. აქედან გამომდინარე, არასწორად მიგვაჩნია თვით საკითხის დიფერენცირებული დასმა იმის თაობაზე, თუ მიმეზობრივი კავშირის რომელი თეორია უნდა იქნას გამოყენებული უშუალოდ თანა-

⁴⁰ როგორც ამას ამტკიცებენ ი. მალახოვი და ავტორთა ჯგუფი სახელმძღვანელოს რეკენზიაში. იხ. ი. მალახოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 161; Г. А. Крягер, Н. Ф. Кузнецов, Б. М. Леонтьев, В. С. Орлов, Об ошибочном освещении ряда вопросов в вузовском учебнике по общей части Советского уголовного права, Вестник МГУ, №1, 1954, с. 142

მონაწილეობისათვის? ასეთი დიფერენცირებული ხასიათის კითხვა და მასზე პასუხის გაცემა, უნდა შეიყვაროს ზოგადად იმის გამოკვეთით, თუ მიზეზობრივი კავშირის რომელი თეორია უნდა იქნას გამოყენებული მთლიანად სისხლის სამართლის სფეროში?

ჩვენ, ბუნებრივია, არ გვაქვს მიზეზობრიობის შესახებ არსებული თეორიების განხილვის ამოცანა. ამიგომ, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას, მხოლოდ ზოგადად გვსურს შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს, და კერძოდ, დანაშაულში თანამონაწილეობასაც, ჩვენი ამრით, საფუძვლად უნდა დაედოს მიზეზობრიობის ის თეორია, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის რელევანტური მიზეზობრივი კავშირის არსებობას პირის მოქმედებასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის აღიარებს მაშინ, როდესაც ეს მოქმედება დამდგარი შედეგის *conditio sine qua non*-ი, ანუ მისი აუცილებელი პირობა იყო.⁴¹ ამასთან, იმისათვის, რომ თანამონაწილის მოქმედება იყოს ბუცილებელი პირობა და მიზეზობრივად განაპირობოს დამდგარი შედეგი, იგი დროის მიხედვით წინ უნდა უსწრებდეს მოცემულ შედეგს. ამ თვალსაზრისის სისწორეს და საერთოდ იმ მოსაზრებას, რომ თანამონაწილის ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან, განსაკუთრებით ნათლად ადასტურებს დანაშაულის შემხებლობის და დანაშაულში დახმარების ურთიერთგამიჯენის კუთხით ჩვენი კანონმდებლობის განვითარების ისტორიული ანალიზი.

საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1919 წლის „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისების“ მიღება. მასში საბჭოთა სისხლის სამართლის ამოსავალი დებულებები პირ-

⁴¹ ახ. Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, Тб., ТГУ, 1957, с. 90-107, 116-140; Г. Т. Ткешеладзе, Концепция причинной связи Т. В. Церетели // Уголовно-правовые исследования, Тб, Метинереба, 1987 с. 50-59; თ. წურუთელი, გ. ტყეშელაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., „მეცნიერება“, 1969, გვ. 237-276; თ. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 21-27; ლ. ხურგულიძე, სისხლის სამართალი (დანაშაული), თბ., „ჭრიჭინა“, 1997, გვ. 111-139 და სხვა.

ველად იყო ჩამოყალიბებული. „სახელმძღვანელო საწყისების“ 24-ე მუხლის თანახმად, დანაშაულში დახმარებად განიხილებოდა დანაშაულის ან დანაშაულის კვალის ყოველგვარი დაფარვა, დამოუკიდებლად იმისა, იგი წინასწარ იყო შეპირებული ამსრულებლისათვის თუ არა. ასევე წყდებოდა საკითხი დანაშაულის მიმხებლობასთან დაკავშირებითაც.⁴² დამხმარის ცნებასთან დანაშაულის შემხებლობის თითქმის ყველა სახის შერწყმით, სახელმძღვანელო საწყისები, ფაქტობრივად უარს ამბობდა შემხებლობის ინსტიტუტზე, რითაც იგი, ერთის მხრივ, დაუსაბუთებლად აფართოვებდა დამხმარის ცნებას, ხოლო მეორეს მხრივ, გაუმართლებლად ზრდიდა სისხლის სამართლის რეპრესიის ალბათობას. კერძოდ, დანაშაულის შემხებელი პირი ისევე ისჯებოდა, როგორც დანაშაულის დამხმარე. ამასთან, სახელმძღვანელო საწყისები ყველა თანამონაწილეს დამოუკიდებლად მათი დანაშაულში მონაწილეობის ხარისხისა პასუხისმგებლობას აკისრებდა ამსრულებლის თანაბრად. აქედან გამომდინარე, შემხებულ პირთა საქმიანობა, ეინაიდან დანაშაულში დახმარების სახესხვაობად ცხადებოდა, იგი ლოგიკურად, თავისი მართლწინააღმდეგობის ხარისხით ამსრულებლის საქმიანობას უთანაბრდებოდა, მაშასადამე, დანაშაულის შემხებელი პირი ამსრულებლის თანაბრად ისჯებოდა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ბუნებრივია, სასჯელის ინდივიდუალიზაციის ამოცანებს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, არ შეესაბამებოდა. ამ შეუსაბამობის ძირითადი მიზეზი კი იყო ის, რომ სახელმძღვანელო საწყისები თანამონაწილეობისათვის მიზეზობრივი კავშირის არსებობას რაიმე გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ იგი დანაშაულის შემხებულ პირებს ამავე დანაშაულის თანამონაწილეებად განიხილავდა, ანუ მიზეზობრივ კავშირზე დაყრდნობით, იგი არ ავლენდა მკვეთრ ზღვარს დანაშაულის შემხებლობასა და დანაშაულის თანამონაწილეობას შორის.

თანამონაწილეობის (დახმარების) და შემხებლობის ურთიერთგამიჯენის საკითხში საინტერესოა რუსეთის სსფრ-ის 1922 წლის

⁴² Сборник документов по истории уголовного законодательства СССР и РСФСР 1917-1952 гг., под ред. И. Т. Голякова, М., юридическая литература, 1953, с. 59-60

სსკ-ის პოზიციაც. აღნიშნული კოდექსი, სახელმძღვანელო საწყისე-ბისაგან განსხვავებით დანაშაულის მიმხედვლობას მიჯნავს დახმარებისაგან. მაგრამ დანაშაულის დაფარვას რაც შეეხება, ამ მხრივ დასახელებული კოდექსის პოზიცია სახელმძღვანელო საწყისების ანალოგიურია. კერძოდ, დასახელებული კოდექსის მე-16 მუხლში ნათქვამია, რომ „დამხმარებელად მიიჩნევა ის, ვინც ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩადენას რჩევით, მითითებით, დაბრკოლების აცილებით, დამნაშავეს და დანაშაულის კვალის დაფარვით.“⁴³ მაშასადამე, მოცემული ნორმა, დამნაშავეს და დანაშაულის კვალის დაფარვას, დამოუკიდებლად იმისა, იყო თუ არა ის ამსრულებლისათვის წინასწარ შეპირებული დანაშაულში დახმარებად განიხილავდა. დამხმარის ცნების ასეთი განსაზღვრება, ბუნებრივია, შინაგან წინააღმდეგობას შეიცავდა. ამ წინააღმდეგობის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მოქმედება, რომელიც წინ არ უძღვის ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას, არამედ ხორციელდება მას შემდეგ, და ამასთან, ასეთი მოქმედების შესრულების შესახებ წინასწარ არაფერია ცნობილი ამსრულებლისათვის, ასეთი დაფარვა არ შეიძლება დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობად შეფასდეს. იგი მიმემობრივად ვერ განაპირობებს ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგს. ამგვარი მოქმედება თავისი არსით დამოუკიდებელ დანაშაულს, სახელდობრ, შემხებლობის ერთ-ერთ სახეს – დაფარვას წარმოადგენს. ასე რომ აღნიშნული ნორმა, სრულებით წინააღმდეგობრივად, დანაშაულის დაფარვის კვალობაზე, დაუსაბუთებლად აფართოვებდა დამხმარის ცნებას.

დამხმარის ცნებას ანალოგიური ხერხით აფართოვებდნენ გასული საუკუნის 20-იან წლებში მიღებული სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებიც. ამ მხრივ გამოიხატა შეიცავდა, მხოლოდ უმბეკეთის 1926 წლის, უკრაინის 1927 წლის და საქართველოს 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსები. ეს კოდექსები ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავდა წინასწარ შეპირებულ დაფარვას, როგორც დახმარების ერთ-ერთ სახეს და წინასწარ

შეპირებულ დაფარვას, როგორც დანაშაულის შემხებლობის ერთ-ერთ დამოუკიდებელ დანაშაულს. ასე, მაგალითად საქართველოს 1927 წლის სსკ-ის მე-17 მუხლის მიხედვით დამხმარედ მიჩნეოდა ის „...ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობდა რჩევა-დარიგებით, ჩვენებით, საშუალების მიცემით, დაბრკოლების აცილებით ან დანაშაულის კვალის ან თვით დამნაშავეს დაფარვით.“⁴⁴ დამხმარის ცნების ასეთი განსაზღვრება, სადაც შემოთ ნახსენები რუსეთის 1922 წლის სსკ-ის შესაბამისად, პირდაპირ არ არის მითითებული დამნაშავეს ან დანაშაულის დაფარვის წინასწარი შეპირების ფაქტი, ერთი შეხედვით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს კოდექსიც, თითქოსდა, ყოველგვარ დაფარვას დანაშაულის დახმარებად განიხილავდა. თუმცა, ეს რომ ასე არ არის და ეს უკანასკნელი მკვეთრად მიჯნავდა წინასწარ შეპირებულ დაფარვას შემხებლობისაგან, ეს ნათლად ირკვევა ამავე კოდექსის მე-18 მუხლის რედაქციიდან, რომელიც აკეთებდა შემდეგი სახის განმარტებას: „დამნაშავეს ან დანაშაულის კვალის ისეთ დაფარვას, რაც დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეწყობას არ წარმოადგენს... სოციალური დაცვის ღონისძიება შეუფარდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, რაც სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალურადაა გათვალისწინებული.“⁴⁵ როგორც ვხედავთ, აღნიშნული კოდექსის მე-17 და მე-18 მუხლებშიც საუბარია დამნაშავეს ან დანაშაულის კვალის დაფარვაზე, მაგრამ ისინი სხვადასხვა იურიდიული შინაარსის შემცველ ცნებებად არის ფორმულირებული. პირველ შემთხვევაში, იგი დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობას წარმოადგენს, მეორეში, – არა. აქედან თავისთავად გამოძღინარეობს დასკვნა, რომ კანონმდებელს მე-17 მუხლში მხედველობაში ჰქონდა ისეთი დაფარვა, რომელიც ამსრულებლისთვის წინასწარ იყო შეპირებული. ამგვარ დაფარვას, ის დანაშაულში ხელშეწყობად, ანუ თანამონაწილეობად აკვალიფიცირებდა. მე-18 მუხლში კი, მას მხედველობაში ჰქონდა წინასწარ შეუპირებული დაფარვა, ანუ მოქმედება, რომელიც არ იმყოფებოდა მიმემობრივ კავშირში ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან, და რომელიც პასუხის-

⁴³ Сборник документов по истории уголовного законодательства СССР и РСФСР 1917-1952 гг., под ред. И. Т. Голякова, М., юридическая литература, 1953, с. 117.

⁴⁴ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, (1928 წლის რედაქციით), იუსტიციის საბაზო კომისარიატის გამოცემა, თბ., 1928, გვ. 9;

⁴⁵ იქვე გვ. 9-10

მკვლელობას, დანაშაულის შემხებლობისათვის სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევაში აფუძნებდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბჭოეთის გერიატორიაზე ერთიანი კანონიერების განხორციელების მიზნით დანაშაულის დაფარვასთან დაკავშირებული წინააღმდეგობრიობა დაძლეულ იქნა 1958 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საფუძვლების მიღების შემდეგ. „საფუძვლების“ თანახმად, წინასწარ შეპირებული დანაშაულის დაფარვა თანამონაწილეობად კვალიფიცირდებოდა (მ.17), ხოლო დაფარვა, რომელიც წინასწარ შეპირებული არ იყო, პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში იწვევდა, როცა ის სისხლის სამართლის კანონით სპეციალურად იყო გათვალისწინებული (მ.18).⁴⁶ ამ პრინციპული ხასიათის დებულებებმა ასახვა პპოვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებშიც, რითაც საბჭოთა პერიოდში, საკანონმდებლო წესით, საბოლოოდ იქნა დამკვიდრებული მოსაზრება, რომ თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

ეს სამართალმემკვიდრეობა შენარჩუნებულია პოსტსაბჭოურ პერიოდში, სისხლის სამართლის რეფორმის შედეგად მიღებულ ახალ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსშიც, ამაზე მეტყველებს დასახელებული კოდექსის მინიმუმ შემდეგი საბი მუხლი: პირველი — განსაკუთრებული ნაწილის 375-ე მუხლის თანახმად „... დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად“ დამოუკიდებელი დანაშაულის სახედ განიხილება; მეორე — 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი განმარტავს, რომ „დამზარება ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას“ და მესამე და მთავარი — მე-8 მუხლის ნაწილი ადგენს, რომ „თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის.“ ცხადია, აღ-

⁴⁶ Основы уголовного законодательства союза ССР и союзных республик, М., Юридат, 1960, с. 9-10

ნიშნული ნორმა უნივერსალური ხასიათისაა და იგი ვრცელდება, როგორც ერთპიროვნულად ასევე თანამონაწილეობის ფორმით გამოვლენილი დანაშაულის მიმართ, ანუ კანონმდებელი მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობაზე აქ საუბრობს არა მარტო ერთპიროვნულად, არამედ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაშიც.

ამდენად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის წარსული და აწმყო ნათლად ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ თანამონაწილის ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან.

აღნიშნულზე მეტყველებს ჩვენი სასამართლოს პრაქტიკაც. ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 1998 წლის 4 დეკემბრის განაჩენით თანამონაწილედ იქნა მიჩნეული ი. კუმნეცოვა⁴⁷ მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობაში. ი. კუმნეცოვამ წინასწარ აღუთქვა ვ. აზარიანს, რომ თავის საცხოვრებელ ბინაში დამალავდა კაფუ-ბარ „ლიუდმილადან“ გატაცებულ ნივთებს (მაგიდას, სკამებს, მაკიერებს და სხვ.). ვ. აზარიანმა წინასწარი შეთანხმების თანახმად, ნაქურდალი ნივთები აღნიშნულ დროს მიიგანა კუმნეცოვასთან. ამ უკანასკნელმა კი ისინი თავის საცხოვრებელ ბინაში დამალა. სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა კუმნეცოვას მოქმედება საქართველოს 1960 წ. სსკ-ის 19-150 მმ. მითითებით (მოქმედი სსკ-ის 24-177 მმ.).

განაჩენი საკურადლებოა იმითაც, რომ იგივე ი. კუმნეცოვა, სხვა ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლომ დამნაშავედ ცნო ასევე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სამკაულების დაფარვაშიც. ა. ივანოვი 1998 წლის 18 მაისს პირადი ქონების ქურდობის მიზნით, შევიდა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ბინაში და გაიტაცა ოქროს სამკაულები. მეორე დღეს ნაქურდალი მიუტანა ი. კუმნეცოვას, რომელმაც დამალა ისინი. ამ შემთხვევაში სასამართლომ მისი მოქმე-

⁴⁷ საერთო ცნობისათვის: წინააღმდეგარე მონოგრაფიაში სასამართლო პრაქტიკიდან მოვიანილ ზოგიერთ მაგალითში შეცვლილია დანაშაულში თანამონაწილედ პირების ნამდვილი ინიციალები და გვარები.

დებდა დააკვალიფიცირა საქართველოს 1960 წ. სსკ-ის 205-ე მუხლით (მოქმედი სსკ-ის 375-ე მ.).⁴⁸

სასამართლოს განაჩენიდან ელინდება, რომ დანაშაულის დაფარვის დაპირება ჩადენილი დანაშაულის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამიგომ ის, ვინც წინასწარ აღუთქვამს ამსრულებელს დანაშაულის დაფარვას, არის მისი დამხმარე, ხოლო დაფარვა, რომელიც წინასწარ შეპირებული არ არის, მიზეზობრივი კავშირის არარსებობის გამო, ის არის დანაშაულის შემხებელი პირი, რომელიც პასუხს აგებს არა ამსრულებლის მიერ განხორციელებული ძირითადი დანაშაულისთვის, არამედ საკუთარი მოქმედებისთვის, რომელიც ხელს უშლის მართლმსაჯულების ორგანიზაცია საქმიანობას დანაშაულის აღკვეთასა და გახსნაში (დანაშაულის დაფარვა).

უნდა აღინიშნოს, რომ მიზეზობრივი კავშირის, როგორც თანამონაწილეთა ერთობლივი მოქმედების აუცილებელი ნიშნის უარყოფა, თანამონაწილეობის ცნების მეტისმეტად გაფართოვებამდე და დანაშაულის შემხებელი პირების თანამონაწილეობად მიჩნევამდე მიგვიყვანს. ასე, მაგალითად, ი. თედორაძე წინასწარი გამოძიების მიერ მიჩნეული იქნა ქურდობის თანამონაწილედ, რომელიც უშუალოდ ჩაიღინა ნ. გორაძემ. მან ქარხნის ტერიტორიიდან გამოიგანა 85 ცალი ლითონის ფურცელი და ღობის გარეთ დამალა. ორი დღის შემდეგ თედორაძე გორაძეს მოპარულის გადაზიდვაში და დამალვაში დაესმარა. ხელუპყრის რაიონის სასამართლომ წინასწარი ძიების დროს დაშვებული შეცდომა გამოასწორა და მიუთითა, რომ „თედორაძის მოქმედება არ იმყოფება მიზეზობრივ კავშირში დატაცებასთან, რამდენადაც დატაცება მანამდე იყო დასრულებული, როცა თედორაძემ ამის შესახებ გაიგო და წალებაში დაეხმარა.“

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მოსამართლეები ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას სწორედ მიზეზობრივ კავშირზე დაყრდნობით გამოორიქხავენ თანამონაწილეობის ცნების მეტისმეტად გაფართოვებას და დანაშაულის შემხებელი პირების თანამონაწილეობად მიჩნევას, და მეორეც, მიზეზობ-

⁴⁸ ქ. ბათუმის საქალაქო სამართლის არქივი, 1998 წ., საქმე №1-28.

ბრივ კავშირზე დაყრდნობით, ისინი უარყოფენ ასევე სუქცესიურ წარმოდგენას დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ. რომლის ძირითადი დედაპირი იმაში გამოიხატება, რომ ამსრულებელმა თუ დანაშაულებრივი ქმედება მისი მაკვალიფიცირებული ნიშნების ჩათვლით უკვე შეასრულა, მოსამართლეები დაგვიანებით ჩართულ პიროვნებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას უკვე ამ მაკვალიფიცირებული ნიშნების გამო აღარ აკისრებენ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის კანონმდებლობა, პრაქტიკა და თეორია ურყევად იცავს იმ მოსაზრებას, რომ დანაშაულის თანამონაწილის ქმედება ამსრულებელთან ერთად აუცილებლად მიზეზობრივად უნდა განაპირობებდეს დანაშაულებრივ შედეგს. ეს არის მტკიცე გარანტი იმ პრინციპის დაკვირვების, რომლის თანახმადაც „დამნაშავეს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეაკისროთ მხოლოდ იმ შედეგისათვის, რომელიც მისმა მოქმედებამ გამოიწვია.“ გარდა ამისა, თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებელის მიერ გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დაკვირვების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამონაწილე ხელყოფს და აზიანებს იმავე სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც ხელყოფს და აზიანებს დანაშაულის ამსრულებელი. ეს სწორი და მისაღები დებულებაა. მაგრამ მიზეზობრიობას, როდესაც ვეხებით, როგორც თანამონაწილეთა დასჯადობის ერთ-ერთ თეორიულ მიმართულებას, აქვე უნდა გავარკვიოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც. კერძოდ, როდესაც რამდენიმე პირის ქმედება, რომელიც მიზეზობრივად ერთ დანაშაულებრივ შედეგს განაპირობებს, სუბიექტური მხარის გაუთვალისწინებლად შესაძლებელია თუ არა ისინი ერთიანი დანაშაულებრივი ქმედების თანამონაწილეობად ვეცნოთ? ანუ ქმნის თუ არა თანამონაწილეობის აგების საფუძველს დანაშაულში მონაწილე პირთა ნებისმიერი ფსიქიკური დამოკიდებულება?

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახ დანაშაულის ჩადენაში.“ თანამონაწილეობის საკანონმდებლო ნორმა, მიუ-

ხელედად იმისა, რომ თავისი ფორმით გამოვლენილი დახმარება თუ წაქეზება შესაძლებელია დამდგარი შედეგის აუცილებელ პირობას წარმოადგენდეს, გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას არ ცნობს. გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას უარყოფს ასევე რუსეთის(32 მ.), გერმანიის(26-27წწ), საფრანგეთის(121-7 მ.), იაპონიის(61, 62 მ.მ.) და სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები. ერთი სიტყვით, თანამედროვე კანონმდებელი მიიჩნევს, რომ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური მხარე ერთმანეთს არ ემთხვევა. ბუნებრივია ისევეა კითხვა, რომ თანამონაწილის დასჯადობის საფუძველი თუ ობიექტური მხრივ მიზეზობრიობას ეფუძნება, მაშინ თანამონაწილედ რატომ არ ვცნობთ პირს, რომლის მოქმედებაც ამსრულებლის მიერ ინკრიმინირებულ შედეგთან მიზეზობრივ კავშირშია, მაგრამ ამ შედეგის მიმართ მისი ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულებრივ დაუდევრობაში ან კიდევ თვითიმელოვნებაში გამოიხატა?

მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები:

1) შინ მყოფმა ა-მა ფანჯრიდან შენიშნა, რომ ბ-ნი და გ-ნი თავის ეზოში ერთმანეთს სამკვდრო-სასიციხოლოდ სცემდნენ. ა-მა გადაწყვიტა მათი გაშვება სასწრაფოდ აიღო ხელში იარაღი და გაიქცა მათკენ. ადგილზე მისულმა შეეცადა პაერში გასროლის გზით მოჩხუბრები ერთმანეთისაგან დაეცილებინა, თუმცა ამ დროს იარაღი ხელიდან გამოსცა ა-მა, ესროლა გ-ანს და მოკლა.

2) გყეში ნადირობისას დ-მა ხის გოგებს ამოფარებული მგერი იცნო და მისი მოკვლა განიზრახა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გაგენილი იარაღი თანაშლევ ე-ნს მიაწოდა და უთხრა გოგებს ამოფარებული „დათვის“ მოკვლაში დახმარებოდა. ე-ნმა დაუფიქრებლად ისროლა გოგებისკენ და დათვის ნაცვლად კაცი მოკლა.

მოკვებულ მაგალითებში, თუ თანამონაწილეთა დასჯადობას მიზეზობრიობის თეორიაზე დაყრდნობით ავაგებთ და ვიგყვით, რომ პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას დანაშაულებრივი შედეგისადმი სისხლის სამართლებრივი დოგმატიკის თვალსაზრისით არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ აღნიშნულ ვითარებაში სახეზე გვექნება თანამონაწილეობა. კერძოდ, ორი პირის კავშირულად დამთხვეულმა მოქმედებამ უდავოდ განაპირობა სისხლის

სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი შედეგი. მათ ერთი და იგივე სამართლებრივი სიკეთე დააზიანეს. ამიგომ ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულის მსგავსად, თუ თანამონაწილის დასჯადობა მიზეზობრივ კავშირს ეფუძნება და განსაკუთრებულ სპეციფიურობას არ ავლენს, მაშინ უნდა ვცნოთ სუბიექტი თანამონაწილედ, მაშინაც, როცა მისი ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგისადმი გაუფრთხილებლობაში გამოიხატა. ანუ სუბიექტური მხარის ცვლილებამ თანამონაწილეობის კონსტრუქციის აგებისას არ უნდა შეიტანოს ცვლილება ობიექტურ სფეროში. თუმცა აღნიშნულ პრობლემას თუ გავაანალიზებთ აღმოჩნდება, რომ დანაშაულებრივი შედეგისადმი ორი ან რამდენიმე პირის სხვადასხვა ფსიქიკურმა დამოკიდებულებამ შეუძლებელია შექმნას თანამონაწილეობა დანაშაულში, რადგან მათი მოქმედება იქნება არა ერთობლივი, არამედ დანაწევრებული.

განვიხილოთ პირველი მაგალითი, სადაც ა-მა ვერ უზრუნველყო სათანადო ყურადღების გამოჩენა, რითაც ისარგებლა ერთ-ერთმა მოჩხუბარმა და მის მიერ მიტანილი იარაღი თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ამ შემთხვევაში მოქმედებათა გარეგანმა დამთხვევამ მიზეზ-შედეგობრივობის თვალსაზრისით, უდავოდ განაპირობა ერთი დანაშაულებრივი შედეგი (მკვლელობა). მაგრამ ეხლა შევაპოწმოთ სუბიექტური მხარის კონსტრუქცია და გავიგოთ შესაძლებელია თუ არა ა-ნი ვცნოთ მკვლელობის თანამონაწილედ აღნიშნულ შემთხვევაში თანამონაწილეობის მტკიცება ფაქტობრივად გაუფრთხილებლობით და განზრახ ჩადენილი მოქმედებების ერთი-ერთიშერწყმას ნიშნავს, რასაც თავისთავად შესაბამისი იურიდიული შედეგები მოსდევს. კერძოდ, „დახმარე“, რომელიც გაუფრთხილებლობით მოქმედებდა გამოდის, რომ მან პასუხი უნდა აგოს განზრახ ჩადენილი მკვლელობისათვის და სასჯელის მომა ამ დანაშაულისათვის დადგენილი სანქციის ფარგლებში უნდა განესაზღვროს. ამის დაშვება კი, ცხადია სრული იგნორირება იქნება კანონიერებისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპისა, რომლის თანახმადაც თითოეულმა პირმა პასუხი უნდა აგოს იმის მიხედვით რაც მან ჩაიდინა და მისი მოქმედება უნდა შეფასდეს იმ მუხლით, სადაც აღნიშნული ქმედება აღწერილი. მამასადაამე, განზრახ და გაუფ-

რთხილებლობით ჩადენილ მოქმედებათა გაერთიანება ერთ დანაშაულებრივ ქმედებად შეუძლებელია.

ასალოგოური მდგომარეობა აღმოჩნდება საპირისპირო შემთხვევაშიც, როცა დ-მა შეაყვინძა ე-ნი და მოაკვლევინა გოტებს ამოწარებული კაცი. ზემოთ მოყვანილი არგუმენტი სიმეგრითადაა აისახება ამ მაგალითთან დამოკიდებულებაშიც. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი გარემოება სისხლის სამართლის თეორიაში იმთავითვე იქნა შემჩნეული და დღეისათვის არავინ დაობს, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილ მთავარ მოქმედებაში განზრახი თანამონაწილეობა შუალობით ამსრულებლობად უნდა დაკვალიფიციროდეს. გაუფრთხილებლობით მოქმედმა პირმა კი პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ რა თქმა უნდა ქმედება, რომელიც მან ჩაიდინა, ისჯება გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც.

ორკვევა, რომ რამდენიმე პირის მიერ განხორციელებული ქმედება, შეიძლება იყოს დანაშაულებრივი შედეგის მიზეზი, თუმცა მათი შედეგისადმი განსხვავებული ფსიქიკური დამოკიდებულება ხელს უშლის თანამონაწილეობის ცნების აგებას. ისინი ამ დროს ერთიან დანაშაულს არ სჩადიან, არამედ თითოეული მათგანი მოქმედებს მეორისაგან დამოუკიდებლად.

აღსანიშნავია, რომ თანამონაწილეობას მსგავს ვითარებაში უარყოფს გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი ა. გრაინინი. „ყველა იმ შემთხვევაში, — წერს იგი, — როდესაც დანაშაულის უშუალოდ ჩამდენი განზრახვის გარეშე მოქმედებს... სახეზე გვაქვს ე. წ. დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენად გვეუღინება არა იარაღი..., არამედ ის, ვინც ეს იარაღი გამოიყენა. მამასადაბე, თუ პირი განზრახ აქემებს მეორე პირს, რომელიც გაუფრთხილებლობით მოქმედებს დანაშაულის ჩადენისას, აქ არ არის წამქმებლობა (დახმარება) და ამსრულებლობა, არ არის თანამონაწილეობა, არამედ არის მხოლოდ ერთი ბრალეული პირი ავტორი განზრახი დანაშაულის.“⁴⁹ ა. გრაინინი განიხილავს საპირისპირო შემ-

⁴⁹ ა. გრაინინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 112

თხვევასაც და საბოლოოდ დაასკვნის, რომ ორივე შემთხვევაში არ არის თანამონაწილეობა, თუმცა არა იმიტომ, რომ ერთ-ერთი მოქმედი პირის მხარეს არის გაუფრთხილებლობითი ბრალი, რომელიც თითქოსდა ავტომატურად გამოირიცხავს პასუხისმგებლობას თანამონაწილეობისათვის, არამედ იმიტომ, რომ ორივე შემთხვევაში, არ ვგაქვს თანამონაწილეობის არსებითი ელემენტი — „ამსრულებლის გეგმებისა და მოქმედების შესახებ წამქმებლისა და დახმარის ცოდნა. ამ ცოდნის გარეშე არ არის თანამონაწილეობა დანაშაულში.“⁵⁰

ა. გრაინინი თანამონაწილეობას დასაშვებად მიიჩნევს მაშინ, როცა თითოეულ მონაწილეს შედეგისადმი გაუფრთხილებლობითი ფსიქიკური დამოკიდებულება აქვს. თავისი აზრის ნათელსაყოფად შემდეგი მაგალითი მოპყავს. სამი მონადირე ა-, ბ-, და ვ- ბრუნდებოდა შინ. მათ გზაში დაინახეს ვლენი, რომელიც ყალიონს ეწეოდა. ა-მ მიმართა ე-ს წინადადებით, ვრევენებინა თავისი ხელოვნება და ესროლა ვლენის ყალიონისათვის. ვ- დაეთანხმა, მაგრამ იმ პირობით, თუ ბ- მისცემდა უფლებას მის მხარეზე თოფი დაეყრდნო, რათა დაემიზნებინა უკეთ. ბ-მ თანხმობა განაცხადა. ვ-მ ესროლა, მაგრამ ტყვია ყალიონს კი არა ვლენს მოხვდა და მოკლა. იარაღის უშუალო მსროლელი პასუხს აგებს გაუფრთხილებლობითი მკვლელობისათვის, მაგრამ პრობლემის არსს ა. გრაინინი ხედავს იმაში, თუ როგორ ვაგებინოთ პასუხი ა-ს და ბ-ს? მისი აზრით, ამ პირთა მიყვამ პასუხისგებაში შესაძლებელია თუ ვცნობთ თანამონაწილეობას გაუფრთხილებლობით დანაშაულში.⁵¹

ა. გრაინინის მსჯელობა უკანასკნელ შემთხვევაში დაუსაბუთებელი და არაჯეროვანია. ავტორს ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ თანამონაწილეობისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ობიექტური მხარის, არამედ სუბიექტური მხარის ერთიანობაც. ეს მოსაზრება პირველი ორი შემთხვევიდან ნათლად იკვეთება, როცა იგი უარყოფს განზრახ მონაწილეობას გაუფრთხილებლობით დანაშაულში, ან პირიქით, გაუფრთხილებლობით მონაწილეობას განზრახ დანაშაულში. კერძოდ, აქ თანამონაწილეობა დასჯადობას, მსგავსად

⁵⁰ ა. გრაინინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 112

⁵¹ იქვე, გვ. 113

ინდივიდუალურად ჩაღენილი დანაშაულისა მიზეზობრიობაზე აფუძნებს და ბლიარებს, რომ გვაქვს ორი დანაშაული და ერთი შედეგი, რადგან არ არის სუბიექტური მხარის მის მიერვე აღიარებული გამაერთიანებელი ნიშანი „აშსრულებლის გეგმებისა და მოქმედების შესახებ წამქეზებისა და დაშხმარის ცოდნა.“ მაგრამ შესამე შემთხვევაში, ამ ცოდნის შესახებ იგი იუიწყებს და არაფერს ამბობს. თუ იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი პირი მაინც განზრახ მოქმედებს და იცის მეორე პირის საქმიანობის შესახებ და ამ დროს შეუძლებელია თანამონაწილეობის მტკიცება, მაშინ სრულად ალოგოკურია თანამონაწილეობის დაშვება იქ, როცა თითოეული მონაწილე გაუფრთხილებლად მოქმედებს. რადგან ამ შემთხვევაში მეორე პირის დანაშაულებრივი საქმიანობის ცოდნა, გაუფრთხილებლობის ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თითოეული გაუფრთხილებლობით მოქმედი პირის დამოუკიდებლად მიცემას სისხლის სამართლის პასუხისგებაში ა. გრაინინი იმ მოსაზრებით უარყოფს, რომ „ამ კონსტრუქციით ვლუბულობთ ერთ გვამს და სამ მკვლელობას, არითმეტიკას, რომელიც უჩვეულოა სასამართლო პრაქტიკისათვის.“ თუმცა ამ უჩვეულო არითმეტიკას ავგორი იუიწყებს მაშინ, როცა უარყოფს განზრახ წაქეზებას გაუფრთხილებლობით დანაშაულში და მიიხნევს სისხლის სამართლის პასუხისგებაში თითოეული პირის დამოუკიდებლად მიცემას: ერთს განზრახ მკვლელობისათვის, მეორეს — გაუფრთხილებლობისათვის, ერთი მსხვერპლის შემთხვევაში.

გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის იდეას, საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის ლიგურაგურაში, იყავდა პროფ. მ. შარგოროდსკიც. იგი ა. გრაინინის შეხედულებას, რომ „თანამონაწილეობას ადგილი აქვს ყველა შემთხვევაში, როცა რამდენიმე პირის მიერ ხორციელდება ერთი და იგივე გაუფრთხილებლობითი დანაშაული,“ კიდევ უფრო ავიწროვებს. ყველა იმ შემთხვევებიდან, როცა რამდენიმე პირის მოქმედებათა კაუზალური დამთხვევის შედეგად დანაშაულებრივი მიანის გამოწვევა გაუფრთხილებლობით ხდება იგი გამოყოფს ერთ-ერთ ფორმას ასეთი დამთხვევის. კერძოდ, თანამონაწილეობა ავგორს დასაშვებად მიანია მხოლოდ იმ გაუფრთხილებლობით ჩაღენილ დანაშაულებთან მიმართებაში, სა-

დაც მოქმედების განხორციელება განზრახ ხდება, ხოლო შედეგი დგება გაუფრთხილებლობით (ე. წ. ბრალის ორმაგი ფორმა). ამ შეხედულების დაყვას მ. შარგოროდსკი ცდილობს არა მხოლოდ 1958 წლის „საფუძვლების“ მიღებამდე,⁵² არამედ მას შემდეგაც გამოცემულ ერთ-ერთ სტაგიაში, სადაც თავისი ძველი პოზიციის დასაბუთების მიზნით, ამჯერად, უკვე თანამონაწილეობის საფუძვლები-სეულ განმარტებასაც მოიშველიებს. „უნდა ვაღიაროთ, — შენიშნავს ის, — რომ დავა ამ საკითხის ირგვლივ საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის საფუძვლების საკანონმდებლო ფორმულირებით, საბოლოოდ ამოწურულია. „თანამონაწილეობად მიიხნევა ორი ან რამდენიმე პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩაღენაში,“ (მე-17 მ.) ხოლო დანაშაული კი შეიძლება ჩაღენილი იქნეს, როგორც განზრახ ასევე გაუფრთხილებლობით.“⁵³

მ. შარგოროდსკის მსჯელობა დასმულ საკითხზე ამ დასკვნით არ ამოიწურება. იგი თავისი პოზიციის ილუსტრაციისათვის არაერთ მაგალითს მოიშველიებს. მოვიყვანოთ ერთ-ერთ მათგანს: ა-ნი, რომელიც მგზავრობს მანქანით, წააქეზებს ბ-ს დაარღვიოს მოძრაობის წესები და მანქანა 100 კმ სისწრაფით წაიყვანოს. სწრაფი სვლის შედეგად მანქანა დაეჯახება ქალს და გასრესს. ბ-ს დანაშაული, ამ შემთხვევაში, ავგორის აზრით, ვლინდება იმაში, რომ მან განზრახ დაარღვია მოძრაობის წესები და გაუფრთხილებლობით მოკლდა ქალი, ამიგომ მან პასუხი უნდა აგოს რსფსრ-ის სსკ-ის 139 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. ხოლო ა-მ, რომლის ობიექტური მოქმედება ბ-ს წაქეზებაში გამოიხატა და მას გაუფრთხილებლობითი ბრალი მიუძღვის დამდგარ შედეგში, იგი არის წამქეზებელი. ამ თანამონაწილეობა, მისი აზრით, განზრახ დაარღვიეს მოძრაობის წესები და გაუფრთხილებლობით მოკლეს ქალი.⁵⁴

⁵² М. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права (законодательство и судебная практика), ЛГУ, 1955, с. 143

⁵³ М. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, // „Правоведение“, ЛГУ, № 1, 1960, с. 94

⁵⁴ მ. შარგოროდსკი, დასახელებული ნაშრომი გვ. 92 ცნობისათვის გვხვრს შენიშნით, რომ გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის თვორიულ მოსაზრებას, რო-

გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის ასეთი პოზიცია, რომელსაც მ. შარგოროდსკი იცავდა, ყოველად უსაფუძველოა და ის საფუძვლების მე-17 მუხლს კი არ შეესაბამებოდა, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მას. კანონმდებელი „განზრახ ერთობლივ მონაწილეობას“ აცხადებდა არა მოქმედებასთან მიმართებაში ზოგადად, არამედ დანაშაულში თანამონაწილეობასთან შეფარდებაში მისი სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით. ამ გაგებით კი განზრახვა პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ნიშნავდა (და ნიშნავს) არა მხოლოდ ქმედების მიმართ, არამედ მისი ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მიმართ დიალექტიკურ ერთიანობაში. ამავე მეტყველება განზრახვის საკანონმდებლო განმარტება, რომლის თანახმადაც განზრახვას ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც პირს შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედების სამოგალოებრივად საშიში ხასიათი, გათვალისწინებული ჰქონდა სამოგალოებრივად საშიში შედეგი და სურდა ეს შედეგი ან შეგნებულად უშვებდა მას (საფუძვლების მე-8 მუხლი).

მამასადამე, ქმედების შეგნებულად ჩაღწევა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა განზრახ დახმარებას თუ წაქეზებას. განზრახი დახმარება თუ წაქეზება იქნებოდა მაშინ, როცა დახმარება თუ წაქეზება მიმართული იქნებოდა იმისათვის რათა რაიმე დანაშაულებრივი შედეგი გასზორციელებულიყო, ე. ი. განზრახი თანამონაწილეობა გულისხმობდა განზრახვას არა მოქმედებისადმი, არამედ თანამონაწილის განზრახ ფსიქიკურ დამოკიდებულებას შედეგის მიმართ. ეს კიდევ უფრო ნათლად აისახება არაპირდაპირი განზრახვით და დანაშაულებრივი თვითიმედოვნებით ჩაღწეული დანაშაულის ურთიერთშედარებისას. ორივე შემთხვევაში დანაშაულებრივი შეგნებული აქვს თავისი მოქმედების სამოგალოებრივად საშიში ხასიათი და ითვალისწინებს ამ მოქმედებით გამოწვეულ შედეგებს, მაგრამ პირველ შემთხვევაში შეგნებულად უშვებს ამ შედეგების დადგომას, მეორეში კი თავიდან აცილებას ვარაუდობს. ე. ი. აქ გადაწყვეტილება პირის ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგის მიმართ, რადგან განზრახვას და გაუფრთხილებლობას კანონმდებელი იმ გარემოებაზე აფუძნებ-

და (და აფუძნებს) თუ როგორი იყო პირის დამოკიდებულება შედეგის მიმართ. ამიტომ მ. შარგოროდსკის მტკიცება, რომ დანაშაულში თანამონაწილის სუბიექტური მხარე ცალკე უნდა დადგენილიყო მოქმედების მიმართ და ცალკე შედეგის მიმართ უსაფუძველო იყო. განზრახ ქმედებაზე შეიძლება გვესაუბრა მაშინ, როცა პირს დანაშაულის ჩადენის განზრახვა ჰქონდა, ხოლო გაუფრთხილებლობის შემთხვევაში პირს ასეთი განზრახვა არ ჰქონდა. ამიტომ თუ პირის შეგნებულ მოქმედებას გაუფრთხილებლობით მოყვებოდა მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რომლის აცილებასაც ის ქარაფშუტულად ვარაუდობდა აქ იქნება არა ბრალის ორმაგი ფორმა, არამედ გაუფრთხილებლობითი ფორმით ჩაღწეული დანაშაული. პირის მოქმედების ნებითი ხასიათი, რომელმაც გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა არ იძლევა მტკიცების საფუძველს, რომ ის მოქმედება განზრახ სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით. მართალია პირმა, რომელმაც ჩაიდინა გაუფრთხილებლობითი დანაშაული, მოქმედება შეგნებულად, რა თქმა უნდა, მას უნდა გაეცნა მდგრადი მოქმედების ჩაღწევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის განზრახ მოქმედებდა. ცხოვრებისეული გაგებით შეგნებული და ნებლობითი ქმედების შესახებ შეიძლება ვთქვათ, რომ ის ჩაღწეულია განზრახ, მაგრამ სისხლისსამართლებრივი გაგებით ეს შეუძლებელია. ამ უკანასკნელის გაგებით განზრახვა არ არის ლიბონი სიგყვა, რომელშიც გამოწყენებულს შეუძლო მისთვის სასურველი შინაარსი ჩაეღწეო.

წამქეზებლის, როგორც დანაშაულში თანამონაწილის იურიდიული არსი, და არა მხოლოდ იურიდიული, ჩვეულებრივი ყოფითი ეკონომიკური გაგებაც გულისხმობს, რომ მან მიაღებინოს სხვას პოზიტიური, თუ ნეგატიური ქმედების გადაწყვეტილება. მ. შარგოროდსკის მოყვანილ მაგალითში ა-მ დაიყოლია ბ- მანქანის სწრაფად წასაყვანად და მამასადამე, ა- შეიძლება ვცნოთ მანქანის სწრაფად წაყვანის თანამონაწილედ ჩვეულებრივი ყოფითი გაგებით, მაგრამ არა თანამონაწილედ სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით, რადგან მანქანის სწრაფად წაყვანა თავისთავად დასჯად ქმედებას არ წარმოადგენს. მაგრამ, თუ მ. შარგოროდსკის სურდა ეჩვენებინა, რომ ამ ობიექტურ გარემოებაში ა- მოქმედებს განზრახ

შელიც ბრალის ე. წ. შერეულ ფორმას ემყარება, მხარს უჭერს ა. ზელინსკიც. // იხ. А. Ф. Зелинский, Соучастие в преступлении, (лекция), Волгоград, 1971, с. 12

სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით, მაშინ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება დიალექტიკურ ერთიანობაში უნდა წარმოესახა ქმედებისა და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მიმართ. ანუ მას უნდა ეთქვას, რომ ა- აქტებს ბ-ს სწრაფად წაიყვანოს მანქანა და მოკლას ქუჩაში მიმავალი ქალი. ამ შემთხვევაში კი სახეზე გვექნება თანამონაწილეობა, მაგრამ უკვე განზრახ შეკვლელობაში. ასეთი პოზიცია კი სრულებით შეესაბამებოდა საფუძვლების მე-17 მუხლს, რომელიც მიუთითებდა „ორი ან რამდენიმე პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობაზე“ დანაშაულის ჩადენაში. მ. შარგოროდსკი კი, რომელიც თვით ქმედობის შეგნებულ ხასიათს აიგივებდა განზრახვასთან, როგორც ბრალის ფორმასთან, ხოლო ამის შემვეობით თავისებური გაგებით გამოჰყავდა ბრალის ორმაგი ფორმა,⁵⁵ ფაქტობრივად გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას გეთავაზობდა, რომელიც ა. გრაინინის კონცეფციიდან არსებითად არ განსხვავდებოდა. ამგვარმა პოზიციამ, ბუნებრივია, ვერ ჰპოვა მხარდაჭერა სასამართლო პრაქტიკაში და იგი მკვეთრი კრიტიკის ქვეშ მოექცა იურიდიულ ლიტერატურაშიც.⁵⁶

თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის მოცულობა გაცხოველებული დავის საგანს წარმოადგენდა რეგოლუციამდელი პერიოდის კრიმინალისტებს შორისაც. ამ პერიოდში გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას სხვადასხვა ფარგლებში გ. კოლოკოლოვი, ს. პომნიშევი და ნ. სერგეევსკი აღიარებდნენ. მათ შორის თანამონაწილეობის ცნება განსაკუთრებით ფართოდ აქონდა წარმოდგენილი გ. კოლოკოლოვს, იგი თვლის, რომ „თანამონაწილეობის სუბიექტური მხარისათვის საკმარისია თითოეული პირის ბრალეულად მოქ-

⁵⁵ ორმაგი ბრალის ასეთი გაგება არსებითად განსხვავდება ამ გაგებისაგან, რომელიც სისხლის სამართლის თეორიაში დამკვიდრებული. ის, რასაც მ. შარგოროდსკი ორმაგ ბრალად თვლის, იგი მხოლოდ მოჩვენებითად ემსაკებება ორმაგი ბრალის ბრალდებას. ამ საკითხზე, დაწერილებით იხილეთ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., „მეცნიერება“, 1965, გვ. 44-45; ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობა დასჯადობის საფუძველი, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 106-108

⁵⁶ იხ. თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43-47; თ. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63-65, 105-109; პ. გრიშაევი, გ. კრიკერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 38-40; Ю. А. Красиков, Соучастие в преступлении, М., ИНФРА, М-НОРМА, 1996, с.11-12 и др.

მედება. ამასთან დანაშაულში მონაწილეობისათვის, მისი აზრით, მნიშვნელობა არა აქვს და სრულებით ინდიფერენტურებულია, რომ თითოეული მოქმედის მხარეს იყოს განზრახვა ან გაუფრთხილებლობა.⁵⁷ ამდენად თანამონაწილეობას ის უმეებს არა მხოლოდ მაშინ, როცა ორ ან რამდენიმე პირს, მათ მიერ გამოწვეული დანაშაულებრივი შედეგის მიმართ აქვთ ერთგვაროვანი ფსიქიკური დამოკიდებულება, ანუ როცა ორივე განზრახ ან გაუფრთხილებლობით მოქმედებს, არამედ მაშინაც, როცა მათი ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგის მიმართ სხვადასხვაგვარია.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ გ. კოლოკოლოვი განიხილავს და კრიტიკულად აფასებს ამ პერიოდის სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებულ — „სოლიდარული პასუხისმგებლობის“ — თეორიას. რომლის მომხრეებიც (ნ. გაგანცევი, ე. ნემიროვსკი და სხვ.) თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის გამაერთიანებელ ნიშნად „ბრალის ერთიანობას“ აღიარებდნენ, ხოლო ამის წინაპირობად „ნების ერთიანობის“ აუცილებლობას მოითხოვდნენ. „ნების ერთიანობა“ კი „ორმხრივ შეგავლენას და ურთიერთქმედებას“ გულისხმობდა, რომელსაც სიციფიურად „შეთანხმება“ ეწოდებოდა. თანამონაწილეობა შორის ასეთ კავშირს ამ თვალსაზრისის მიმდევრები მხოლოდ მაშინ მიიჩნევდნენ დასაშვებად, როცა თითოეული მათგანი განზრახ მოქმედებდა. გ. კოლოკოლოვს თანამონაწილეობის ასეთი დასაბუთება მიუღებდად მიაჩნია მინიმუმ იმ თვალსაზრისით, რომ იგი აღიარებს თანამონაწილეობა სოლიდარულ პასუხისმგებლობას, — „ყველა ერთსაბუთის და ერთი ყველასაბუთის“, ავგოროს სამართლიანი თქმით, ეს კონცეფცია, ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, არავინ არ შეიძლება პასუხი აგოს სხვისი მოქმედებისა და სხვისი ბრალისათვის. ამიგომ იგი უარყოფს სოლიდარული პასუხისმგებლობის იდეას და მოითხოვს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაცვას, რაც ნების ერთიანობისათვის, ანუ ერთიანი ბრალის იდეისათვის შეუსაბამოა.⁵⁸

⁵⁷ Г. Колоколов, О соучастии в преступлении, М., 1881, с. 50-51

⁵⁸ იქვე, გვ. 48;

გარკვეული თავისებურებით ხასიათდება ს. პომნიშევის მსჯელობაც დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ. იგი თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის განხილვის შესავალშივე სვამს საკვანძო კითხვას: „წინასწარ შეცნობით ერთიანი“ მოქმედება, ნიშნავს თუ არა თითოეული მონაწილის განზრახ მოქმედებას და ცოდნას სხვა პირთა დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ?“⁵⁹ ავტორი პასუხის გასაცემად თანამონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის მომხრეთა მოსაზრებებს იკვლევს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს მიმართულება მეტისმეტად და თვითნებურად ავიწროვებს თანამონაწილეობის ცნებას. ამ შეხედულების თანახმად თანამონაწილეობა არ არის მაშინ, როცა ერთ-ერთი თანამონაწილეთაგანი გაუფრთხილებლობით მოქმედებს, ან როცა თანამონაწილეთა შორის არ არის შეთანხმება. მაგრამ ამ შემთხვევათა თანამონაწილეობის სფეროდან გამორიცხვა მას თვითნებობად და დაუშვებლად მიაჩნია, რადგან გაუფრთხილებლობით მოქმედი სუბიექტის აზრობრივად გამოყოფა და ჩამოცილება სხვათა მოქმედებისაგან ბევრ შემთხვევაში დამნაშავე პირთა დაუსჯელად დატოვებას გამოიწვევდა.⁶⁰

ს. პომნიშევი გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის მომხრეთა (გ. კოლოკოლოვის, ი. ფონინკის და სხვ.) შეხედულებებსაც უარყოფს და დაასკვნის, რომ „ეს მიმართულება, პირიქით, თანამონაწილეობის ცნებას უკიდურესად აფართოვებს. ამ თეორიის შესაბამისად, თანამონაწილეთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი პირებიც, რომლებსაც დანაშაულში ამკარად არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ თვალსაზრისის თანახმად განსასჯელთა სკამზე უნდა დაესვათ ისეთი პიროც, ვინც განზრახ მკვლელობის ამსრულებელი დანაშაულის ადგილზე მიიყვანა და თუ ის, მხოლოდ ვარაუდობდა ან შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მიყვანილი დანაშაულს ჩაიდენდა.“⁶¹

⁵⁹ С. В. Познышев, Основные начала науки уголовного права, Общая часть, Издание II, М., 1912, с. 373

⁶⁰ იქვე, გვ. 375-376;

⁶¹ იქვე, 376;

გაკეთებული ანალიზის შემდეგ პომნიშევი აღნიშნულ მიმართულებათა ბალანსირებას და შუალედური მდგომარეობის გამოჩენას ცდილობს, ამ მიზნით ის ერთმანეთისაგან მიჯნავს ბუნების მოვლენებს და ადამიანის მოქმედებას. „როცა საქმე ეხება ბუნების მოვლენებს, შენიშნავს იგი, მე შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, მომავალში რომელი მოვლენები წარმოიქმნება. მაგრამ ადამიანის სულის მოძრაობის სირთულის, ჭირვეულობისა და დაფარულობის გამო, ადამიანის მოქმედებათა გათვალისწინება შეუძლებელია, თუ სუბიექტს არა აქვს სპეციალური ცნობა, რომ ამ მოქმედებათა ჩაღწევა აწმყოს ან მომავალში მოხდება.“ სწორედ ამ სხვაობაზე აფუძნებს ს. პომნიშევი თანამონაწილეობის ცნებას და შუალედური პოზიციის დაფიქსირებას: გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობა გვაქვს იქ, სადაც სუბიექტმა „მოგადად“ მაინც „იციოდ“ თავის მოქმედებას რომ უერთებდა სხვის ასეთსავე „ქცევას“, ანდა „პქონდა ცნობა“, რომ მის მოქმედებას მოჰყვება სხვა ადამიანის ანალოგიური მოქმედება, თუმცა არ ითვალისწინებდა ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენას, მაგრამ შეეძლო გაეთვალისწინებინა ან დანაშაულებრივი თვითიმედოვნებით უნდა ევარაუდა შედეგის თავიდან აცილება.“⁶²

გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის სფერო რევოლუციამდელ რუს მეცნიერთა შორის ყველაზე ვიწროდ აქვს წარმოდგენილი ნ. სერგეევსკის. ის თანამონაწილეობას უშვებს იქ, სადაც ყველა მონაწილე გაუფრთხილებლად მოქმედებს. მამასადაც, ნ. სერგეევსკი, განსხვავებით მისი წინამორბედებისაგან, თანამონაწილეობას დანაშაულში გამორიცხავს მაშინ, როცა თანამონაწილეთა ფსიქიკური დამოკიდებულება შედეგის მიმართ სხვადასხვაგვარია.⁶³

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ რევოლუციამდელ ლიგერატურაში ერთობ მყარადაა ჩამოყალიბებული კონცეფცია, რომლის თანახმადაც, დანაშაულში თანამონაწილეობისათვის აუცილებელია რაიმე დადებითი ქმედებით შედეგის გამოწვევა, ხოლო სუბიექტური მხრივ განზრახვა ან გაუფრთხილებლობა ცხადია, ელფერი და საფუძველი

⁶² ს. პომნიშევი, დასახელებული ნაშრომი, 377-378.

⁶³ Н. Д. Сергеевский, Русское уголовное право, часть общая, изд. VI, С.-Петербург, 1905, с. 300-301, 307

მისი ცალკეული მიმდევრების გამორჩეულია, მაგრამ ძირითადი მონახაზი და შეხედულებანი გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის წარმომადგენლების ამ კონკრეტულ მთლიანად შეიძლება განვითავსოთ.⁶⁴

გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას დამცველები, როგორც უკვე გემოთ ვნახეთ, საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის ლიგერაგურაშიც აღმოაჩნდა (ა. ტრაინინი, მ. შარგოროდსკი). მიუხედავად ამისა, რევოლუციამდელ და შემდგომ პერიოდშიც (თანამედროვეობის ჩათვლით), უნდა ითქვას, რომ განზრახვი თანამონაწილეობის იდეა გაბატონებულ მიმართულებას წარმოადგენდა და წარმოადგენს ამჟამადაც.

რევოლუციამდელ ლიგერაგურაში ამ იდეას „სოლიდარული პასუხისმგებლობის“ წარმომადგენლები იცავენენ. პროფ. ნ. ტაგანცევი, რომელიც ამ მიმართულების ერთ-ერთი გამორჩეული მხარდამჭერია, იგი თანამონაწილეობას დამნაშავეთა ისეთ გაერთიანებას მიაკუთვნებს, რომელიც სოლიდარულ პასუხისმგებლობას გულისხმობს ყველასი ერთისათვის და ერთისა ყველასათვის. დანაშაულში თანამონაწილეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას კი, იგი ბრალის ერთიანობაზე აფუძნებს, ანუ თანამონაწილეს თვლის არა ინდივიდუალური ბრალის მაგარებლად, არამედ სხვა პირთა ბრალის თანამომზადარად.⁶⁵ ამასთან, ბრალის ერთიანობის გარეგან ნიშნად, ნ. ტაგანცევი აღიარებს თანამონაწილეთა შეთანხმებას მისი იურიდიული მნიშვნელობის თავისებურებით. სწორედ ამ გარემოებაზე დაყრდნობით გამოირიცხავს იგი დანაშაულში გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის ყოველგვარ შესაძლებელ ვარიანტს. მისი აზრით შესაძლებელია, რომ გაუფრთხილებლობით მოქმედი პირიც იყოს დამნაშავე და სხვებთან ერთად ასეთმა კაცმა შექმნას სამართლით აკრძალული შედეგის განხორციელების პირობები, მაგრამ „გაუფრთხილებლობის თვისების გამო, არ შეიძლება იყოს

⁶⁴ ამასთან თუ შედეგობაში არ მივიღებთ ამ მიმართულებას იმ უკიდურეს გამოვლინებას, რომელიც კანონმდებლობიდან და თვითიდან თანამონაწილეობის სრულ გაქცევაში გამოიხატება. (მაგ. ი. ფონინიკი).

⁶⁵ Н. С. Таганцев, Русское уголовное право, (лекции), часть общая, том I, С-Петербург, 1902, с. 739

სხვათა ბრალის თანამომზადარად, არ შეიძლება პასუხს აგებდეს სხვებთან ერთად ჩადენილი ქმედობისათვის.⁶⁶

ნ. ტაგანცევი დანაშაულში გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის სამივე შესაძლებელ ვარიანტს (ამსრულებელი მოქმედებს გაუფრთხილებლობით თანამონაწილე განზრახვ; ამსრულებელი მოქმედებს განზრახვ თანამონაწილე გაუფრთხილებლობით; ამსრულებელიც და თანამონაწილელიც მოქმედებენ გაუფრთხილებლობით) სათანადო მაგალითების საფუძველზე ანალიზებს და მიდის დასკვნამდე, რომ ბრალის ერთიანობაზე და თანამონაწილეობაზე შეუძლებელია ვისაუბროთ მაშინ, როცა ერთ-ერთი, ან ორივე პირი მოქმედებს გაუფრთხილებლობით. ასეთ შემთხვევებში თითოეული თანამონაწილის მოქმედება უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, ვინაიდან მათ შორის კავშირი მხოლოდ წმინდა ობიექტური ხასიათისაა და სუბიექტურად მათ არაფერი არ აკავშირებთ.

„ბრალის ერთიანობა, - ნ. ტაგანცევის აზრით, - გულისხმობს განზრახვას ამასთან ასეთ დამაკავშირებელ სუბიექტურ პირობად მისი თქმით, გვევლინება განზრახვის მთავარი ელემენტი - გ ა მ ი მ ვ ნ ა.“ ხოლო რაც შეეხება განზრახვის სხვა ელემენტებს: მოტივს, მიზანს ან გეგმას, თუ კანონი პირდაპირ არ უთითებს ამ ელემენტებზე, მათ თანამონაწილეობისათვის, მისი აზრით, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.⁶⁷

დანაშაულში მონაწილე პირთა გაუფრთხილებლობითი ფსიქიკური დამოკიდებულება, მათი დაქსაქსული მოქმედებების სუბიექტური მხარის გასაერთიანებლად, რომ არ შეიძლება გამოდგეს, ამ თვალსაზრის ადნიშნული მიმართულების ყველა მხარდამჭერი, უნდა ითქვას, რომ ერთსმად აღიარებს.⁶⁸

ადნიშნული თვალსაზრისი კიდევ უფრო ნათელ გამოხატულებას პოულობს საბჭოური პერიოდის გაბატონებულ დოქტრინაში. ამ პერიოდში თანამონაწილეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიულ თუ სადისკერტაციო გამოკვლევებში უწყვეტად მუსი-

⁶⁶ ნ. ტაგანცევი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 744;

⁶⁷ იქვე, გვ. 740;

⁶⁸ იხ. ურცელი ჩამონათვალი ამ ავტორებისა ს. პოზნიშევის დასახლებულ ნაშრომში, გვ. 374.

რებს ამრი იმის თაობაზე, რომ თანამონაწილეობა განზრახვი მოქმედებაა. ამასთან, იმდენად ბევრია ამ თვალსაზრისის მომხრეები და მათ მიერ მოყვანილი არგუმენტები გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის უარსაყოფად, რომ მათი გაცნობისას, ა. გრაზინი და მ. შარგოროდსკი იმ უკანასკნელი მოპიკანების პომიციამი რჩებიან, რომელთა მიერაც გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის თავგამოდებული დაცვის იდეა ქაფის ბუშტივით ქრება. უფრო მეტიც, საბჭოურ და პოსტსაბჭოური პერიოდის ლიბერალურებაში მეცნიერთა ამრის ჭიდილი მიმდინარეობს არა გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის შესახებ, არამედ დავის საგანი ძირითადად იმაცვლებს იმის გამოსარკვევად, რომ თანამონაწილეობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით უნდა შემოიფარგლოს, თუ მისი არსებობა დასაშვებია ევენტუალური განზრახვის შემთხვევაშიც. ამ კონკრეტულ საკითხზე მსჯელობა ცოცხალი მოგვიანებით გვექნება.

ამჟამად კი, ყურადღება უნდა შევახეროთ პროფ. ო. გამყრელიძის მიერ გამოტანილ ერთ საინტერესო დასკვნაზე, რომელსაც იგი გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის ლეგალური ანალიზის შემდეგ აკეთებს: „...უნაყოფობა ყოველგვარი ცდა გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის დასაბუთებისა, — წერს ავტორი, — მეცნიერული ამრი, რომელიც თანამონაწილეობის დასაბუთებას მიმზობრიობის მომენტზე აფუძნებს, ღელმდე ერთმანეთთან აიგივებს ერთიან შედეგს და ერთიან დანაშაულს (უმართლობას). სწორედ ეს გაიგივება ქმნის იმის ილუზიას, თითქოს გაუფრთხილებლობის დროს შესაძლებელი იყოს თანამონაწილეობა. ერთი და იგივე შედეგის გამოწვევა ორი კაცის გაუფრთხილებლობითი მოქმედებით ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი ერთ დანაშაულის თანამონაწილენი არიან საკითხის ასეთი გადაწყვეტა უხეში ნაგურალიზმში იქნებოდა.“⁶⁹ მართლაც, თუ ერთი კაცი განზრახვი მოქმედებს, ხოლო მეორე გაუფრთხილებლობით, აღნიშნულ შემთხვევაში მათ შორის შეუძლებელია რაიმე სუბიექტური კავშირი აღმოვაჩინოთ. აქ მხოლოდ მოქმედებათა გარეგანი დამთხვევაა, რომელიც მიზნობრივად ერთ შედეგს იწვევს. ამიტომ თითოეული პირი პასუხს აგებს არა, როგორც

⁶⁹ ო. გამყრელიძე, დასახვლებული ნაშრომი, გვ. 110-111

სხვაგვარად ერთად მოქმედი მონაწილე, არამედ ინდივიდუალური ამსრულებელი.

როდესაც ამ საკითხს ზემოთ შევეხეთ, შევნიშნეთ, რომ ასეთი მოქმედებები თავისი იურიდიული ბუნებით სხვადასხვაგვარია და მათი ერთ დანაშაულებრივ ქმედებად გაერთიანება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს — კანონიერებისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის, რომლებიც არა მხოლოდ თანამონაწილეობის ინსტიტუტისათვის, არამედ მთლიანად სისხლის სამართლისათვის არის თანაარსი. სწორედ, ამ საფუძველზე გამოვრიცხეთ მსგავს გარემოებაში თანამონაწილეობის არსებობა.

თუმცა, ამჟამად დასმული პრობლემა სხვა კუთხით გვაინტერესებს. კერძოდ, უნდა დავასაბუთოთ, რომ მათ შორის მართლაც არ არის ის სუბიექტური ერთიანობა, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობისთვის არის აუცილებელი. ამ ერთიანობის არ არსებობა, კი ნათლად იკვეთება მაშინ, როდესაც კაუზალურად შეერთებული მოქმედებები სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ შედეგს ვერ აღწევენ. სანიმუშოდ შეგვიძლია ავიღოთ შემთხვევა დასახელებული ნაღობის მაგალითი, სადაც დ-მა განზრახვი შეცდომაში შეიყვანა ე-ნი, რომელსაც დათვის ნაცვლად თავისი მგერი მოაკვლევინა. შევეცვალოთ ეს ფაქტობრივი გარემოება და ვთქვათ, რომ ე-მა, რომელმაც დაუფიქრებლად ისროლა „დათვისკენ“, გასროლილი გყვია არ მოხდა მიზანში ამოღებულ თბიექტს. როგორ უნდა შევაფასოთ ამ შემთხვევაში ეს ობიექტური ვითარება და რა იურიდიული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს თითოეული მათგანის მოქმედებას? ე-ნის მოქმედება (თოფის გასროლა) გაუფრთხილებლობით ჩაღნილი დანაშაულის მსგავსად უნდა დაკვალიფიცირდეს. კერძოდ, თუ ამ გასროლილ გყვიას კაცის სიკვდილი მოპყვებოდა ის პასუხს აგებდა მკვლელობისათვის, თუ სხეულის დაზიანება სხეულის დაზიანებისათვის. ამ კონკრეტულ ვითარებაში კი, როცა გასროლას არავითარი შედეგი არ გამოუწვევია, მაშინ პირს დანაშაული არ ჩაუღნია და ის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან უნდა გათავისუფლდეს. რაც შეეხება დ-ნის მოქმედების კვალიფიკაციას, ანუ იმ პირისას, რომელმაც თავისი მიზნის მისაღწევად გაუფრთხილებლობით მოქმედი „ცოცხალი იარაღი“ გამოიყენა და ეს

მოქმედება, ობიექტური თეალსამრისით, დანაშაულის მცდელობის სტადიამდე მიიყვანა, იგი არ შეიძლება თანამონაწილეობად დაკვალიფიცირდეს. საპირისპიროს მტკიცება შეუთავსებელია თანამონაწილეობის იურიდიულ კონსტრუქციასთან, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქ არ გვყავს დანაშაულის ამსრულებელი, ამ სიკვების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით. თოფის უშუალო მსროლელს (რომელმაც გაუფრთხილებლობით იმოქმედა) არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. ამიტომ პირი, რომელიც განზრახ მოქმედებდა, ის არის ერთადერთი ბრალეული, ავტორი განზრახ ჩადენილი მკვლელობის მცდელობისა, რომელიც პასუხს აგებს, როგორც შუალობითი ამსრულებელი.

ამრიგად, ირკვევა, რომ დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, სადაც ერთი პირი განზრახ მოქმედებს, ხოლო მეორე გაუფრთხილებლობით, ისინი არ ანხორციელებენ ერთიან დანაშაულებრივ ქმედებას. მათ შორის არ არსებობს ის სუბიექტური კავშირი, რომელიც ორივე მათგანის პასუხისმგებლობას ერთი დანაშაულებრივი ქმედებისათვის დააფუძნებს. მაგრამ, თუ ეს ასეა მცდელობის შემთხვევაში, მაშინ ხელოვნურია ამის მტკიცება, რომ დანაშაულის დასრულების შემთხვევაში მოხდეს სუბიექტური მხარის გაერთიანება და დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი, მოულოდნელად ამავე დანაშაულის თანამონაწილედ გადაიქცეს. თუ დაუშვებთ, რომ ეს ერთიანობა დანაშაულის დამთავრების შემთხვევაში არსებობს, მაშინ ის უნდა არსებობდეს მცდელობის შემთხვევაშიც. მაგრამ, თუ ის გამოირიცხა ერთ შემთხვევაში, მაშინ ის უნდა გამოირიცხოს მეორე შემთხვევაშიც. ერთი სიკვებით, პირი, რომელიც განზრახ ჩადის დანაშაულს ინდივიდუალურად მოქმედა. მას გაუფრთხილებლობით მოქმედ პირთან არანაირი სუბიექტური სინკრეციული ნიშანი არ გააჩნია. ნიშანი, რომელსაც კაუზალურად შეერთებული მოქმედებები სუბიექტურ სფეროშიც უნდა დაეკავშირებინა, როგორც მცდელობის ასევე დამთავრებული დანაშაულის სტადიაზე.

თანამონაწილეობის არსებობის კუთხით ანალოგიური მდგომარეობა აღმოჩნდება საპირისპირო შემთხვევაშიც, ანუ მაშინ, როცა დანაშაულის უშუალო ამსრულებელი განზრახ მოქმედებს, ხოლო თანამონაწილედ გაუფრთხილებლობით. გაეხსენოთ ზემოთ ნახსენე-

ბი ორი მოჩხუბარის მაგალითი, სადაც ბ-მა მათ გასაშველებლად ვითომდა შეშინების მიზნით იარაღი მიიგანა, თუმცა ამით ისარგებლა ბ-მა, რომელმაც მოულოდნელად გამოსტაცა ხელიდან იარაღი და მოკლა გ-ანი. შეცვალეთ ეს ობიექტური გარემოება და დაუშვათ, რომ აქ არ დადგა ამსრულებლის ნასურვები შედეგი (სროლის დროს გყვია არ გავარდა ან აცდა იგი მსხვერპლს და სხვ.). აღნიშნულ შემთხვევაში იმ პირის მოქმედება, ვინც თოფის გამოყენება სცადა მეორის მოკვლის მიზნით და ე. ი. დანაშაულის განხორციელებას უშუალოდ ცდილობდა, ცხადია, მისი მოქმედება განზრახ მკვლელობის მცდელობის ამსრულებლობად უნდა დაკვალიფიცირდეს და ეს დაეხსნა იწვევეს. მაგრამ რა შეფასება უნდა მიეცეთ ამ ვითარებაში იმ პირის მოქმედებას, რომელიც თავისი ობიექტური ფორმით ერთი შეხედვით განზრახ მკვლელობის მცდელობის ხელშეწყობად გვეჩვენება? ამ მოქმედების გაერთიანება ფაქტია, რომ ამსრულებლის მიერ განხორციელებულ მოქმედებასთან შეუძლებელია. რადგან პირმა, რომელმაც იარაღი მიიგანა მათი გაშველების მიზნით თავისთავად აღებული არავითარ კრიმიინალს არ შეიცავს და ის უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. აქედან გამომდინარე ირკვევა, რომ მსგავსად წინა მაგალითისა, არც ამ შემთხვევაში გვაქვს თანამონაწილეობა დანაშაულში. თუ თანამონაწილეობა არ არის დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, მაშინ მისი არსებობის დაშვება უსაფუძლოა დანაშაულის დასრულების შემთხვევაშიც.

ამრიგად, თანამონაწილეთა ერთიანობის რეალიზაციისათვის არ არის საკმარისი ერთი შედეგის გამოწვევა, ანუ მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის არსებობა თითოეული თანამონაწილის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ასეთ ერთიან ქმედებას მხოლოდ გარეგანი ხასიათი აქვს და მას არ გააჩნია ის შინაგანი გაცნობიერებული კავშირი რომლის გარეშეც შეუძლებელია ერთიან დანაშაულზე ვისაუბროთ. ამ შემთხვევაში ბრალეულებმა პასუხი უნდა აგონ დამოუკიდებლად, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურად მათი მოქმედება ერთი დანაშაულებრივი შედეგის მიზეზად გვევლინება.

ნიშანდობლივია, რომ გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის ზოგიერთი დამკველი ამკარად გრძნობს დაუძლეველ ბარიერებს, რომლებიც წინ ედობება დანაშაულში თანამონაწილეობის

თეორიულ დასაბუთებას იმ გარემოებებში, როდესაც დანაშაულებრივი შედეგისადმი თანამონაწილეს და ამსრულებელს არაერთგვაროვანი ფსიქიკური დამოკიდებულება აქვთ. ამიგომ ამ თვალსაზრისის მიმდევრებს (სერგეევსკი, ტრაინინი და სხვ.) მეტი არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, ამგვიცონ თანამონაწილეობის არსებობა მხოლოდ მაშინ, როცა დანაშაულის ყველა მონაწილე გაუფრთხილებლობით მოქმედებს.

მოცემულ შემთხვევაშიც შეუძლებელია საუბარი თანამონაწილეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულის მოქმედება კუზალურად ერთ შედეგს განაპირობებს, ხოლო სუბიექტური მხრივ ყველას ერთნაირი გაუფრთხილებლობითი ფსიქიკური დამოკიდებულება აქვს ამ შედეგის მიმართ. ისინი ამ შემთხვევაშიც არ სჩადიან ერთიან დანაშაულს, ან უფრო სწორედ ერთიან უმართლობას, რომლის ასაგებადაც აუცილებელია სუბიექტურ სფეროში არსებული ობიექტური ნიშანი. ამიგომ მიმართულება, რომელიც თანამონაწილეთა დასჯადობას ობიექტურ სიბრტყეში მიმეზობრიობის მომენტს აფუძნებს, ხოლო სუბიექტური მხრივ გაუფრთხილებლობით შემოიფარგლება, იგი რეალურად დაუსაბუთებლად აფართოვებს თანამონაწილეობის ფარგლებს. დანაშაულში თანამონაწილეობისათვის აუცილებელია შინაგანი სუბიექტური კავშირი, რომელ კავშირსაც შედეგისადმი თითოეული მათგანის გაუფრთხილებლობითი ფსიქიკური დამოკიდებულება ნამდვილად ვერ შექმნის.

სრულებით ნათელია კანონშეღებლის პოზიციაც დანაშაულის ამ ფორმის სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით, რომ თანამონაწილეობა ეს არის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. სუბიექტური მხარის შეზღუდვას აქვს ღრმა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. პირები, რომლებიც განზრახ ერთობლივად მოქმედებენ, შეგნებული აქვთ თუ რა მიმართულებით განხორციელდება მათი ერთობლივი ქმედება, გაგებული აქვთ, თუ როგორ აზიანებს მათი ძალისხმევა და შეგნებულად მიდიან ამაზე.

სხვა შედეგამდე მივდივართ ერთობლივად მოქმედი პირების პასუხისმგებლობის დაშვებით გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დროს პირს მისი მოქმედების ისეთი შედეგები შეერაცხება, რომელ-

თა დადგომას ის არ ითვალისწინებდა, თუმცა ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა, ან უსაფუძვლოდ იმედოვნებდა მათ აცილებას. აქ პასუხისმგებლობა წინდაუხედავობის უკმარისობის გამო დგება, რომელიც მოცემულ პირს მისი ინდივიდუალური შესაძლებლობის მიხედვით მოეთხოვება. გაუფრთხილებლობისას წინასწარ გათვალისწინების საზღვრები შევიწროვებულია. პირი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს მხოლოდ საკუთარი გაუფრთხილებლობის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ამიგომ გაუფრთხილებლობის იურიდიული ბუნება არ იძლევა შესაძლებლობას დაგადგინოთ გარკვეული ზღვარი სისხლის სმართლის პასუხისმგებლობისა ორი ან მეტი პირის ობიექტურად დაკავშირებული ქცევისათვის.

სრულიად ნათელია სასამართლო პრაქტიკის დამოკიდებულება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესწავლილ არცერთ სისხლის სამართლის საქმეში არ შეგვხვდრია ფაქტი, სადაც გაუფრთხილებლობით მოქმედი პირი მიზნუდიყო თანამონაწილედ. სამაგიეროდ ხშირია პირდაპირი მითითება იმ სუბიექტურ გარემოებებზე, რომლებიც თანამონაწილეთა განზრახ ერთობლივ მოქმედებაზე შეტყულებენ. ასეთ გარემოებებზე შეიძლება დავასახელოთ: „თანამონაწილეთა წინასწარ შეთანხმება საერთო დანაშაულის ჩასადენად“⁷⁰ „მათ ამოძრავებდათ შურისძიების მოტივი“⁷¹ „ისინი მოქმედებდნენ ანგარების მიზნით“⁷² „თანამონაწილეები გაერთიანდნენ საერთო მიზნის მისაღწევად“⁷³ და სხვ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კრიმინალისგები, რომლებიც წარსული პერიოდის სასამართლო პრაქტიკას აანალიზებენ, მათ მიერ გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობისათვის მსჯავრდების ცალკეული შემთხვევები განხილულია ნეგატიური მაგალითის სახით, იმის ჩვენებისათვის, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გაგებული თანამონა-

⁷⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, 1997 წ., საქმის №2-161; 2-97; 2-121

⁷¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი 1999 წ. საქმის №2-28

⁷² იხ. აჭარის არ უმადლესი სასამართლოს არქივი, 1995 წ. საქმის №1-8

⁷³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, 1997 წ., საქმის №2-55, 1998 წ., საქმის №2-196.

წილეობის საკანონმდებლო განსამდგურება პირის თანამონაწილედ მიჩნევისათვის.⁷⁴

ამრიგად, გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის მტკიცება, მის კონსტრუქციულ არსთან მიმართებაში, დაუსაბუთებელია არა მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით, არამედ ამის მტკიცება ეწინააღმდეგება კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკასაც. მაშასადამე, ის ნაგურალისგური დამოკიდებულება, რომელიც სისხლის სამართლის კლასიკურ მიმართულებას ახასიათებს თანამედროვე სისხლის სამართლის დოქტრინისათვის მიუღებელია. მარტო მიზეზობრივობის მომენგზე დაყრდნობით შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ ორი ან რამდენიმე პირის მიერ ერთი დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა, უკვე ნიშნავს თანამონაწილეობას დანაშაულში. ის მარტივი დევში, რომელიც ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულის მიმართ მოქმედებს, რომ ობიექტური მხრივ აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა, ხოლო სუბიექტური მხრივ მართლსაწინააღმდეგო შედეგის განზრახ ან გაუფრთხილებლობით გამოწვევა, მისი მექანიკური გადმოღება და თანამონაწილეობის ფორმით გამოვლენილ დანაშაულთან შეფარდება აბსოლუტურად დაუსაბუთებელია. თანამონაწილეები ერთობლივ დანაშაულებრივ ქმედებას, უფრო სწორედ კი, ერთიან უმართლობას სჩადიან, შესაბამისად, მათი დასჯადობის საფუძველი და ამ ერთიანობისათვის საჭირო ფსიქიკური სამომი ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულისაგან განსხვავებულია. სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული იურიდიულ ლიგერაგურაში, რომ ამ „...პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა განზრახვის სფეროში უნდა ვეძიოთ.“⁷⁵

ამ მხრივ კი სისხლის სამართლის ლიგერაგურაში თეორიული დებატების ფართო სპექტრია ასახული. საქმე იმაშია, რომ კანონმდებლობა და თეორია განზრახვის ორ ძირითად სახეს განასხვავებს: პირდაპირს და არაპირდაპირს. ამასთან საქართველოს ახალი

⁷⁴ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 40-42; ი. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 109-110; В. Г. Гаев, практика прокурорского надзора при рассмотрении судами уголовных дел, Сборник документов, М., Юрид лит., 1987, с. 75-88 и др.

⁷⁵ ი. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 112

სისხლის სამართლის კოდექსი თანამონაწილეობის ცნების დადგენისას არ განსამდგურავს, თუ განზრახვის რომელი სახით არის შესაძლებელი თანამონაწილეობა დანაშაულში (23-ე მ.). ასეთივე პოზიცია ეჭირა საბჭოური პერიოდის კანონმდებლობასაც (საფუძვლების მე-17 მ.).

რაც შეეხება მეცნიერთა პოზიციებს, მათი უმრავლესობა თანამონაწილეობას აღიარებს როგორც პირდაპირი ასევე, არაპირდაპირი განზრახვითაც.⁷⁶ ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ მიმართულების ერთი ჯგუფი თანამონაწილეობა აუცილებელ დამაკავშირებელ ნიშნად თვლის დანაშაულში მონაწილე პირთა შეთანხმებას. ასე, მაგალითად, ვ. გრიგორიევი წერს, რომ „თანამონაწილეობა ცალკეულ მონაწილეებს შორის წარმოიშობა შეთანხმების მომენგიდან. შეთანხმება და მოლაპარაკება შინაარსითა და ფორმით შეიძლება სხვადასხვა იყოს. შინაარსით მოლაპარაკება, — მისი თქმით — შეიძლება ეხებოდეს მთლიანად დანაშაულს, მისი ჩადენის საშუალებებსა და პირობებს, ან იმ დანაშაულებს რომლებიც შემდგომისათვის იგეგმება. თავისი ფორმით შეთანხმება — ავტორის ამრით — შეიძლება იყოს წერილობითი, ბეპირი, გამოსხაველი ექსტის ან კონკულენგური მოქმედებით, რომლებიც სიკვდიელი შეთანხმების შინაარსს ცვლიან.“⁷⁷ ანალოგიურად მსჯელობს ა. უშაკოვიც, რომელსაც უფრო სამართლიანად მიაჩნია იმ კრიმინალისგთა მოსაზრება, რომლებიც თანამონაწილეობას დასაშვებად მიიჩნევენ ევენტუალური

⁷⁶ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 149, 195-196; პ. გრიშაევი, გ. კრიგერა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 33-34; პ. ტელნოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 18; ი. კრასიკოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 10-11; ვ. პროხოროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 73-74; ვ. გრიგორიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 15; М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, с. 32, 55; А. В. Ушаков, ответственность за групповые преступления, Калинин, 1975, с. 16; Уголовное право России, Общая часть, Учебник для вузов, Т. I, Ответственные редакторы А. И. Игнатов, Ю. А. Красиков, М., ЮРМА-ИНФРА, 1998, С. 231 и др.

⁷⁷ ვ. გრიგორიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 15;

განზრახვით და ამავედროულად შეთანხმებას თანამონაწილეობის ატრიბუტად თვლიან.⁷⁸

თანამონაწილეთა შორის შეთანხმებისას ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენის მტკიცება უსაფუძვლო უნდა იყოს. კერძოდ, თუ პირი გამოთქვამს სურვილს და იცის, რომ დანაშაული სხვასთან ერთად უნდა ჩაიდინოს, მეორეც იცის, რომ ჩადის კონკრეტულ დანაშაულს და არა ნებისმიერს. ამასთან შეგნებული აქვს არა მხოლოდ თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, არამედ მასთან ერთად მოქმედი პირისაც, აქ შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ პირს არა აქვს სურვილი ამ დანაშაულის ჩადენის, არამედ შეგნებულად უშვებს მას და გულგრილად ეკიდება. ასეთ შემთხვევაში არაპირდაპირი განზრახვის დაშვება, ვფიქრობთ, ისეთივე ალოგიკურია, როგორც იმის მტკიცება, რომ პირმა, რომელმაც ნათესავის ბინა გაქურდა მას არ სურდა ამ ბინის გაქურდება იმ მოტივით, რომ მან იყოდა ნათესავის ბინას ქურდავდა და ამის გამო მომხდარ ფაქტს, ის უარყოფითად ეკიდებოდა.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ შეხედულებასაც, რომ დანაშაულის განხორციელების თაობაზე თანამონაწილეთა შეთანხმება, სუბიექტური კავშირის ერთადერთი ფორმა უნდა იყოს. ასეთი მოთხოვნა არ გამოძინარეობს კანონმდებლობიდანაც. ამიგომ ამ ავტორთა მტკიცება, რომ განზრახვით მონაწილეობა დანაშაულში მონაწილე პირთა გარკვეულ შეთანხმებას გულისხმობს, ნიშნავს თანამონაწილეობის უარყოფას იმ შემთხვევებში, როცა რამდენიმე პირის დანაშაულებრივი ქმედობა არ კარგავს არც თბიქტურ და არც სუბიექტურ ნიშანს ერთიანობის. აღნიშნული დებულება ნათლად ვლინდება იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის თანამონაწილემ(დამხმარემ) იცის, რომ დანაშაულს ამსრულებელთან ერთად ჩადის, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ამსრულებელს არა აქვს გაცნობიერებული, რომ ის მასთან ერთად მონაწილეობს ამ დანაშაულში. ეს გარემოება თავის ხილულობას რეალობასთან იძენს დამხმარე

⁷⁸ А. В. Ушаков, основание и пределы ответственности соучастников преступления по советскому уголовному праву, Диссертация на соискание ученой степени к.ю.н., М., 1970, с. 152;

რის დანაშაულებრივი ქცევისას — საშუალებათა მიწოდებისა და დაბრკოლებათა თავიდან აცილების შემთხვევაში. რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამემაღ კი, პასუხი უნდა გავუცეთ კითხვას იმის თაობაზე, თუ სად უნდა იქნას გავლებული განზრახვის სფეროში დემარკაციული ბღვარი, რომლის იქითაც შეუძლებელია თანამონაწილეობა ივარაუდებოდეს. ჩვენს მიერ მოკვლეულ მასალებში, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, პირველი მკვლევარია მ. კოვალიოვი, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობის დაცვას პირდაპირი განზრახვით ცდილობს. იგი წერს, რომ „თანამონაწილეს საკუთარი მოქმედების მიმართ შეუძლებელია არაპირდაპირი განზრახვა ჰქონდეს. ის შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი. სუბიექტს შეგნებული აქვს, რომ მისი მოქმედება სხვა პირში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას იწვევს ან განუმტკიცებს ან ხელსუწყობს მის გამოვლენას. მოქმედებს ამგვარად და არა სხვაგვარად იმიგომ, რომ მას სურდა ასე ემოქმედა.“⁷⁹

სუბიექტის პირდაპირი განზრახვა მ. კოვალიოვის აზრით, მიზნის არსებობით ხასიათდება. „თანამონაწილეობის პირდაპირი განზრახვის კონსტრუქციულ ელემენტად — მისი აზრით — გვევლინება დანაშაულის ჩადენის ან მასში მონაწილეობის მიზანი. ...ამიგომ მიზანი ალუძრა სხვა პირს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, ან ხელი შეუწყო ამ გადაწყვეტილების განხორციელებაში ყოველთვის მოწმობს იმას, რომ თანამონაწილეს გააჩნია პირდაპირი და არა ირიბი განზრახვა, მიუხედავად იმ მიზნებისა და მოტივებისა, რომლებითაც ის ხელმძღვანელობდა დანაშაულის ამსრულებელთან კავშირში შესვლისას.“⁸⁰

მ. კოვალიოვი ამ ძირითადი დებულებიდან, ბრალის ორმაგ ფორმაზე დაყრდნობით უშვებს ერთ გამონაკლისს, როცა მისი მსჯელობით შესაძლებელია ევენტუალური განზრახვა ივარაუდებოდეს. კერძოდ, იმ საგრანსპორტო დელიქტებში, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების და დანაშაულებრივი შედეგისაგან შედგება. მისი აზრით, „დანაშაულებრივი ქმედების მიმართ მონაწილეობაში შესაძ

⁷⁹ მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი პირველი, გვ. 277

⁸⁰ იქვე, გვ. 280;

ლებულია მხოლოდ პირდაპირი განზრახვა, ხოლო არაპირდაპირი მხოლოდ დანაშაულის ამსრულებლის ქმედების შესაძლო შედეგების მიმართ.“ თუმცა აქვე დასძენს, რომ ეს გარემოება „არავითარ შემთხვევაში არ არყვეს დანაშაულში მონაწილე ყველა პირთა მიზნის ერთიანობას. რადგანაც თანამონაწილეობა ნიშნავს მონაწილეობას დანაშაულებრივ ქმედებაში და არა ამ მოქმედების შედეგში.“⁸¹

პირდაპირი განზრახვით თანამონაწილეობას მხარს უჭერს პროფ. ფ. ბურჩაკი. იგი თანამონაწილეობის საკანონმდებლო ცნების და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შემდეგ მიდის დასკვნამდე, რომ განზრახვით მონაწილეობაზე შეიძლება მამინ ვისაუბროთ, როცა პირს დანაშაულის ჩადენის მიზანი აქვს. ამასთან, რადგან ამსრულებლის მოქმედება მისი თანამონაწილის ნასურვებ შედეგს წარმოადგენს, აუცილებელია, რომ თანამონაწილის განზრახვით მოცული იყოს არა მხოლოდ თავისი მოქმედების სამიზნე ხასიათი, არამედ ამსრულებლის მოქმედებისაც და მას ჰქონდეს სურვილი, რომ ამსრულებელმა დანაშაული ჩაიდინოს.⁸² განსახილველ საკითხზე ავტორი კიდევ უფრო აკონკრეტებს თავის პოზიციას ნებისმიერი შინაარსის გამოკვლევის დროს, სადაც პირდაპირ მიუთითებს, რომ „...თანამონაწილეობა დანაშაულში, არაპირდაპირი განზრახვით გამოირიცხება.“⁸³

თანამონაწილეობას ევენტუალური განზრახვით უარყოფს ასევე შეთანხმების თეორიის მომხრე ლ. გაუზმანი. მისი აზრით: „ნებისმიერი თანამონაწილის ქმედება, ამსრულებლისა და დაშხმარის ჩათვლით, ყოველთვის ხასიათდება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.“⁸⁴ ავტორი ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობას არასარწმუნოდ მიიჩნევს იმ არგუმენტით, რომ „მასთან ერთად თანამონაწილეობის ისეთი ნიშნის იგნორირება ხდება, როგორიცაა შეთანხმება, ანუ სურვილის გამოხატვა სხვისთან ერთად ჩაიდინო დანაშაული და მიმართო ქმედება შეთანხმების ფარგლებ-

⁸¹ შ. კოვალოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი პირველი, გვ. 281

⁸² Ф. Г. Бурчак, Соучастие в преступлении, автореферат докторской диссертации, М., 1986, с. 20

⁸³ იქვე, გვ. 21

⁸⁴ ლ. გაუზმანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12 ;

ში განსაზღვრული მიზნის რეალიზაციისაკენ. ამ შემთხვევაში — წერს იგი — პირს არ შეიძლება არ სურდეს დანაშაულებრივი შედეგის მიღწევა, ე. ი. მისი ფსიქიკური დამოკიდებულება განხორციელებული ხელშეწყობის მიმართ ყოველთვის პირდაპირი განზრახვით უნდა გამოიხატოს.“⁸⁵ განსახილველ საკითხზე ანალოგიურ პოზიციას აფიქსირებს ს. აფინოგენოვიც.⁸⁶

ქართველ მეცნიერთა შორის ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობას უარყოფენ ო. გამყრელიძე, ნ. გვენტაძე და თ. ებრაელიძე.⁸⁷ პროფ. ო. გამყრელიძის სამართლიანი თქმით თანამონაწილეობისას “შედეგობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ რამდენიმე მოქმედება და ჩადენილია ერთი დანაშაული.”⁸⁸ თანამონაწილეობის იმსტიტუტის ამ ფუნდამენტურ დებულებაზე დაყრდნობით იგი ლეგალურად აანალიზებს ევენტუალური განზრახვით დანაშაულში მონაწილეობის შესაძლო ვარიანტებს და მიდის დასკვნამდე, რომ განზრახვის ეს სახე დანაშაულის გამოვლინების ამ ფორმასთან შეუთავსებელია, რადგან იგი თანამონაწილეობის სტრუქტურის დაშლას იწვევს.⁸⁹

ნიშანდობლივია პროფ. ო. გამყრელიძის მსჯელობა ერთგვარი პარალელის გავლებასთან დაკავშირებით ევენტუალური განზრახვითა და გაუფრთხილებლობით, კერძოდ თვითიმედოვნებით განხორციელებულ დანაშაულს შორის. „პრაქტიკულად თვითიმედოვნების დასაბუთება — წერს იგი — ყოველთვის მოითხოვს შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვის უარყოფას და პირიქით. თუკი დამნაშავეს ერთ შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონით დაცული შედეგი შეუძლია „შეგნებულად დაუშვას“, მეორე შემთხვევაში მას შეიძლება ჰქონდეს ამ შედეგის „თავიდან აცილების

⁸⁵ ლ. გაუზმანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12-13

⁸⁶ ს. აფინოგენოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 20

⁸⁷ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 115-120; ნ. გვენტაძე, დანაშაულის ორგანიზატორი, დისტრტაცია იურ. მეც. კან... მოსაპოვებლად, თბ., 1994, გვ. 70-71. თ. ებრაელიძე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის დანაშაულებრივ და სხვა ანტისოციალურ საქმიანობაში ჩაბმისათვის, დისტრტაცია იურ. მეც. კან... მოსაპოვებლად, თბ., 1995, გვ. 70-71.

⁸⁸ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 115;

⁸⁹ იქვე, გვ. 116-117;

ქარაფშუგული ვარაუდი.“ ამიტომ ავგორის აზრით, „ან უნდა ვაღი-
აროთ, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირ-
ი განზრახვით, ანდა უნდა დავექანდეთ გაუფრთხილებლობითი თა-
ნამონაწილეობისაკენ საშუალო მდგომარეობა, ე. ი. ევენტუალური
განზრახვით თანამონაწილეობაზე შეჩერება შეუძლებელია.“⁹⁰

ჩვენი აზრით, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური
მხარის მოცულობა პირდაპირი განზრახვით უნდა შემოიფარგლოს.
თუმცა, განზრახვის სფეროში გავლებული ეს დემარკაციული მღვა-
რი ბუნებრივია სათანადო დასაბუთებას საჭიროებს. ამისათვის პირ-
ველყოფისა კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმ ღებულებას,
რომ რამდენიმე პირის მიზემობრივად გაერთიანებულმა მოქმედე-
ბებმა სუბიექტური კავშირის გარეშე შეუძლებელია შექმნას თანა-
მონაწილეობა დანაშაულში. ის გარემოება, რომელიც გაუფრთხი-
ლებლობითი თანამონაწილეობის მომხრეთა პოზიციას ახასიათებს
თეორიულად მეტად უსუსურია და მას რეალური მტკიცების არაფერ-
თარი საფუძველი არ გააჩნია.

მეორე მიმართულება კი, რომელიც თანამონაწილეთა გან-
ზრახ მოქმედებას ემხრობა, სუბიექტური მხარის გამაერთიანებელ
ნიშნად, როგორც უკვე ვნახეთ ბრალის ერთიანობას აღიარებს
(ნტაგანცევი). ასეთი პოზიცია უნდა ითქვას, რომ შედარებით გაუფ-
რთხილებლობით თანამონაწილეობის მომხრეთა პოზიციებისაგან
აშკარად „წინ“ გადადგმული ნაბიჯია, რადგან მასში თანამონაწი-
ლეობის ცნების აგებისათვის მიზემობრივი კავშირის გარდა დამა-
ჯერებლად დომინირებს სუბიექტური მხარის ერთიანობის მოთხოვ-
ნილებაც. თუმცა, ამ უკანასკნელი კონცეფციის ნაკლოვანებანიც
დღეისათვის ნათელია.⁹¹ კერძოდ, მიმართულება, რომელიც სოლი-
დარულ პასუხისმგებლობას აღიარებს და მას ბრალის ერთიანობაზე
აფუძნებს, ბუნებრივია იგი ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხის-
მგებლობის პრინციპს და ამ კუთხით გამოთქმული კრიტიკა, ჯერ

⁹⁰ იქვე, გვ. 119-120.

⁹¹ იხ. თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 50, თ. გამყარლიძე, დასახელე-
ბული ნაშრომი, გვ. 112-113, 121-122

კიდევ რუსეთის რევოლუციამდელი კრიმინალისგების მიერ, სრუ-
ლიად სამართლიანია.⁹²

მასმასაღამე, ყოველივე აქ ნათქვამიდან გამომდინარე იკვე-
თება ორი მოსაზრება: პირველი, რომ მხოლოდ მიზემობრიობაზე
დაყრდნობით, სუბიექტური მხარის ერთიანობის გარეშე თანამონა-
წილეობის აგება შეუძლებელია და მეორე, სუბიექტური მხარის
ასეთ გამაერთიანებელ ნიშნად ბრალის აღიარება დაუშვებელია.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი პოზიცია აღნიშნულ საკი-
თთან დაკავშირებით გარკვეულია, ესლა მიზანშეწონილად მიგვაჩ-
ნია იმის გარკვევა თუ რამდენად შესაძლებელია, რომ ორი ან რამ-
დენიმე პირის ევენტუალური განზრახვით განსორციელებული ქმე-
დებისას, არსებობდეს ის შინაგანი კავშირი, რომელმაც კავშალუ-
რად თანხვედრი მოქმედებების გაეთიანება და მათი დასჯადობა
უნდა განსაზღვროს არა უბრალოდ ერთი შედეგის გამოწვევისათ-
ვის, არამედ ერთიანი დანაშაულებრივი ქმედებისათვის. თანამო-
ნაწილეობისათვის გადაწყვეტება სწორედ ერთობლივი ქმედების
განხორციელება. ამიტომ იბადება კითხვა: არსებობს თუ არა ევენ-
ტუალური განზრახვის დროს ერთობლივი ქმედება და შესაბამისად
თანამონაწილეობის მტკიცების რეალური საფუძველი?

უპირველესყოფისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამარ-
თალში პირდაპირი განზრახვასთან შედარებით ევენტუალური გან-
ზრახვის გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად შეზღუდულია. იმთა-
ვითვე უნდა გამოერიცხოთ ევენტუალური განზრახვით თანამონაწი-
ლეობა ფინალურ დელიქტებში, რომლის საკანონმდებლო ფორ-
მულირება გარკვეულ მიზანს გულისხმობს. მაგალითად, ბინის ქუ-
რდობის დროს პირდაპირი განზრახვით უნდა მოქმედებდეს არა
მხოლოდ უშუალო გამტაცებელი, არამედ მისი დამხმარეც. წინააღ-
მდეგ შემთხვევაში დამხმარე, რომელიც ევენტუალური განზრახ-
ვით მოქმედებდა, შეუძლებელია ქურდობის თანამონაწილედ

⁹² ნიშნდობლივია, რომ პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის დაცვის თე-
ლსაზრისათ ერთიანი ბრალის და ნების საკითხს კრიტიკულად აფასებს არა მარ-
ტო გ. კოლოკოლოვი, არამედ, როგორც გ. კოლოკოლოვის ნაშრომიდან ირკვევა,
სოლიდარული პასუხისმგებლობის ამ სუსტ წერტილს აღიარებდა თურმე თვითონ
ნ. ტაგარცევიც. იხ. გ. კოლოკოლოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 48

ყენით. ვინაიდან მისი დასჯა იმ დელიქტისათვის, რომლის ჩადენაც მხოლოდ პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი დაუშვებელია. ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობა ანალოგიურ საფუძველზე უნდა გამოერიცხოს იმ დანაშაულებშიც, რომლის სუბიექტური მხარე მხოლოდ გაუფრთხილებლობით შემოიფარგლება, ანუ არ შეიძლება პირი, რომელიც განზრახ მოქმედებდა მან პასუხი აგოს გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის. მაშასადამე, აღნიშნული საკითხი გასარკვევია იმ გიპის დელიქტებში, რომელთა ჩადენა შესაძლებელია არა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ან მხოლოდ გაუფრთხილებლობით, არამედ ევენტუალური განზრახვითაც. ასეთი გიპის დელიქტს წარმოადგენს მკვლელობა, სხეულის დაზიანება და სხვ.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი, რომელსაც ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის არაერთი მომხრე თავისი პოზიციის საილუსტრაციოდ მოიშველიებს. გლაზოვს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს დანილოვის მოკვლა, ამისათვის დაქინებით თხოვს რევოლვერს ვორონინს. ამ უკანასკნელს კი არა თუ სურს დანილოვის სიკვდილი, არამედ ყოველნაირად ცდილობს, რომ გლაზოვს მისი მოკვლა გადააფიქრებინოს. თუმცა საბოლოოდ ვორონინი მაინც დასთანხმდა და ათხოვა რევოლვერი გლაზოვს. როცა განიხილავენ აღნიშნულ მაგალითს მ. შნაიდერი და სხვა კრიმინალისტები, მიიჩნევენ, რომ ვორონინი აქ არის დამხმარე, რომელმაც ევენტუალური განზრახვით ხელიშეუწყო მკვლელობას.³³

ჩვენ მართალია არ ვიზიარებთ ამ ავტორთა შეხედულებას და ვთვლით, რომ ვორონინის ხელშეწყობაში ამკარად იკვეთება ფსიქოლოგიური ამბივალენტურობა, რომლის ანალიზიც მის პირდაპირ განზრახვამდე უფრო შეტყვევებს, ვიდრე ევენტუალურზე,³⁴ მაგრამ პირობითად დავუშვათ, რომ ეს მართლაც ისეა, როგორც ამას მიიჩ-

³³ მ. შნაიდერი დასახელებული ნაშრომი, გვ. 55; თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 195-196; ლ. სურგულაძე, სისხლის სამართლის ამოცანათა კრებული, თბ., 1998, გვ. 190

³⁴ ან. დანჯილიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 274, 279-284; ვ. პოხოროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 273-274; თ. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 176-177

ნევს მ. შნაიდერი. ესლა შევამოწმეთ თბიექტურად განხორციელებული მოქმედებების სუბიექტური მხარე და გავიგოთ შესაძლებელია თუ არა ევენტუალური განზრახვით და პირდაპირი განზრახვით ჩადენილი მოქმედებები სუბიექტურად ერთმანეთს დავეუკავშიროთ. ამისათვის კი ოღნაჲ შეეცვალოთ ეს ფაქტობრივი მდგომარეობა და ვქვბათ, რომ გლაზოვს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა დანილოვის მოკვლა იგი მცდელობის ან კიდევ დანაშაულის მომზადების სგალიაზვევე (როცა უკვე ვორონინს გამოართვა იარაღი) დააკავეს. ამ ვითარებაში დანილოვის მოქმედების კვალიფიკაცია პრობლემას არ წარმოადგენს. ის დაკავების მიხედვით დაკვალიფიცირდება დანაშაულის მცდელობად ან კიდევ მომზადებად. მაგრამ საკითხავია ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირის სისხლის სამართლებრივი შეფასების საკითხი. შესაძლებელია თუ არა ის ამ შემთხვევაში ვყნით მკვლელობის მცდელობის თანამონაწილედ, ან მივეყო პასუხისგებაში დანაშაულის მომზადებისათვის? ევენტუალური განზრახვის ბუნებიდან გამომდინარე მომზადება ან მცდელობა ლოგიკურად შეუძლებელია. პირს არ სურს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება და ამდენად იგი არ შეიძლება, რომ მოუზადოს ასეთი დანაშაულის ჩასადენად ან მისი განხორციელების მცდელობა მოახდინოს. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია განხორციელებული შედეგის მიხედვით ხდება. მაშასადამე, იმ შემთხვევაში, როცა ერთი პირი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, ხოლო მეორე ევენტუალურით, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს თბიექტურად განხორციელებულ ერთი დანაშაულის შემადგენლობის გათიშვას, ე. ა. ამ შემთხვევაშიც მათ შორის არ არის შინაგანი სუბიექტური კავშირი, რომლის გამოც თანამონაწილეობა იშლება და დამოუკიდებლად მოქმედ პირთა უბრალო შექანიკურ ერთიანობად გადაიქცევა.

ამრიგად, ირკვევა, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, მსგავსად გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისა შეუძლებელს ხდის მიმემობრიობის თეორიას გავემიჯნოთ და ამის ძირითადი მიზეზი ევენტუალური განზრახვის ბუნებაში უნდა ვეძიოთ. სამართლიანად შენიშნავენ იურიდიულ ლიგურატურაში, რომ „ევენტუალური განზრახვა, მარ-

თალია, განზრახვის ერთ-ერთი სახეა და მკვეთრად არის გამიჯნული გაუფრთხილებლობისაგან, მაგრამ მათ შორის კავშირიც არსებობს, ისინი საერთო თვისებასაც აქვთ. ევენტუალური განზრახვა და გაუფრთხილებლობა, კერძოდ, მისი ერთ-ერთი სახე — თვითიმედოვნება ყოველთვის ენაცვლებიან ერთმანეთს. ეს ურთიერთ შენაცვლება იმას ნიშნავს, რომ დელიქტი, რომლის ჩადენა შესაძლებელია ევენტუალური განზრახვით, თავისუფლად შეიძლება ჩადენილი იქნეს გაუფრთხილებლობითაც. არ არსებობს ისეთი დელიქტი, რომლის ჩადენა შეიძლებოდეს ევენტუალური განზრახვით და არ შეიძლებოდეს თვითიმედოვნებით.⁵⁵ მოცემული მოსაზრების მართებულება ნათლად ელინდება ევენტუალური განზრახვით და თვითიმედოვნებით განხორციელებული დანაშაულის ურთიერთშედარებისას. ევენტუალური განზრახვის დროს დანაშაულს გათვალისწინებული აქვს თავისი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მართალია ეს შედეგი არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას. თვითიმედოვნებისას პირი ასევე ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამ შემთხვევაში უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ მოსალოდნელ შედეგს თავიდან აიცილებს. ერთი სიტყვით, იქ სადაც არის ევენტუალური განზრახვით დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობა, მაშინვე ჩნდება მისი თვითიმედოვნებით ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი. რადგან პირს თუ შეუძლია ესა თუ ის დანაშაულებრივი ქმედება შეგნებულად დაუშვას, მაშინ მეორე მხრივ მას შეიძლება ჰქონდეს მოსალოდნელი შედეგის თავიდან აცილების უსაფუძვლო იმედი. ანუ ჩვენს შემთხვევაში თუ დაეუშვებთ ევენტუალური განზრახვით დანაშაულებს ნებით თუ უნებლიეთ უნდა ვეღიაროთ მისი გაუფრთხილებლობით, კერძოდ კი თვითიმედოვნებით ჩადენის შესაძლებლობაც. ეს უკანასკნელი კი, ზემოთ გაკეთებული კრიტიკული ანალიზის ფონზე, ალბათ დამეთანხმებით, რომ დამატებით კომენტარს აღარ საჭიროებს.

⁵⁵ ი. გამკრელიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 118; თ. ებრაღიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 70-71.

ამრიგად, ორი ან რამდენიმე პირის მოქმედებათა დამთხვევა შეიძლება იყოს დანაშაულის შედეგის ერთობლივი მიზეზი, მაგრამ თანამონაწილეთა დაქაქული მოქმედებების ერთადერთ დამაკავშირებელ რგოლად შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი და არა ევენტუალური განზრახვა, რადგან განზრახვის ეს სახე არ იძლევა იმ სუბიექტურ სინკრეტულ ნიშანს, რომლის გარეშე თანამონაწილეობის აგება შეუძლებელია.

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის, როგორც დანაშაულის გამოვლინების განსაკუთრებული ფორმის წიაღში იმალება თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძვლის სწორედ ის სპეციფიური სახე, რომლის აგებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს პირდაპირი განზრახვის სფეროში არსებულ ობიექტურ ნიშანს. ამ ნიშნის გარეშე თანამონაწილეობის რთული მექანიზმი იშლება და იქცევა დამოუკიდებლად მოქმედ პირთა გარეგნულ დამთხვევად, რომლებიც მიზეზობრივად განაპირობებენ ერთ დანაშაულებრივ შედეგს. ერთი შედეგის გამოწვევა კი თავისთავად ჯერ კიდევ არ ნიშნავს თანამონაწილეობის არსებობას და შესაბამისად, თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძვლის თვალსაზრისით ჩვენ ვემიჯნებით მიზეზობრიობის თეორიას.

§ 3. კორუფციის თეორია

მიზეზობრიობის თეორიისაგან განსხვავებით კორუფციის თეორია თანამონაწილეთა დასჯადობას სხვა პრინციპში განიხილავს. კერძოდ, ამ მიმართულების თანახმად, თანამონაწილე (წამქმნებელი) ისჯება არა იმ სიკეთის დაზიანებისათვის, რომელსაც დანაშაულის ამსრულებელი ხელყოფს და ამიანებს, არამედ ამსრულებლის კორუფციისათვის. თანამონაწილე შეაყდეს ამსრულებელს, ბრალეულად აქცევს, ე. ი. ხელყოფს მის პიროვნებას. მაშასადამე, თანამონაწილე და ამსრულებელი ორ სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს აზიანებენ: ა) ამსრულებელი ხელყოფს სისხლის სამართლის კერძო ნაწილით დაკულ სამართლებრივ სიკეთეს; ბ)

თანამონაწილე კი, — ამსრულებლის პიროვნებას, ახდენს რა მის სულიერ დეგრადაციას. აღნიშნული კონცეფცია ძირითადად გაბატონებულია შვეიცარიულ იურიდიულ დოქტრინაში.

ს. გრეჟსელი, რომელიც ცდილობს დაწვრილებით გადმოგვეყვას აღნიშნული მოძღვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები, უპირველესყოფლისა, მისი წარმოშობის სათავეებს იკვლევს. ავტორი ამასთან დაკავშირებით შეგვესა და ბურის მოსაზრებებს ეყრდნობა, რომლის მეშვეობითაც გვიჩვენებს, რომ განსახილველი საკითხის სათავე ძველი რომის სამართალში უნდა ეძიებოდნენ.⁹⁶ ლანგე ამ კონცეფციის ანალიზისას ამტკიცებს კანონიკური სამართალიდან პირდაპირ გადასვლას გლოსატორების გავლით საერთო სამართალში.⁹⁷ მოსაზრება, რომლის თანახმადაც წამქმნებელი წაქეზებულის სულიერ მკვლელობას სჩადის, და მამასადაც, დამოუკიდებელ უმართლობას ახორციელებს, გავრცელებული ყოფილა ჯერ კიდევ კანონიკურ სამართალში. აღნიშნულმა კონცეფციამ, ცხადია, ცვლილებები განიცადა, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს თეორია თავის ინგერეს თანამედროვე სისხლის სამართალშიც არ კარგავს.

კრიმინალისგთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის საკითხი, თუ რაში მდგომარეობს წამქმნებლის მიერ წაქეზებულის შეცდენა, მისი „ბრალეულად ქცევა და სასჯელის დამსახურება“, ანუ „კორუმპირება.“ ს. გრეჟსელის აზრით, აღნიშნული საკითხის კონსტანტაცია მხოლოდ ფედერალურ სასამართლოს განმარტებებზე დაყრდნობით შეუძლებელია, რადგან ეს იქნება სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის პერეფრაზირება. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ „...წამქმნებლის დისკადობა არ ეფუძნება ფიქციას, რომ თითქოს, წამქმნებელმა თვითონ განახორციელა ეს ქმედება, არამედ იგი იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ წამქმნებელი იმსახურებს იმავე სასჯელს, როგორც ის პიროვნება, რომელსაც მან დანაშაულის ან გადაყდომის ჩასაღწევა უბიძგა და ამით შეცდომაში შეიყვანა.“⁹⁸

⁹⁶ S. Trechsel, Der Strafgrund der Teilnahme, Bern, 1967, s.3

⁹⁷ იქვე, გვ. 3

⁹⁸ იქვე, გვ. 6

ს. გრეჟსელი წამქმნებლის მიერ წაქეზებულის შეცდენასა და სასჯელამდე მიყვანის შესახებ, კრიმინალისგთა მოსაზრებების ოთხ ძირითად კლასიფიკაციას იძლევა: ა) მორალურ თეოლოგიურ ასპექტს; ბ) ხასიათის მოშლას; გ) კანონმორჩილების განწყობის ხელყოფას; და დ) ზოგადსამართლებრივი სიმშვიდის საფრთხეში ჩაყენებას.

ა) მორალურ-თეოლოგიური ასპექტის წარმომადგენლები პარალელს ავლებენ ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრებასა და შეცდენის, ანუ „სულიერ მკვლელობას“ შორის თეოლოგიური მნეობის თვალსაზრისით. მათ მოჰყავთ შესაბამისი ციგატები ბიბლიიდან, რომ „ვინც მორჩილთ შეაცდენს ორმოში ჩავარდება“, ან კიდევ „რომელი სულიც ცოდავს უნდა მოკვდეს.“ ამ თვალსაზრისით სხვისი შეცდენა ცოდავად არის მიჩნეული. ცოდვის ჩადენა კი ნიშნავს „სულიერ სიკვდილს.“ აღნიშნულიდან იკვეთება, რომ წამქმნებლობა განიხილება, როგორც წაქეზებულის სულიერი მთლიანობის ხელყოფა, ე. ი. საკუთარი სამართლებრივი სიკეთის დარღვევა. ამით ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული ამსრულებლის პიროვნებისადმი ვნების მიყენება და უკან არის დატოვებული წამქმნებლის კაუზალური თვალსაზრისი დანაშაულებრივი შედეგის მიმართ. შეცდომაში შეყვანის ასეთი ახსნა, სამართლიანად წერს ს. გრეჟსელი, რომ საერო სისხლის სამართლისათვის მიუღებელია, რადგან დანაშაულის ცნების სტრუქტურაში მოთავსებულია ბრალის და არა ცოდვის ცნება.⁹⁹

ბ) სადავოა საკითხი, წაქეზების მეშვეობით ხდება თუ არა ამსრულებლის ხასიათის მოშლა, მისი გახრწნა (Die Charakterverderbnis) და წამქმნებელი უნდა დაისაჯოს თუ არა ამსრულებლის ხასიათის მოშლისათვის. ამ თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ თუ წამქმნებელმა ერთხელ ჩაიდინა დანაშაული და მის მიმართ არ იქნა გატარებული შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებანი, ასეთი დამოკიდებულება პირის მიმართ კვლავ გზას უხსნის წამქმნებელს განმეორებით დანაშაულის ჩადენისაკენ. იმ შემთხვევაშიც, როდესაც წამქმნებლის ობიექტი (ამსრულებელი) მიდრეკილებას ავლენს

⁹⁹ S. Trechsel, Der Strafgrund der Teilnahme, Bern, 1967, s. 7-8

სამართალდარღვევისაკენ, მოუხდავად ამისა, დანაშაულად ითვლება წამქეზების მიერ მისი ხასიათის გახრწნა.

საწინააღმდეგო მოსაზრებაზე დგანან ბოკელმანი და ებერი. ისინი ამტკიცებენ, რომ ამსრულებელს შეიძლება უკვე გახრწნილი ხასიათი ჰქონდეს, ამიგომ მისი მეტად წახდენა შეუძლებელია. წამქეზებელი ამჩნევს წაქეზებულის ხასიათის სპეციფიკას, ანუ მას შეიძლება საქმე ჰქონდეს უკვე უვარგის ობიექტთან. წაქეზების დასჯადობის საფუძვლად ხასიათის მომლას არ ეთანხმება ს. გრექსელიც იმ მოსაზრებით, რომ საბოლოო ჯამში დანაშაულის ჩადენა მაინც ამსრულებელზე დაბოკიდებული, ამიგომ შემოქმედების ობიექტის თავისთავად წახდენილი ხასიათი ვერ იქნება წამქეზების დასჯადობის დამოუკიდებელი საბოძი.¹⁰⁰

გ) ს. გრექსელი უარყოფითად უდგება იმ საკითხსაც, რომ წაქეზების ობიექტი შეიძლება იყოს კანონმორჩილების განწყობა (Gesinnung), იყოს კანონის ერთგული და არ დაარღვიოს იგი. მისი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე უნდა ეხებოდეს არა წაქეზებულის ზოგად განწყობას, არამედ იმ სპეციფიკურ საკითხს, დაკული უნდა იყოს თუ არა კანონები. ამასთან, ბუნებრივია, საუბარი ვერ იქნება წაქეზებულის სამართლებრივი სიკეთის — კანონმორჩილების განწყობის ხელყოფაზე, რადგან ყოველთვის მასზეა (წაქეზებულზე) დამოკიდებული, განსაზღვროს თავისი განწყობა ისე, როგორც მას სურს. ამიგომ შეუძლებელია დამტკიცდეს, რომ წამქეზებელი თითქოსდა ურღვევს წაქეზებულს კანონმორჩილების განწყობას. შეუძლებელია იმიგომაც, რომ პირს, რომელსაც აქეზებენ, ასეთი განწყობა შეიძლება სულ არ მოეპოვებოდეს, ან კიდევ იგი შეინარჩუნოს ერთჯერადი დასჯადი ქმედების შემდეგაც. მამასადაამე, წამქეზებულმა რომ წაქეზებული საკუთარი ნების წინააღმდეგ ამოქმედა, ეს თავისთავად არ არის იმის საფუძველი, რომ ამ განწყობას უპირობო თანაგრძნობა გამოეუცხადოთ — დაასკენის ავტორი.¹⁰¹

დ) ს. გრექსელის აზრით, ძნელია დაეთხზო იმ შეხედულება-საც, რომ წამქეზების მოქმედება საფრთხეს უქმნის საყოველთაო

სამართლებრივ სიმშვიდეს (Rechtsfrieden). ის აანალიზებს სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ჩამოყალიბებულ მუხლებს, რომლის შემდეგაც მართებულად თვლის ებერის მოსაზრებას, რომ კორუფცია ვერ დაუკავშირდება სპეციფიკურად წამქეზების ქმედებას, რადგან გაიციხება იმისათვის, რომ ჩადენილი დანაშაულის გამო საზოგადოება შოთავს, არასგაბილურია და სხვა, ეხება ერთპიროვნულ ამსრულებელსაც. მამასადაამე, აქ შეუძლებელია მოეხიხოთ წამქეზების დასჯადობისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმი.¹⁰²

აღნიშნულ მიმართულებათა უარყოფითად შეფასების შემდეგ ავტორი კვლავ თეოლოგიურ არგუმენტს უბრუნდება. ამ მიმართულების ნაკლს იგი იმაში ხედავს, რომ „ყოღვა“ სისხლის სამართალში ბიბლიური, ლეთაებრივი გაგებიდან არის გადაგანილი. ამ გადაგანისათვის გამოსადეგი სუბსტანციის პოვნით ის წამოჭრილი საკითხის დოგმატურ გადაწყვეტას ცდილობს. „ყოღვა არის ლეთაებრისაგან მოწყვეტა,“ წერს გრექსელი. ამასთან, თუ რა რაოდენობით არგუნა ღმერთმა დამნაშავეს ცოღვა, ამის განსაზღვრა არც მოსამართლეს და არც კანონმდებელს არ ძალუძს. საზოგადოება კი, რომელიც საკადრის სასჯელს უდგენს დამნაშავეს, ამის მეშვეობით დამნაშავეს ღმინგეგრირებულს ხდის საზოგადოებისაგან და ღმინგეგრირებული სუბიექტი კანონის წინაშე რჩება. აქ კი შესაძლებელია პარალელის გაღლება „ყოღვასთან“ სოციალური ღმინგეგრაციის მდგომარეობა არის „ბოროტება“ დამნაშავისათვის. ეს გარემოება წამქეზებულს უბიძგებს იმისაკენ, რომ მან თავისი პატიოსნება დაივიწყოს. ის ნაკლებ ყურადღებას აქევეს თავის მოქმედებას, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული.¹⁰³

შეიძლება შეგვეკამათონ, — აგრძელებს ს. გრექსელი, — რომ წაქეზებული ხშირ შემთხვევაში თავიდანვე ასოციალური პიროვნება იყო და მას კონფლიქტი ჰქონდა საზოგადოებასთან. დამსჯელი ღონისძიებით მას შეუძლია ვითარებას შეურიგდეს და ყურად იღოს პასუხისმგებლობის განხორციელებისას წარმოქმნილი რჩევა. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ის ეუპასუხოს, — წერს ს. გრექსელი —

¹⁰⁰ S. Trechsel, Der Strafgrund der Teilnahme, Bern, 1967, s. 9-10

¹⁰¹ იქვე, გვ. 10-11

¹⁰² S. Trechsel, Der Strafgrund der Teilnahme, Bern, 1967, s. 11

¹⁰³ იქვე, გვ. 12

რომ ასოციალური პიროვნებისათვის მნიშვნელობა აქვს, გაილაშქრებს თუ არა ის პირთა მცირე წრის წინააღმდეგ და საკუთარი არჩევანით, თუ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, კონფლიქტი აქვს უშუალოდ მთელი საზოგადოების ავტორიტეტთან. ამსრულებელი როლესაც დანაშაულს სხადის, ნიშნავს, რომ მოხდა მისი ფსიქიკის დარღვევა და ამაში წამქეზებელია დამნაშავე. მოკლედ, ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების მაგერიალური შინაარსი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ წაქეზების შედეგად წაქეზებული მწვავე კონფლიქტშია ოფიციალურ საზოგადოებასთან.¹⁰⁴ მამასადამე, ამსრულებლის „სოციალური ინტეგრაცია“ არის ის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც ხელყოფს წამქეზებელი, ე. ი. ამსრულებლის და თანამონაწილის ხელყოფის ობიექტები სხვადასხვაა.

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში კორუფციის სხენებას, წამქეზებელთან კავშირში, პირველად ვხვდებით მ. კოვალიოვის ნაშრომში. მართალია, ავტორი განსახილველ საკითხს შედარებით ეხება,¹⁰⁵ თუმცა ამავე ნაშრომში დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ თანამონაწილის ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ამსრულებლის მიერ განხორციელებულ დანაშაულთან თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისას, — ამბობს მ. კოვალიოვი — მიზეზობრივი კავშირის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილეთა მოქმედება დანაშაულის ჩადენის ნებისმიერ სტადიაზე მიზეზობრივად დაკავშირებული ამსრულებლის ინტელექტუალურ ნებით მოქმედებასთან. თანამონაწილეთა მრავალფეროვანი მოქმედებანი ბოლოს და ბოლოს მთლიანად განზავდება ამსრულებლის მოქმედებაში. მიზეზობრივი კავშირის ყველა ძაფი, როგორც არ უნდა ისე იყოს გადაჯაჭვული ერთმანეთში, მიღის ამსრულებლის შეგნებაზე და ყოველთვის შემოქმედებს მასზე.¹⁰⁶

¹⁰⁴ S. Trechsel, Der Strafgrund der Teilnahme, Bern, 1967, s. 12-13

¹⁰⁵ კერძოდ, მ. კოვალიოვი მუთლიანად მარჯობს მოსაზრებას, რომ „თანამონაწილეობაში მხი ისეთი ფორმის დროს, როგორცაა წაქეზება, ძირითად ნიშნად გვევლინება არა ბოროტი გამოყენება ამსრულებლის, არამედ კორუფცია: წამქეზების ნებას მამართავს, რომელსაც მიზნად აქვს დასახული თავისი ბოროტი ნება თავს მოახუროს თავისუფლად მოქმედ ამსრულებელს“. М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть первая, Свердловск, 1960, с. 271

¹⁰⁶ მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 221-222

სწორედ ამ თვალსაზრისით თანამონაწილემ რომელმაც მუ მოქმედება მოახდინა ამსრულებლის შეგნებაზე, აღუძრა მას დანაშაულის ჩადენის მოტივი, განაპირობა მისი ნება, გადაწყვეტილება და საბოლოოდ მისი ქცევაც კი. ამ შემთხვევაში ფაქტია, რომ წამქეზებული მიზეზობრივად დაკავშირებული ამ ქცევასთან, ხოლო მისი შეშვეობით იმ შედეგთანაც, რომელიც გვევლინება ამსრულებლის უშუალო მოქმედების შედეგად მამასადამე, ამსრულებელი, რომელიც შეგნებულად ითვისებს ამ ფსიქიკურ შემოქმედებას, ხოლო შემდეგ განახორციელებს ნებით აქტს, ამით კი არ გაწყვეტს მანამდე დაწყებულ მიზეზობრიობის ჯაჭვს, არამედ წამქეზებლის განზრახ მოქმედებას ჩართავს მიზეზობრივი კავშირის საერთო დონებაში. ეს ღებულება განიარსებულია იმ მეცნიერთა მიერ, რომლებიც უარყოფენ ნების აბსოლიტური თავისუფლების იდეას, რის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ამეამად კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. კერძოდ, კორუფციის თეორიის მანკიერება მდგომარეობს არა მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის უარყოფაში, არამედ თანამონაწილეთა დასჯადობის ერთიანი საფუძვლის იგნორირებაშიც. სხვათა შორის ამ საკითხს საგანგებოდ გამოყოფს პროფ. ო. გამყრელიძე: „კორუფციის იდეის ერთ-ერთი ნაკლი არის ის, რომ ეს თვალსაზრისი ვერ გამოდგება თანამონაწილეობის ყველა სახის დასჯადობის საფუძვლად. კორუფციის იდეა მხოლოდ თანამონაწილეობის ერთ სახეს, კერძოდ, წამქეზებლობის დასჯადობას ასაბუთებს და იგი არ გამოდგება თანამონაწილეობის მეორე სახის, — დამხმარის დასჯადობის დასაბუთებისათვის.“¹⁰⁷ მართლაც, ამ მოსაზრებას არ უარყოფს თავად ს. გრეჩქელიც. იგი წერს, რომ რამდენადაც ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედება წამქეზებლის შემოქმედების შედეგად ხორციელდება და ის ახლეს ამსრულებლის „სოციალურ ლეზინტეგრაციას“, ამდენად, წამქეზებლის დასჯადობის ძირითადი ფარგლები ნათელია, მაგრამ სხვა მდგომარეობა გვაქვს მაშინ, როცა საქმე დამხმარებას ეხება. დამხმარე არ არის დანაშაულის ინიციატორი. იგი ამსრულებლის

¹⁰⁷ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12; ო. გამყრელიძე, თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი // სამართლებრივი ძიებანი, თბ., 1977, გვ. 118

მიერ დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილების თანამონაწილეა, ის ემხრობა მას, დამხმარე მოქმედებს არა ამსრულებლის საწინააღმდეგოდ, არამედ მის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, ის არ ახდენს ამსრულებლის სოციალურ ლეზინგერაციამზე ზეგავლენას, ამიტომ მისი დასჯადობა მიზეზობრივ კავშირზე დაფუძნებული. წამქეზებლის დასჯადობის საკითხი კი თანამონაწილეობის სწავლებისას მხოლოდ კორუფციის თეორიით უნდა შემოიფარგლოს.¹⁰⁸ ს. გრექსელის მიერ წამოყენებული ეს დებულება ის ნიშანსევეა, რომლის ირგვლივაც გარკვეული ყურადღების გამახვილება ნათლად გამოკვეთს დანაშაულის წაქეზებისას მიზეზობრივი კავშირის უარყოფის ფორმალურ ხასიათს. კერძოდ, ამ თვალსაზრისის თანახმად გამოდის, რომ დამხმარის ფსიქიკური მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ განხორციელებულ შედეგთან. დამხმარე შეიძლება შემოქმედება მოახდინოს ამსრულებლის ინტელექტუალურ-ნებით მოქმედებაზე და ამ გზით განაპირობოს დანაშაულებრივი შედეგი, ხოლო წამქეზებლის შემოქმედება, რომლის ფსიქიკური ინტენსივობის ხარისხი უფრო მაღალია, ამ შემთხვევაში უნდა უარყვით თანამონაწილის კაუზალური მნიშვნელობა, ანუ უნდა დაეუშვათ, რომ დამხმარე, რომელიც აძლევს რჩევადარიგებას ვთქვათ, მკვლელობის გათვალისწინებით, ამგვარი ხელშეწყობა კაუზალური ხასიათისაა, ხოლო თუ წამქეზებელი მუქარით, თხოვნით, მოსყიდვით ან სხვა გზით დაიყოლიებს მას იგივე ქმედების ჩასადენად, მაშინ მიზეზობრივი კავშირის ნივთიერება უნდა მოვახდინოთ. ასეთი მსჯელობა კი მოგვხსენებათ არათანმიმდევრულია.

ლოგიკური მსჯელობა მოითხოვს, რომ ან ორივე შემთხვევაში დაეუშვათ მიზეზობრივი კავშირის არსებობა ან კიდევ გავიზიაროთ კორუფციის იდეა და დამხმარეც წამქეზებლის მსგავსად ამსრულებლის კორუმპირებისათვის დაესაჯოთ. მაგრამ რამდენად საფუძვლიანია უკანასკნელი მოსაზრება? არსებობს კი გზა წამოყენებული პაპოთემის დასაბუთებისათვის? ფაქტია, რომ დანაშაულში დახმარებისას, უმეტეს შემთხვევაში, ერთიანი დანაშაულებრივი

ქმედების ინიციატივა და ხორცშესხმა, პირველ რიგში, თავად ამსრულებლიდან გამომდინარეობს. ეს გარემოება კი შეუთავსებელია კორუფციის თეორიის ამოსავალი დებულებისათვის. უფრო მეტიც, სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ შესაძლებელია დამატარალურად განსხვავებულ დასკვნამდეც კი მივიდეთ. მაგალითად, აჭარის არ-ის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1995 წლის 9 თებერვლის განჩინებაში ვკითხულობთ, რომ ვ. კუპრეიშვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა წარსულში არაერთგზის ნასამართლევ ვ. ვაშაკიძეს. მათ ერთად შეადგინეს ანგარების მიზნით არასრულწლოვან ი. ბერაძის განზრახ მკვლელობის გეგმა. ამ გეგმის თანახმად, ი. ბერაძე მოკვებით უნდა მიეყვანათ ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სახინკლეში, დაეთოთ და ავტომანქანით ქარელის რაიონში წაეყვანათ. მშობლებისაგან 100,000 ლლარის გადახდის შემდეგ ი. ბერაძეს მოკლავდნენ და გვამს დამალავდნენ. მიღებულ თანხას გაუნაწილებდნენ იმათაც, რომლებიც დასახული მიზნის განხორციელებაში დაეხმარებოდნენ. ვ. ვაშაკიძემ ამის შემდეგ დანაშაულებრივ კავშირში ჩააბა ა. ლევაძე, რომელიც დაკინებული და ენერგიული თხოვნით დაიყოლია ი. ბერაძის სახლიდან წამოყვანაზე და სახინკლეში მიყვანაზე. რის საფასურადაც, 6000 ლლარის გადახდას შეპირდა. აღნიშნული დანაშაულის ჩასადენად ბოროტმოქმედები არაერთხელ მოემზადნენ, თუმცა ა. ლევაძემ აღნიშნულ ადგილზე მსხვერპლის მიყვანა ვერ შეძლო.

გარკვეული ობიექტური პირობების შეცვლის გამო ვ. ვაშაკიძე დარწმუნდა, რომ ი. ბერაძის ქარელში ჩაყვანა ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ შეევალა გადაწყვეტილება და ა. ლევაძეს თხოვა, რომ ი. ბერაძე მასთან მიეყვანა სახლში. ა. ლევაძემ რამდენიმე დღის ლოდინისა და არაერთჯერ განხორციელებული მცდელობის შედეგად ბოლოს და ბოლოს, მოახერხა ი. ბერაძის მიყვანა ვ. ვაშაკიძის სახლში და დაუგოვა მას. ამ უკანასკნელმა კი მეორე თანამსრულებელთან მ. ბერიძესთან ერთად განხორციელა საზარელი მკვლელობა. ჯერ აგურის რამოდენიმეჯერ თავში ჩარტყმით მსხვერპლს დააკარგინა გონება, შემდეგ კი დანით დაჩეხა, გვამი ბეწარში გააბეხა და ბოსტანში დამარხა.¹⁰⁹

¹⁰⁸ S. Trechsel, Der Strafgrund der Teilnahme, Bern, 1967, s. 107-108

¹⁰⁹ აჭარის არ-ის უმაღლესი სასამართლოს არქივი, 1995 წ. საქმე №1-8.

ამ ვანდალური მკვლელობის ფაქტი დაწერილებით იმიტომ გაღმოვეცით, რომ მასში უდაოდ იკვეთება კორუფციის თეორიის უსუსურობა. ბრალეული თანამონაწილეობის ამოსავალი დებულებით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნულ მაგალითში ნათლად ჩანს, რომ არათუ დახმარებამ მოახდინა ამსრულებლის სოციალური ლემინგეგრაფია, არამედ პირიქით, ამსრულებელმა შეიყვანა ცდუნებაში დახმარე, მან დაიყოლია და ჩაითრია იგი დანაშაულში. ამიტომ აქ, რეალურად, ამსრულებელი მოგვევლინა დახმარის სოციალური ლემინგეგრაფორის როლში. მაგრამ თუ ეს გამოიკვეთა ფიზიკური დახმარების შემთხვევაში, მით უმეტეს, მეტი საბუთი გვაქვს ანალოგიური ვითარება ვამტკიცოთ ფსიქიკური დახმარების შემთხვევაში, რამეთუ ინგელექტუალური დახმარების დროს ერთიანი დანაშაულის განხორციელების ხორცშესხმა, მისი იდეური სულის ჩადგმა, პირველ რიგში, რაღაც ფორმით ამსრულებელიდან მომდინარეობს, თავად ამსრულებელი თხოვს დანაშაულის ჩადენის გაიოლების მიზნით მისცეს რჩევა-დარიგება, ინფორმაცია.¹¹⁰ ამის დაბადსგურებელია ის ფაქტორიც, რომ ფსიქიკური დახმარე კი არ აღუძრავს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, არამედ იგი შემოქმედებას ახდენს ადამიანზე, რომელსაც უკვე აქვს ასეთი განზრახვა და ხელს უწყობს მის რეალიზებაში. ამსრულებელს თანამონაწილის ამ სახესთან ურთიერთობაზე წარმოექმნება მოთხოვნილებები, რომლის დაკმაყოფილებაც დანაშაულის ჩადენასთან არის დაკავშირებული. ამიტომ, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ფიზიკური დახმარების ანალოგთან.

მაშასადამე, კორუფციის თეორიის გამოყენება დახმარესთან მიმართებაში შეუძლებელია. რადგან თანამონაწილის ეს სახე ვერ ახდენს ამსრულებლის კორუფციას. ამიტომ უნდა ვადიაროთ და ვამტკიცოთ, რომ დანაშაულში დახმარების ნებისმიერი სახე (როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური) მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან. მაგრამ თუ ეს ასეა და ამ მოსაზრებას, როგორც ზემოთ ვნახეთ, არ უარყოფს თავად ს. გრექსელიც, მაშინ მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს იგივე მოსაზრება

¹¹⁰ იხ. აქარის არ-ის უმაღლესი სასამართლოს არქივი, 1997 წ. საქმის №1-13, იგივე სასამართლო 1994 წ. საქმის №1-22

წარმატებით ვამტკიცოთ თავად წამქეზებლის მიმართაც, რადგან როგორც უკვე ვთქვით, წამქეზებლის ფსიქიკური ინტენსივობის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ფსიქიკური დახმარისა. ამ შედარებითი ანალიზის ჭრილში, ფაქტია, გამოიკვეთა კორუფციის თეორიის არათანმიმდევრული და მოჩვენებითი ხასიათი მიზეზობრივი კავშირის უარყოფის თაობაზე.

კორუფციის თეორიის კრიტიკული შეფასებისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ გარემოებაზე. ამ მიმართულების მომხრეები წამქეზებლის პასუხისმგებლობის და სასჯელის დადგენისას საბოლოოდ მაინც ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოცულობიდან გამოდიან. თუ ამსრულებელი ასრულებს დანაშაულს, თანამონაწილის დასჯადობის საკითხს დამთავრებული დანაშაულის მიხედვით განსაზღვრავენ, თუკი მან განახორციელა მცდელობა ან მომზადება, წამქეზებლის დასჯადობის საკითხი ობიექტური თვალსაზრისით შესაბამისად ამსრულებლის ქმედების პროპორციულად განისაზღვრება. ამ მოსაზრებას არ უარყოფს თავად გრექსელიც.¹¹¹ მაგრამ, თუ ეს ასეა და წამქეზებლის სასჯელის განსაზღვრა დამოკიდებულია იმ ფაქტორზე, თუ რა სახის დანაშაული ჩაიდინა ამსრულებელმა, ამ კუთხით, კიდევ ერთ ლოგიკურ შეუსაბამობას ვაწყდებით. კერძოდ, წამქეზებლის და ამსრულებლის მიერ სხვადასხვა სიკეთითა დაზიანება, მაგრამ სანქციის ზომა და სახე, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი რეპრესია უნდა განეხორციელოთ, საერთოა ორივესათვის (როგორც თანამონაწილისთვის, ისე ამსრულებლისთვის). დაეუშვათ, თუ ამსრულებელმა მკვლელობა ჩაიდინა, რისთვისაც შეგვიძლია სასჯელის ზომად დავუნიშნოთ 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, იგივე სანქციის ზომა მექანიკურად უნდა მოვარგოთ თავად წამქეზებელსაც. სწორედ მექანიკურად, იმიტომ რომ წამქეზებელს ამსრულებელთან ერთად საერთო სიკეთე კი არ დაუზიანებია, არამედ მან (წამქეზებელმა) თავად ამსრულებლის პიროვნება ხელყო. ამ თვალსაზრისით, სანქციის ზომა შეუძლებელია წამქეზებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს შევესაბამოთ, რადგან დანაშაულის სიმძიმის და შესაბამისი სანქციის დადგენის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი

¹¹¹ S. Trechsel, Der Strafgrund der Teilnahme, Bern, 1967, s.107-108

ხელყოფის ობიექტის ღირებულებაა. ამიგომ ამ ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით გამოდის, რომ სიციხის ღირებულება უნდა გავეთანაბროთ ამსრულებლის სოციალურ ღებინგეგრაფიას. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მართალია, სოციალური ღებინგეგრაფიის კრედო წამქეზებლის მიერ ამსრულებლის პიროვნებისათვის მიყენებულ ბოროტებაში გამოიხატება და რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო მეტი უნდა იყოს წამქეზებლის პასუხისმგებლობაც, მიუხედავად ასეთი კავშირისა ეს ფაქტი, *Alter ego*-მე¹¹² არაფრით არ დაიყვანება. კორუფციის თეორიის მიხედვით, თუ წამქეზებელი სხვის მოსაკლავად აქეზებს ამსრულებელს, არ შეიძლება თვითონაც ჩაენაცვლოს და სასჯელი მკვლელობის მუხლით დადგენილი სანქციის ფარგლებში განესამღვროს, თუნდაც იმიგომ, რომ დაუშვებელია პირი ამსრულებლის სოციალურ ღებინგეგრაფიას ახდენდეს და სასჯელს მკვლელობისათვის იხდიდეს.

აღნიშნული თეორია მიუღებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი მტკიცება ფაქტობრივად ძირს უთხრის თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას. კერძოდ თუ წამქეზებელი (ან დამხმარე) ამსრულებლის სოციალურ ღებინგეგრაფიას ახდენს და მაშასადამე, დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს ამიანებს, აქედან გამომდინარე იკვეთება მოსაზრება, რომ თანამონაწილე შეუძლებელია იმ დანაშაულის მონაწილე ვენოთ, რომელსაც ამსრულებელი სჩადის, წამქეზებელი უკვე დამოუკიდებელი დელიქტის ამსრულებლად გვევლინება. თანამონაწილესა და ამსრულებელს შორის ზღვარი იშლება. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ო. გამყრელიძე, რომ სოციალური ღებინგეგრაფია, რადგან კორუფციის თეორიის თანახმად დამოუკიდებელი სამართლებრივი სიკეთის სახით გვევლინება, ეს იმაზე შიგვანიშნებს, რომ „წამქეზებლობა თანამონაწილეობის ერთ-ერთი სახე კი არ არის, არამედ ისეთივე დამოუკიდებელი დანაშაულებრივი გამოვლინება ყოფილა, როგორც არის ამსრულებლობა. წამქეზებლობა დამოუკიდებელი შინაარსის უმართლობაა, რადგან იგი ამსრულებლის უმართლობისაგან განსხვავებულ სამართლებრივ სიკეთეს ამიანებს. აქედან კი ერთადერთი დასკვნა

¹¹² *Alter ego* ლათ. „სხვა მე“ ვინმესთან იმდენად ახლო შოფი ადამიანი, რომ შეუძლია მისი შეცვლა.

გამომდინარეობს: ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება, ასე კორუფციის იდეა, საერთოდ უარყოფს დანაშაულში თანამონაწილეობის ცნებას; მაშასადამე, იშლება ყოველგვარი ზღვარი თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის.¹¹³ ამ თვალსაზრისით, ფაქტია, უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება თანამონაწილეობის ინსტიტუტის არსებობაც. რადგან ჩნდება „რეალური შანსი“ იმისათვის, რომ წამქეზებლობა დანაშაულის კერძო ნაწილში ჩამოვაცალიდით და ამ შემადგენლობის ჩამდენ პირს ამსრულებელი ვეწოდოთ. საკითხის ამ კუთხით დასმა ხელოვნური იქნება და ის ამკარად წარმოქმნის დაუძლეველ ბარიერებს, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ასევე სასჯელის ინდივიდუალიზაციის კუთხით. უპირველესყოფისა, ეს ეხება სანქციის მომისა და სახის განსაზღვრას, რადგან წამქეზებლის დანაშაულებრივი სიმძიმის ხასიათი შეუძლებელია თავისთავად განესაზღვროთ იმ დანაშაულთან კავშირის გარეშე, რომელ დანაშაულისკენაც ის აქეზებს. გაურკვეველი დარჩება წამქეზების მცდელობისა თუ მომზადების, ჯაჭვური თანამონაწილეობის კვალიფიკაციის საკითხები და სხვ. ერთი სიგყვით, ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საეჭვოა ამ თეორიის პრაქტიკული ღირებულება.

თეორიული თვალსაზრისით, წამქეზებელი და ამსრულებელი, რომ სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფენ ამის ძირითად ლეიტმოტივად, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ის მოსაზრება მოხყავთ, რომ თანამონაწილის მოქმედება არ არის მიზეზობრივ კავშირში ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან, ე. ი. ამსრულებელი, რომელიც თავისუფლად გადაწყვეტს დანაშაულის ჩადენას, ყოველთვის იწყებს მიზეზობრიობის ახალ ჯაჭვს. ასეთი პოზიცია კი პრინციპულად მიუღებელია ქართული სისხლის სამართლის სკოლისათვის, რომელიც უარყოფს ადამიანის ნებისყოფის აბსოლუტური თავისუფლების (ინდერტერმინიზმი) კონცეფციას.

ჩვენი სისხლის სამართლის სკოლა აღნიშნულ საკითხს დეტერმინიზმის პოზიციიდან განიხილავს „...ადამიანის ნებისყოფა —

¹¹³ ო. გამყრელიძე, თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი // სამართლებრივი ძიებანი, თბ., 1977, გვ. 118-119

წერს თ. წერეთელი — განპირობებულია არა თვით ნებისყოფის მიერ, არა სიყარველიდან, არამედ ადამიანის გარემოს მიერ, რამდენადაც ადამიანის ნებისყოფა დეგერმინირებულია გარემომცველი სამყაროთი, იმდენად ადამიანი თავისი ნებისმიერი მოქმედებით როდი იწყებს მიზეზობრიობის ახალ ჯაჭვს, რომელიც წყვეტს მიზეზობრიობის მანამდე არსებულ ჯაჭვს, არამედ განაგრძობს მას, შემადგებს ახალ რგოლებს.¹¹⁴ სწორედ, ადამიანის მოქმედების დეგერმინირებული ხასიათის გამო, ფსიქიკური თანამონაწილის მოქმედება არ რჩება მიზეზობრივი ჯაჭვის გარეშე, არამედ მისი ერთერთი რგოლია, რადგან „ფსიქიკური თანამონაწილის შემოქმედება გაივლის ამსრულებლის ცნობიერებაში, გახდება მისი ნებულობითი მოქმედების მოტივი და ამგვარად ჩაერთვის მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში.“¹¹⁵ მაშასადამე, ადამიანის მოქმედება საბოლოო ჯამში გარეგანი სამყაროთი განისაზღვრება. იგი, კონკრეტული ვითარების ფორმაში შემოქმედებას ახდენს შეგნებაზე, ააქტიურებს პიროვნების ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. ამიტომ თანამონაწილის შეგავლენა დანაშაულებრივ ქმედებაზე დამნაშავეს შეგნების მეშვეობით მიდის და ძირითადი თვალსაზრისით ფსიქოლოგიური კანონზომიერების საფუძველზე მიედინება.

თანამონაწილეობისას მიზეზობრივი კავშირის არსებობას მხარს უჭერს პროფ. ო. გამყრელიძე. იგი კრიტიკულად აფასებს რა კორუფციის თეორიის მთელ რიგ ამოსავალ დებულებებს, მიდის დასკვნამდე, რომ „ხსენებული თვალსაზრისი ნებისყოფის აბსოლუტური თავისუფლების იდეას ემყარება, რომელიც სრულიად უარყოფს ადამიანის მოქმედების დამოკიდებულებას (დეგერმინიზმი) გარეშე პირობებზე, რაც არსებითად მიუღებელია... ამ იდეის თანახმად წამქმნებლის მოქმედება არ შეიძლება იყოს მიზეზობრივად დაკავშირებული დანაშაულებრივ შედეგთან, რადგან ამსრულებელი გადაწყვეტილების მიღების მომენტში სრულიად თავისუფალია გარეშე ძალების შეგავლენისაგან. ამსრულებელი გადაწყვეტილების მიღების დროს იწყებს ახალ მიზეზობრივ ჯაჭვს, რომელიც დამოუკიდებელია, მოწყვეტილია წამქმნებლის მოქმედებას. მაგრამ წამ-

¹¹⁴ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., „მეცნიერება“, 1965, გვ. 16

¹¹⁵ იქვე, გვ. 17

ქმნებლის მოქმედების კაუზალური დამოკიდებულება ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან ფაქტია, რისი უარყოფაც არავითარ თეორიას არ ძალუძს.“¹¹⁶ აღნიშნულ პოზიციას ეთანხმება პროფ. გ. გყეშელიაძე.¹¹⁷

ამრიგად, ფაქტია, რომ თანამონაწილეობისას მიზეზობრივი კავშირის არსებობა გრადიციულ ხასიათს აკარებს და მისი უარყოფა მართლაც არავითარ თეორიას არ ძალუძს. აქედან გამომდინარე კი, ბრალეული თანამონაწილეობის კონცეფციის ამოსავალი დებულებები ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია. თუმცა, მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია ამ თეორიას დაეუკარგოთ ის ღირსება, რომელსაც იგი უდავოდ ფლობს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის შემთხვევები, როცა თანამონაწილის მოქმედება, ზოგჯერ მართლაც მიმართულია ამსრულებლის წინააღმდეგ და ხელყოფს მის პიროვნებას. თუმცა ასეთ შემთხვევებში თავისი ობიექტური ფორმით გამოხატული წაქმნება და დახმარება უკვე დანაშაულის ამსრულებლობად უნდა განიხილებოდეს.

იმ სიკეთეს, რომელსაც „წამქმნებელი“ ან „დამხმარე“ ხელყოფს, გამოკვეთილი სახე აქვს, ძირითადი მოქმედების შემსრულებელი პიროვნება დამოუკიდებელი სამართლებრივი სიკეთის სახით გვევლინება. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ჩამოყალიბებული დანაშაულის პროვოკაციის (145-ე მ.), ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე დაყოლიების (272-ე მ.), არასრულწლოვანის ანგისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმის (171-ე მ.) და სხვა დანაშაულის შემადგენლობანი.¹¹⁸

¹¹⁶ ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ. 18-19

¹¹⁷ იხ. გ. ტყეშელიაძე, თანამონაწილეობის პრობლემის საინტერესო გამოკვლევა, // შ „სამართალი“, 1991, №3-4, გვ. 137

¹¹⁸ იხ. ო. გამყრელიძე, თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი // სამართლებრივი ძიებანი, თბ., 1977, გვ. 123-126; თ. გბრაღიძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის დანაშაულებრივ და სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმანობაში ჩაბმისათვის, დისერტაცია იურ. მეც. კან... მოსაპოვებლად, თბ., 1995 წ.

რა თქმა უნდა, მოცემულ დანაშაულთა განხორციელება, წაქეზების სუროგატს არ წარმოადგენს. მათი ჩადენა დახმარების ფორმითაც არის შესაძლებელი. მაგალითად, თუ დამხმარე ანი, რომელსაც ოლიოური დამოკიდებულება აქვს ბ-ანის მიმართ და შურისძიების მოტივით, ჩხუბის დროს, თითქოსდა გ-ანის მოსაკლავად, მიაწვდის ცარიელი გყვიით გაგენილ იარაღს, ხოლო უკანასკნელი განახორციელებს მკვლელობის მცდელობას, ამ შემთხვევაში „დამხმარე“ პასუხს აგებს დასრულებული დანაშაულის პროვოკაციის ამსრულებლობისათვის. ამგვარი სახით მიწოდებული იარაღი ჩვეულებრივი გამოყენების თვალსაზრისით ნაშვლიად არ არის ის საშუალება, რომელიც შექმნილ ვითარებაში ამსრულებულს თავისი დანაშაულებრივი მიზნის რეალიზაციაში შეუწყობდა ხელს. ამიტომ, აქ დამხმარე ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას. მის მიერ ზიანის მიყენების ობიექტი გამოკვეთილ სახეს იღებს. ამას ადასტურებს ის ფაქტორიც, რომ „დამხმარე“ მოზვენებითი ხელშეწყობის განხორციელების დროს, წინასწარვე ისახავდა ამგვარ მიზანს. თავად მიზანი კი ორი ან რამდენიმე პირის მიერ ინკრიმინირებულ ქმედებათა იურიდიულ შეფასებაზე, კერძოდ, იმ საკითხის გამორკვევაში გვაქვს თუ არა თანამონაწილეობა დანაშაულში, არსობრივ შეგავლენას ახდენს. აღნიშნული საკითხი ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ თანამონაწილეთა დასჯადობის ერთიანი უმართლობის თეორიულ საფუძველს უკავშირდება, რომელიც კიდევ უფრო ღრმა და ფართო მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

§ 4. უმართლობის თეორია

უმართლობის ცნების, და თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში მისი როლის განსაზღვრისათვის აუცილებელია მოკლედ შევეხოთ სამართლებრივი აზროვნების განვითარების იმ ძირითად ეტაპებს, რომლებზეც გნოსეოლოგიური საფუძველი შექმნეს ახალი ქართული სისხლის სამართლის კოდექსში, პასუხისმგებლობის საფუძვლის დადგენისას, შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისათვის.

როგორც ცნობილია, საბჭოურ პერიოდში, გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველად აღიარებული იყო დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც თავისთავში მოიცავდა დანაშაულის კიდევ ორ ელემენტს – საზოგადოებრივ საშიშროებას (ე. წ. მაგერიალურ მართლწინააღმდეგობას) და ბრალს.¹¹⁹

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსეთის ფედერაციაში სისხლის სამართლებრივი რეფორმის გატარების შემდეგ პერიოდშიც, განსაკუთრებულ საკითხისადმი რუს მეცნიერთა პოზიცია არსებითად უცვლელია. უკანასკნელი პერიოდის სისხლის სამართლის არაერთ სახელმძღვანელოსა თუ კომენტარებში სმარად ხაზგასმითაა მითითებული, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი არის დანაშაულის შემადგენლობა.¹²⁰

უფრო მეტიც, 1998 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ „დანაშაული როგორც რეალური ფაქტი, არ შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველად გამოდგეს, რადგან დანაშაული ბევრ ისეთ ნიშანს შეიცავს, რომლებიც პასუხისმგებლობაზე შეგავლენას არ ახდენენ.“¹²¹ მართალია, სახელმძღვანელოს ავტორები არ აკონკრეტებენ, თუ რომელი ნიშნები აქვთ უშუალოდ მხედველობაში, თუმცა ზოგადად დასძენენ, რომ „მხოლოდ ნიშანთა ერთობლიობა, რომლებიც არსებითად საზოგადოებრივი საშიშროებისა და კანონში მითითებული დანაშაულის

¹¹⁹ Я. М. Брайнин, Уголовная ответственность и ее основание в советском уголовном праве, М., Юридат, 1963, с. 27- 28; В. Н. Кудрявцев, Общая теория квалификации преступлений, М., Юридат, 1972, с. 29-98; А. А. Пионтковский, Курс советского уголовного права, том II, М., Наука, 1970, с. 86-105 и др.

¹²⁰ Уголовное право России, Учебник для вузов. В 2-х томах. Т. I. Общая часть. Отв. редакторы А. И. Игнатов, Ю. А. Красиков. М., Изд. группа НОРМА-ИНФРА. М., 1998, с.79-88; Преступления и наказания в Российской Федерации, Популярный комментарий к уголовному кодексу РФ, Отв. редакторы А. Л. Цветинович, А. С. Горелик, М., изд. БЕК, 1997, с. 11-13; Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, изд. 2-е, под общей редакцией Ю. И. Скурятова, В. М. Лебедева, М., изд. группа НОРМА-ИНФРА -М, 1999, с. 5-6;

¹²¹ Уголовное право России, Учебник для вузов. В 2-х томах. Т. I. Общая часть. Отв. редакторы А. И. Игнатов, Ю. А. Красиков. М., Изд. группа НОРМА-ИНФРА.М, 1998, с.81

განსაზღვრული სახის დახასიათებისათვის, ქმნიან დანაშაულის შემადგენლობას, რომელიც დადგენაც საკმარისია დანაშაულის კვალიფიკაციისათვის,¹²² და აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის განხორციელებისთვისაც, ვინაიდან ამ მოსაზრებას მომხრეები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკმარის საფუძვლად სწორედ დანაშაულის შემადგენლობას თვლიან.

აღნიშნული საკითხის ამგვარ გადაწყვეტას, ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის ლიბერალიზმში, არ ეთანხმებოდნენ ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი, რომლებიც ძირითადად გერმანულ სისხლის სამართლის დოქტრინაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ამ მიმართულების მომხრეები¹²³ დანაშაულის შემადგენლობას განიხილავდნენ არა ერთადერთ საკმარის საფუძვლად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის, არამედ ერთ-ერთ აუცილებელ საფუძვლად დანაშაულის სხვა ელემენტების – საზოგადოებრივი საშიშროების (მართლწინააღმდეგობის) და ბრალის გვერდით. „დანაშაულის შესახებ – წერს ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი ცნობილი ნოვატორი პროფ. თ. წერეთელი – უნდა ვთქვათ, რომ მისი ჩაღწა გვევლინება <<აუცილებელ>>, <<ერთადერთ>> და <<საკმარის>> საფუძვლად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის, რადგან მასში (როგორც ყველაზე უფრო ზოგად ცნებაში) გაერთიანებულია ყველა ელემენტი, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და სასჯელს აფუძნებენ. თუმცა, ეს შეუძლებელია ვთქვათ დანაშაულის ცალკეულ ელემენტებთან მიმართებაში (იწებება ეს საზოგადოებრივად საშიში მოქმედება, ბრალი ან ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების შესაბამისობა კანონით აღწერილი ნიშნებისადმი). თითოეული მათგანი თავისთავად აღებული, მეო-

¹²² იქვე, გვ. 82

¹²³ Т. В. Церетели, В. Г. Макашвили, Состав преступления как основание уголовной ответственности // Ж., Советское государство и право, ИАН, 1954, №5 с.67-77; Т. В. Церетели, Основания уголовной ответственности и понятие преступления, // Ж., правоведение, ЛГУ, 1980, №2, с. 80-86; О. К. Гамкrelidze, Взгляд Т В Церетели на основание уголовной ответственности, Уголовно-правовые исследования, Тб., Мецшерева, 1987, с. 60-70; ი. გამყრელიძე, სისხლის-სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და დანაშაულის აღმდგენლობის საფუძვლი, იბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 125-138.

რისაგან დამოუკიდებლად, აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის.¹²⁴ მაშასადამე, ამ პოზიციის მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად აღიარებულია დანაშაული, ხოლო დანაშაულის შემადგენლობა, საზოგადოებრივი საშიშროების და ბრალის გვერდით წარმოდგენილია დანაშაულის ერთ-ერთ ელემენტად, რომელიც თავისთავად აღებული საკმარისი საფუძველი არ არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი მიმართულების მომხრეებს, დანაშაულის შემადგენლობის პასუხისმგებლობის საკმარის საფუძვლად გამოცხადების უარყოფის ერთ-ერთ პირველ არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ამ პოზიციის კვალობაზე, მათი აზრით, ხდება დანაშაულის შემადგენლობის და თვით დანაშაულის ცნებათა გაიგივება.¹²⁵ მართლაც, თუ მართლწინააღმდეგობა და ბრალი დანაშაულის შემადგენლობას ერწყმის და ამასთან, იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკმარისი საფუძველია, მაშინ ამ ლოგიკით დანაშაულის შემადგენლობა და თვით დანაშაული ილენგური შინაარსის შემცველი ცნებებია. აქედან გამომდინარე, გაუგებარია თვით დანაშაულის ადგილიც სისხლის სამართლის ცნებათა სისტემაში, ვინაიდან ერთი და იგივე ცნების აღსანიშნავად ორი ტერმინის არსებობამ არ შეიძლება სისხლის სამართლის სფეროში გაურკვეველობა არ გამოიწვიოს. სწორედ ამ კუთხით თუ შევხედავთ დასმულ საკითხს, მაშინ სამართლიანია თ. წერეთლის და მისი მომხრეების პოზიცია იმის თაობაზე, რომ „...ერთერთი მათგანი (დანაშაული ან დანაშაულის შემადგენლობა – ა. მ.) გედმეტია და უნდა განიღვინოს სისხლის სამართლის სფეროდან.“¹²⁶ თუმცა, მეორეს მხრივ, სათანადო არგუმენტებით დასაბუთებული ობიექტური რეალობა ცალსახად ადასტურებს სისხლის სამართლის ცნება-

¹²⁴ Т. В. Церетели, Основания уголовной ответственности и понятие преступления, // Ж., правоведение, ЛГУ, 1980, №2, с. 81; იბ. ასევე ი. გამყრელიძის დასახელებული ნაშრომი, გვ. 128.

¹²⁵ თ. წერეთელი, ვ. მაგაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 71; ი. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 128.

¹²⁶ თ. წერეთელი, ვ. მაგაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 71; ი. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 128.

თა სისხტემაში ორივე ცნების საჭიროებას, მაგრამ თითოეული მათგანისათვის თავისი ფუნქციური ადგილის მიკუთვნებით. ამ თვალსაზრისით კი თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი და ო. გამყრელიძე, ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ ნაშრომებში, სამართლიანად აღნიშნავენ, რომ დანაშაული არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთი საკმარისი საფუძველი, ხოლო დანაშაულის შემადგენლობა, ანუ პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონში განსაზღვრული ნიშნებისადმი, მართლწინააღმდეგობის და ბრალის გვერდით წარმოადგენს დანაშაულის, როგორც ზოგადი ცნების შემადგენელ ელემენტს.

აღნიშნულმა პოზიციამ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, თავისი საკანონმდებლო გამოხატულება პოვა კიდევაც საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის I ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედება.“

აღნიშნული მუხლის განზოგადებისას აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ლოგიკურად ასევე გამართლებულია ის თანმიმდევრობაც, რომლითაც დანაშაულის შემადგენლობას მოსდევს მართლწინააღმდეგობა, ხოლო შემდეგ ბრალი. ასეთი თანმიმდევრობისათვის საზგასმა ცხადია არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ თითქოსდა აქ ჩამოთვლილ ნიშანთაგან რომელიმე მათგანს ჩვენ გარკვეულ უპირატესობას ვანიჭებთ. პირიქით, სამივე ნიშანი თანაბარი მნიშვნელობისაა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის და მხოლოდ მაშინ, თუ ქმედება შეიცავს მე-7 მუხლში ჩამოთვლილ ყველა ელემენტს, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ჩადენილია დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის არის საკმარისი. მიუხედავად ამისა, დანაშაულის ცნების ელემენტთა ასეთ განლაგებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რომელიც ნათლად აისახება, როგორც ამ ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის, ასევე ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხის — სისხლისსამართლებრივი უმართლობის ცნების დადგენის პროცესში.

სისხლისსამართლებრივი უმართლობის ცნების შემუშავებისათვის, პირველყოფლისა, უნდა გავერკვეთ ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობის და ბრალის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემატიკაში. შემდეგ ჩამოვყავილით, თუ ამ ელემენტთაგან რომლები ქმნიან უმართლობას და რითი განსხვავდება ეს უკანასკნელი ერთი მხრივ დანაშაულისაგან, ხოლო მეორეს მხრივ, ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობისაგან. დასაძლ საკითხს ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც სისხლისსამართლებრივი უმართლობა სწორედ ის ძირითადი ობიექტური კრიტერიუმი, რომელზეც თანამონაწილეთა დასჯალობა უნდა დავაფუძნოთ. დასახული ამოცანის ლოგიკური გადაწყვეტის მიზნით, უპირველესყოფლისა უნდა დავასაბუთოთ, რომ ნიშნებს, რომლებიც პასუხისმგებლობის საფუძველს (დანაშაულს) ახასიათებენ, თითოეული ეს ნიშანი შეიძლება არსებობდეს დამოუკიდებლად, ანუ შეიძლება მოცემული იყოს პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა, მაგრამ ეს ქმედება არ იყოს მართლსაწინააღმდეგო, ან კიდევ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგოდ ჩადენილი, მაგრამ არ იყოს ის ბრალეულად განხორციელებული. ერთი სიტყვით, უნდა ვაჩვენოთ, რომ თითოეულ ამ ნიშანს აქვს თავისი ფუნქციონალური შინაარსი და ისინი უნდა გაერთიანდეს დანაშაულის ცნებაში და არა დანაშაულის შემადგენლობაში, როგორც ამას საბჭოური გაბატონებული დოქტრინა ან თანამედროვე რუსული სისხლის სამართლის ლიტერატურა წარმოაჩენს.

ქმედების შემადგენლობის და მართლწინააღმდეგობის ნიშანთა ურთიერთგამიჯენა სამართლიანად არის აღნიშნული ლიტერატურაში, რომ ნათლად ვლინდება მართლწინააღმდეგობის გამოშრიცხავ გარემოებათა კვალობაზე.¹²⁷ მაგალითად, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების

¹²⁷ იხ. თ. წერეთელი, ვ. მაყაშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 72-73; თ. წერეთელი დასახლებული ნაშრომი, გვ. 83; ო. გამყრელიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 131-132.

ფარგლებში.“ მოცემული მუხლი ცხადყოფს, რომ ქმედება შეიძლება შეესაბამებოდეს კანონით განსაზღვრულ ნიშნებს, მაგრამ ის არ იყოს მართლსაწინააღმდეგო. მაშასადამე, მართლწინააღმდეგობა არის დანაშაულის ნიშანი, რომელსაც გააჩნია თავისი დამოუკიდებელი შინაარსის მქონე ფუნქცია. მისი არ არსებობა სამართალდამცავ ორგანოებს ავალდებულებს გამოირიცხონ პასუხისმგებლობა პირის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ პირის ქმედება ფაქტობრივად სისხლის სამართლის კანონში აღწერილ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს ემთხვევა. ანალოგიური ვალდებულება მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით წარმოიშობა ასევე დამნაშავეს შეპყრობის (29-ე მ.), უკიდურესი აუცილებლობის (30-ე მ.), მართლზომიერი რისკის (31-ე მ.) შემთხვევებში. ამავე ინსტიტუტში ჩამოყალიბებული მოგადი ხასიათის ნორმაც, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან პირს სხვა მართლზომიერი ქმედების ჩადენის დროს ათავისუფლებს (32-ე მ.), ე. ი. ქმედება მართალია არ არის უშუალო სახელდებით მოხსენებული, მაგრამ ის შეიძლება შეესაბამებოდეს ამა თუ იმ მუხლში აღწერილ ნიშნებს, თუმცა არ იყოს დანაშაული, ანუ ქმედების არამართლსაწინააღმდეგო ხასიათმა შესაძლებელია საფუძველი გამოაყლოს ამ ქმედების მიმართ სისხლის სამართლებრივი რეაგირების განხორციელებას. ასეთი ვითარება შეიძლება წარმოიშვას მოვალეობათა კოლიზიის, დამარაღებულის თანხმობის, საკუთარი უფლებების განხორციელების თუ სხვა გარემოებების არსებობისას. ერთი სიტყვით, ყველა აქ ჩამოთვლილ შემთხვევაში, ქმედება შეიძლება შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის კანონით განსაზღვრულ ნიშნებს, ანუ გვექონდეს დანაშაულის შემადგენლობა, თუმცა არ იყოს ის მართლსაწინააღმდეგოდ ჩაღუნილი, ე. ი. დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება არსებობდეს და არსებობს კიდევაც ამ ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე.

იმ დებულების დასადასტურებლად, რომ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი არ შეიძლება იყოს მართლწინააღმდეგობა, საგულისხმო არგუმენტია ისიც, რომ პირველი მათგანი წარმოადგენს არსებულ ფაქტს, ხოლო მეორე — ამ ფაქტის, ანუ ქმედების შეფასებას. სამართლიანად წერს პროფ. თ. გამყრელიძე, რომ „...მართლწინააღმდეგობა შეფასებაა, იგი ქმედობის უარყოფითი შე-

ფასებაა. თვითონ ქმედობა არის ის მასალა, რომელსაც უარყოფითად აფასებს სამართალი. ამიტომ მასალა და მისი შეფასება სხვადასხვაა. შეფასება არ შეიძლება ამ მასალის (შემადგენლობა) აუცილებელი ნიშანი იყოს. მართლწინააღმდეგობა რომ შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი იყოს, მაშინ მან თავისი თავი უნდა შეაფასოს.“¹²⁸ მართლაც, ამ ალოგიზმურ თეზისს თავი რომ დაეაღწიოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ კომპონენტს, რომელიც ფასდება და რომლითაც ფასდება სხვადასხვაა, და ეს უკანასკნელი არ შეიძლება შერწყმული იყოს პირველთან.

დებულება, რომ დანაშაულის შემადგენლობა არსებობს მართლწინააღმდეგობის გარეშე, ლოგიკურად ასაბუთებს იმ თეზისსაც, რომ მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობა არ შეიძლება პასუხისმგებლობის ერთადერთ საკმარის საფუძველს წარმოადგენდეს. ფორმალურ ლოგიკაზე დაყრდნობით გამოგანილი ასეთი დასკვნა სწორია და ის განსაკუთრებულ დავას არ უნდა იწვევდეს. დანაშაულის შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა არის დანაშაულის, ანუ უფრო მოგადი ცნების შემადგენელი ელემენტები, რომელთა არსებობაც იძლევა შესაძლებლობას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ვიმსჯელოთ. ვიმსჯელოთ იმიტომ ვამბობთ, რომ პასუხისმგებლობის საფუძვლის, ანუ დანაშაულის არსებობისათვის აუცილებელია კიდევ ერთი ნიშანი — ბრალი.

შესაძლებელია თუ არა, რომ აღნიშნული ნიშანი(ბრალი) დანაშაულის შემადგენლობის ცნების ქვეშ განიხილებოდეს? თუ საბჭოური პერიოდის სისხლის სამართლის ლიგერატურას გადავხედავთ, ამკარად იკვეთება იმ ავგორთა უმრავლესობა, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის სტრუქტურაში მოიაზრებდნენ საზოგადოებრივ სამიშროებას (მართლწინააღმდეგობას) და აქედან აკეთებდნენ იმ დასკვნასაც, რომ ბრალიც დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. ამ თვალსაზრისით საზოგადოებრივი სამიშროების (მართლწინააღმდეგობის) ცნების საკითხი არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ ქმედება აყენებდა ან შეიძლება მიეყენებინა მიანი საზოგადოებრივ ღირებულებებს, არამედ აუცილებელი იყო

¹²⁸ თ. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 132

განხორციელებული ქმედების ბრალეული ხასიათი,¹²⁹ ანუ ბრალი, საზოგადოებრივ სამიშრობასთან (მართლწინააღმდეგობასთან) ერთად, დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ კომპონენტად განიხილებოდა და ეს, სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან ამ მიმართულების მიხედვით, პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძვლად აღიარებულია დანაშაულის შემადგენლობა.

ამგვარი პოზიცია მცდარია და ის ქართველ მეცნიერთა მიერ სრულიად სამართლიანად იქნა უარყოფილი.¹³⁰ ამ მოსაზრებითა გამოიარება და მათი თანმიმდევრული გატარება პრაქტიკაში რეალურად ნიშნავს იმას, რომ უარი უნდა ვთქვათ ფსიქიკურად დაზარალებულთა მიმართ იძულებითი სამედიცინო ღონისძიებების გატარებაზე. ცნობილი ფაქტია, რომ ასეთმა პირმა, შეუძლებელია ბრალეულად იმოქმედოს, თუმცა მას შეუძლია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება განახორციელოს, რომელი მოქმედებაც შესაბამისად რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსით. მაშასადამე, შეურაცხადის მოქმედება თავისთავად არ არის იმის მტკიცების საფუძველი, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა, ხოლო მეორეს მხრივ არც იმის, რომ პირს არ განუხორციელებია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. აღნიშნულიდან კი ლოგიკურად ელინდება, რომ ბრალი დანაშაულის, როგორც ზოგადი ცნების შემადგენელი ელემენტია და ის არ ერწყმის დანაშაულის შემადგენლობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ შეურაცხადის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის თაობაზე ქართულ მეცნიერებაში არსებობს განსხვავებული პოზიცია. მაგალითად, პროფ. გ. ნაჭყებია მიიჩნევს, რომ რამდენადაც მართლწინააღმდეგობა ქმედების უარყოფითი შეფასებაა, ხოლო შეფასების საგანი მხოლოდ გონიერული სამრისით წარმართული ქმედება შეიძლება იყოს, აქედან გამომდინარე „შეურაცხადი პირის ფაქტობრივად სამიში მოქმე-

¹²⁹ Курс советского уголовного права, часть общая, изд. ЛГУ, 1968, с. 164, 318; Н. Ф. Кузнецова, преступление и преступность, МГУ, 1969, с. 70, 76 и др.

¹³⁰ თ. წერეთელი, დასახლებული ნაშრომა, გვ. 84; თ. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დაჯგუფების საფუძველი, თბ., „მეცნიერება“, 1989, გვ. 134-136.

დების მართლწინააღმდეგობა შეუძლებელია, რადგან შეურაცხად პირს გონიერული სამრისით მოქმედება არ შეუძლია.“¹³¹

ესააღი, პროფ. გ. ნაჭყებიას თავისი მეცნიერული მოღვაწეობით, უთუოდ დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სისხლისსამართლებრივი აზროვნების განვითარებაში, მიუხედავად ამისა, აღნიშნულთან დაკავშირებით გვსურს მოკრძალებით გამოვხატოთ ჩვენი განსხვავებული პოზიცია. უნდა შევნიშნოთ, რომ შეურაცხადის მოქმედების ამგვარი ანალიზი სამართლებრივი თვალსაზრისით, მის ინდიფერენტურულ ხასიათზე მიუთითებს, ანუ თუ შეურაცხადის მოქმედება არ შეიძლება მართლსაწინააღმდეგოდ შევაფასოთ, მაშინ ვერც მართლზომიერად შევაფასებთ. აქედან გამომდინარე, შეურაცხადის ნებისმიერი მოქმედება სამართლებრივი რეგულირების გარეთ უნდა მოექცეს. ეს კი სხვა, რომ არაფერი ვთქვათ, ლოგიკურად დასვათ საკითხს შეურაცხადის მიერ საზოგადოებისათვის მოსალოდნელი საფრთხის რეგულირების თაობაზე. წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ შეურაცხადი პეტრე თავს ესხმის პავლეს. აქვს თუ არა ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელს აუცილებელი მოგერიების უფლება? ცხადია რომ აქვს. მაგრამ საიდან წარმოეშობა პირს ეს უფლება, თუ სისხლის სამართლის კოდექსში ეს კონკრეტული ფაქტი კანონმდებლის მიერ არ იქნება მართლსაწინააღმდეგოდ შეფასებული. მაშასადამე, აუცილებელი მოგერიების უფლება თავისთავად შეურაცხადის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების გარეშე კი არ მოიაზრება, არამედ მასთან მჭიდრო კავშირში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მოგადად უფლება არსებობს იმდენად, რამდენადაც არის მისი რეალიზაციის საშუალება, ანუ სამართლით გარანტირებული ის პირობები, როცა ამ უფლების გამოყენება შეიძლება. მაგრამ თუ შეურაცხადის მოქმედებას სამართლებრივად ინდეფერენტურულად ვაცხადებთ, მაშინ ასეთ შემთხვევაში მომგერიების უფლებაც მაშინვე ალოგობმად გადაიქცევა. ერთი სიტყვით, ეს ობიექტური ფაქტორიც საკმარისი პირობაა იმის მტკიცებისათვის, რომ შეურაცხადის მოქმედება მართლსაწინააღმდეგოდ იქნას მიჩნეული.

¹³¹ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი, დისერტაცია იურ. მეც. დოქ. მოსალოდნელი, თბ., 1997, გვ. 191

იმ დებულების სისწორეს, რომ შეურაცხადობა მხოლოდ ბრალის გამომორიცხავი გარემოებაა და არა მართლწინააღმდეგობის, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის სტრუქტურული ანალიზიც აღასტურებს. მასში მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომორიცხავი გარემოებანი თანმიმდევრობით დამოუკიდებელ თავებადაა გამოყოფილი. შეურაცხადის მიერ განხორციელებული ქმედების იურიდიული ბუნება დახასიათებულია არა მართლწინააღმდეგობის, არამედ ბრალის გამომორიცხავ გარემოებათა თავში. ამასთან, ამ თავში გაწერილი 34-ე მუხლი პირდაპირ აფიქსირებს, რომ „...კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეურაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა.“¹³² მიგვაჩნია, რომ მოცემული საკანონმდებლო ნორმა შინაარსობრივ ანალიზს აღარ საჭიროებს, რადგან ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები ცალსახად გამოთქვამენ მოსამრებს, რომ შეურაცხადის მიერ განხორციელებული მოქმედება არის მართლსაწინააღმდეგო, თუმცა არა ბრალეული.

უფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა აქვე გაგვეანალიზებინა ბრალის გამომორიცხავი სხვა გარემოებებიც (მაგ., შეურაცხადობა ასაკის გამო), რომლის შემთხვევითაც უკეთ შევძლებდით თბიეჭტური მართლწინააღმდეგობის პრაქტიკული მნიშვნელობის წარმოჩენას. თუმცა სიტყვა საკმაოდ გაგვიგრძელდა, ამიტომ მოკლედ მოვჭრით, რომ თანამედროვე ქართულ ამროვნებაში საბოლოოდ დამკვიდრდა ჭეშმარიტი პოზიცია, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთადერთი საკმარისი საფუძველი არის დანაშაული და არა დანაშაულის შემადგენლობა.¹³² კანონში ჩამოყალი-

¹³² გ. ნაკვებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი (სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სიტყვის ასპექტით), თბ. 2000, გვ. 6-7; მ. ტურავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბ., 2000, გვ. 30; ღ. კულაღა, ბრალის ნორმატივისტული მოდელი (დოკტრინულ-სისტემატიკური თავისებურებები), თბ. 1999; ნ. ხუჭუა, ასაკო როგორც ბრალის გამომორიცხავი გარემოება, // ე., „ალმანახი“, 1998, №8, გვ. 16 და სხვ.

ბებული ფაქტის დესკრიფცია, მართლწინააღმდეგობა და ბრალის ერთობლიობა არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი. ამასთან, თითოეული აქ ჩამოთვლილი ნიშანი, როგორც ენახეთ, შეიძლება მეორისაგან დამოუკიდებლად მოიაზრებოდეს, ანუ ჩადენილი ქმედება შეიძლება შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ ნიშნებს, თუმცა ის არ იყოს მართლსაწინააღმდეგო, ან ასეთი მოქმედება შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ არ იყოს ბრალეულად ჩადენილი. სწორედ ეს ფაქტორი არის ერთერთი აუცილებელი პირობა უმართლობის ცნების შემუშავებისათვის. კერძოდ, თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს ანუ დანაშაულს ახასიათებს სამი ნიშანი, უმართლობის ცნება მოიცავს ორ ნიშანს – დანაშაულის შემადგენლობას და მართლწინააღმდეგობას. როგორც სამართლიანად წერს პროფ. ო. გამყრელიძე, „სისხლის-სამართლებრივი უმართლობა არის ისეთი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონით.“¹³³ მოცემული განსაზღვრება ცხადყოფს, რომ სისხლისსამართლებრივი უმართლობა განსხვავდება, როგორც მართლწინააღმდეგობისაგან, ასევე დანაშაულისაგან. თუ მართლწინააღმდეგობა ეს არის წინააღმდეგობა ქმედებასა და სამართალს შორის, ანუ ურთიერთობა გამოხატული ამ ორი მოვლენის ურთიერთდაპირისპირებით თავად უმართლობა, ამ ურთიერთობას კი არ გამოხატავს, არამედ თვითონ არის უკვე მართლსაწინააღმდეგო ქმედება. რაც შეეხება დანაშაულთან თანაფარდობას, დანაშაული თვითონ მოიცავს უმართლობას. დანაშაული შეიძლება განემარტოთ, როგორც სისხლისსამართლებრივი უმართლობისა და ბრალის ერთიანობა.

უმართლობის ცნების ანალიზისას დაგვრჩა კიდევ ერთი ფუნდამენტური საკითხი, რომელიც პირდაპირ ლოგიკურ კავშირშია ჩვენს მიერ შემოთ არაერთჯერ განვითარებულ მოსამრებსთან. მას კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: თანამონაწილეობისათვის აუცილებელია სუბიექტურ სფეროში არსებული თბიეჭტური ნიშანი, რომელმაც თანამონაწილეთა დასჯადობა ერთიან თბიეჭტურ კრიტერიუმზე – უმართლობაზე უნდა დააფუძნოს. ამ საკითხის ღიად დაგოვე-

¹³³ ო. გამყრელიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 136-137

ბა დაუშვებელია, ვინაიდან კანონით აღწერილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ანუ უმართლობის განხორციელება შესაძლებელია გაუფრთხილებლობითაც. ამიტომ თუ თანამონაწილეთა დასჯალობა უმართლობას ეფუძნება, მაშინ გამოდის, რომ უნდა დაეუქმებოთ გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობაც. ერთი სიგყვით, უმართლობის კუთხით დანახული თანამონაწილეთა დასჯალობის პრობლემა, შედაპირულად თუ შევხედავთ, ერთობ რთულად გამოიყურება. თუმცა, ამ სირთულის დაძლევის პერსპექტივა მაშინვე გაჩნდება, თუ უმართლობის სუბიექტური ელემენტების საკითხს აქვე განვიხილავთ.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის დასაწყისში, გერმანულ მეცნიერთა შორის ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ობიექტურ მართლწინააღმდეგობას არა მხოლოდ ქმედების სოციალური საზიანობა გამოხატავს, არამედ ამ თვისებას ზოგჯერ დამნაშავეს მიერ დასახული მიზანი ასახულებს. სისხლის სამართალში ამ მოვლენას ყურადღება პირველად ნაგლერმა და გრაფ ცუ დონამ მიაქციეს. შემდგომში კი ეს პრობლემა დაწერილებით გადმოსცა ე. მეცგერმა ნაშრომში „სისხლის სამართლის დოგმატიკის თანამედროვე გზები.“

ვიდრე დასახელებული ნაშრომის ანალიზს შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ დანაშაულის შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობის და ბრალის ურთიერთგამიჯუნა გერმანულ დოქტრინაში ჯერ კიდევ დანაშაულის კლასიკურ სისტემაში მოხდა. დანაშაულის ცნების კლასიკურ განსაზღვრებას საფუძვლად უდევს კაუზალური მოქმედება, როგორც გვაროვნული ნიშანი, რომელსაც უკავშირდება შემადგენლობისადმი შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა, როგორც სახეობრივი ნიშნები.¹³⁴ ამ კონცეფციის თანახმად, ყველაფერი გარეგანი ობიექტურ მართლწინააღმდეგობას მიეკუთვნება, ხოლო რაც სუბიექტურია, ბრალის ცნებას ქმნის. ერთი სიგყვით, კლასიკური სკოლის მიმდევრებმა შინაგან და გარეგან მოვლენათა დაპირისპირებით ბრალის ცნება მკვეთრად გამიჯუნეს უმართლობის ცნებისაგან. მას საფუძვლად დაე-

¹³⁴ იხ. Johannes Wessels, Strafrecht allgemeiner Teil, Heidelberg, 1985 s.21, 23; Fritjof Haft, Strafrecht Allgemeiner Teil, München, 1990, s.18-20.

ლო, ერთი მხრივ, მოქმედების კაუზალური, ხოლო მეორე მხრივ, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია. თუმცა, შემდგომში წმინდა ობიექტურად განსაზღვრულ მართლწინააღმდეგობასა და ბრალის ნიშანს შორის გარკვეულად დაირღვა ბალანსი, როცა უმართლობის სუბიექტური ელემენტები იქნა აღმოჩენილი. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის ნეოკლასიკური ცნების გაგებას უკავშირდება.¹³⁵ მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი არის ე. მეცგერი.

ე. მეცგერი არსებითად იზიარებს დანაშაულის კლასიკური მიმართულების მიერ ჩამოყალიბებულ დებულებას იმის შესახებ, რომ ყოველგვარი უმართლობის, ანუ მართლსაწინააღმდეგო ქცევის წინამძღვარია „ობიექტური შეფასებითი ნორმა,“ რომლის წინააღმდეგაც ეს ქცევა მიმართული. თუმცა, უმართლობის ობიექტურობა არ ნიშნავს ბუცილებლობით იმას, რომ განსჯის საგანი მხოლოდ გარესამყაროს ობიექტური მოვლენებია. უმართლობის მსჯელობა შეეხება არა მარტო გრძობით აღქმად ხდომილებას (ქცევას), არამედ ამ მსჯელობის საგანი შეიძლება შინაგანი (სულიერი, ფსიქიკური, სუბიექტური) მოვლენებიც იყოს, რომელსაც სამართალსა და უმართლობას შორის მდგარის გასაგებებად თავისი მნიშვნელობა აქვს.¹³⁶

მაგრამ რაში მდგომარეობს შინაგან მოვლენათა ეგზისტენციალური რაობა ობიექტური მართლწინააღმდეგობისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ე. მეცგერი იზიარებს ვებერის მოსაზრებას, რომ წმინდა გარეგანი ქცევა მართალია ძირითადი საყრდენია სისხლის სამართლის შემადგენლობათა შექმნისა, თუმცა ყოველთვის როდი აქვს გადაწყვეტილი მნიშვნელობა იმ ფაქტს, რომ ქცევა გარეგნულად არის მიმართული გარეგანი სამყაროს შედეგზე, არამედ ზოგჯერ მხედველობაში მიიღება ისიც, რომ მოქმედი თვითონ აბ-

¹³⁵ ბუცილებელია აღინიშნოს, რომ ნეოკლასიკურმა სისტემამ შეინარჩუნა კლასიკური სისტემის საწინააღმდეგო სტრუქტურა დანაშაულის ცნების, მაგრამ ამ ნიშნებს შორის არსებული ურთიერთობა სხვაგვარად წარმოადგინა. მაგალითად, ნეოკლასიკოსებმა შემადგენლობის ცნებაში შემოიტანეს ნორმატიული ნიშანი (მაგ. ქურდობის დროს სხვისი ქონება), ხოლო ბრალის წმინდა ფსიქოლოგიურ ცნებაში „გასაკიჯხაობის“ ნორმატიული ელემენტი. იხ. დაწერილებით ი. გამერელიძის დასახელებული ნაშრომი გვ. 138-141

¹³⁶ E. Mezger, Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin, 1950, s. 20-21

ლევს მიმართულებას მოქმედებას და წარმართავს მას განსაზღვრული შედეგისაკენ. ამ შემთხვევებში მოქმედის მიერ დასახული მიზანი უმართლობის „სუბიექტურ ელემენტად“ გვევლინება.¹³⁷ აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით ე. მეცგერი კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ ქვეყნის მართლსაწინააღმდეგოდ გამოცხადების ორ შესაძლებლობას უშეგებს: პირველი, რომ კანონმდებელს შეუძლია ნორმა მხოლოდ და მხოლოდ გარეგან ხდომილებაზე გაიანგარიშოს და აკრძალოს ამა თუ იმ შედეგისათვის კაუზალური ქცევა და მეორე, რომ ამ აკრძალვას საფუძვლად დაუდოს მოქმედების მიზანი და ამა თუ იმ შედეგისაკენ მიმართული ქცევა დანაშაულად გამოაცხადოს.¹³⁸

ე. მეცგერი ცდილობს მონახოს ის „გასაღებიც“ რომელიც სუბიექტური ელემენტის (მიზნის), როგორც ერთის მხრივ, უმართლობის დამაფუძნებელი კომპონენტის, ხოლო მეორეს მხრივ, ბრალის სფეროს კუთვნილების გარკვევაში დაგვეხმარება. ამ მიზნით ის ერთმანეთისაგან მიჯნავს „უმართლობის სუბიექტურ ელემენტს“ და „განზრახვას“. განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, მისი აზრით, არის უკვე ასახვა არსებული ობიექტური ან სუბიექტური შემადგენლობისა, მაშინ, როცა უმართლობის სუბიექტური ელემენტი ობიექტურ შემადგენლობას რაღაც ახალს მაგებს.¹³⁹ მაგრამ რას ნიშნავს ეს ახლის მიმატება ობიექტური შემადგენლობისთვის და როგორ გავიგოთ, რომელი შინაგანი ელემენტები ქმნიან ბრალს და რომელი მათგანი აფუძნებს უმართლობას? ე. მეცგერის მიხედვით, ობიექტურად აღწერილ შემადგენლობებთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა ამა თუ იმ დელიქტის როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით ჩაღვნი დასჯადად არის გამოცხადებული. უმართლობას ამ ტიპის დელიქტებში წმინდა გარეგანი, კაუზალური ხდომილება აფუძნებს. ამიტომ აღნიშნულ შემთხვევებში ყოველგვარი სუბიექტური ელემენტი, ავტორის აზრით, მხოლოდ ბრალის სფეროს განეკუთვნება.¹⁴⁰

¹³⁷ E. Mezger, *Moderne Wege der Strafrechtsdogmatik*, Berlin, 1950, s. 22

¹³⁸ იქვე, გვ. 22

¹³⁹ იქვე, გვ. 26-27

¹⁴⁰ იქვე, გვ. 25-26

ე. მეცგერი ობიექტურად კონსტრუირებულ შემადგენლობებთან ერთად, სუბიექტურად ანუ ფინალურად კონსტრუირებულ დელიქტებსაც განიხილავს. ქურდობისათვის, მაგალითად, მისი აზრით, დამახასიათებელია შემადგენლობის ისეთი ნიშანი, როგორცაა მითვისების მიზანი. ამ დელიქტის გაუფრთხილებლობით ჩაღვნიას არა თუ არ სჯის მოქმედი სამართალი, არამედ ასეთი რამ საერთოდ წარმოუდგენელია. სხვისი ქონების „გაუფრთხილებლობით“ წაღება, დასჯადადაც, რომ იყოს გამოცხადებული, ქურდობა კი არა, სულ სხვა შემადგენლობა იქნებოდა. იგივე უნდა ითქვას, მაგალითად, თაღლითობის (§263), გამოძალის (§253), ყალბი დოკუმენტის (§267) ან ყალბი ფულის (§146) დამზადების შემადგენლობათა მიმართაც.¹⁴¹

ქართულ მეცნიერთა შორის, უმართლობის სუბიექტურ ელემენტებზე, მეტად რაციონალური მოსაზრებები აქვს გამოთქმული პროფ. თ. წერეთელს. თ. წერეთელი ერთ-ერთი პირველი იყო საბჭოელ მეცნიერთა შორის, რომელმაც ეგზისტენციალური სინამდვილის შინაგანი მოვლენები წინა პლანზე წამოსწია სამართალსა და უმართლობას შორის მღვარის გასაღებად. ერთ-ერთ ძირითად მომენტად, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქმედების მართლმომიერების ან მართლწინააღმდეგობის საკითხის გადაჭრისათვის წარმოადგენს მიზანი, აღნიშნავდა 1957 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში ავტორი, და თავისი მოსაზრების კონსტატაციას სათანადო მაგალითის მეშვეობით ცდილობდა: „თუ ვინმე ამგვრევეს ოთახის ფანჯარას იმ მიზნით, რომ გადაარჩინოს ბავშვი, რომელიც იგუდება განისაგან, ეს იქნება მართლმომიერი და სამოგადოებრივად სასარგებლო მოქმედება. მაგრამ იგივე ქმედება ჩაღვნილი ქურდობის მიზნით, იქნება სამოგადოებრივად საშიში, მიუხედავად იმისა, ამის შედეგად ოთახში შაერის შეღწევით ბავშვი, რომელიც იხრჩობოდა გაბისაგან, გადარჩა დახრჩობას.“ მაშასადამე, მოქმედებებმა, რომლებმაც ერთგვაროვნად შეუწყეს ხელი ერთსა და იმავე ცვლილებას გარესამყაროში, დაასკვნის ავტორი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამოგადოებრივად საშიშად, ან პირიქით, —

¹⁴¹ E. Mezger, *Moderne Wege der Strafrechtsdogmatik*, Berlin, 1950, s. 26

იყოს საზოგადოებრივად სასარგებლოც, იმ მიზნიდან გამომდინარე, რომლის განხორციელებისთვისაც ისინი გამოიყენება.¹⁴²

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თ. წერეთელი აქვე განიხილავს სხვა მაგალითებსაც, სადაც ცდილობს მიზნის მნიშვნელობის წარმოჩენას ქმედების მართლზომიერების თუ მართლწინააღმდეგობის განსაზღვრისათვის არა მხოლოდ ფინალურად კონსტრუირებულ დელიქტებში, არამედ შერეული ტიპის დელიქტებშიც. მაგალითად, ადამიანის მკვლელობა, ჩადენილი სიცოცხლისათვის საშიში საფრთხის აცილების მიზნით, შექმნილი არამართლზომიერი თავდასხმის დროს, თ. წერეთლის თქმით „განხილება არა როგორც საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ ადამიანის მკვლელობა, მართალია, რომელიც ობიექტურად წარმოადგენდა საშიშროებას სიცოცხლისათვის, შექმნილი მართლსაწინააღმდეგო თავდასხმით, იქნება საზოგადოებრივად საშიში, თუ მკვლელობის მიზანი გამოიხატებოდა არა თავდაცვაში მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისაგან, არამედ, მისწრაფებაში თავი დაეხსნა მგრისაგან.“¹⁴³ ერთი სიტყვით, აქ ავტორი ნათლად გამოიხატავს მოსაზრებას, რომ ქმედების მართლზომიერების თუ მართლწინააღმდეგობის განსაზღვრის საკითხში, მიზანი გადამწყვეტ როლს ასრულებს, როგორც ფინალურ, ასევე შერეული ტიპის დელიქტებში.

თუმცა, თ. წერეთლის აღნიშნულმა მოსაზრებამ, რაგომდაც ვერ პოვა ბოლომდე თავისი გაგრძელება, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი,¹⁴⁴ სადაც ავტორი, მიზანს მხოლოდ იმ დელიქტებში თვლის ობიექტური უმართლობის დამაფუძნებელ ელემენტად, რომელთა ჩადენაც პირდაპირი განზრახვით არის შესაძლებელი. სანიმუშოდ ის ასახელებს ქურდობისა და ცრუ ჩვენების მიცემის შემადგენლობებს, სადაც დასძენს, რომ სხვისი ქონების მიგაცემა შეიძლება მხოლოდ მაშინ არსებობდეს, თუ დადგენილია ქონების მითვისების მიზანი, მოწმის ცრუ ჩვენება — მხოლოდ მაშინ, როცა მოწმე გამიზნულად ლაპარაკობს სიცრუეს (намеренно

говарит неправду). აღნიშნულ შემთხვევებში მართლწინააღმდეგობის განსაზღვრა, ავტორის აზრით, დამოკიდებულია არა თავისთავად შედეგის გამოწვევაზე, არამედ მოქმედი პირის ნების მიმართვაზე ამ შედეგისადმი. ამიგომ მიზანი, შეცნობადობა და სხვა ის სუბიექტური კრიტერიუმებია, რომლებიც ობიექტურ უმართლობას განსაზღვრავენ.¹⁴⁵

მაგრამ, რაც შეეხება შერეული ტიპის დელიქტებს, თ. წერეთლის დამოკიდებულება, ამჯერად, სამწუხაროდ არ არის წინა ნაშრომში განვითარებული მოსაზრების კონკურენტული, ვინაიდან ამგვარ დელიქტებს, ის მთლიანად ობიექტურად კონსტრუირებულ დელიქტთა ტიპს მიაკუთვნებს. „წმინდა ობიექტური ნიშნებით განისაზღვრება მართლწინააღმდეგობა ყველა იმ დელიქტების, — წერს იგი, — რომლებიც შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით, მაგალითად მკვლელობა, სხეულის დაზიანება, საგრანსპორტო დანაშაულები და სხვა.“¹⁴⁶

ამრიგად, ე. მეცტერის და თ. წერეთლის ნაშრომებში მიზნის, როგორც ამეამად ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატის, ფუნქცია საკმაოდ დამაჯერებლად არის წარმოჩენილი იმ დანაშაულთა უმართლობის განსაზღვრის საქმეში, რომელთა ჩადენაც პირდაპირი განზრახვით შეიძლება. აღნიშნული მოსაზრების სისწორის მეტი სიმყარისათვის ისიც იკმარებდა გაგვეხსენებია, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არის რიგი დანაშაულები, რომელთა გამიჯვნა შესაძლებელია მხოლოდ მიზნის გამორკვევის მეშვეობით. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ავტომობილის ან სხვა შექანიკური საგრანსპორტო საშუალებების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე (184მ.). ამ დანაშაულის ობიექტური მხარე, როგორც ცნობილია ემოხვევა ქურდობის (177მ.) ობიექტურ მხარეს. ამიგომ თუ სუბიექტი, ვთქვათ, იგაცებს სხვის ავტომობილს, და მას აქვს ამ ქონების მისაკუთრების მიზანი, ის პასუხს აგებს ქურდობისათვის, ხოლო თუ ის მოქმედებს მისი დროებითი გამოყენების მიზნით, მაშინ 184-ე მუხლში ჩამოყალიბებული

¹⁴² Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, ТГУ, 1957, с. 135

¹⁴³ იქვე, გვ. 135

¹⁴⁴ Т. В. Церетели, Основания уголовной ответственности и понятие преступления, // Ж., правоведение, ЛГУ, 1980, №2

¹⁴⁵ თ. წერეთელი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 85

¹⁴⁶ იქვე, გვ. 85

დანაშაულისათვის. მაშასადამე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიზანი (სხვისი ქონების მითვისების ან დროებითი გამოყენების) დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი უმართლობის დამაფუძნებელი კომპონენტია და ეს სუბიექტური ნიშანი ობიექტური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს.

იმ პიროვნებისათვის, რომელიც ლოგიკური მსჯელობის არსებობას აღიარებს, მისთვის ხელის გულზე უნდა მოჩანდეს, რომ ფინალურად ჩამოყალიბებულ დელიქტებში ქმედების არსი მდგომარეობს არა თავისთავად განხორციელებულ წმინდა ობიექტურ გარემოებაში (რომელიც კაუზალური მოქმედების ნატურალისტურ ბუნებას ფუძუნება), არამედ ამ ქმედების აზრში, იმ მიზანში, თუ რა მიზნით მოქმედებდა სუბიექტი. მაგალითად, თუ მკითხველთა ბიბლიოთეკის (რომელიც არ ატანს წიგნებს სახლში) მომხმარებელს წიგნები მიაქვს სახლში იმ მიზნით, რომ ის მეორე დღეს დააბრუნოს, მას არ განუხორციელებია ქურდობის უმართლობა, რადგან მას არ აქვს მითვისების მიზანი. ამ შემთხვევაში მოცემულია უბრალო (არა დანაშაულებრივი შემადგენლობის შესაბამისი), მფლობელობის დროებითი წართმევა. მაშასადამე, ფინალურ დელიქტებში სუბიექტური ელემენტებისაგან დაცლილი წმინდა ობიექტური დეფინიცია სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით აბსოლუტურ უმინაარსობად გამოიყურება. ამიტომაც სრულიად სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე გერმანულ კრიმინალისტთა კრიტიკული დამოკიდებულება ნატურალისტურ-კაუზალური ქმედების მოძღვრების მიმართ, რომლის შეშვეობითაც ყველაფერი ობიექტურ-კაუზალური „უმართლობად“ ხოლო ამის საპირისპიროდ ყველა სუბიექტურ-სულიერი „ბრალად“ ითვლებოდა. დღეს აღიარებულია ამგვარი აზრისაგან დაცლილი ქმედების ცნების მერყეობა, რომელსაც თავად ე. ბელინგმაყ (კლასიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი) თურმე, ერთდროს ენამახვილურად „უსისხლო მოჩვენება“ კი უწოდა.¹⁴⁷

იმ ფაქტის მოკვლევა, რომ გაშიზნითი დელიქტების უმართლობის შინაარსს სუბიექტური ელემენტი განსაზღვრავს, ჯერ კი-

¹⁴⁷ იხ. Johannes Wessels, Strafrecht allgemeiner Teil, Heidelberg, 1985 s.21; Fritjof Haft, Strafrecht Allgemeiner Teil, München, 1990, s.22.

ლევ ვერ ამოწურავს ჩვენი საღისერგაციო თემის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა (დახმარება) შეიძლება არა მარტო ფინალურად კონსტრუირებულ დელიქტებში, არამედ იმ დელიქტებშიც, რომელთა ჩადენა შეიძლება განმრავლდეს და გაუფრთხილებლადაც (მაგ., მკვლელობა, სხეულის დაზიანება და სხვ.). დელიქტის ამ სახეს თუ მივიღებთ მხედველობაში და ე. შეცხერის მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ყველა სუბიექტური ელემენტის ბრალის ცნებაში ლოკალიზება უნდა მოვახდინოთ, რადგან ავტორის მტკიცებით, დელიქტის ამ სახის ბუნებას სუბიექტური ელემენტები არ განსაზღვრავენ. რაც შეეხება თ. წერეთლის მსჯელობას, როგორც უკვე ენახეთ, საბოლოო ჯამში, ამგვარ დელიქტებს, ისიც ობიექტურად კონსტრუირებულ დელიქტთა ტიპს მიაკუთვნებს. თუმცა, ამავდროულად აუცილებელია მის მიერ გამოთქმულ ერთ მოსაზრებას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, აუცილებელი მოგერიებით მკვლელობისას, მიზანს თ. წერეთელი ქმედების მართლმომიერად გამოყენების საფუძვლად მოიხვედციებს, ხოლო მეორე შემთხვევაში, იგივე ობიექტური წინამძღვრების არსებობისას თუ სუბიექტის მიზანი გამოიხატა არა უბრალოდ მართლსაწინააღმდეგო შედეგისაგან თავდაცვაში, არამედ მისწრაფებაში თავი დაეხსნა მტრისაგან, მიზანი ამ შემთხვევაში, ავტორის აზრით, აფუძნებს ქმედების მართლწინააღმდეგობას და მაშასადამე, ეს სუბიექტური ელემენტი (მიზანი), განზრახ მკვლელობისას, ობიექტური თვალსაზრისით ფასდება. აღნიშნული მსჯელობა კი უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი ძირითადი გზამკვლევაა შერეული ტიპის დელიქტებში სუბიექტური ელემენტების განსაზღვრისათვის.

აღნიშნული გარემოება არ გამორჩენია კიდევ მხედველობიდან თვალსაზრისით მკვლევარს პროფ. ო. გამყრელიძეს. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ „მიმართულება, რომელიც უმართლობის სუბიექტურ ელემენტებს მარტო იმ დელიქტებში ეძებს რომელთა ჩადენა მხოლოდ განზრახ ხდება... ხელოვნურად მღუდავს უმართლობის სუბიექტური ნიშნების სფეროს. ეს მიმართულება დელიქტის ტიპის აბსტრაქტული გაგებიდან გამოდის და მხედველობაში არ იღებს იმ კონკრეტულ შემთხვევას, როცა დანაშაული პირდაპირი

განზრახვით არის ჩაღწეული, სადაც სუბიექტური ელემენტი, კერძოდ მიზანი, ისეთივე ობიექტური მნიშვნელობის ფაქტორია, როგორც მაგალითად ნიეთის მითვისების მიზანი ქურდობის დროს.¹⁴⁸

ამ მოსაზრების ერთერთ არგუმენტად ო. გამყრელიძე სწორედ აუცილებელი მოგერიების საკითხს განიხილავს. გაბატონებული დოქტრინის თანახმად, წერს იგი, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებას მხოლოდ ობიექტური მომენტი არ განსაზღვრავს, არამედ ობიექტურთან ერთად მხედველობაში მიიღება სუბიექტურიც, კერძოდ, თავდაცვის მიზანი. აქედან გამომდინარე, თუ დამთავრებული მკვლელობის სოციალური სარგებლიანობა და მართლზომიერება სუბიექტურმა მომენტმა განსაზღვრა, მაშინ დავას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტორიც, რომ „მეორე მხრივ, დამთავრებული მკვლელობის სამოგადოებრივი საშიშროება და მამასადაამე, მართლწინააღმდეგობა სუბიექტურმა მომენტმა დააფუძნოს! აქ ხომ მედლის ორ მხარესთან გვაქვს საქმე. მედლის ერთ მხარეს არის მართლზომიერი მკვლელობა, ხოლო მეორე მხარეს გვაქვს მართლსაწინააღმდეგო მკვლელობა. ამიტომ თუ სუბიექტური ელემენტი განსაზღვრავს „განზრახი“ მკვლელობის მართლზომიერებას, ასევე უნდა განსაზღვროს, მეორე მხრივ, სუბიექტურმა ელემენტმა განზრახი მკვლელობის მართლწინააღმდეგობა.“¹⁴⁹

ანალოგიური ვითარება წარმოიქმნება დამნაშავეის შეპყრობის დროსაც. მაგალითად, თუ პირი ამიანებს ქურდს იმ მიზნით, რომ ის დაიმორჩილოს და შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებს გადასცეს, ასეთი მოქმედება მართლზომიერია. თუმცა იგივე მოქმედება უკვე პირადი ანგარიშსწორების მიზნით მართლსაწინააღმდეგოდ განიხილება, ე. ი. ერთიან სიერცესა თუ დროში მოცემული ორი იდენტური მოქმედება, ამ შემთხვევაშიც, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით სხვადასხვაგვარად ფასდება იმ მიზნის მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავდა სუბიექტი ქმედების განხორციელებისას.

შერეული ტიპის დელიქტებში უმართლობაზე მსჯელობისას, ობიექტურ გარემოებებთან ერთად რომ აუცილებელია ზოგჯერ მხე-

¹⁴⁸ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 168.

¹⁴⁹ იქვე, გვ. 167-168

დველობაში მივიღოთ სუბიექტური ელემენტიც, ეს გარემოება ნათლად იკვეთება დანაშაულის მცდელობის და ფინალურად ჩამოყალიბებულ დელიქტთა შედარებითი ანალიზის ჭრილშიც. როგორც ცნობილია, დანაშაულის მცდელობა და მიზნით დაფუძნებული დელიქტები სუბიექტური მხრივ იდენტურ თვისებას ავლენენ. ორივე მათგანის განხორციელება გაუფრთხილებლობით გამოირიქსულია. ამიტომ, თუ გამიზნითი დელიქტების უმართლობის შინაარსს სუბიექტური ელემენტი განსაზღვრავს იმიტომ, რომ ამ დელიქტების ჩაღწევა გაუფრთხილებლობით არ შეიძლება, მაშინ ლოგიკური თანმიმდევრობა მოითხოვს, რომ დანაშაულის მცდელობის უმართლობაც სუბიექტურმა მომენტმა დააფუძნოს. სხვათა შორის ამ დებულებას თავად ე. მეცკერიც არ უარყოფს. იგი უმართლობის და ბრალის ურთიერთგამიჯენის საკითხზე ველცელთან კამათისას ნათლად გამოხატავს მოსაზრებას, რომ დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, მიზანი მცდელობის უმართლობას განსაზღვრავს და იგი ბრალის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს, ანუ მცდელობის უმართლობას, მისი ამრით, განსაზღვრავს სუბიექტური ელემენტი.¹⁵⁰

დასმული საკითხისადმი ასეთი პოზიციის გარკვეული ლოგიკური მსჯელობის დაცვით, შესაძლებელია კიდევ ერთი არგუმენტის გამოვლენა შერეული ტიპის დელიქტებში უმართლობის სუბიექტური ელემენტის დასაბუთებისათვის. კერძოდ, თუ გამიზნითი დელიქტის უმართლობის შინაარსს, როგორც მცდელობის, ასევე დამთავრებული დანაშაულის შემთხვევაში, სუბიექტური ელემენტი – მიზანი ასაბუთებს, მაშინ მეორე მხრივ, შერეული ტიპის დელიქტის უმართლობის შინაარსიც, როგორც მცდელობის, ასევე დამთავრებული დანაშაულის დროსაც სუბიექტურმა ელემენტმა უნდა განსაზღვროს, იმ მარტივი არგუმენტიდან გამომდინარე, რომ მცდელობა შესაძლებელია არა მხოლოდ გამიზნითი დელიქტების, არამედ იმ დელიქტებისაც, რომელთა ჩაღწევა განზრახავ შეიძლება და გაუფრთხილებლადაც. საწინააღმდეგოს მტკიცებას ერთ ალოგიზმურ თემისთან მივყავართ. კერძოდ, შერეული ტიპის დანაშაულის მცდელობისას, მიზანი ობიექტური უმართლობის განსაზღვრისათვის უნდა მოვიშველიოთ, ხოლო თუ იგივე დანაშაული დასრულდა, იგივე

¹⁵⁰ E. Mezger, Moderne Wege der Strafrechtsdogmatik, Berlin, 1950, S. 27-28

სუბიექტური ელემენტი, ბრალის ცნებაში უნდა განვიხილოთ, ანუ უნდა დავუშვათ, რომ მაგალითად მკვლელობის მცდელობისას, მკვლელობის მიზანი განხორციელებულ მოქმედებას ობიექტური შინაარსს ანიჭებს, ხოლო თუ ეს მოქმედება დასრულდა, მაშინ იგივე სუბიექტური ელემენტი ზემოქმედებას ახდენს ბრალის ხარისხზე. ამის დასაბუთება კი შეუძლებელია, რადგან დანაშაულის პირდაპირი განზრახვით განხორციელებისას ქმედება დასრულდა თუ მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, სუბიექტური მხარის მოცულობა ერთგვაროვანია. სხვაობა მათ შორის გარესამყაროში გამოვლენილ ობიექტურ შედეგთა შედარებით თანაფარდობაში მდგომარეობს. ერთ შემთხვევაში, პირის მიერ დასახული მიზანი სასურველ შედეგს აღწევს (დამთავრებული დანაშაული), ხოლო მეორე შემთხვევაში, ნასურვები შედეგი, სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ დგება (დანაშაულის მცდელობა). მაგრამ ორივე შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი უმართლობის განსაზღვრელი მიზანი უკვლელი დარჩება, რამეთუ პირი, ორივე შემთხვევაში, ერთი მიზნით (მკვლელობის) მოქმედებს.

ამრიგად, ე. მეცგერის მიერ უმართლობის სუბიექტური ელემენტების თაობაზე დაწესებული ლიმიტი, რომ თითქოს, მიზანი, მხოლოდ იმ დანაშაულთა უმართლობის შინაარსს განსაზღვრავს, რომელთა ჩადენა მხოლოდ განზრახ არის შესაძლებელი, ხოლო ის დანაშაულები, რომელთა ჩადენა შეიძლება, როგორც განზრახ ასევე გაუფრთხილებლად, მისი უმართლობა, ყოველთვის, მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით განსაზღვრულ გიპს უნდა მივაკუთვნოთ, არა სარწმუნოდ გამოიყურება.

აანალიზებს, რა პროფ. ო. გამყრელიძე ე. მეცგერის აღნიშნულ პოზიციას სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ე. მეცგერის სისტემაში უმართლობის სუბიექტური ელემენტები ხელოვნურადაა შემღვდული.“¹⁵¹ ამასთან, ამ ხელოვნური შემღვდულობის წარმოჩენისას, იგი ეყრდნობა არა მარტო თეორიულ არგუმენტებს, არამედ პრაქტიკულ მაგალითებსაც. ჩვენი აზრით, დროული და მიზანშეწონილია მის მიერ მოყვანილი მაგალითისა და შესაბამისი კომენტარის აქვე ციტირება, რამეთუ ამ კონტექსტში, უფრო ნათლად გამოუ-

¹⁵¹ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 166

ლანდება შერეული გიპის დელიქტებში, მიზნის, როგორც ობიექტური უმართლობის დამაფუძნებელი კომპონენტის ფაქტობრივი სახე. „თუ მცდელობის უმართლობას სუბიექტური ელემენტი განსაზღვრავს, აღნიშნავს ო. გამყრელიძე, მაშინ ის დელიქტი, რომლის ჩადენა განზრახაც შეიძლება და გაუფრთხილებლობითაც, ყოველთვის ობიექტურად კონსტრუირებულ დელიქტთა ჯგუფს ვერ მიეკუთვნება, მაგალითად კაცი დაჭრეს, როგორ გავიგოთ, რა გიპის დელიქტია ჩადენილი, განზრახი მკვლელობის მცდელობა თუ სხეულის განზრახი დაზიანება? მხოლოდ ობიექტური გარემოებით ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია თუ არ მოვიშველიათ სუბიექტური მომენტიც. თუ ის, ვინც კაცი დაჭრა მიზნად ისახავდა მის მოკვლას, მაშინ გვექნება მკვლელობის მცდელობა, ხოლო თუ დამჭრელის მიზანი მიმართული იყო სხეულის დაზიანებისაკენ, მაშინ გვექნება სხეულის განზრახ დაზიანება. ამიტომ თუ ჩავთლით, რომ პირველ შემთხვევაში მიზანმა განსაზღვრა მცდელობის უმართლობა, ლოგიკა მოითხოვს, ასევე ვიმსჯელოთ მეორე შემთხვევაშიც. თუ ლოგიკურია, რომ სუბიექტური ელემენტი განსაზღვრავს მცდელობის უმართლობას, ასევე უნდა განსაზღვროს სუბიექტურმა ელემენტმა — მიზანმა სხეულის განზრახ დაზიანების დამთავრებული დელიქტიც. სხვაგვარი მსჯელობა შეუძლებელია.“¹⁵²

მართლაც, ცნობილი ფაქტია, რომ სხეულის განზრახი დაზიანების დამთავრებული დელიქტი, სუბიექტური მომენტით განსხვავდება მკვლელობის მცდელობისაგან. ამიტომ, მიზანი ამ შემთხვევაში განსაზღვრავს და შინაარსს აძლევს, როგორც მკვლელობის მცდელობას, ასევე განზრახ სხეულის დაზიანების დამთავრებულ დელიქტს. ამასთან, მკვლელობაც და სხეულის დაზიანებაც ერთი გიპის, ერთი ჯგუფის დანაშაულთა რიგს განეკუთვნება. ამიტომ თუ დამთავრებული განზრახი სხეულის დაზიანების უმართლობას მიზანი განსაზღვრავს, მაშინ ფაქტია და წინ არაფერი არ ელოდება იმ დებულებასაც, რომ პირდაპირი განზრახვით დასრულებული მკვლელობის უმართლობაც მიზანმა დააფუძნოს, ანუ ამ ობიექტურად მომხდარ ფაქტს მიანიჭოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათი.

¹⁵² ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 166-167

სწორედ ასეთი დასკვნა გამომდინარეობს „სილოგიზმის აქსიომადან“.¹⁵³

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ განხორციელებული ქმედების ეგზისტენცი-ალური სინამდვილის შინაგან (სულიერ, ფსიქიკურ) მხარეს, არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ზოგადად სამართალსა და უმართლობას შორის ზღვარის გასაყვებად (მაგ., აუცილებელი მოგერიებით მკვლელობა და განზრახ მკვლელობა), არამედ ერთი გიპის დელიქტების, უფრო ზუსტად კი, ერთგვაროვანი გარეგანი ქცევის მქონე დანაშაულთა ურთიერთგასამიჯნადაც (მაგ., მკვლელობის მცდელობა და სხეულის განზრახ დამიანება; ქურდობა ავტომობილის მითვისების მიზნით და მისი დროებითი გამოყენების მიზნით და სხვ.). სწორედ ამ გარემოებათა გონებაშეხვედრული ჰერეტიკა დასტურებს, რომ სუბიექტური ელემენტი არ ძევს ობიექტური უმართლობისაგან იზოლირებულად, არამედ იგი „აზრილივით გაყვება“ ობიექტურად განხორციელებულ მოქმედებას და ანიჭებს მას მართლსაწინააღმდეგო ან სულაც მართლზომიერ ხასიათს, ან კიდევ, თუ ქმედება აუცილებლად სისხლისსამართლებრივი რეგულირების სფეროში ექცევა და ამასთან, ეს ობიექტური ხდომილება (ქცევა) სისხლის სამართლის კოდექსის ორ ან მეტ მუხლში ჩამოყალიბებულ ნიშნებს ემთხვევა, სუბიექტის მიერ დასახული მიზნის დადგენა იძლევა იმის საშუალებას განესაზღვროთ, თუ რომელი შემადგენლობის შესაბამისი უმართლობა განხორციელდა. ამასთან, აღნიშნული მოსაზრება, ვფიქრობთ, თავის გამოსატყულებას რეალობასთან მხოლოდ მაშინ პოულობს, როცა მოქმედება პირდაპირი განზრახვით არის ჩადენილი. ამით იმის თქმა გვინდა, რომ დელიქტის იმ გიპს, რომლის ჩადენა განზრახვაც ხდება და გაუფრთხილებლადაც, ზოგჯერ სუბიექტური ელემენტი განსაზღვრავს, ზოგჯერ კი ობიექტური. დელიქტის უმართლობას მხოლოდ ობიექტური მომენტი მაშინ განსაზღვრავს, როცა მაგალითად, მკვლელობა, სხეულის და-

¹⁵³ რომელიც შემდეგნაირად ფორმულირდება: თვისება დამახასიათებელია ან არაა დამახასიათებელი ყოველი საგნისათვის, რომელიც შეადგენს მოცემულ კლასს, მაშინ თვისება დამახასიათებელი იქნება, ან არ იქნება, ყოველი ინდივიდუალური საგნისა, რომელიც შეეკუთვნება იმ მოცემულ კლასს.

ზიანება და სხვა ამ გიპის დანაშაულები გაუფრთხილებლობით ან კიდევ ევენტუალური განზრახვითაა ინკრიმინირებული. უკანასკნელ მოსაზრებას დასტურებს ისიც, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისას, ისევე, როგორც ევენტუალური განზრახვისას, დანაშაულის კვალიფიკაცია განხორციელებული ქმედების მიხედვით ხდება, და მაშასადამე, აქ წინა პლანზეა წამოწეული მოქმედების კაუზალური მნიშვნელობა დაზღვარი შედეგისათვის. რაც შეეხება სუბიექტურ ელემენტს – მიზანს, იგი ქმედებასთან ერთად განსაზღვრავს უმართლობის შინაარსს მაშინ, როდესაც ეს მოქმედება პირდაპირი განზრახვით ხორციელდება. მაშასადამე, მიზანი უმართლობის გიპს განსაზღვრავს არა მარტო ქურდობის, გამოძალკვის და სხვა ამ გიპის დანაშაულებში, არამედ მკვლელობის, სხეულის დამიანების თუ სხვა ამ გიპის დანაშაულებშიც, თუ ისინი პირდაპირი განზრახვით განხორციელდება.

ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა აქვე გვემსჯელა უმართლობის სუბიექტური ელემენტების შესახებ ე. წ. „ფინალური მოქმედების მოძღვრების“ წარმომადგენელთა აღიარებულ პოზიციებზე, მითუმეტეს, რომ ამ საკითხებზე გარკვეული რეზონანსი ქართულ სინამდვილეშიც კი არაა. მაგრამ კვლევის საგანი, რადგან გარკვეულ ლიმიტს გვიწესებს და ამასთან, ჩვენეული პოზიცია მიზნის, როგორც ობიექტური უმართლობის დამაფუძნებელი კომპონენტის თაობაზე უკვე გამოგვეთეთ, ამდენად, აღნიშნულით შემოვიფარგლებით და ამჟამად შევედგებით ზემოთ აღნიშნულ დებულებათა რევიზირებას თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის პრიზმაში.

პირველ რიგში დავიწყით იმით, რომ თანამონაწილეთა დასჯადობისათვის, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, აუცილებელია არა მხოლოდ ერთი დანაშაულებრივი შედეგის მიზეზობრივი განპირობება, არამედ მიზეზობრივ კავშირთან ერთად, სუბიექტურ სფეროში არსებული ობიექტური მნიშვნელობის მქონე ნიშანიც, რომელსაც თანამონაწილეთა სუბიექტური კავშირის ერთიანი საზომის ფუნქცია უნდა დაეკისროს. ამასთან, ამ საზომზე, თუ ერთის მხრივ, რამდენიმე პირის მოქმედება სუბიექტურ სფეროში უნდა გააერთიანოს, მეორეს მხრივ, თანამონაწილეთა მიერ განხორციელებული მოქმედებები ერთიან ობიექტურ სიბრცევე უნდა გაიყვანოს. ასეთ

ობიექტურ საბრტყეს კი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი უმართლობა. სწორედ უმართლობა არის ის ძირითადი ბირთვი, რომელმაც თანამონაწილეთა დასჯადობა უნდა დაეფუძნოს. ამასთან, ეს ფენომენი იმით არის საინტერესო, რომ იგი, კი არ გამოირიცხავს, არამედ თავისთავში მოიცავს იმ სუბიექტურ ელემენტსაც, რომელმაც ორი ან რამდენიმე პირის მოქმედება სუბიექტურ სფეროში უნდა დააკავშიროს. ასეთ ელემენტს წარმოადგენს მიზანი, რომელიც ქმედების პირდაპირი განზრახვით ჩაღვნიას დანაშაულის შემადგენლობის შესაბამის უმართლობის ტიპს განსაზღვრავს. ამიტომაც არის, რომ თანამონაწილეები უნდა მოქმედებდნენ პირდაპირი განზრახვით და ისახედნენ ერთიანი უმართლობის განხორციელების მიზანს. მიზანი არის სუბიექტურ სფეროში არსებული ის ობიექტური სინკრეტული ნიშანი, რომლის მეშვეობით რამდენიმე პირის მიერ განხორციელებული ქმედების ერთ უმართლობად გაერთიანება ხდება და ეს ერთობლივი მოქმედება თანამონაწილეობის ინსტიტუტის რეგულირების სფეროში ექცევა. ამასთან, ცხადია, ეს მაშინ არის შესაძლებელი, თუ თანამონაწილემ იცის ამსრულებლის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ და ის თავისი ნებით უერთდება ამ დანაშაულის განხორციელებას.

თანამონაწილეობა არ იქნება იმ შემთხვევაში, როცა ერთი და იგივე ხდომილების ორი მონაწილიდან, ერთ-ერთი მოქმედებს გაუფრთხილებლობით ან ევენტუალური განზრახვით. ისინი იქნებიან ინდივიდუალური ამსრულებლები, იმიტომ, რომ ერთი მათგანის უმართლობას წმინდა გარეგანი, ობიექტური მომენტი დააფუძნებს, ხოლო მეორისას ობიექტურ მომენტებთან ერთად სუბიექტურიც, ე. ი. ისინი სხვადასხვა უმართლობის ამსრულებლები იქნებიან.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც რამდენიმე პირის მოქმედება მიზეზობრივად განაპირობებს ერთ შედეგს, თუმცა ამ შედეგის გამოწვევისას თითოეული მათგანი ისახედეს დიამეტრალურად განსხვავებულ მიზანს, რის გამოც, ერთი მათგანის მოქმედება შეიძლება მიჩნეული იქნას საერთოდ მართლმომიერად და ის გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მეორეს, პასუხისმგებლობა დაეკისროს შუალობითი ამსრულებლობისათვის. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ აუცილებელი მოგერიების შე-

მთხვევა. თუ მკვლელობის ამსრულებელი, ვთქვათ, თავდაცვის მიზნით მოქმედებს, ასეთი მოქმედება მართლმომიერია და მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. მაგრამ დამხმარე, რომელიც აძლევს იარაღს და მიზნად ისახავს, აუცილებელი მოგერიების პირობებში მყოფისათვის, არა დამხმარების გაწევას, არამედ თავისი მგრის ჩამოცილებას, ასეთ ვითარებაში, იგი პასუხს აგებს, როგორც მკვლელობის შუალობითი ამსრულებელი და არა, როგორც თანამონაწილე. უფრო მეტიც, თანამონაწილეობა არ იქნება მაშინაც, როდესაც ორივე პირი მართლსაწინააღმდეგოდ პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, თუმცა მათ მიერ დასახული მიზანი სხვადასხვა უმართლობას აფუძნებს. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ავტომობილის გატაცების შემთხვევა. თუ ვთქვათ, ამსრულებელი ავტომობილს მისი დროებითი გამოყენების მიზნით იგაცებს, მაშინ ის პასუხს აგებს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით. მაგრამ დამხმარე, რომელმაც მიაწოდა მორგებული გასაღები და მან შეცდომით იცის, რომ ამსრულებელთან ერთად მანქანას მისი მისაკუთრების მიზნით იგაცებენ, ის პასუხს აგებს ქურდობისათვის.

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსზე დაყრდნობით, ანალოგიური მაგალითები არაერთი შეიძლება მოვიყვანოთ. თუმცა რაღა შორს წავიდეთ. გავისენოთ თუნდაც წინა პარაგრაფში მოცემული დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევა, სადაც ან-მა ბ-ანს ვითომდა კაცის მოკვლის მიზნით მიაწოდა ცარიელი ტყვიით გატენილი იარაღი. აღნიშნულ შემთხვევაშიც, ცხადია, ორივე პირი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით. თუმცა ერთიანი მიზნის არარსებობამ, რომელსაც ერთიანი უმართლობა უნდა დაეფუძნებინა, ამ შემთხვევაშიც, გამოაცალა საფუძველი თანამონაწილეობას და ისინი ინდივიდუალურ ამსრულებლებად აქცია.

ამრიგად, აქ მოცემული მაგალითები ცალსახად მოწმობს, რომ თანამონაწილეობისათვის აუცილებელია ყველა თანამონაწილის მიერ ერთი უმართლობის განხორციელება. ამისათვის კი, აუცილებელია თანამონაწილეთა მიერ არა მხოლოდ ერთი შედეგის მიზეზობრივი განპირობება, არამედ სუბიექტური ელემენტის ერთიანობაც. უმართლობის სუბიექტური ელემენტი, რომელიც საერთოდ უნდა იყოს ყველა თანამონაწილისათვის, სამართლიანად აღნიშნავს

პროფ. ო. გამყრელიძე, რომ „არის მიზანი, მიზანი კი თბიერეკურ მნიშვნელობას იძენს მამონ, როცა დელიქტი პირდაპირი განზრახვით არის ჩადენილი.“ ამ თვალსაზრისის თანახმად მართებულია ის დებულება, რომ „თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყველა მონაწილე დანაშაულისა მოქმედებს პირდაპირი განზრახვით.“¹⁵⁴ მხოლოდ ამ წინამძღვრის მეშვეობით შეგვიძლია ვამტკიცოთ თანამონაწილეთა მიერ ერთიანი უმართლობის განხორციელება.

ამრიგად, თანამონაწილეთა ერთობლივი ქმედების საკითხი, რომელიც თბიერეკურ კრილში განვიხილეთ, ეს არ ნიშნავს მისი სინკრეტული კავშირის იგნორირებას ფსიქოლოგიურ შინაარსთან, ეინაიდან თბიერეკური კრიტერიუმი (უმართლობა), რომელსაც თანამონაწილეთა დანაშაულობა ეფუძნება, კი არ უპრაციფს, არამედ გულისხმობს ამ უკანასკნელსაც. ამასთან, აღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე, რომ თანამონაწილეებს, თითქოს, ჩვენ მივიჩნევთ რაღაც ერთ რთულ სუბიექტად, რომლებიც ერთიან უმართლობას სჩადიან და ამიტომ, უნდა მოხდეს მათი პასუხისმგებლობის გათანაბრება. პირიქით, დანაშაულში თანამონაწილეობის ყველა ერთეულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ყველა ის თბიერეკური (თანამონაწილეთა როლი, ფუნქცია, ინტენსივობის ხარისხი და ა. შ.) თუ სუბიექტური გარემოებები (მოტივი, განწყობა და სხვ.), რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისათვის. სწორედ, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მიუღებელია „თანამონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის“ მომხრეთა მიერ წამოყენებული ის დებულება, რომელიც თანამონაწილეთა სუბიექტური მხარის გამაერთიანებელ ნიშნად „ბრალის ერთიანობის“ აღიარებაში გამოიხატება. „ერთიანი ბრალის“ მოძღვრება ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს და ამ კუთხით გამოთქმული კრიტიკა, „სოლიდარული პასუხისმგებლობის“ წინააღმდეგ, სრულიად სამართლიანია.¹⁵⁵

¹⁵⁴ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 174

¹⁵⁵ ის. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., შეკრებილი, 1965, გვ. 50-54; ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 113

მიუხედავად ამ გამორჩეული ნაკლისა, ეს მიმართულება მანც ხასიათდება რიგი დადებითი მხარეებით, რომლის არშენიშვნა მცდარი იქნებოდა. კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის მომხრეებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ გაბატონებული პოზიცია თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის შემლედვის თვალსაზრისით. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის მოცულობის პრობლემა, რომ განზრახვის სფეროში უნდა გადაწყვეტილიყო, ამ დებულებას მყარი საფუძველი მათ შეუშადა. უფრო მეტიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თანამონაწილეთა ერთიანი გამომგნის პირველი ჩანასახი სწორედ აქ წარმოიქმნა. გავისხენით თუნდაც ნ. გაგაცევის მსჯელობა, სადაც ის თანამონაწილეთა სუბიექტური ერთიანობის წინაპირობად აყენებდა „...განზრახვის მთავარ ელემენტს – გამომგნას.“¹⁵⁶ ამიტომ სოლიდარული პასუხისმგებლობის წარმომადგენელთა იდეებისადმი ჩვენ გვაქვს არა პროფანაციული დამოკიდებულება, არამედ პირიქით, მისი დადებითი მხარის წარმოჩენის სურვილი. თუნდაც იმიტომ, რომ თანამონაწილეთა ერთიანი გამომგნის იდეას თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს შემდგომ პერიოდშიც. მის რეანიმაციას, თანამონაწილეთა ერთობლივი ქმედების სუბიექტური კავშირისათვის, როგორც მეზოთ ვნახეთ, ცდილობენ მ. კოვალოვი, გ. ბურჩაკი ლ. გაუხმანი, ს. აფინოგენოვი თუ სხვა კრიმინალისტები.¹⁵⁷ ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ თუ მ. კოვალოვი, მაგალითად, თანამონაწილეთა ერთიანი გამომგნის იდეით მანიპულირებს, ხოლო, მეორე მხრივ, ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობის გარკვეულ გამოჩენის უშეუბ, ასეთი გამონაკლისები, უკვე აღარ ახასიათებს ლ. გაუხმანის და ს. აფინოგენოვის შეხედულებებს. ისინი თანამონაწილეობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვის ჩარჩოებში ათავსებენ.

ამ მხრივ საინტერესოა პროფ. ნ. ივანოვის თვალსაზრისიც, იგი მართალია საგანგებოდ არ მსჯელობს, თუ განზრახვის რომელი სახით არის შესაძლებელი თანამონაწილეობა, მაგრამ თავისი მო-

¹⁵⁶ ნ. ტვანცივი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 746

¹⁵⁷ მ. კოვალოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი I, გვ. 277-288; გ. ბურჩაკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 20-21; ლ. გაუხმანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12-13; ს. აფინოგენოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 20

ნოგრაფიული კვლევის პროცესში არაერთჯერ დასძენს, რომ თანამონაწილეობისას „...სუბიექტთა ძალღონე მიმართულია მათთვის სასურველი შედეგის მისაღწევად.“ „თანამონაწილეები მოქმედებენ ერთიანი მიზნით“¹⁵⁸ და სხვ. ამასთან, ის არის ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე თანამონაწილეთა დანაშაულებრივი საქმიანობის ორმხრივი ცოდნის.¹⁵⁹ ეს ფაქტები საკმაო საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ნ. ივანოვიც პირდაპირი განზრახვით თანამონაწილეობის მომხრე უნდა იყოს.

საერთო ჯამში შეიძლება დავასკვნათ, რომ XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს, თუ პირდაპირი განზრახვით მომხრეთა რიცხვი აბსოლუტური უმცირესობა იყო, დღეისათვის შეინიშნება საპირისპირო ტენდენცია, რაც კიდევ უფრო ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ თანამონაწილეობისათვის აუცილებელია დანაშაულში მონაწილე პირთა ერთიანი გამიზვნა, რომელიც მათ მიერ ობიექტურად განხორციელებულ მოქმედებებს სუბიექტურ სფეროში აკავშირებს და ქმნის ერთიან უმართლობას. ეს უკანასკნელი არის ის ძირითადი ობიექტური კრიტერიუმი, რომელიც თანამონაწილეების, და მათსადასმე, დამხმარის დასჯადობის საფუძველს წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ თანამონაწილეთა დასჯადობის სამი მიმართულება. ამ თეორიითა განხილვისა და აღნიშნულ საკითხზე ჩვენი პოზიციის გამოხატვის შემდეგ, შეგვიძლია უკვე დამხმარის გიპობრივ დასასიათებას და საერთოდ იმ საკითხების კვლევას შევედგეთ, რომელიც უშუალოდ თანამონაწილის ამ სახესთან მიმართებაში წარმოიქმნება. თუმცა, მანამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მას მოკლე რეზიუმე წავეუმბლავროთ აქამდე ჩატარებული კვლევის შედეგების:

პირველ რიგში აუცილებელია თანამონაწილეობის ბუნება გავიხსენოთ. დანაშაულში თანამონაწილეობა, და ე. ი. დამხმარება, აქცესორული ხასიათისაა. ეს ნიშნავს, რომ დამხმარის, როგორც თანამონაწილის ერთ-ერთი სახის, მოქმედების იურიდიული შეფასება ამსრულებლის მოქმედებაზე დამოკიდებული, მისი ამგვარი

ბუნება ადასტურებს იმასაც, რომ ჩვენი უშუალო გამოკვლევის საგანი შეფარდებით ხასიათს ატარებს, ე. ი. თუ არ გვყავს დანაშაულის ამსრულებელი არ შეიძლება დანაშაულში დამხმარების შესახებ ვიმსჯელოთ.

მეორე, თანამონაწილის და ე. ი. დამხმარის მოქმედებას მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგთან. ეს გარემოება, არა მხოლოდ ფრთებს უკვეცავს კორუფციის ამოსავალ დებულებას, რომლის მიხედვითაც თანამონაწილე და ამსრულებელი სხვადასხვა სიკეთის ხელყოფისათვის ისჯება, არამედ იგი, მართლაც არის ის უცყუარი ობიექტური ზღვარი, რომლის იქითაც დანაშაულში თანამონაწილეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღარ შეიძლება ივარაუდებოდეს.

მესამე, თანამედროვე თეორეტიკოსთა, კანონმდებელთა და პრაქტიკოს მუშაკთა მისწრაფება შეზღუდონ დანაშაულში თანამონაწილეობა განზრახვის სფეროთი, ეს ფაქტი ადასტურებს, რომ დამხმარის და ინდივიდუალურად მოქმედი ამსრულებლის დასჯადობის საფუძველი დაუშვებელია გავიგვიფოთ. საწინააღმდეგოს მგკიცება იქნება საკითხის უხეში გამარგიება. დამხმარე, რომელიც ამსრულებელთან ერთად სჩადის დანაშაულს, იგი ჭეშმარიტად მოითხოვს დასჯადობის საფუძვლის მოძიებისას გარკვეული წესრიგის დადგენას, რომელიც თანამონაწილეობის რთული სუბიექტური მხარის თავისებურებით არის განპირობებული. მისი მოკვლევა ცხადყოფს, რომ თანამონაწილე, და ე. ი. დამხმარეც, ამსრულებელთან ერთად პირდაპირი განზრახვით უნდა მოქმედებდეს, რათა სუბიექტურ სფეროში მოინახოს ობიექტური ნიშანი, რომელიც თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის რთულ შექანიზმს ერთ მთელად შეკრავს და მათ დასჯადობას, ერთიანი უმართლობის განხორციელებაზე დააფუძნებს. დამხმარე ამსრულებელთან ერთად ერთიანი უმართლობის განხორციელებისათვის ისჯება და არა უბრალოდ ერთი შედეგის მიზეზობრივი განპირობებისათვის (მიზეზობრიობის თეორია) ან თვით ამსრულებლის პიროვნების ხელყოფისათვის (კორუფციის თეორია).

¹⁵⁸ Иванов Н.Г. Понятие и формы соучастия в советском уголовном праве, Соротов, 1991, с.64

¹⁵⁹ იქვე, გვ. 87- 94, 119

თავი II. დამხმარის ცნება

1) იმისათვის, რომ დამხმარის შემდგომმა პრობლემებმა სწორი და თანმიმდევრული გადამწყვეტა მიიღოს ამკამად აუცილებელია მის გიპობრივ დახასიათებაზე შევჩერდეთ. ეს დახასიათება პირველ რიგში მისი საკანონმდებლო განსაზღვრებიდან უნდა დავიწყოთ. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანხმად „დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.“ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა, როგორც ვხედავთ, დამხმარის დანაშაულებრივ ქმედებას რეგლამენტაციას უკეთებს დანაშაულში ხელშეწყობის შესაბამისი ფორმების და ხერხების დამუსგების გარეშე, ე. ი. იძლევა მის ზოგად განსაზღვრებას. დამხმარის ცნების განსაზღვრისას ანალოგიური პოზიცია უჭირავს იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის და რიგი სხვა ქვეყნების კანონმდებლობასაც. ასე, მაგალითად, იაპონიის 1907 წლის სს.კ-ის 62-ე მუხლის თანახმად „პირმა, რომელმაც დახმარება აღმოუჩინა ამსრულებელს მიიჩნევა დამხმარედ.“¹⁶⁰ გერმანიის 1871 წლის სს.კ-ის 27-ე პარაგრაფის მოხელვით „როგორც დამხმარე დაისჯება ის, ვინც განზრახ ეხმარება სხვას განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაში.“¹⁶¹ ხოლო საფრანგეთის 1992 წლის სს.კ-ის 121-7-ე მუხლის საფუძველზე თანამონაწილედ, რომელიც თავისი შინაარსით დამხმარის მიერ განხორციელებულ მოქმედებას შეესაბამება,¹⁶² მიიჩნევა პირი დანაშაულის ან გადაცდომის მონაწილე, რომელმაც „შეგნებულად თავისი დახმარებით ან ხელშეწყობით გააიოლა მათი მომზადება ან განხორციელება.“¹⁶³ ამრიგად, დასახელებულ კოდექსებში დამხმარის სახე ფორმულირებულია ზოგადი მითითებით იმ ნეგა-

¹⁶⁰ Уголовное законодательство зарубежных стран (Англия, США, Франция, Германия, Япония), Под ред. И. Д. Козачкина, М., Зерцало, 1999, ст. 344

¹⁶¹ იქვე, გვ. 258

¹⁶² საფრანგეთის სს.კ ტერმინს დამხმარეს, ასევე წამყვებელს არ შეიცავს, თუქცა ქმედებას, რომლიც დახმარებას და წამყვებლობას შეესაბამება, მოიცავს ზოგადი ტერმინი თანამონაწილე

¹⁶³ Уголовное законодательство зарубежных стран (Англия, США, Франция, Германия, Япония), Под ред. И. Д. Козачкина, М., Зерцало, 1999, ст.197

გიორ ნიშანზე, რომ დელიკვენტი დახმარებას აღმოუჩენს სხვა პირებს დანაშაულის განხორციელებაში, ხოლო თავად ფორმები, რომელშიც იგი შეიძლება გამოვლინდეს, არ არის მოხსენიებული. მსგავსი საკანონმდებლო ტექნიკითაა წარმოჩენილი დამხმარის დეფინიცია ზოგიერთი არაბეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების მიხედვითაც. მაგალითად, იემენის სს.კ-ის 23-ე მუხლის თანახმად „დამხმარედ მიიჩნევა პირი, რომელიც ამსრულებელს გამომხმარებლად (намеренно) სთავაზობს ხელშეწყობას დანაშაულის ჩადენაში.“¹⁶⁴

ცალკეულ სახელმწიფოთა კანონმდებლობა კი არ შემოიფარგლება დამხმარის ცნების ზოგადი განსაზღვრით, არამედ იძლევა თვით ხელშეწყობის სახეთა სანიმუშო ჩამონათვალს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ უკრაინის 2001 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 27-ე მუხლის მიხედვით „დამხმარედ გვევლინება პირი, რომელმაც თანამონაწილეებს დანაშაულის ჩადენაში ხელი შეუწყო რჩევა-დარიგებით, მითითებით, საშუალებების თუ იარაღის მიცემით, ან დაბრკოლებათა აცილებით, აგრეთვე ის პირი, ვინც წინასწარ დაჰპირდა, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის კვალს და საგნებს მიღწეულს დანაშაულებრივი გზით, შეიძენს ან გაასაღებს ამგვარ საგნებს, ან სხვა სახით ხელს შეუწყობს დანაშაულის დაფარვას.“¹⁶⁵ როგორც ვხედავთ, ჩამოყალიბებული მუხლი, არამარტო დამხმარის დანაშაულში ხელშეწყობის მექანიზმს გვიჩვენებს, განხორციელებული ქმედების მიმართულების შესაბამისად, არამედ იძლევა ამ ხელშეწყობის სახეების სანიმუშო ჩამონათვალს, სწორედ სანიმუშოს, და მეორეს მხრივ, არა ამომწურავსაც. ამაზე მეტყველებს აღნიშნული ნორმის ბოლო ნაწილის მითითება: „...სხვა სახით ხელსშეუწყობს დანაშაულის დაფარვას.“ ნორმის ეს ნაწილი განუსაზღვრელი ცნებაა, რაც მოწმობს იმას, რომ წინასწარ შეპირებული დაფარვის კანონში გადმოცემული სახეები არ არის ამომწურავი და დანაშაულში ხელშეწყობის ეს ფორმა (წინასწარ შეპირებული დაფარვა) შეიძლება სხვა სახითაც გამოვლინდეს.

¹⁶⁴ იხ. Нагиб Али Сейф, Соучастие в преступлениях по уголовному праву арабских стран, Диссертация на соискание ученой степени канд. юрид. наук, М., 1996, ст. 87

¹⁶⁵ Уголовный кодекс Украины, Изд. Негошвант, 2001, ст. 9

დამხმარის საკანონმდებლო განსაზღვრებაზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ქვეყნების კანონმდებლობასაც, რომლებიც თანამონაწილის ამ სახის სრულყოფის მიზნით მისი კონკრეტული ფორმების ამომწურავ ჩამონათვალს იძლევიან. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსი (33-ე მ. ნაწ. მე-5).¹⁶⁶ ნიშანდობლივია ისიც, რომ ამავე პოზიციას იზიარებდა საქართველოს 1997 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტიც (30-ე მ. ნაწ. მე-6).¹⁶⁷ აღნიშნული მიმართულების ერთ-ერთ ცნობილ გამოხატულებას წარმოადგენდა ასევე 1958 წლის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების განმარტებაც, რომლის მე-17 მუხლში (შესაბამისად საქართველოს სსრ-ის 1960 წლის სსკ-ის მე-19 მ.) ნათქვამი იყო, რომ „დამხმარედ ჩაითვლება პირი, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევა-დარიგებით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით, აგრეთვე პირი, ვინც წინასწარ დაჰპირდა, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღებსა და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ საგნებს.“ როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნორმა იძლევა დანაშაულში ხელშეწყობის დეტალურ და ამომწურავ ჩამონათვალს. ამასთან, ეს ნორმა ცხადყოფს იმასაც, რომ უახლოეს ისტორიულ წარსულში, დანაშაულში ხელშეწყობის აღმოჩენა ხუთი ფორმით იყო განსაზღვრული. ესენია: 1) რჩევა-დარიგება, 2) მითითება, 3) საშუალებათა მიწოდება, 4) დაბრკოლებათა აცილება და 5) დანაშაულის წინასწარ შეპირებული დაფარვა. თავის მხრივ ეს უკანასკნელი ფორმა ხელშეწყობის იყოფოდა სამ სახედ: ა) დამნაშავის, ბ) დანაშაულის ჩადენის იარაღების და საშუალებების და გ) დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი საგნების წინასწარ შეპირებულ დაფარვად.

¹⁶⁶ Уголовный кодекс Российской Федерации, М., Изд. Приор, 1999, ст. 12

¹⁶⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი // საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბულეტენი, 1997 წლის აპრილი, №4, გვ. 17

ცხადია, დასახელებული ხელშეწყობის სახეები უდაოდ განეკუთვნება დამხმარის მოქმედების სფეროს. ამიგომ, მათი დაშლა მარტივ მაშრავლებად, აქ ნაკარნახევი არ იმ მოტივით, რომ რომელიმე მათგანში ეჭვი შევიგანოთ და იგი დამხმარის ქმედების სფეროდან ამოვრიცხოთ, არამედ, პირიქით, მოცემული საკანონმდებლო განსაზღვრების ასეთი გამარტივების დაწინაურება ნათლად წარმოვჩინოთ ის ფაქტი, რომ დამხმარის ქმედებისა და იმ არსენალის დიპაზონი, რომელსაც დანაშაულში ხელშეწყობის მიზნით თანამონაწილის ეს სახე შეიძლება იყენებდეს მნიშვნელოვნად ფართოა. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებასაც, რომ მიუხედავად დასახელებულ ნორმაში გადმოცემული ხერხების სიმრავლისა, იგი ჯერ კიდევ ვერ ამოწურავს დანაშაულში ხელშეწყობის ყველა შესაძლო სახეს. რამედაც მეტყველებს აღნიშნული ნორმის გარშემო იურიდიულ ლიგურატურაში წარმოქმნილი კამათი და ამ კამათის საფუძველზე, არაერთი მეცნიერის მიერ შემუშავებული დამხმარის ცნების განსაზღვრება და შემოთავაზება მისი საკანონმდებლო დამაგრების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე არსებული განსხვავებული მოსაზრებების სიმრავლისა ისინი, მაინც შესაძლებელია მეტ-ნაკლები სხვაობით გარკვეულ სისგემაში მოვიყვანოთ.

პირველ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ის ავტორები, რომლებიც დამხმარის არსზე მსჯელობისას თვლიდნენ, რომ თანამონაწილის ამ სახის მექანიზმის თავისებურებას ვერ ამოწურავს ხელშეწყობის ის სახეები, რომლებიც საფუძვლების მე-17 მუხლით არის დადგენილი. ამიგომ აყენებდნენ წინადადებას ამ ნორმაში დამატებულიყო დანაშაულში ხელშეწყობის განუსაზღვრელი ცნება — „სხვა საშუალებით“, ე. ი. დამხმარის ცნების საკანონმდებლო ლეფინიციის თვალსაზრისით ისინი გუთავაზობდნენ, ხელშეწყობის სახეთა არა ამომწურავ, არამედ სანიმუშო ჩამონათვალს.¹⁶⁸

მეორე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ის ავტორები, რომლებიც თვლიდნენ, რომ დამხმარის საკანონმდებლო განსაზღვრება ხელშეწყობის სახეთა ამომწურავ ჩამონათვალს უნდა მოიცავდეს. მათი აზრით, ამ გზით არის შესაძლებელი სისხლისსამართლებრივი პასუ-

¹⁶⁸ თ. წერეთელი, თანამონაწილობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 171-173; ვან ცი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 200, 203

ხისმგებლობა ისეთი ქმედებისათვის გამოირიცხოს, რომელიც თავისი არსით დანაშაულში რეალური ხელშეწყობის აქტს არ წარმოადგენს. ამასთან, ამ პოზიციის მომხრეები დამხმარის ცნების დადგენისას შემოიფარგლებიან არ მხოლოდ იმ ხერხებით, რომლებიც მე-17 მთელ მოცემულ ნორმაშია ჩამოთვლილი, არამედ ცდილობენ მის მოდერნიზაციას ხელშეწყობის ახალ სახეთა ლოკალიზების გზით. მაგალითად, ამ მიმართულების წარმომადგენელი ა. უშაკოვი მოითხოვდა კანონით დამაგრებას ხელშეწყობის ისეთი სახეების, როგორებიცაა წინასწარ მიცემული შეპირება, დანაშაულის განუცხადებლობის ან მიმნებობლობის შესახებ; წინასწარ მიცემული შეპირება, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენისა და გასაღების შესახებ; ნათქვამს მიაკუთვნებდა იმ შემთხვევებსაც, როდესაც პირის მიერ განხორციელებული მოქმედებების სისტიკური ხასიათი საფუძველს აძლევს ამსრულებელს მხედველობაში მიიღოს მათი ხელშეწყობა და სხვ.¹⁶⁹

მესამე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ის ავგორები, რომლებიც უარყოფითად აფასებენ დამხმარის, როგორც ზოგად ასევე ხანომუშო საკანონმდებლო დეფინიციას და ცდილობენ დანაშაულში დახმარების ყველა შესაძლო სახე დაადგინონ. თუმცა, დასახული ამოცანის გადაწყვეტისას მიდიან იმ დეკლერატორ დასკვნამდე, რომ მე-17 მთელ მოცემულ ნორმაში ასახული ხელშეწყობის ხერხები ამოწურავენ დამხმარის დანაშაულებრივი ქცევის ყველა შესაძლო სახეს და ამიტომ, ეს ნორმა, მათი აზრით, რაიმე შესწორებას არ საჭიროებს.¹⁷⁰

პარადოქსია, თუმცა ფაქტია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ მე-17 მთელ ნაბსენები ნორმა, თითქოსდა, იძლეოდა დანაშაულში ხელშეწყობის არა ამოწურავე, არამედ ხანომუშო ჩამონათვალს.¹⁷¹ მაგალითად, პ. ტელნოვი განიხილავს რა აღნიშნულ საკითხს გამოთქვამს მოსაზრებას, რომ

¹⁶⁹ ა. უშაკოვი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 227-230

¹⁷⁰ პ. გრინოვი, ვ. კრივნი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 154-157; ვ. პროხოროვი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 253.

¹⁷¹ Научно-практический комментарий уголовного кодекса РСФСР, М., 1963, ст. 48; П. Ф. Тельнов, Кто отвечает за соучастие в преступлении, М. 1981, ст. 52-55;

მე-17 მთელში მითითებული ხერხები ერთი შეხედვით, თითქოსდა, დახმარების საშუალებათა ამომწურავ ჩამონათვალს იძლევა, თუმცა, მისი გამოყენება პრაქტიკაში სხვა რამეზე მეტყველებს. კერძოდ, „სასამართლო პრაქტიკაში, გარდა იმ მოქმედებებისა, რომლებიც პირდაპირ არიან დასახელებული მე-17 მთელში, დახმარებად მიიჩნევა წინასწარ შეპირება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენისა და მისი გასაღების შესახებ, ასევე ხელშეწყობა სხვა პირისათვის თანამონაწილეთა შერჩევაში.“¹⁷² ავგორი დანაშაულში დახმარების ამ ხერხებს ილუსტრირებას უკეთებს სასამართლოს პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითების მეშვეობით, რომლის შემდეგ დასკვნის, რომ „დამხმარე-თანამონაწილე სხვა პირს ხელსუწყობს დანაშაულის ჩაღწევაში ან მომზადებაში, ხოლო ჩამონათვალი დანაშაულში დახმარების საშუალებების, მოცემული მე-17 მთელში, გვევლინება ხანომუშოდ (არაამომწურავად).“¹⁷³ ცხადია, აღნიშნული მოსაზრება ყალბია და მას შეუძლებელია დავეთანხმოთ, ვინაიდან კანონის რედაქცია, რომელსაც პ. ტელნოვი ეყრდნობა, მასში ჰქმნარიგად არ არის ნახსენები ისეთი განუსაზღვრელი ცნება, რომელიც მსგავსი თვალსაზრისის მტკიცების რაიმე საფუძველს იძლეოდა.

ამრიგად, გადმოცემული თვალსაზრისები ცალსახად მეტყველებს, რომ დამხმარის საკანონმდებლო ცნების გარშემო საბჭოთა პერიოდის იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი პოზიცია ჩამოყალიბებული. ეს გარემოება პირველყოფილისა გამოწვეულია იმით, რომ დამხმარის დანაშაულებრივი ქმედება სხვა თანამონაწილეების (წამქმნებლის და ორგანიზატორის) მსგავსად მოქმედებათა საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს, ხოლო მეორეს მხრივ, საბჭოთა კანონმდებლის მცდელობა, ამოწურა ყველა შესაძლო ხერხი დანაშაულში ხელშეწყობის აღმოჩენის, წარუმატებლად დასრულდა. საფუძველების მე-17 მთელი (საქართველოს სსრ-ის 1960 წ. სსკ-ის მე-19 მ.), თავისი მოცულობით, სრულად ნამდვილად ვერ ასახავდა დანაშაულში ხელშეწყობის იმ არეალებს, რაშიც იგი პრაქტიკულად შეიძლებოდა გამოეყენებინათ.

¹⁷² პ. ტელნოვი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 52;

¹⁷³ იქვე, გვ. 55.

დამხმარის ცნების ასეთი საკანონმდებლო ფორმულირება მისი პრაქტიკული გამოყენებისას სასამართლოს ორგანოთა საქმიანობაში ქმნიდა დაუძლეველ ბარიერებს. ასე, მაგალითად, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის მიერ განმარტებაში ნარ-ის საქმეზე ხაზგასმულია, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაულში ხელშეწყობის ისეთი მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ესტონეთის¹⁷⁴ სისხლის სამართლის კოდექსით.¹⁷⁵ მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ესტონეთის სსკ-ით განსაზღვრული დანაშაულში დახმარების სახეები ცნო ამომწურავად, პირი გაათავისუფლა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

რამდენადმე განსხვავებულად არის საკითხი გადაწყვეტილი დახმარების ფორმების შესახებ 1962 წლის 31 ივლისის საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში. სადაც მითითებულია ისეთი ფორმა დახმარებისა, როგორცაა „წინასწარ მიცემული შეპირება დატყვევებული ქონების შექმნისა და გასაღების შესახებ.“¹⁷⁶ პლენუმის ეს დადგენილება უნდა ითქვას, რომ პირდაპირ ეწინააღმდეგება საფუძვლების მე-7 მუხლის დებულებას, რომლის მიხედვითაც დანაშაულად ითვლებოდა მხოლოდ ისეთი საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კანონით იყო გათვალისწინებული. ამ დებულების ძალით, წინასწარ მიცემული შეპირება, დანაშაულის დაფარვის განსაზღვრული სახის მოქმედების შესრულებით, მხოლოდ მაშინ დააფუძნებდა პასუხისმგებლობას, თუ ის იმ საკანონმდებლო ნორმაში იქნებოდა ფორმულირებული, სადაც საუბარი იყო წინასწარ მიცემულ შეპირებაზე, რომ პირი დამალავდა დამნაშავეს, დანაშაულის იარაღებს და სა-

¹⁷⁴ საფუძვლების მსგავსად ესტონეთის სსკ-ც დანაშაულში ხელშეწყობის სახეით ამომწურავ ჩამონათვალს იძლეოდა. ამ მხრივ, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან, გამოჩნაკლის წარმოადგენდნენ მხოლოდ უკრაინისა და უზბეკეთის სსრ-ების სსკ-ები, რომლებიც საფუძვლებში განსაზღვრული დანაშაულში ხელშეწყობის ხერხებთან ერთად მითითებდნენ დანაშაულში დახმარებას „სხვა საშუალებებითაც“. ე. ი. ეს კოდექსები იძლეოდნენ დამხმარის ცნების საბირთვო განსაზღვრებას.

¹⁷⁵ იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, <<Известия>>, 1965, №1, ст.27

¹⁷⁶ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР/ 1924-1963/, <<Известия...>> М., 1964, ст. 304

შუალედებს, კეაღს და საგნებს მოპოვებულის დანაშაულებრივი გზით. მაშასადამე, წინასწარ მიცემული შეპირება მთლიანობაში დაკავშირებული იყო კანონით განსაზღვრულ მოქმედებასთან, რომელიც ლეგალურ და ამომწურავ ჩამონათვალს შეიცავდა და რომლის რიგშიც წინასწარ შეპირებით დატყვევებული ქონების შექმნა და გასაღება არ შედიოდა. ამიტომ, აქ აღვნიშნავ კანონის ანალოგიით გამოყენების მცდელობას, რაც არღვევს კანონიერების პრინციპს და ეწინააღმდეგება საფუძვლების მე-7 მუხლის დებულებას.

გარკვეული კუთხით უარყოფითად ვაფასებთ საბჭოური პერიოდის დამხმარის საკანონმდებლო განსაზღვრებას, აუცილებელია კვლავ გავიხსენოთ ის დადებითი მხარეც, რომელიც ამ დროის ცალკეულ შეწყვეტულ შეხედულებების და ამ შეხედულებათა საკმაო პოპულარობის მიუხედავად, იგი უდაოდ ფლობდა. მხედველობაში გვაქვს მის მიერ დადგენილი ლემარკაციული მღვარი წინასწარ შეპირებულ და წინასწარ შეუპირებულ დანაშაულის დაფარვას შორის. დანაშაულის დაფარვაები თავისი იურიდიული სტატუსით დაუშვებელია დამხმარეებს გაუთანაბრდნენ დაფარვა, რომელიც წინასწარ იყო შეპირებული, კანონში ლეგალურად გაწერილ შემთხვევაში იწვევს პასუხისმგებლობას დანაშაულში დახმარებისათვის. მაშასადამე, აღნიშნულმა ნორმამ საბოლოოდ გამოაყალბა სისხლის სამართლის ლიგერაგურაში საკმაოდ მყარად ფესვგადგმულ მყადარ დებულებას საფუძველი, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობისათვის მიზეზობრივი კავშირის უარყოფაში გამოიხატებოდა და დასჯითი პოლიტიკის კუთხით, დაფარვის ნებისმიერ სახესთან მიმართებაში (იყო ის წინასწარ შეპირებული თუ არა), ვლინდებოდა თემისში — „...იცი ვისაც მალავ, — მაშინ აგე პასუხი იმასთან თანასწორად, ვინც შენ დამალავ.“¹⁷⁷ ამ დებულების მიხედვით დანაშაულის შემსებელი ისევე ისჯებოდა, როგორც დანაშაულის დამხმარე, ან სულაც დანაშაულის ამსრულებელი. საფუძვლებში დამხმარის ცნების განსაზღვრით ანულირება გაუკეთა ამ კონცეფციას და საერთოდ იმ თავისებურებებსაც, რომელიც ა. ვიშინსკის, პ. მიშენინის, მ. მერკუშევის თუ სხვა ავტორთა მოსაზრებებს ახასიათებდა. მათ

¹⁷⁷ მ. მერკუშევი, დასაზღვრული ნაშრომი, გვ. 24

შესახებ შემოთ გვექონდა საუბარი. ამიგომ აღნიშნულთან დაკავშირებით, აქ აღარ შეეჩერებით.

ამჟამად გვესურს ჩვენი პოზიცია გამოვკვეთოთ ერთ საგულსხმო საკითხზე. კერძოდ, აუცილებელია თუ არა ვიკამათოთ დამხმარის იმ საკანონმდებლო განსაზღვრების გარშემო, რომელიც მოქმედ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსშია ფორმულირებული — „დამხმარება ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.“ ეს საკითხი მეტად საინტერესოა, თუნდაც იმიტომ, რომ იდეა დამხმარის საკანონმდებლო განსაზღვრისა დანაშაულში ხელშეწყობის ხერხების ამომწურავი ჩამონათვალის გზით, როგორც უკვე შემოთ ვთქვით, მოკუმული იყო სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის მიერ 1997 წელს შემუშავებულ სისხლის სამართლის კანონპროექტში.

დანაშაულში დახმარების ხერხების ამომწურავ ჩამონათვალს ახასიათებს ერთი დადებითი მოქმენტი. კერძოდ, იგი, ვინაიდან წინასწარვე იძლევა მზა რეცეპტს იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის ქმედება მიეკუთვნება დამხმარის დანაშაულებრივი ქმედების სფეროს, ამდენად ასეთი საკანონმდებლო ნორმა ერთიორად ამაღლებს მისი პრაქტიკული გამოყენების უფექტს. თუმცა მას ახასიათებს მნიშვნელოვანი ნაკლიც. კერძოდ, ამგვარი საკანონმდებლო განსაზღვრის შემთხვევაში, მიუხედავად დამხმარის ქმედებათა სერხების ყოველმხრივი და მაქსიმალური შესწავლისა, არ არის გამოორიყხული მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ქმედების რომელიმე ხერხი, რომელიც თავისი არსით დანაშაულში დახმარებას განეკუთვნება. ამიგომ, თუ ქმედებას დახმარების ნიშნები ახასიათებს, მაგრამ დამხმარის ცნების ამომწურავი საკანონმდებლო განსაზღვრისას მას არ მოიცავს კანონი, ასეთი ქმედება ყველა ვარიანტში სისხლისსამართლებრივი რეგულირების ფარგლებს გარეთ აღმოჩნდება, და შესაბამისად, დანაშაულის რეალური დამხმარე დაუბერება მართლმსაჯულების ორგანოებს. მაშასადამე, ნორმა, რომელიც იქნება ორიენტირებული იმაზე, რომ წინასწარვე, მზა რეცეპტის შემადებით, მან გაუოლოს პრაქტიკოს მუშაკებს განსაზღვრონ, თუ რა სახის ქმედება უნდა მიაკუთვნონ დანაშაულში დახმარებას, ასეთი მზა რეცეპტი, მოულოდნელად ბუმერანგივით შემობრუნდება და

იგი, მისი პრაქტიკული გამოყენების პროცესში, დაუძლეველ ბარიერად გადაიქცევა.

გარდა ამისა, დახმარების ხერხების ამომწურავმა საკანონმდებლო განმარტებამ მისი პრაქტიკული გამოყენებისას შესაძლებელია შექმნას შთაბეჭდილება იმისა, რომ ჩადენილი ქმედება, რომელიც მართალია კანონში დახასიათებულ ნიშნებს ემთხვევა, თუმცა თავისი მცირე მნიშვნელობის გამო დანაშაულის ჩადენაში რეალურ ხელშეწყობას არ წარმოადგენს, ასეთი მოქმედება შეიძლება მაინც იქნას მიჩნეული დახმარებად, ე. ი. მცირე მნიშვნელობის მქონე ქმედების ჩამდენი პირი მაინც აღმოჩნდეს მსჯავრდებულის სკამზე.

ეფიქრობთ, ეს არგუმენტებიც საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ მხარი დაუჭიროთ დამხმარის იმ საკანონმდებლო ფორმულირებას, რომელიც ამჟამად მოქმედ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსშია ასახული. თანამონაწილის ამ სახისათვის შთაგარია მითითება მისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელ იმ მოგად ნიშანზე, რომ დამხმარე ხელს უწყობს სხვას დანაშაულის ჩადენაში, ხოლო თავად ის საკითხი, თუ რომელი კონკრეტული ფორმებით შეიძლება გამოვლინდეს ეს ხელშეწყობა, იგი შესაძლებელია დამუსტდეს სისხლის სამართლის თეორიაში, ისევე როგორც, ამას ადგილი აქვს, თუნდაც დანაშაულის წამქმნებელთან მიმართებაში.

2) დამხმარის დახასიათებისას, ერთ-ერთი გამოკვეთილი საკითხი, რომელიც თეორიულ ლიგურატურაში ყოველგვარი კამათის გარეშეა მიღებული, ეს არის ამ სახით დანაშაულში თანამონაწილეობის დაყოფა მის ორ ძირითად ფორმად — ფიზიკურ და ფსიქიკურ დახმარებად.

ფიზიკური დახმარება აღნიშნავს მაგერიალური თუ ფიზიკური დახმარების მეშვეობით ხელშეწყობას სხვა პირისადმი დანაშაულის მომზადების ან მისი ჩადენის პროცესში. ამგვარი დახმარების ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს დანაშაულის ჩასადენად საშუალებათა მიწოდება წარმოადგენს. საშუალებათა მიწოდება, ჩვეულებრივ, გამოიხატება დამხმარის მიერ დამნაშავისათვის მაგერიალურ

რი სამყაროს ამა თუ იმ საგნის გადაცემაში, რომელიც უკანასკნელს თავისი დანაშაულებრივი მიზნის რეალიზებაში ეხმარება. ასეთ საგნებად შეიძლება მოგვევლინოს საგრანსპორტო საშუალება (მოპარული ნივთების გადასაზიდად), ყალბი დოკუმენტი (ფულის უკანონოდ მისაღებად), საწვავი მასალა (ნავთი შენობის დასაწვავად), გასაღები (ავტომობილის გასაგატყებლად), იარაღი, საწამლედი (მკვლელობის ჩასაღებად) და სხვ. მათი ამომწურავი ჩამოთვლა, ცხადია, შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია გადაეცემა საშუალებათა წინასწარი განსაზღვრა და მიკუთვნება ერთი რომელიმე კონკრეტული დანაშაულისათვის. მაგალითად, გასაღები შეიძლება იყოს საშუალება ბინაში შესაღწევად ქურდობისათვის, სეიფიდან საიდუმლო დოკუმენტების გაგაცემისათვის და ა. შ. სწორედ ასევე, იარაღი შეიძლება იყოს საშუალება მკვლელობის, ყინაღური თავდასხმის, ფიზიკური შეჭარის და სხვ. ამიტომ, საშუალების სახეში შეიძლება ვიგვლისხმეთ მატერიალური სამყაროს სხვადასხვა საგნები იმ პირობებში, რომ მათ თავისი თვისებებით შეძლონ დახმარების აღმოჩენა ამსრულებლისათვის დანაშაულის ჩასაღებად.

საშუალებათა გადაცემის გზით დანაშაულში ხელშეწყობის აღმოჩენის ილუსტრაციისათვის შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1997 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი. მისი შინაარსი ასეთია: გ. გუჯაბიძემ ნ. მამულაძის, ჯ. ლომიაძის და მ. ლუმბაძის დახმარებით, ნ. ოქრუაშვილის ცოლად შერთვის მიზნით, განახორციელა მისი ბინიდან გაგატყების მცდელობა. ამის საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაკავებულნი იქნენ თანამშრომლები. წინასწარი ძიების დროს, გარემოებათა შეცვლის საფუძველზე (გ. გუჯაბიძემ ცოლად შეირთო ს. ოქრუაშვილი), გამოგანილ იქნა საქმის არ აღძვრის დადგენილება, რის გამოც დაკავებული მეგობრები გაათავისუფლეს პოლიციიდან. გათავისუფლების შემდეგ მათ დაებადათ ეჭვი, რომ მათი მიმალვის ადგილსამყოფელის შესახებ პოლიციას ინფორმაცია მიაწოდა მ. ლუმბაძემ. ამიტომ გადაწყვიტეს შური ეძიათ მასზე. ამ მოტივით ჯ. ლომიაძემ გ. გუჯაბიძეს, მ. ლუმბაძის მოკვლის მიზნით, გადასცა თავისი ფისგოლეგი რვა ცალი ვაზნით. გ. გუჯაბიძემ მაგიდასთან ღრუობის დროს მეგობ-

რებში დემონსტრირება გაუკეთა ჯ. ლომიაძის მიერ მიცემულ ფისგოლეგს და დაიმუქრა მ. ლუმბაძის მოკვლით, რაც აღასრულა იმავე დღეს ჯ. ლომიაძისა და ნ. მამულაძის თანხლებით. მათ მ. ლუმბაძე მოძებნეს და ნახეს ბატარიონის ქუჩაზე. ჯ. ლომიაძე შორიასლოს შეჩერდა, გ. გუჯაბიძემ კი ესროლა და მოკლა მ. ლუმბაძე, ხოლო სროლის დროს ნ. მამულაძემ ფეხი ჩაარგყა მსხვერპლს, რათა მას წინააღმდეგობა არ გაეწია.¹⁷⁸ სასამართლომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სწორედ დააკვალიფიცირა ჯ. ლომიაძის მოქმედება მკვლელობის დახმარებად. მისი ხელშეწყობა დანაშაულის ჩადენის საშუალების, კერძოდ, ფისგოლეგისა და რვა ცალი ვაზნის გადაცემაში გამოიხატა.

ეს განაჩენი საინტერესოა იმიტომ, რომ იგი ფიზიკური დახმარების კიდევ ერთ ცნობილ ფორმას — დაბრკოლებათა თავიდან აცილებას შეგვახსენებს. უკანასკნელი სახე ხელშეწყობის, სასამართლოს შეხედულებით, გამოიხატა ნ. მამულაძის მოქმედებაში, როდესაც მან „სროლის დროს შიარგყა ფეხი სხეულზე მ. ლუმბაძეს, რათა ამ უკანასკნელს წინააღმდეგობა არ გაეწია მკვლელისათვის და მას დაესრულებინა თავისი განზრახვა“ (ციტატა განაჩენიდან). მაშასადამე, სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ გზით ნ. მამულაძემ მსხვერპლის მხრიდან მოსალოდნელი ძალადობა შეასუსტა და გ. გუჯაბიძეს შეუქმნა ხელსაყრელი პირობა დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად. ამიტომ ეს უკანასკნელიც მკვლელობის დახმარედ მიიჩნია.

წინააღმდეგობათა აცილება დახმარის ისეთ მოქმედებაში ვლინდება, რომელიც დანაშაულის ჩადენის გარსშემორგემული გარემოებების სახეცვლილებისაკენ არის მიმართული. როდესაც არსებული სივრციდან ხდება რაიმე ელემენტების გამოკლება თუ განადგურება, ძალისა და დაკისრებული კონტროლის შესუსტება, ნეიგრალობა და სხვ. მათი დანიშნულებაა დაბრკოლებათა აცილების მეშვეობით დახმარებელს გაუხსნას ამსრულებელს დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად. ასეთი სახე ხელშეწყობის შეიძლება გამოიხატოს ძალის მოკვლაში, რათა ამსრულებელმა შეაღწიოს ბინაში გასაქურდად; ელექტრო ხაზების გადაჭრაში იმისათვის, რომ

¹⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, 1997 წ., საქმის №2-161

საყავის გაძარცვის დროს არ ჩაირთოს განგაში; სადარაჯოზე დგომამი, რათა ამსრულებელი არ იქნას შენიშნული და დაკავებული დანაშაულის ჩადენის ადგილზე; ყურადღების მიქცევებში, მაგალითად, პატიმარის ეტაპირების დროს ბადრაგის სამსახურის მუშაკის, იმისათვის, რომ პატიმარმა მოახერხოს გაქცევა და სხვ. მათი ამომწურავი ჩამოთვლა, დანაშაულის ჩასადენად სამუალებათა გადაცემის მსგავსად, შეუძლებელია.

ფიზიკურ დამხმარებზე მსჯელობისას აუცილებელია ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ სასამართლო პრაქტიკაში არც თუ იშვიათად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ერთი და იგივე დამხმარის მხრიდან ამსრულებლისადმი ხელშეწყობა ხორციელდება, როგორც დანაშაულის სამუალების უზრუნველყოფით, ასევე დაბრკოლების აცილებით. ამასთან, ეს ორი სახე ხელშეწყობის იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ძნელია მათ შორის სხვაობის გაგარება. აღნიშნულის საწინააღმდეგო შეიძლება მოვიყვანოთ აჭარის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 1993 წლის 29 ნოემბერის განაჩენი. ამ განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი მუსგაფა ოლი საქართველოს 1960 წლის სსკ-ის 19-84-ე მუხლებით (ახალი სსკ-ის 24-344-ე მმ.) ვათვალისწინებელი დანაშაულის ჩადენაში. მან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დახმარება აღმოუჩინა ასგარ ოლის და ო. მახნუვიჩს საქართველოს სახელწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში. დასახელებულ პირებს არ ჰქონდათ პასპორტები, ისინი დამალა მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტობუსის საწოლის ქვეშ, რომელიც მძღოლისათვის იყო განკუთვნილი.¹⁷⁹ განხორციელებული მოქმედებით მუსგაფა ოლიმ სახელწიფო საზღვრის უკანონოდ ვათაკვეთის ამსრულებლებლებს ხელიშეუწყო, როგორც საგრანსპორტო სამუალებით, ასევე იმავე სამუალებებში, მათი დამალვის გზით, შეეცადა საზღვარზე გადასვლისას დადგენილი წესების შესაბამისად მუსგაფა ოლითა თუ მებავითა კონგროლის (ანუ დანაშაულის ჩადენის დაბრკოლების) აცილებას. მამასადაამე, დამხმარის მოქმედებაში აქ ერთდროულად არის ასახული დანაშაულის ჩასადენად შესაბამისი სამუალებით აღჭურვა და დაბრკოლების აცილება.

¹⁷⁹ აჭარის არის უმაღლესი სასამართლოს არქივი, 1993 წ., საქმის №1-85

ფიზიკური დახმარების დახასიათებისას ზოგიერთი მკვლევარი, ზემოთ ნახსენები ხელშეწყობის სახეთა გვერდით, დახმარების სახესხვაობად გამოყოფს, აგრეთვე „აუცილებელი პირობების შექმნას, რომლებიც ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას უზრუნველყოფენ.“ მაგალითად, მ. შნეიდერი ხელშეწყობის ასეთ სახედ თვლის დანაშაულის ჩადენის დროს სადარაჯოზე დგომას იმ მიზნით, რომ ამსრულებელი არ იქნას შენიშნული და დაკავებული დანაშაულის ჩადენის ადგილზე.¹⁸⁰ ფ. ბურჩაკი, მსგავსად მ. შნეიდერისა, ასევე მიზანშეწონილად თვლის, რომ დასახელებული ფორმა დანაშაულში ფიზიკური დახმარების ერთ-ერთ სახესხვაობად უნდა იქნას განხილული, თუმცა მას არ მოაქვს არცერთი მაგალითი თუ არგუმენტი მისი დამოუკიდებელ სახედ გამოყოფის საბუთად.¹⁸¹

სამუალებათა მიწოდების და დაბრკოლებათა აცილების გვერდით, ისეთი სახის გამოყოფას, რომელიც ამ ავტორთა აზრით, დანაშაულის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფაში გამოიხატება, არა აქვს საკმარისი საფუძველი. რადგან, აუცილებელ პირობათა შექმნა, ეს გამორჩეული ხერხი კი არ არის ფიზიკური დახმარების, არამედ იგი გვარობით ცნებას წარმოადგენს, რომელიც თავისთავში მოიცავს, როგორც დანაშაულის ჩასადენად სამუალებათა მიწოდებას, ასევე წინააღმდეგობათა აცილებას.

სადარაჯოზე დგომა მართალია არის აუცილებელი პირობის შექმნა დანაშაულის ჩასადენად, თუმცა იგი უპირველესყოფისა არის დაბრკოლების აცილება. სამუალების მიწოდება ასევე არის აუცილებელი პირობა დანაშაულის განსახორციელებლად, მაგრამ ის წარმოადგენს დანაშაულის ჩასადენად სამუალებათა გადაცემას. მამასადაამე, ხელშეწყობის სახე, რომელსაც ეს ავტორები ფიზიკური დახმარების სახესხვაობად გვითავაზობენ შეიძლება აღნიშნული ხელშეწყობის ხერხების გზითაც გამოვლინდეს და არა წმინდა დამოუკიდებელი სახით.

¹⁸⁰ მ. შნეიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 53

¹⁸¹ ფ. Г. Бурчак, Соучастие: социальные, криминологические и правовые проблемы, Киев, 1968, ст. 152

ფიზიკური დახმარების დამოუკიდებელ სახედ შეიძლება გამოვეყნოთ მსხვერპლის მიცემა წინასწარ განსაზღვრულ დანაშაულის ჩაღების ადგილზე. აღნიშნულის საწინააღმდეგო შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. დაუშვათ, ა-ნმა გაიგო, რომ ბ-ანს სახლისაკენ მიმავალ ერთ-ერთ გზაზე, იარაღით ჩასაფრებული გ-ანი ხშირად ელოდება. ბ-ანის მოკვლით დაინტერესებულია ა-ნიც, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი მოკვლის შემდეგ თავისი სამსახურებრივი კარიერა საგრძნობლად გაუმჯობესდება. ამ მოტივით იგი ბ-ანს მიიგყუებს დაგებულ მახესთან, სადაც გ-ანი ესერის მას და სასიკვდილოდ დასცემს მიწაზე.

აღნიშნულ მაგალითში ა-ნის მოქმედება ფიზიკურ ხელშეწყობაში გამოიხატება და მას, კონკრეტული გარემოებებით ვერ მივაკუთვნებთ დაბრკოლებათა აცილებას. ამსრულებელმა წინასწარვე შეარჩია მოხერხებული ადგილი, საიდანაც დაუბრკოლებლად შეძლებდა დასახული მიზნის მიღწევას. მისთვის მთავარი იყო მხოლოდ შერჩეული მსხვერპლის გამოჩენა, რომელიც დღეს თუ ხვალ სამომხმარებლო აღმოჩნდებოდა. დამხმარეს მსხვერპლის ადგილზე მიყვანით ამსრულებლისათვის არ აუცილებია დაბრკოლება. მისი ხელშეწყობა, ცხადია, არც საშუალებათა მიწოდებას წარმოადგენს. ამიტომ, იგი, ჩვენი აზრით, ფიზიკური დახმარების ერთ-ერთ სახესხვაობად უნდა განვიხილოთ.

ფიზიკური დახმარებისაგან უნდა განვასხვავოთ ინგელექტუალური დახმარება. უკანასკნელი ფორმა დამხმარების გამოიხატება ფსიქიკურ ხელშეწყობაში, რომელიც შემოქმედებას ახდენს ამსრულებლის შეგნებაზე და ნებაზე. ეს ხელშეწყობა მიმართულია დანაშაულის ჩაღების პირობების და გარემოებების კონკრეტიზაციისაკენ, რითაც დამხმარე, ერთის მხრივ, ამსრულებელს დასახული მიზნის განხორციელებას უიოლებს, ხოლო მეორეს მხრივ, უწყობს ამ მიზნის განხორციელების გადაწყვეტილებას, აკორექტებს მის განზრახვას, ამსრულებელში ასუსტებს იმ მოტივებს, რომელმაც იგი დანაშაულის ჩაღებისაგან უნდა შეაკავონ.

იმ საშუალებათა რიცხვს, რომელსაც ინგელექტუალური დამხმარე მიმართავს, პირველ რიგში, უნდა გამოვეყნოთ რჩევა-დარიგება და მითითება. რჩევა-დარიგების თუ მითითების მიყვანით

დამხმარე ხელს უწყობს ამსრულებელს დანაშაულის ჩაღების რეალური ვითარების, მისი პირობების გამორკვევაში. თავისი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით ნათელყოფს, თუ სად ან როგორ პირობებში უკეთესია დანაშაულის უსაფრთხო მომზადება. ამისათვის საჭირო საშუალებების მოპოვება. დროის რომელ მონაკვეთში უფრო წარმატებული შეიძლება აღმოჩნდეს დანაშაულის დაწყება. რა ადგილზე ან რა ხერხით იოლია დასახული მიზნის ხორცშესხმა. ვინ შეიძლება თავისი გამბედაობისა თუ ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით თანამსრულებლად გამოდგეს და სხვ. ერთი სიტყვით, რჩევა-დარიგებაში თუ მითითებაში შეიძლება ვიგულისხმოთ თანამონაწილეებისათვის შეთავაზებული ისეთი ასსნა-განმარგება თუ რეკომენდაცია, რომელსაც პირი თავისი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ფლობს და მას, ამა თუ იმ მოტივით, მიმართავს დანაშაულის განხორციელების ხელშეწყობისაკენ. ინგელექტუალური დახმარების ამ სახის არსებობას მდგომარეობს იმაში, რომ პირი ახლენს ამსრულებლისადმი მხარდაჭერას, ამით, იგი შემოქმედებას ახდენს ამსრულებლის შეგნებაზე. განუმტკიცებს მას დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას, მრდის სტიმულს იმისათვის, რომ მან რეალურად შეუდგეს დანაშაულის განხორციელებას.

ფსიქიკური დახმარება შეიძლება გამოიხატოს ასევე ინფორმაციის მიწოდებაშიც. ამის ნათელი გამოხატულებაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1994 წლის 7 მარტის განაჩენი. მისი შინაარსი ასეთია: შეაქვამ და გელოვანმა განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმა განხორციელებათ სოფ. ხალაში მცხოვრებ ბარამიძის სახლზე. თუმცა აღნიშნულის მისაღწევად, ისინი არ იყვნენ დარწმუნებული იმაში, ბარამიძე თავის საცხოვრებელ სახლში ინახავდა თუ არა ნამდვილად ფულს და ოქროს სამკაულებს. ამ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, მათ ხელშეწყობა თხოვეს გ. მელაძეს, რომელსაც დანაშაულის წარმატებით დასრულების შემთხვევაში თანხის განაწილებას შეპირდნენ. მელაძემ შეთანხმების დღიდან რამდენიმე დღეში შეასრულა მიღებული დავალება. მან დააბუსტა და თანამზრახველებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბარამიძე მართლაც თავის საცხოვრებელ სახლში ინახავდა ძვირფას ნივთებს

და ფულს. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ყაჩაღებმა შეიმუშავეს დანაშაულის გეგმა და განახორციელეს თავდასხმა.¹⁸² აღნიშნულ შემთხვევაში, ბუნებრივია, არ არის ძნელი იმის შენიშვნა, რომ გ. მელაძემ ინფორმაციის მიწოდებით ხელშეწყობა ამსრულებლებს მათ მიერ ჩაფიქრებული დანაშაულის კონკრეტული გარემოებების დაკონკრეტებაში. სწორედ ფულის და ოქროს სამკაულების რეალური აღგილსამყოფელის ცოდნამ საბოლოოდ განსაზღვრა მათი განზრახვა დანაშაულის ჩასაღწევა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ფსიქიკურ დახმარებას, გამოხატულს რჩევა-დარიგების, მითითების ან ინფორმაციის მიწოდების გზით, შედარებით იშვიათად ვხვდებით. ჩვეულებრივ პირი, რომელიც დასახელებული ხერხებით ცდილობს ხელშეწყობას დანაშაულის ჩადენაში, იგი, იმავდროულად, უფრო ხშირად, თანაამსრულებლის როლშიც გამოდის, ან აღმოუჩენს ფიზიკურ ხელშეწყობასაც, ან კიდევ, მას იყენებს ისეთი პირი, რომელმაც ამსრულებელი მანამდე დანაშაულის ჩასაღწევა დაიყოლია (წამქეზებელი). ერთი სიტყვით, წმინდა ინგლექტუალური დახმარება, რომლებიც აქ დასახელებულ ფორმებში ვლინდება, ფიზიკურ დახმარებასთან შედარებით გაცილებით ნაკლებად ვხვდებით.

სისხლის სამართლის თეორიაში, ერთობ გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ინგლექტუალური დახმარების სახეობად განიხილება ამსრულებლის დარწმუნება,¹⁸³ მისი გამხმნეება¹⁸⁴ და დანაშაულებრივი საქმიანობის მოწონება.¹⁸⁵ მოწონებას თუ გამხმნეებას, რომელსაც კონკრეტული გარემოებებით შეუძლია დამნაშავის დანაშაულებრივი განზრახვის გადაწყვეტილება განამტკიცოს, ან იგი ამსრულებლის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნას რჩევის სახით, რომელმაც მას დასახელებული მიზნის მიღწევაში შეუწყობა ხელი, ამ სახის მხარდაჭერა, დანაშაულის სერიოზულობიდან და მისი მოწო-

¹⁸² აჭარის არ-ის უზენაესი სასამართლოს არქივი, 1994 წელი, საქმის №1-22

¹⁸³ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ.172; ნ. ტაგანცვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 775; Harro Otto, Grundkurs Strafrecht, Berlin, 1996, s. 305

¹⁸⁴ Fritjof Haft, Strafrecht allgemeiner teil, Munchen, 1990, s. 212

¹⁸⁵ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 175-176; თ. ებრალოძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52; ნ. ტაგანცვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 775; მ. შეროიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52;

ნების ან გამხმნეების მნიშვნელობიდან გამომდინარე შეიძლება იყოს საფუძველი პირის პასუხისმგებლობისა დანაშაულის ჩადენაში ხელშეწყობისათვის. ამასთან, ინგლექტუალური დახმარების ამ სახისათვის, ვფიქრობთ, სამართლიანააღა აღნიშნული ლიტერატურაში, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს არა უბრალოდ მოწონების ან გამხმნეების ფაქტის დადგენას, არამედ იმ პირად ურთიერთობებსაც, რომელიც დამხმარესა და ამსრულებელს შორის არსებობდა.¹⁸⁶ მაგალითად, დანაშაულის მოწონების გამოხატვა იმ პირის მიერ, რომლისგანაც ამსრულებელი არის სამსახურებრივ, მაგერიალურ თუ სხვაგვარ დამოკიდებულებაში, ასეთი ობიექტური წინაპირობის არსებობას მეტი ალბათობის ხარისხით შეუძლია მოგვეცეს რწმუნება, რომ დამხმარემ თავისი მოწონებით, უფრო ინგენსიური ფსიქიკური როლი ითამაშა, ამსრულებლის მიერ მიღებული დანაშაულებრივი გადაწყვეტილების განმტკიცების საქმეში. იგივე შეიძლება ითქვას ნათესაურ, მეგობრულ თუ სხვა ისეთ ურთიერთობებზე, რომლის გამოც ამსრულებელი მხედველობაში მიიღებდა და გარკვეულ ანგარიშს გაუწევდა მათ მიერ გამოხატულ დამოკიდებულებას (მოწონებას) მის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე.

იმ არსენალთა რიგებს, რომელშიც ინგლექტუალური დახმარება გამოიხატება, მიეკუთვნება ასევე წინასწარ მიცემული შეპირება დანაშაულის ან დამნაშავის დაფარვის შესახებ. საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობა, როგორც უკვე ვთქვით, დახმარების ამ სახეში სამ ქვესახეობით კატეგორიას გამოყოფდა: ა) დამნაშავის, ბ) დანაშაულის ჩადენის იარაღების და საშუალებების და გ) დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშთები საგნების წინასწარ შეპირებულ დაფარვას. ჩვენი აზრით, ხელშეწყობის ამ ფორმაში, გარდა დასახელებული სახეობითი კატეგორიებისა, უნდა მოვითავსოთ წინასწარი შეპირება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენისა და გაცემის შესახებ. აღნიშნულს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი შემთხვევებიც, როცა დანაშაულის ამსრულებელი სისტემატურად სარგებლობს დამფარავის ხელშეწყობით, თუმცა მათ არ პქონდათ ამის თაობაზე წინასწარი შეპირება. ასეთი შემთხვევე-

¹⁸⁶ იხ. მ. კოვალოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 108

ბი სასამართლო პრაქტიკაში¹⁸⁷ და სისხლის სამართლის თეორიაში¹⁸⁸ სამართლიანად ფასდება, როგორც დახმარების აქტი გამოხატული მდუმარე შეთანხმებაში, ე. ი. როგორც თავისებური ფორმა წინასწარ მიცემული შეპირებისა, რომ პირი მზად არის მიიღოს, შეიძინოს და გაასაღოს დატაცებული საქონელი. უკანასკნელ შემთხვევაში ხელშეწყობის ფაქტის აღიარებისათვის აუცილებელია არა მარტო ობიექტური (სისხტურობა), არამედ სუბიექტური ფაქტორის არსებობის დადგენა. კერძოდ, დამფარავის მიერ ცოდნა და გათვალისწინება იმისა, რომ არაერთგზის დახმარების შედეგად, ის ხელს უწყობდა დანაშაულის ამსრულებელს, ხოლო ეს უკანასკნელი იმედს ამყარებდა მსგავს დახმარებაზე.

იურიდიულ ლიტერატურაში კრიმინალისგთა აბსოლუტური უმრავლესობა, წინასწარ შეპირებული დაფარვის გვერდით, ფსიქიკური ხელშეწყობის სახეობად გამოყოფს ასევე წინასწარ შეპირებულ დანაშაულის განუცხადებლობას და მიმჩნეებლობასაც. აღნიშნული ხელშეწყობის სახეების გარშემო მსჯელობა ცოტა მოგვიანებით გვექნება.

ამჟამად გვსურს პასუხი გავეთ ერთ საინტერესო კითხვას. კერძოდ, შესაძლებელია თუ არა დანაშაულში ხელშეწყობის აღმოჩენა გამოიხატოს ქცევის აქტის ორივე ფორმით, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მოსაზრება, რომ დახმარების ხელშეწყობა ძირითადად აქტიურ ქცევაში — მოქმედებაში გამოიხატება, ეს თეორეტიკოსთა შორის არავითარ ეჭვს არ იწვევს. გარკვეული ეჭვის საგანს, მხოლოდ უმოქმედობით, როგორც პასიური ქცევის აქტის განსაზღვრული ფორმით აღმოჩენილი დახმარება წარმოადგენს. „არ შეიძლება შევეცოდეთ ლოგიკის წინააღმდეგ, — წერს მაგალითად, ა. უშაკოვი, — და დავეშვათ მცდარი წარმოდგენა იმის

¹⁸⁷ იხ. Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР/ 1924-1963/, << Известия... >> М., 1964, ст. 304

¹⁸⁸ ვან ცი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 220; ა. უშაკოვი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 229-230; Б. Т. Разгильдиев, Уголовно-правовые проблемы прикосновенности к преступлению, Саратов, 1981, ст.19-20; Д. А. Савченко, Основания правовых норм, регулирующих уголовную ответственность за соучастие в совершении преступления, Диссертация на соискание ученой степени к. ю. н., Томск, 1998, ст. 130-131 и др.

თაობაზე, რომ დანაშაულში დახმარება, თითქოსდა, შესაძლებელი იყოს უმოქმედობის გზითაც.“ აღნიშნული დებულების განსაკუთრებული მტკიცების საფუძველს ავტორი ვერ ხედავს ფიზიკური დახმარების ფორმებთან მიმართებაში.¹⁸⁹ ინტელექტუალურ დახმარებას, რაც შეეხება, მისი ისეთი სახეები როგორებიცაა რჩევა-დარიგება, მითითება, დაპირება და ა. შ. ქცევის ისეთი აქტიური ფორმებია, როგორც მოქმედება.¹⁹⁰ აღნიშნულს ა. უშაკოვი ამბავებს მხოლოდ იმას, რომ „დახმარების საკანონმდებლო ფორმულირება არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი თვალსაზრისით არ უშვებს დახმარებას სუკი ის პირის აქტიურ მოქმედებაში არ გამოიხატა. ამიტომ ის ავტორები, რომლებიც თელიან დანაშაულში დახმარებას უმოქმედობის გზით, დაუსაბუთებლად გამოდიან ამ ცნების ფარგლებს გარეთ, რამაც არ შეიძლება, ავტორის აზრით, არ მიგვიყვანოს იმ პირთა წრის გაფართოვებამდე, რომელთა პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობის წესის შესაბამისად აიგება.“¹⁹¹

ა. უშაკოვის გადმოცემული შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ დახმარება უმოქმედობის გზით ლოგიკურადაც წარმოსადგენია და პრაქტიკულადაც დასაშვებია. დანაშაულში უმოქმედობით აღმოჩენილი ხელშეწყობისათვის უნდა დავსაჯოთ ის პირი, რომელსაც სამოგალოებრივ ურთიერთობათა რომელიმე სფეროში გარკვეული მდგომარეობა უკავია, რის საფუძველზეც მას დაკისრებული აქვს სპეციალური მოვალეობა წინ აღუდგეს დანაშაულის განხორციელებას. როდესაც ასეთი პირი არ ასრულებს მოვალეობას, და მამასადაც, ამით ამსრულებელს აცილებს დაბრკოლებას, იგი პასუხს აგებს უმოქმედობის გზით აღმოჩენილი დახმარებისათვის, თუ რა თქმა უნდა, მან იცის ამსრულებლის დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ.

პირის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, ახლო ნათესაური ურთიერთობიდან, თანამდებობრივი ან პროფესიული მოვალეობიდან, პირის წინარე მოქმედებიდან, ხელშეკრულებიდან და სხვ. თუ მაგალითად

¹⁸⁹ ა. უშაკოვი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 230

¹⁹⁰ იქვე, გვ. 231

¹⁹¹ იქვე, გვ. 232

ვინმე ავადმყოფის მოვლის ვალდებულებას აიღებს ხელშეკრულებით, თუმცა მისი სამკვიდროს ნაადრევად მიღების მიზნით წინააღმდეგობას არ გაუწევს ექიმს, რომელიც შურისძიების გამო მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ავადმყოფს მომაკვდინებელი ნემსის ინექციას უკეთებს, მაშინ მეურვე (რომელმაც იცის ექიმის განმარტვის შესახებ) პასუხს აგებს, როგორც მკვლელობის დახმარე.

სხვათა შორის ანალოგიური ვითარებაში თანამონაწილეობას თავად ა. უმაკოვიც არ გამოირიცხავს. თუმცა, იგი თვლის, რომ მსგავს შემთხვევებში დახმარების აღმოჩენა ხორციელდება არა უმოქმედობით, არამედ ადამიანის ქცევის აქტიური ფორმით — მოქმედებით. იგი წერს, რომ იმ ზოგადი წესიდან, რომ დახმარება დანაშაულში შესაძლებელია მხოლოდ მოქმედების გზით „გამონაკლისებს არც ისეთი შემთხვევები წარმოადგენს, როდესაც პირს დაკისრებული აქვს ვალდებულება იმოქმედოს, ე. ი. შეეწინააღმდეგოს დანაშაულს და არ გამოაჩინოს მიმნებებლობა. აქაც, დახმარების არსებობისათვის ასეთი პირის ქცევაში აუცილებელია აქტიური საწყისი — მოლაპარაკება, წინასწარ და ნებისმიერ ფორმად გამოხატული შეპირება არ შეეწინააღმდეგოს დანაშაულის ჩადენას. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნება არც ერთიანობა, არც შეთანხმებული მოქმედებები; არ იქნება თავად თანამონაწილეობა.“¹⁹²

მიგვაჩნია, რომ ავტორის აღნიშნულ მოსაზრებაში ჩამოყალიბებული ორი წინადადება ურთიერთსაწინააღმდეგოა, იგი ერთდროულად ამტკიცებს და თან გამოირიცხავს ერთი და იგივე საგანს. კერძოდ, დანაშაულში დახმარების არსი, მოცემულ მსჯელობაში მავალელებელი ნორმის შეუსრულებლობაში გამოიხატება. პირმა არ უნდა დაარღვიოს მოქმედების მოვალეობა და უნდა შეეწინააღმდეგოს დანაშაულს. მაგრამ პირი, რომელიც მიმნებებლობას იჩენს და ამით დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს, სწორედ ამ ფაქტის მეშვეობით აცილებს იგი ამსრულებელს მოსალოდნელ დაბრკოლებას, რაც ობიექტური თვალსაზრისით, მისი თანამონაწილედ მიიჩნევის აუცილებელი პირობაა. მაგრამ თუ მოცემული შემთხვევისას დავუშვებთ მსჯელობას, რომ პირი მოქმედებს, ეს მოქმედება აღნიშნულ

კონტექსტში სისხლისამართლებრივი თვალსაზრისით გულისხმობს უკვე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. აქედან, ის ლოგიკური დასკვნა გამოძინარეობს, რომ დამხმარე ხელს კი არ უწყობს ამსრულებელს, არამედ ეწინააღმდეგება მას. ასეთი ფაქტი გამოირიცხავს თანამონაწილეობის არსებობას. ამიგომ მტკიცება, რომ პირი არ ასრულებს მოვალეობას, მაგრამ თანამონაწილეობა მაინც მოქმედების ფორმით გამოიხატება ეს აპორემაა. იგი შინაგან გადაუჭრელ წინააღმდეგობას შეიქცავს და მისი გამართლების საფუძველს ვერ იძლევა თუნდაც ის ფაქტი, რომ დამხმარის უმოქმედობა ამსრულებლისათვის წინასწარ იყო შეთანხმებული. ასეთ შემთხვევებში, თანამონაწილეთა შორის შეთანხმების დადგენა, მოვალეობის არ შემსრულებელი პირის უმოქმედობას ვერ გადააქცევს აქტიური ქცევის აქტად. დახმარების აღმოჩენა ობიექტური მხრივ აქ უმოქმედობის ფორმით ხორციელდება და ამ მოსაზრებას, აღიარებს შეეწინააღმდეგება აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის ის ავტორებიც, რომლებიც შეთანხმებას თანამონაწილეობის აუცილებელ ნიშნად მიიჩნევენ.¹⁹³

თანამონაწილეობის ცნების ზოგადი თვალსაზრისით, დამხმარედ არ შეიძლება ვცნოთ ის, რომლის ქმედებაც მიმნებობრივ კავშირში არ არის ამსრულებლის მიერ გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგთან. სისხლის სამართლის დოქტრინაში დამკვიდრებული ეს ქვაკუთხედი პრინციპი, დამხმარის ქმედებას სხვა, მასთან ახლოს მდგომი, ისეთი დანაშაულებრივი გამოვლინებებისაგან შემოფარგლავს, როგორსაც დანაშაულის შემხებლობის ცალკეული სახეები წარმოადგენენ. ამასთან, დანაშაულის შემხებლობის და უმოქმედობით აღმოჩენილი ფიზიკური დახმარების ურთიერთგამიჯვნის

¹⁹² ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალებში ერთადერთი ავტორია ა. უმაკოვი, რომელიც უმოქმედობით დანაშაულში დახმარებას უარყოფს. საპრინციპო პოზიციას აიჭიროებენ: თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 176; ჰ. გრიშავე, გ. კრივერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 161-162; ეან ცი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 205; ე. პრაზნოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 260-261; ფ. ბურჩაე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 155; ე. გრიგორიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 44; მ. შვიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54; П. Ф. Тельнов, Кто отвечает за соучастие в преступлении, М. 1981, ст. 50-51 Johannes Wessels, *Stafrecht allgemeiner teil*, 15 auflage, Heidelberg, 1985, s.158; Fritjof Hafn, *Stafrecht allgemeiner teil*, 4 auflage, Munchen, 1990, s. 213

¹⁹² ა. უმაკოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 232

საქმეში აღნიშნული დებულება ზოგადი ხასიათისაა და იგი გარკვეულ ახსნა-განმარტებას საჭიროებს. ეს განმარტება აუცილებელია იმიტომ, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ეხდებით მკვლარს საბრძოლველს, რომლის მიხედვითაც, მზადების პროცესში მყოფი დაზარალების განუცხადებლობის ან მიმნებებლობის ნებისმიერი შემთხვევა (დამოუკიდებლად იმისა იყო თუ არა ის წინასწარ შეპირებული, ამ დანაშაულისათვის წინააღმდეგობის გაწევა წარმოადგენდა თუ არა მოქმედი პირის მოვალეობას), თითქოსდა, დგას მიმნებობრივ კავშირში ამსრულებლის მიერ გამოწვეულ დანაშაულთან და ამდენად, ის დანაშაულში დახმარებას უნდა წარმოადგენდეს. ამ შეხედულების მომხრე ვ. სმიროვი, მაგალითად, არათანამდევრობას საყვედურობს იმ ავტორებს, რომლებიც უმოქმედობის კუბალურ ხასიათის აღიარებენ, ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულის განუცხადებლობას და მიმნებებლობას თანამონაწილეობად არ ცნობენ.¹⁹⁴

მოსამრებს, რომელსაც ვ. სმიროვი აფიქსირებს უნდა ითქვას, რომ იგი ეწინააღმდეგება თვით უმოქმედობის მიმნებობრივი ხასიათის აღიარებულ პოზიციას, რაც ქმნის თბიერ კავშირს დამხმარის ცნების ხელოვნური გაფართოების. სწორედ ამ კუთხით, ეს შეხედულება სრულიად სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული სისხლის სამართლის თეორიაში.¹⁹⁵

ცნობილი ფაქტია, რომ უმოქმედობის მიმნებობრივი ხასიათის დასამტკიცებლად არ არის საკმარისი მხოლოდ იმ გარემოების დადასტურება, რომ მოცემულ ვითარებაში სუბიექტს ჰქონდა მოქმედების შესრულების შესაძლებლობა და ამ მოქმედების განხორციელების შემთხვევაში შედეგი არ დადგებოდა, არამედ საჭიროა იმის გამოკვლევა მას ჰქონდა თუ არა დაკისრებული მოქმედების სპეციალური სამართლებრივი ვალდებულება. „მიმნებობრივი კავშირი პირის უმოქმედობასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის, — წერს პროფ. თ. წერეთელი, — დასაბუთებულია იმით, რომ პირს

¹⁹⁴ В. Г. Смирнов, Понятие прикосновенности по советскому уголовному праву, изд. ЛГУ, 1957, ст. 18

¹⁹⁵ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 176-177; მ. კოვალოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი ბირკელი, გვ. 220-221; Г. И. Баймурзин, Ответственность за прикосновенность к преступлению, Алма-Ата, Наука, 1968, ст. 57-59

კანონის, ხელშეკრულების, წინასწარი საფრთხის შემქმნელი მოქმედებისა და სხვ. იურიდიული საფუძვლის გამო ჰქონდა სპეციალური მოვალეობა უმოქმედობა. ამის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევაში, როცა პირს ასეთი სპეციალური მოვალეობა არ აკისრია, მიმნებობრივ კავშირზე მოქმედებისაგან თავის შეკავებასა და მძიმე შედეგს შორის ვერ ვისაბუთებთ.¹⁹⁶ მართლაც, უმოქმედობა, რომელიც სპეციალური ცხოვრების თბიერ კავშირით ფაქტია, მხოლოდ იმიტომ იღებს კუბალურ ძალას, რომ სუბიექტი თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფება განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, რაც მას დადგენილი უწყვეტებისა და ამოცანების შესრულებას აკისრებს. სწორედ ეს გარემოება ააქტივებს პირის პასიური ქცევის აქტს უმოქმედობის დროს, ანიჭებს მას ქმედით ძალას და გვაძლევს უფლებას, იგი დამდგარი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელ პირობად განვიხილოთ.

ეს დებულება მხედველობაში მიიღება არა მარტო ერთპიროვნულად არამედ თანამონაწილეობით განხორციელებული დანაშაულის შემთხვევაშიც. კერძოდ, უმოქმედობით აღმოჩენილი დახმარებისა და შემხებლობის ურთიერთგამიჯვნის დროსაც. მიმნებობრივი კავშირი, რომელიც დამხმარის დანაშაულში თანამონაწილედ მიჩნევის აუცილებელი წინაპირობაა, იგი მაშინ იარსებებს, როცა მოქმედების შესრულება, რომელსაც შედეგის განხორციელება შეეძლო აუცილებელია, იგი სუბიექტის სპეციალური მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს. აქედან გამომდინარე, დანაშაულის განუცხადებლობა თუ მიმნებებლობა თავისთავად დანაშაულში თანამონაწილეობად არ შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ისინი არ შეიძლება მიმნებობრივ კავშირში იყვნენ ამსრულებლის მიერ განხორციელებულ ქმედებასთან. მხოლოდ დაკისრებული მოვალეობის აქტური მოქმედებით შესრულებლობისა შეიძლება დაისვას საკითხი, როგორც უმოქმედობის მეშვეობით აღმოჩენილი დახმარების შესახებ. აღნიშნულ შეხედულებას მხარს უჭერს არა ერთი მეცნიერი. ასე, მაგალითად, პროფ. თ. წერეთელი წერს, რომ „დანაშაულის განუცხადებლობა და არც მიმნებებლობა, რომელიც სპეციალურად ვალდებულ სუბიექტს არ ჩაუდენია, არ დგას მიმნებობრივ კავშირში შე-

¹⁹⁶ თ. წერეთელი, გ. ტყეშელაშვილი, მოძღვრება დანაშაულზე, თბ. 1969, გვ. 309

დეგთან და ამიგომ არ შეიძლება ჩაითვალოს დახმარებად დანაშაულში.¹⁹⁷ მაგრამ „სხვაგვარად წყდება საქმე, როდესაც მოქმედებისაგან თავს იკავებს ისეთი პირი, ვისაც... სპეციალური მოვალეობა ეკისრება ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩაღწევის ან დახმარება აღმოუჩინოს სამიმ მდგომარეობაში მყოფ პირს.“ ასეთ შემთხვევაში თ. წერეთელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სახეზე გვექნება დანაშაულში თანამონაწილეობა.¹⁹⁸ ანალოგიურ მოსაზრებას, მოცემულ საკითხზე, გამოხატავენ სხვა კრიმინალისგებიც.¹⁹⁹

ამრიგად, უნდა დაფასკენათ, რომ განუცხადებლობა და მიმნებებლობა მაშინ შეიძლება იყოს დანაშაულში ფიზიკური დახმარება, როდესაც უმოქმედოდ მყოფ პირს დაკისრებული აქვს მოქმედების მოვალეობა. ამ პირობის არსებობისას უმოქმედოდ მყოფი პირის პასიური ქცევა აკუმულირებული სახით ჩაიწნება ამსრულებლის მოქმედებაში და კაუზალურად დაუკავშირდება დანაშაულებრივ შედეგს. ამასთან, ბუნებრივია, უმოქმედობა მაშინ იქნება დანაშაულის ჩაღწევის წინააღმდეგობის აცილება, თუ ის, ამსრულებლის მიერ გამოიყენება როგორც საშუალება, რომელმაც მას დანაშაულის ჩაღწევაში დაეხმარა. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ დამხმარემ იცოდეს ამსრულებლის დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ და თავისი ნებით ხელსუწყობდეს მის განხორციელებას.

დანაშაულის განუცხადებლობის და მიმნებებლობის გარშემო მსჯელობისას არანაკლებ საინტერესოა იმ საკითხის გამოკვლევა, თუ როგორი შეფასება უნდა მიეცეს სამართლებრივი ვალდებულების არ მქონე პირის მიერ წინასწარ მიცემულ დაპირებას, რომ ის არ განაცხადებს დანაშაულის შესახებ ან არ შეუშლის ხელს მის განხორციელებას. აღნიშნულ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში ორი განსხვავებული მოსაზრებაა ჩამოყალიბებული: პირველი, რომელსაც მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს,

¹⁹⁷ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 182

¹⁹⁸ იქვე, გვ. 181-182

¹⁹⁹ პ. გრიშავეი, გ. კრივერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 161; მ. კოვალოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი პირველი, გვ. 219-220; ვ. პროხოროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 260-261; ფ. ბურჩაკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 155; პ. ტელბოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 50-51 და სხვ.

თვლიან, რომ ასეთი შემთხვევები თავისი არსით ინგელექტუალურ დახმარებას წარმოადგენენ და იგი, წინასწარ შეპირებული დაფარვის ანალოგიურად უნდა გადაწყდეს.²⁰⁰ სხვები კი პირიქით, მას დანაშაულის შემხებლობად განიხილავენ. ამ მიმართულების მომხრე პ. გრიშავეი და გ. კრივერი აღნიშნავენ, რომ განუცხადებლობის დაპირება, რომელიც არსებითად მხოლოდ დანაშაულისადმი ლიბალური დამოკიდებულების დაპირებას ნიშნავს, არ შეიძლება დანაშაულში დახმარებად ჩაითვალოს, ეინაიდან იგი მიმეზობრივად არ განაპირობებს ამსრულებლის მიერ ჩაღწეულ დანაშაულს. არგანმცხადებელი ამსრულებელთან ერთად დანაშაულის ერთობლივ საქმიანობაში არ იღებს მონაწილეობას, არამედ მხოლოდ იმას პირდება ამსრულებელს, რომ ამა თუ იმ მოსაზრებით გამოიჩენს გულგრილობას იმ დანაშაულის მიმართ, რომელსაც ამსრულებელი იღებს და არ განაცხადებს მის შესახებ შესაბამის ორგანიზებში. „მაშასადამე, — დაასკენიან ისინი, — აქ არ არის თანამონაწილეობის აუცილებელი ობიექტური ნიშნები. წინადადება, რათა თანამონაწილეებად ჩაითვალოს ის პირები, რომლებიც მხოლოდ საერთო ამრით არიან გაერთიანებული, მიუღებელია...“²⁰¹

აღნიშნულ საკითხს ანალოგიურად წყვეტს პ. გელნოვიც, რომელიც თავისი მოსაზრების მეტი არგუმენტაციისათვის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საფუძვლების მე-17 და მე-18, მე-19 მუხლების ანალიზს მიმართავს. „მე-17 მუხლის დადგენილება — წერს იგი — მე-18 და მე-19 მუხლებთან მიმართებაში ახვევებს, რომ განუცხადებლობა არ შეიძლება მიჩნეული იქნას დახმარებად. ამ ნორმების მიხედვით დაფარვა დახმარებად განიხილება, თუ ის წინასწარ იყო შეპირებული, ან დანაშაულის შემხებლობად, თუ ის წინასწარ არ იყო შეპირებული. იურიდიული მნიშვნელობა განუცხადებლობის სხვაგვარადაა

²⁰⁰ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 182-185; ფ. ბურჩაკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 153; ა. ტრაინინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 106; მ. შვიდური, დასახელებული ნაშრომი, გვ. 89,93; ბ. ბაიურზინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56-57; მ. კოვალოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 98; ვანცი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 218-219; ვ. პროხოროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75-84; დ. სეჭენკო, დასახელებული ნაშრომი, გვ. 130

²⁰¹ პ. გრიშავეი, გ. კრივერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 223-224

განსაზღვრული. მისი გაყოფა არ ხდება იმაზე დამოკიდებულებით იყო თუ არა ის წინასწარ შეპირებული. განუცხადებლობის შესახებ საუბარი არის მე-19 მუხლში. იგი მოლიანად ხასიათდება კანონში, როგორც სახესხვაობა დანაშაულის შემხებლობის. კანონმდებლის ამგვარი პოზიცია, — ავტორის აზრით, — ლოგიკურია თეორიული თვალსაზრისითაც. დამხმარება ნებისმიერი ხერხით აღნიშნავს დანაშაულის განხორციელებაში ხელშეწყობას, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ნიშნებით. შეპირება დანაშაულისათვის ხელის არ შეშლის, ან განუცხადებლობისა არ შეიძლება ამსრულებლისათვის რეალურ ხელშეწყობად გადაიქცეს (გარდა იმ შემთხვევებისა როცა პირს აკისრია მოვალეობა დანაშაულისათვის წინააღმდეგობის გაწევის).²⁰²

ინტელექტუალური დახმარების და შემხებლობის ურთიერთ-გამიჯვნა, რომელიც პ. გელნოვის ზემოთ ნახსენებ მუხლებში, მკვეთრად იყო განსაზღვრული, იგი, მართლაც, არ გოვებდა არავითარ ეჭვს იმის მტკიცებისათვის, რომ ვალდებულების არ მქონე პირის წინასწარი დაპირება, დანაშაულის განუცხადებლობის ან მიმხმებლობის შესახებ, დახმარებად მიხნეულიყო. სწორედ, ამ გარემოების გათვალისწინებით, იმ ავგორთა გარკვეული ნაწილიც, რომლებიც წინასწარი შეპირების ფაქტს, შემხებლობასა და ინტელექტუალურ დახმარებას შორის, მკვეთრი მღვარის გასაულებად მიმემობრივი კავშირის თეორიული ანალიზისათვის მოიშველიებდნენ და ასკვნიდნენ, რომ წინასწარ შეპირებული განუცხადებლობა, ან მიმხმებლობა, დაფარვის მსგავსად მიმემობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ განხორციელებულ დანაშაულთან და თავისი არსით ინტელექტუალურ დახმარებას წარმოადგენენ, მიუხედავად ამისა, ისინიც ეჭვის ქვეშ აყენებდნენ ასეთი შემთხვევების (წინასწარ შეპირებული განუცხადებლობის და მიმხმებლობის) მიმართ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას დანაშაულში დახმარებისათვის. ასე, მაგალითად, პროფ. თ. წერეთელი, ამ გარემოებიდან გამომდინარე წერს, რომ „ჩვენ მიგვაზნია, რომ მიმხმებლობის ან განუცხადებლობის წინასწარი დაპირება მიმემობრივ კავშირშია შედეგთან და ისინი ინტელექტუალურ დახმარებას წარმოადგენენ. მაგრამ, მიუხედა-

ვად ამისა, ვთვლით, რომ საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით იგი არ უნდა დაისაჯოს. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენს კანონმდებლობაში, რომელიც დამხმარის მოქმედების ამომწურავ ჩამონათვალს იძლევა, განუცხადებლობა ან მიმხმებლობის წინასწარი დაპირება არ არის გათვალისწინებული, როგორც დახმარების სახე.“²⁰³

ამრიგად, ირკვევა, რომ სპეციალური ვალდებულების არ მქონე პირის წინასწარ დაპირებას, დანაშაულის განუცხადებლობის ან მიმხმებლობის შესახებ, თუ პ. გელნოვი ინტელექტუალურ დახმარებად არ თვლიდა და ამ დებულების დასაბუთებას საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობის შესაბამის მუხლებზე დაყრდნობით უღობობდა, თ. წერეთელი, პირიქით, დასახელებულ სახეებს დახმარებად აფასებდა. ამიგომ, ბუნებრივია, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტიდან გამომდინარე, ის წინააღმდეგობას იმ მუხლის რედაქციონაში ხედავდა, რომელსაც პ. გელნოვი თავისი შეხედულების არგუმენტაციის მიზნით მოიშველიებდა. ასეთი იყო საბჭოთა კანონმდებლის პოზიცია განსახილველი საკითხის გარშემო და აქედან გამომდინარე, ორი საპირისპირო ხედავ, რომელიც ამავე პერიოდის სისხლის სამართლის თეორიაში ჩამოყალიბდა.

ამეამად იბადება კითხვა, თუ როგორ წყვიტავს ამ საკითხს საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი. უნდა ითქვას, რომ იგი დასმული საკითხის გარშემო არ იძლევა სათანადო თვალსაზირო სურათს; ვინაიდან მასში დამხმარის დანაშაულებრივი ქმედება, როგორც უკვე ვთქვით, ჩამოყალიბებულია ზოგადი სახით. ამასთან, დასახელებული კოდექსის ზოგადი ნაწილით, თავისი ობიექტური ფორმით გამოუღვნილი შემხებლობის ცალკეული სახეები, წინასწარი შეპირების არსებობის ფაქტზე დაყრდნობით არ არის სიგყვა-სიგყვით განსაზღვრული ისე, როგორც ეს მანამდე მოქმედ საბჭოურ კოდექსში იყო ასახული. ამგვარი გენღენცია, ბუნებრივია, ბადებს კითხვას, რომ სპეციალური ვალდებულების არ მქონე პირის მიერ წინასწარ მიცემული შეპირება, დანაშაულის განუცხადებლობის ან მიმხმებლობის შესახებ, დანაშაულში დახმარებას წარმოადგენს თუ დანაშაულის შემხებლობას, რომელიც პასუხისმგებლობას მხოლოდ კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით სპეციალურად გათ-

²⁰² П. Ф. Тельнов, ответственность за соучастие в преступлении, М., 1978, ст. 36

²⁰³ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 185

ვალისწინებულ შემთხვევებში უნდა იწვევდეს? ცხადია, ეს კითხვა აუცილებლად საჭიროებს პასუხის გაცემას.

უფიქრობთ, ძნელია იმ ავტორთა მტკიცებებს დავეთანხმოთ, რომლებიც დასახელებული ქმედების სახეებს ინტელექტუალური დახმარების არსენალიდან გამოორიქხავენ. საპირისპირო პოზიცია არათანხმდევრული იქნება იმ კონცეფციის შეფასებაში, რომლის მიხედვითაც, წინასწარი შეპირება, ინტელექტუალური დახმარების არსის განსაზღვრისათვის ფსიქიკური მიზეზობრიობის თეორიული გაანალიზებისათვის გამოიყენება. რომლის მეშვეობითაც ობიექტური კრიტერიუმი შემუშავდება ამ ორი დანაშაულებრივი ქმედების (ინტელექტუალური დახმარების და შემხებლობის) ურთიერთგამიჯნისათვის.

აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად, პირველ რიგში, აუცილებელია წინასწარი შეპირების ფუნქციონალური როლი გამოვარკვიოთ. კერძოდ, აქვს თუ არა მას რაიმე მნიშვნელობა ამა თუ იმ მოქმედების დანაშაულში თანამონაწილეობად მიჩნევისათვის. ამან კი ყველაზე უფრო სრულყოფილი და გამოკვეთილი სახე დანაშაულის შემხებლობის ისეთ კატეგორიასთან მიმართებაში მიიღო, როგორსაც დანაშაულის დაფარვა წარმოადგენს. დანაშაულის დაფარვის „წინასწარი შეპირების არსებობა“ დღეისათვის ცალსახად მიიჩნევა იმ ობიექტურ ბალანსად, რომელიც შემხებლობის ამ სახეს ფსიქიკურ დახმარებად გადააქცევს. წინასწარი შეპირება შემოქმედებას ახდენს ამსრულებლის შეგნებაზე, ააქტიურებს მის მნიშვნეობრივ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს და შესაბამისად ამსრულებლის დანაშაულებრივ ქცევასაც განსაზღვრავს, ხოლო მისი მეშვეობით დამდგარ შედეგსაც. ამიგომ დაფარვის წინასწარი შეპირება, ერთობლივად განხორციელებული დანაშაულის ერთ-ერთ შემადგენელ რგოლად განიხილება. იგი უდაოდ არის ჩაბმული მიზეზობრიობის იმ ზოგად ჯაჭვში, რომელიც ამსრულებლის მოქმედებით გრძელდება და ერთობლივი დანაშაულებრივი შედეგისაკენ მიემართება.

თავად ფსიქიკური კონტაქტის დადგენა ამსრულებელსა და იმ პირს შორის, რომელმაც მას დანაშაულის დაფარვა შეპირდა, იმედს აძლევს ამსრულებელს შესაძლო დაკავებისა თუ მხილება-

საგან თავის დაღწევაში, რაც ასუსტებს მასში დანაშაულის ჩადენისაგან თავშეკავების მოტივებს და აძლევს დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების სტიმულს. მამსახადამე, შეპირების ფაქტით ინტელექტუალური დამხმარე ახდენს შეგავლენას ამსრულებლის დანაშაულებრივი ქცევის ჩამოყალიბებაზე და განვითარებაზე, მის მზადებაზე ჩაიდინოს დანაშაული. ამის მეშვეობით ის ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთ პირობად წარმოგვიდგება აღნიშნულს უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ამ შემთხვევაში, პირი დამხმარედ მიიჩნევა არა იმიტომ, რომ მან კონკრეტული დანაშაული დაფარა, არამედ იმიტომ, რომ მან თავისი შეპირებით შექმნა ობიექტური პირობა ერთიანი დანაშაულის ჩასადენად. ასეთი პირის ყველა შემდგომინდელი ქცევა, კერძოდ, შეასრულა თუ არა მან შეპირება, რომ დამალავდა დანაშაულს, დანაშაულის ჩადენის იარაღებს და ა. შ. შეგავლენას არ ახდენს დამხმარის მოქმედების იურიდიულ კვალიფიკაციაზე. ისინი მხედველობაში მიიღება მხოლოდ დამხმარის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის დროს.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ თავად შეპირება, რომელიც ამსრულებლის მიერ დანაშაულის გარემოებათა შეფასებისას იქნა გათვალისწინებული და მან ობიექტური წილი შეიტანა ამსრულებლის შეგნების ფორმირებაში და კონკრეტინაციაში, მის მიერ წარმოდგენილი ვითარების, თავისი მოთხოვნის დანაშაულებრივი გზით დასაკმაყოფილებლად, ე. ი. ამსრულებლის დანაშაულებრივი განწყობის განმტკიცებაში შეასრულა სათანადო როლი, ამ თვალსაზრისით დამხმარის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ერთობლივ დანაშაულებრივ შედეგთან. ამიგომ, თუ ეს ფაქტობრივი ქცევის აქტი (წინასწარი შეპირება) განზრახ ხორციელდება და შეგნებულად მიემართება დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობისაკენ, ის დანაშაულში თანამონაწილეობას წარმოადგენს ინტელექტუალური დახმარების სახით. მაგრამ, რაც შეეხება იმ პირის მოქმედებას, რომელიც წინასწარი შეპირების გარეშე ფარავს დანაშაულს, თანამონაწილის მოქმედებისაგან განსხვავებით, ის მიზეზობრივ კავშირში არ არის ამსრულებლის მიერ გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგთან. ასეთი პირის მოქმედება შემხებლობას წარმოადგენს და არა

თანამონაწილეობას. მამასადაბე, წინასწარი შეპირების არსებობა არის ობიექტური კრიტერიუმი, რომელიც ორ იდენტურ მოქმედებას იურიდიული შეფასების კუთხით სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს. იგი გადაწყვეტს როდესაც ასრულებს ფსიქიკური მიზეზობრივი კაეშირის დადგენაში, უკანასკნელი კი – ფსიქიკური დახმარების არსის განსაზღვრაში, რადგან მიზეზობრივი კაეშირი იმ ობიექტურ ზღვარად გვევლინება, რომლის იქითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეუძლებელია გაერყელდეს დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. მეაკრი და განუხრელი დაცვა ამ მოთხოვნისა, არა მარტო კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვის გარანტიად გამოდის, არამედ იგი იბლევს შესაძლებლობას ერთმანეთისაგან გაემიჯნოთ დაფარვა, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობა და დაფარვა, როგორც დანაშაულის შემხებლობა.

დაფარვის გარემო მსჯელობისას, წინასწარი შეპირების ამგვარ მნიშვნელობას თავად პ. გრიშაევი და გ. კრივერიც არ უარყოფენ. ისინი თვლიან, რომ ინტელექტუალური დახმარების ერთ-ერთ ფორმას ნამდვილად წარმოადგენს წინასწარ მიცემული შეპირება დანაშაულის კვალის და დამნაშავის დაფარვის შესახებ. მათი აზრით, შეპირების არსებობა ამსრულებლის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას განამტკიცებს. ამიტომ თავად შეპირების ფაქტი ამ თვალსაზრისით იქცევა ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, რომელიც ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგს უწყობს ხელს.²⁰⁴ დასმულ საკითხზე მსჯელობისას ანალოგიური დასკვნა გამოაქვს პ. გელნოვსაც. „ინტელექტუალური დახმარების ამ სახისათვის, – შენიშნავს იგი, – განმსაზღვრელ მომენტად გვევლინება შეპირება, როგორც საშუალება სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების განზრახ გამტკიცებისა. ამიტომ, თუ რაიმე მიზეზით ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი მოქმედების განხორციელების შემდეგ პირი არ ასრულებს შეპირებულ დაფარვას, პასუხისმგებლობა დახმარებისათვის მაინც არ გამოირიცხება.“²⁰⁵

²⁰⁴ პ. გრიშაევი, გ. კრივერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 157

²⁰⁵ П. Ф. Тельнов, Кто отвечает за соучастие в преступлении, М., 1981, ст. 50

ამრიგად, დასახელებულ ავტორთა პოზიცია წინასწარ შეპირებული დაფარვის იურიდიული შეფასების საქმეში სრულიად სამართლიანია და აქ სადათ არაფერია. მაგრამ, აღნიშნული საკითხის ამგვარი გადაწყვეტის შემდეგ, ვფიქრობთ, არათანმიმდევრული და საფუძველს მოკლებულია მათი მხრიდან მტკიცება იმის თაობაზე, რომ წინასწარ მიცემული შეპირება დანაშაულის შეუტყობინებლობის ან მიმნებებლობის შესახებ დანაშაულის დახმარებიდან გამოვრიცხოთ. დაფარვა, შეუტყობინებლობა და მიმნებებლობა თავისი არსით ერთი ტიპის, ერთი ჯგუფის (დანაშაულის შემხებლობის) სახეობითი მოვლენებია. ამიტომ, თუ რომელიმე მათგანს ახასიათებს ისეთი თვისება, რომ განსაზღვრული პირობის ძალით სახეცვლილება განიცდოს და თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის რეგულირების სფეროში აღმოჩნდეს, შესაბამისად ასეთი თვისება, იგივე პირობის არსებობის შემთხვევაში უნდა ახასიათებდეს ამ ჯგუფში შემავალ სხვა სახეობით მოვლენებსაც. მამასადაბე, თუ დაფარვა წინასწარი შეპირების ძალით ინტელექტუალურ დახმარებად უნდა ვაღიაროთ, ამავე პირობის არსებობისას ინტელექტუალურ დახმარებად უნდა ვცნოთ შეუტყობინებლობაც და მიმნებებლობაც.

მართალია, ასეთი პირის ქცევა მხოლოდ შეუტყობინებლობის ან დანაშაულისათვის ხელის არ შემლის დაპირებაში გამოიხატება, თუმცა შეპირება აქაც ისეთივე ობიექტური ფაქტია და იგი ისევე განამტკიცებს ამსრულებლის დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას, როგორც ამას ადგილი აქვს წინასწარ შეპირებული დაფარვის მომენტში. ავილოთ ასეთი შემთხვევა, ვთქვათ, სასტუმროში მყოფმა ბანკა განიზრახა იმავე სასტუმროში მყოფი ბანკის მოკვლა. ამისათვის მან აწონდაწონა ყველა ობიექტური პირობა და მივიდა დასკვნამდე, რომ თავისი მიზნის რეალიზაციის ერთადერთი დამაბრკოლებელი გარემოება შეიძლება იყოს ბანკის ნაცნობი ე-ანი, რომელიც მის გვერდით ნომერში ცხოვრობს. იგი აუცილებლად გაიგებს მკვლელობისას გამოწვეულ საეარაულო ხმაურს, რის შემდეგაც მას გაუწევს წინააღმდეგობას ან განაცხადებს ამის შესახებ სათანადო ორგანოებში. ამიტომ მკვლეული, მოსალოდნელი დაბრკოლების აცილების მიზნით, მას უხდის თანხას და თხოვს არ შეუშალოს ხელი, რაზეც იგი ლეზულობს თანხმობას. ვფიქრობთ, წინასწარი შეპირება

აქ განსაზღვრავს ამსრულებლის დანაშაულებრივ ქცევას, ამიგომ ერთობლივად განხორციელებული ქმედების ერთ-ერთ შემადგენელ რგოლად წარმოგვიდგება. იგი ამსრულებლის დანაშაულებრივი გადაწყვეტილების განმტკიცების თვალსაზრისით არსობრივად იგივე როლს თამაშობს, როგორც დაფარვის შემთხვევაში. დამნაშავე, რომელიც მერყეობდა, ეშინოდა წინააღმდეგობის გაწევისა ან მხილებისა, უფრო გაბედულად მიდის დანაშაულის ჩასადენად, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ მოსპობილია დაბრკოლება, რომელიც მას ელოებოდა და რომლის გამოც, ის დანაშაულის ჩადენაზე ხელს აიღებდა. დანაშაულის ხელშეშლელი პირობა, რომელიც ამსრულებლის მიერ ვითარების შეფასებისას არსებობდა და რომელიც დამხმარის მიერ მიზანწარმართული ქცევის აქტით (წინასწარი შეპირებით) მოსპო და ამასთან, იგი შეგნებულად იყო მიმართული დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობისაკენ, ასეთი ქცევა დანაშაულში თანამონაწილეობას წარმოადგენს ინტელექტუალური დახმარების სახით.

ამრიგად, ზემოთ გაკეთებული ანალიზიდან გამოძინარე უნდა გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ვალდებულია ხელი შეუშალოს დანაშაულის ჩადენას, თუმცა იგი არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და თავისი უმოქმედობით განზრახ უქმნის ამსრულებელს ხელსაყრელ პირობას დანაშაულის ჩასადენად, პირის უმოქმედობა, მაშინ ფიზიკურ დახმარებად უნდა მივიჩნიოთ გამოხატული დაბრკოლებათა აქილების ფორმით.

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც პირი არ არის ვალდებული წინ აღუდგეს დანაშაულის ჩადენას, თუმცა ამსრულებლის მიერ, იგი მაინც დაშაბრკოლებულ გარემოებად მიიჩნევა, რომელმაც შესაძლოა არ დაუშვას მისი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელება და აღკვეთოს წინააღმდეგობის გაწევით ან განაცხადოს სათანადო ორგანოებში, რაც არის საფუძველი იმისა, რომ ამსრულებელმა ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე. თუმცა, ასეთი პირის მხრიდან არსებული ობიექტური ბარიერი, წინასწარი შეპირების კვალობაზე ისობა, მაშინ ეს აქტიური ქცევის აქტი (წინასწარი შეპირება), გა-

მოხატული ზეპირი, წერილობითი თუ სხვა სახის თანხმობით, უნდა ეცნოთ ინტელექტუალურ დახმარებად.

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც პირი დანაშაულის ადგილზე შემთხვევით აღმოჩნდება ან კიდევ იცის, რომ მზადდება დანაშაული და ის, თავის დამოკიდებულებას არ ავლენს მის თვალწინ მიმდინარე ან მზადების პროცესში მყოფი დანაშაულის მიმართ, მაშინ ამ სახის უმოქმედობა, არ შეიძლება პირის მიმართ პასუხისმგებლობას იწვევდეს დანაშაულში დახმარებისათვის. ასეთი ვითარებაში მას პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემხებლობისათვის.

3) ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, რომელიც დახმარესთან მიმართებაში წარმოიქმნება, უკავშირდება მის გამიჯვნას სხვა თანამონაწილეებისაგან. კერძოდ, ფიზიკური დამხმარის გამიჯვნას დანაშაულის ამსრულებლისაგან ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, ფსიქიკური დამხმარისას – დანაშაულის წამქეშებლისაგან.

თუ რის საფუძველზე უნდა მოხდეს ეს გამიჯვნა, ვიდრე ამ საკითხის განხილვას შევედგებით, მანამდე აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, თანამონაწილეთა კლასიფიკაციის შესახებ, ისტორიულად სამი თეორიული მიმართულება ჩამოყალიბდა: ა) ობიექტური, ბ) სუბიექტური და გ) შერეული. აღნიშნული თეორიები ჩვენ დეტალურად გვაქვს განხილული ერთ-ერთ პუბლიკაციაში.²⁰⁶ ამიგომ მათ დახასიათებას აქ არ შევუდგებით. მოკლედ შევხებით მხოლოდ სუბიექტურ თეორიას. შემდეგ განვსაზღვრათ იმ საკითხს თუ რის საფუძველზე უნდა მოხდეს ზოგადად თანამონაწილეთა სახეებად დაყოფა, რაც მოგვცემს საშუალებას მაქსიმალურად სწორად გადავწყვიტოთ ზემოთ დასმული პრობლემა.

სუბიექტური თეორია იმ საკითხის გასარკვევად თუ ვის უნდა შეერაცხოს დელიქტური შემთხვევა, როგორც ამსრულებელს და

²⁰⁶ ა. მახარაძე, თანამონაწილეთა გამიჯვნის ზოგადი ასპექტები, ჟ. „სამართალი“, 2003, №1-2

ვის, როგორც თანამონაწილეს, აყენებს დანაშაულში მონაწილე პირთა ნების ინგენსიობის საკითხს. შინაგანი პოზიციიდან: ამსრულებელი არის ის, ვინც მოქმედებს ამსრულებლის ნებით (animus auctoris) და დანაშაული სურს „როგორც საკუთარი.“ თანამონაწილე კი არის ის, ვინც თანამონაწილეობის ნებით (animus socii) მოქმედებს და სურს ხელი შეუწყოს დანაშაულს „როგორც სხვის საკუთრებას.“ ამსრულებლის ნების სამხილი არის ქმედების შედეგთან დაკავშირებული საკუთარი ინტერესი; ამსრულებელია ის, ვინც შედეგითაა დაინტერესებული, ხოლო თანამონაწილეს ამგვარი რამ არ ახასიათებს, იგი სხვისი ინტერესებისათვის მოქმედებს.²⁰⁷ მაშასადამე, ამ თეორიის თანახმად თანამონაწილის და ამსრულებლის გამიჯვნა სუბიექტურ სფეროში წარმოებს – დანაშაულებრივი შედეგისადმი სუბიექტის დამოკიდებულების მიხედვით, თანაც ისეთი გაურკვეველი და ბუნდოვანი ცნებების თანხლებით, როგორებიცაა „საკუთარი“ და „სხვისი“ დასჯადი ქმედების ჩადენის სურვილი.

იმისათვის, რომ პირი „ქმედების მესაკუთრედ“ ანუ ამსრულებლად ვცნოთ, ამისათვის, სუბიექტური თეორიის მიხედვით, ათელის წერტილები ქმედების შედეგისადმი საკუთარი ინტერესის ხარისხში უნდა ვეძიოთ. თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინტერესის ცნება უკიდურესად მერყევიანია, მაშინ ნათელია, რომ დანაშაულის ამსრულებლის და დამხმარის ურთიერთგამიჯვნისას, კიდევ უფრო უძლური აღმოჩნდება მისი ხარისხის განსაზღვრაში. ამიგომ მტკიცება, რომ ამსრულებელია ის, ვისაც ქმედება „საკუთრად თავისთვის“ სურს – გაუგებარია. ნების ეს მიმართულება არ წარმოადგენს მარტივ, უბრალო შინაგან ფაქტს. რომლის მეშვეობითაც მოგვეცემა შესაძლებლობა სასამართლოს მივაწოდოთ მყარი კრიტერიუმი, რითაც იგი შეძლებს თანამონაწილეთა სახეების გამიჯ-

²⁰⁷ სუბიექტური თეორიის შესახებ თვალსაზრისები გადმოცემულია ჰარ ოტოს, იოჰანეს ვესელის და ფრატოფ პაფტის მიხედვით. // იხ. Harro Otto, Grundkurs Strafrecht, 5 neubearbeitete auflage, Berlin, 1996, s. 268, 271; Johannes Wessels, Strafrecht allgemeiner teil, 15 auflage, Heidelberg, 1985, s.140-141; Fritjof Haft, Strafrecht allgemeiner teil, 4 auflage, Munchen, 1990, s. 190-191

ნას და მათ მიმართ პასუხისმგებლობის განხორციელებისას უზრუნველყოფს ერთიანი კანონიერების პრინციპის გატარებას.

ატუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ თეორიის უარყოფითი მხარე, მხოლოდ შემთხვევით არ შემოიფარგლება. მისი ნაკლი მდგომარეობს იმაშიც, რომ იგი პირობითად აყენებს ამსრულებლის და დამხმარის ურთიერთგამიჯვნის საკითხს, თუმცა არ იძლევა კრიტერიუმს დანაშაულის წამქმნებლის გამოსაყოფად. წამქმნებელი, რომელიც არის დანაშაულის ინიციატორი და მისი იდეური სულის ჩამდგმელი, მას ყოველთვის სურს მოცემული დანაშაულის ჩადენა, როგორც საკუთარი. ამიგომ, კრიტერიუმი, რომელიც ამ თეორიის მიხედვით დანაშაულის ამსრულებლის გამიჯვნისათვის არის განსაზღვრული, მასში სრულიად ლოგიკურად შეიძლება მოთავსდეს წამქმნებლის ფიგურაც. აქედან კი ერთადერთი დასკვნა გამოდინარეობს, კერძოდ, სუბიექტური თეორია ფაქტიურად დანაშაულის ამსრულებლის და წამქმნებლის ფიგურას აიგივებს ერთმანეთთან და არ იძლევა მათი გამიჯვნის საშუალებას. იგივე უნდა ითქვას დანაშაულის ორგანიზატორის მიმართაც.²⁰⁸

სუბიექტური თეორიის უარყოფითი მხარე ნათლად იკვეთება ასევე საპეციალური სუბიექტით კონსტრუირებული ან საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში ამსრულებლის და თანამონაწილის ურთიერთგამიჯვნისას. თუ, დაუშვათ, დამხმარე, რომელიც არის კერძო პირი და იგი ხელსშეუწყობს თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენაში, სუბიექტური თეორიის თანახმად, კერძო პირი უნდა ვცნოთ დანაშაულის ამსრულებლად, მაშინ, თუ ის უფრო მეტად იყო დაინტერესებული შედეგის მიღწევაში, ვიდრე ამსრულებელი თანამდებობის პირი. ეს კი, ბუნებრივია, ვერაფრითარ შემთხვევაში ვერ თავსდება ლოგიკური მსჯელობის ჩარჩოებში. ანალოგიურ ჩიხში ექცევა ეს თეორია საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებშიც.²⁰⁹ ერთი სიტყვით, მიმართულება, რომელიც თანამონაწილეთა სახეებად დაყოფას საფუძვლად უდებს სუბიექტურ კრიტერიუმს, მისი მეშვეობით,

²⁰⁸ იხ. ჩვენი ნაშრომი: თანამონაწილეთა გამიჯვნის ზოგადი ასპექტები, ჟ. „სამართალი“, 2003, №1-2, გვ.66

²⁰⁹ იხ. ჩვენი ნაშრომი: თანამონაწილეთა გამიჯვნის ზოგადი ასპექტები, ჟ. „სამართალი“, 2003, №1-2, გვ. 66

ამ საკითხის გადაწყვეტის პროცესში, ერთიანი ხაზის გატარება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია იმ ავტორთა პოზიციები, რომლებიც თანამონაწილეების სახეებს ობიექტური კრიტერიუმის მეშვეობით მიჯნავენ ასეთ კრიტერიუმად ძირითადად აღიარებულია ჩადენილი ქმედების ხასიათი, მისი დამოკიდებულებით, პირველ რიგში, სისხლის სამართლის კანონის კერძო ნაწილის მუხლში ჩამოყალიბებული დანაშაულის ნიშნებისადმი და ამის საფუძველზე ამსრულებლის და სხვა თანამონაწილეთა გამოყოფა, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, ერთიან დანაშაულებრივ ქმედებაში თითოეული მონაწილის მიერ განხორციელებული ქმედების ხასიათის შესაბამისად სხვა თანამონაწილეთა გამოიჯნა.²¹⁰ მაშასადამე, ამ კონცეფციის თანახმად, ამსრულებელი არის ის, ვინც უშუალოდ ასრულებს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით განსაზღვრულ დანაშაულს, ხოლო თანამონაწილე, ამ დანაშაულის უშუალო შესრულებაში არ იღებს მონაწილეობას. ამასთან, ამსრულებლის ცნების ასეთი ინგერპრეტაცია, არ ნიშნავს იმას, რომ ამსრულებლის ცნება კანონის პროლექტი იყო,²¹¹ არამედ ამსრულებლის და თანამონაწილის ცნებათა განსაზღვრებას და მათ გამოიჯნას, ამ მიმართულების მიხედვით საფუძვლად უდევს მატერიალური კრიტერიუმი. კერძოდ, იმ პირობათა კავშილური არათანასწორფასოვნება, რომლებიც გახდნენ მიზეზი დანაშაულებრივი შედეგის დადგომის. „ყოველი თანამონაწილის როლი დანაშაულის ჩადენაში – წერს თ. წერეთელი – თავისებურია და მიზეზობრივად განსხვავდება სხვების როლისაგან. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ამ მხრივ ორი აბსოლუტურად თანასწორფასოვანი მოქმედება. მაგრამ სისხლის სამართლის ამოცანა

²¹⁰ იხ. თ. წერეთელი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 132-138, 173; ი. გამყრელიძე, დანაშაულის შეუღობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 108-109; ფ. ბურჯაია, დასახლებული ნაშრომი, გვ. 139; მ. კოკელიძე, დასახლებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 13, 98; ვ. პროხოროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 253; კ. ვრიშვილი, გ. კრიტერი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 153; დ. საჭინკო, დასახლებული ნაშრომი, გვ. 122 და სხვ.

²¹¹ როგორც ამას აბტკაცებდნენ წარსულში თანამონაწილეთა კლასიფიკაციის ფორმალურ-ობიექტური თვლით მიმდევრები. იხ. ჩვენი ნაშრომი: თანამონაწილეთა გამოიჯნის ზოგადი ასპექტები, ფ. „სამართალი“, 2003, №1-2, გვ. 63-64, 70-71

იმამი მდგომარეობს, რომ მან სხვადასხვაგვაროვანი მოქმედებების ვარიაციებში გამოძებნოს ზოგიერთი ნიშანი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება თანამონაწილეთა განსაზღვრული ტიპების დადგენა.²¹²

მაშასადამე, თანამონაწილეთა სახეებად დაყოფა, ამ კონცეფციის მიხედვით, დაიყვანება არა უბრალოდ კანონის ფორმალურ განსაზღვრებაზე, არამედ მას საფუძვლად უდევს მიზეზობრივი კავშირის ის სწორი სწავლება, რომლის მიხედვითაც აღიარებულია შედეგის გამოიწვევეი ფაქტორების (მოქმედებების) კავშილური არათანასწორფასოვნება. ამ ფაქტორებისათვის დამახასიათებელი ნიშნების გამორკვევის და მისი საკანონმდებლო შეფასების საფუძველზე განისაზღვრება თანამონაწილეთა ცალკეული სახეები.

დანაშაულის დამხმარე, როგორც უკვე ვთქვით, მის მიერ შესრულებული როლის შესაბამისად არ იღებს უშუალო მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში. ამიგომ დამხმარის ამსრულებლისაგან გამოიჯნის სპეციფიურობა გამოიხატება იმამი, რომ მისი ქმედება რომელ ფორმაშიც არ უნდა გამოვლინდეს, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა დაემთხვეს იმ ნიშნებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილშია აღწერილი. თუ ეს პირობა დარღვეულია და სუბიექტი უშუალო მონაწილეობას მიიღებს ამ ნიშნების თუნდაც განსაზღვრული ნაწილის შესრულებაში, მაშინ რა სახითაც არ უნდა გამოიხატოს მისი ქმედება, იგი იქნება ამსრულებელი და არა დამხმარე.

ამ კრიტერიუმის მეშვეობით უკვე არ არის რთული, უმრავლეს შემთხვევაში, ფიზიკური დახმარების აქტი აღსრულებითი ქმედებისაგან გავარჩიოთ. ძირითადი სიძნელებები აქ, ჩვეულებრივ, ფიზიკური დახმარების ისეთ სახესთან კავშირში წარმოიშობა, როგორცაა დაბრკოლებათა აცილება, როდესაც ასეთი მოქმედებები დროისა და ადგილის მიხედვით ამსრულებლის მიერ განხორციელებულ მოქმედებას ემთხვევა. ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებით ბქგუალურ ხასიათის იქნეს იმ საკითხის გამორკვევა, პირის მიერ განხორციელებული ქმედება დანაშაულში ხელშეწყობას წარმოად-

²¹² თ. წერეთელი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 111; თ. წერეთლის ამ მოსაზრებას იზიარებს თ. გამყრელიძე. იხ. თ. გამყრელიძის დასახლებული ნაშრომი, გვ. 45-46

გენდა დაბრკოლების აცილების სახით, თუ ეს იყო ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებში აღწერილ რომელიმე ნიშანს ემთხვევა.

კონკრეტული განხილვისათვის ავიღოთ მკვლელობის შემადგენლობა. მკვლელობის დელიქტში მითითებული შედეგი — სიცოცხლის მოსპობა, შეიძლება იყოს უშუალო შედეგი ნაჯახის თავში ჩარტყმის, დანის გულში ჩაყვების, ყელში ქაშარის მოჭერის, სასიკვდილო ნემსის ინექციის გაკეთების თუ სხვა ისეთი მოქმედებების, რომლებიც თავისი არსითა და ბუნებით მოვლენის (სიკვდილის) განვითარების ღერძად გვევლინებიან. ასეთი მოქმედებების ჩამდენი პირები, ბუნებრივია, დანაშაულის ამსრულებლები არიან. ამასთან, ამგვარი მოქმედებები, როგორც უშუალო მიზეზი თავისი შედეგის, გულისხმობს განსამზღვრელი სახის ძალადობას, რომლის შესრულებაშიც შესაძლებელია უშუალო მონაწილეობას იღებდეს მეორე პირიც. ასეთი აქტი ერთი შეხედვით დანაშაულში დახმარებას ემსგავსება გამოხატულს დაბრკოლებათა აცილების სახით. თუმცა, ამ ქმედების ჩამდენი პირი რეალურად იქნება თანამსრულებელი და არა დამხმარე. იმიტომ, რომ ის უშუალოდ მონაწილეობს მსხვერპლის მიმართ მიმართულ ძალადობრივ აქტში. ძალადობა კი მკვლელობის, როგორც ერთიანი ქმედების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იგი მართალია პირდაპირ არ არის მითითებული მკვლელობის საკანონმდებლო კონსტრუქციაში, თუმცა ეს დელიქტი თავისი ბუნებით მოიცავს ამ უკანასკნელს.

მამასადამე, ორი ან რამდენიმე პირის მიერ მკვლელობის ჩადენისას თანამსრულებლებად უნდა ვცნოთ არა მხოლოდ ისინი, ვინც მსხვერპლს ნაჯახს ურტყამდნენ თავში ან ქაშარს უჭერდნენ ყელში, არამედ ისინიც, ვინც დანაშაულის ჩადენისას ბოჭავდნენ მსხვერპლს, უჭერდნენ ხელებს, ფეხებს, თავს და ა. შ. საკითხის ასეთი გადამწყვეტა იურიდიულ ლიგერატურაში არ იწვევს დავას და ის გამოარებულია სასამართლო პრაქტიკაშიც.

ამსრულებლის და დამხმარის გამიჯვნის კუთხით პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მოსამართლეები შედეგის გამოწვევი არათანასწორფასოვანი ფაქტორებიდან, პირველ რიგში, მიმართავენ იმის გარკვევას, თუ რომელი მოქმედების ფარგლები შეესაბა-

მება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ნიშნების უშუალო შესრულებას. ამის მეშვეობით ცდილობენ დამხმარის ქმედება ამსრულებლის მიერ ჩადენილი აქტისაგან გამოყოფონ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მკვლელობის ორ მაგალითს, სადაც, პირველ შემთხვევაში, დანაშაულში მონაწილე პირები, სასამართლომ მიიჩნია თანამსრულებლებად, ხოლო მეორეში, გამოყოფა დახმარების აქტი გამოხატული დაბრკოლების აცილების სახით.

ა) დ. ხეცურიანი, რომელიც აღმფოთებული იყო იმით, რომ მისი ქალიშვილი ქმარს დაღაგობდა, გადაწყვიტა მათი ხელშემწყობის ი. სოფრომაძის მოკვლა. თავისი გადაწყვეტილება გაუზიარა სიძეს ი. ერემაშვილს და შეიღება გ. ხეცურიანს. თანამხმარეებები შეთანხმებისთანავე შეუდგნენ ჩანაფიქრის განხორციელებას. მათ გამოიხატეს დანაშაულის ჩასადენად რკინის ურო, თოკი და შავი პოლიეთილენის პარკი, რის შემდეგ ი. სოფრომაძე მოტყუებით გაიგაცხეს თავისივე კუთხილი ავტომანქანით და მიიყვანეს მდინარე ყვირილაზე გამაგალ ხიდთან. დ. ხეცურიანმა და ი. ერემაშვილმა ხელები მსხვერპლს შეუკრეს თოკით, წელზე ურო მოაბეს და შავი პოლიეთილენის პარკი ჩამოაცვეს თავზე. შემდეგ იძულებით მიიყვანეს ხიდის გადანგრეულ მოაჯირთან. სადაც გ. ხეცურიანმა ხელი უბიძგა მას და გადააგდო ადიდებულ მდინარეში. სასამართლომ ამ ფაქტთან დაკავშირებით, გ. ხეცურიანის გვერდით, სწორად დააკვალიფიცირა დ. ხეცურიანის და ე. ერემაშვილის მოქმედებებიც მკვლელობის თანამსრულებლობად.²¹³ უკანასკნელთა მიერ განხორციელებული მოქმედებები: ხელების შეკერა, წელზე უროს მობმა, შავი პოლიეთილენის პარკის თავზე ჩამოცმა, ხიდზე იძულებით მიყვანა თავისთავად, მდინარეში გადაგდების გარეშე (ანუ იმ მოქმედების გარეშე, რომელიც შეასრულა გ. ხეცურიანმა), რა თქმა უნდა, არ არის იმ რიგის ფაქტორები, რომლებსაც უშუალოდ შეეძლოთ სიკვდილის გამოწვევა. თუმცა, რამდენადაც აღნიშნული ქმედებების მართლსაწინააღმდეგობის საერთო ნიშანი უშუალოდ მსხვერპლისაკენ მიმართული ძალმომრეობითი მოქმედება იყო და რამდენადაც, ძალმომრეობა მკვლელობის შემადგენლობის ერთ-ერთი

²¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, 1998 წ., საქმის №2-199

გამორჩეული ნიშანია, ამდენად, მათი მონაწილეობა მსხვერპლი-საკენ მიმართულ ძალადობაში, სასამართლომ სწორად მიიჩნია მკვლელობის შემადგენელ ნაწილად და ასეთი ქმედების ჩამდენი პირები ცნო თანაამსრულებლებად.

ბ) ნ ბელქანიამ და ჯ. სახოკიამ შვილის საფლავის წაბილწვით შეწუხებულებმა ეჭვი მიიტანეს ნ. გეგეშიძეზე და მესაფლავე ს. კვარაცხელიამე. მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით ივარაუდეს, რომ საფლავის შებილწვის თაობაზე უნდა სცოდნოდა ს. კვარაცხელიას. მათ მიერ უკანასკნელის მიმართ, მიუხედავად არაერთგზის განხორციელებული ცემისა და წამებისა, ვერ იქნა მიღწეული, რომ ს. კვარაცხელიას ეღიარებინა საფლავის წაბილწველის ვინაობა. ერთ დღეს, როცა ნაწამები კვარაცხელია პოლიციის დაცვის ქვეშ საგადაწყობოში იწვა, ნ. ბელქანიამ და ჯ. სახოკიამ დაუკავშირდნენ მ., ლ., გ. სახოკიებს და სხვა გამოძიებით დაუდგინეს პირებს, რომლებთან ერთადაც მოილაპარაკეს, რომ რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ გაეგაცათ ს. კვარაცხელია და მისგან გაეგოთ საფლავის შემბილწველის ვინაობა. იმავე დღეს, აღნიშნულმა პირებმა 40 კაცის თანხლებით, მიუხედავად პოლიციელთა წინააღმდეგობისა, მაინც გაიგაცათ ს. კვარაცხელია და მიიყვანეს სასაფლაოზე. იგი მოათავსეს ურიკაში, რომელსაც მაშინვე გარს შემოერგვნენ მ., ლ., ჯ. სახოკიები და სხვა გამოძიებით დაუდგინეს პირები. მათ აღვიდა მისულ პოლიციის მუშაკებს გაუწიეს წინააღმდეგობა და არ მისცეს ს. კვარაცხელიას გამოსვლის საშუალება. ასეთი მოქმედებით მათ ააცილეს დაბრკოლება გ. სახოკიას, რომელმაც დანის გამოყენებით განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა ს. კვარაცხელია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლომ მ., ჯ. და ლ. სახოკიების მოქმედება დააკვალიფიცირა მკვლელობის დახმარებად.²¹⁴ მათი მოქმედებები დროისა და ადგილის მიხედვით ემთხვევა ამსრულებლის მოქმედებას და ძალმომრეობითი ხასიათისაა. თუმცა, აქ მათი ძალმომრეობა მიმართულია არა უშუალოდ მსხვერპლის, არამედ იმ პირების მიმართ, რომლებიც მსხვერპლის დახსნას ცდილობდნენ. ასეთი მოქმედება კი თავისი არსით წარმოადგენს არა მკვლელობის შემადგენლობით განსაზღვრულ ძალადობას, არამედ დანაშა-

ულში ხელშეწყობის აღმოჩენას გამოხატულს დაბრკოლებათა აცილების სახით. აქედან გამომდინარე, სწორია სასამართლოს გადაწყვეტილება მათი დახმარებელ მიჩნევის შესახებ.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ სასამართლო მკვლელობის ცადკეულ საქმეთა განხილვისას ზოგჯერ მერყეობს იმ საკითხის გარკვევაში, თუ რა სახის ძალადობა უნდა იქნეს მიჩნეული დახმარებად ან თანაამსრულებლობად. ამის გამოხატულებაა შემოთ მოყვანილი განაჩენი გ. გუკაბდის და ნ. მამულაძის საქმეზე, სადაც მამულაძემ, გუკაბდის მიერ იარაღის სროლის წინ, მსხვერპლს ფეხი მიარგვა. ამგვარი მოქმედება კი სასამართლომ დანაშაულში დახმარებად დააკვალიფიცირა. ჩათვალა, როგორც ჩანს, იგი ფიზიკური ხელშეწყობის ფორმად გამოხატული დაბრკოლებათა აცილებაში. ჩვენი აზრით, განაჩენში მოყვანილი კვალიფიკაცია არ უნდა იყოს სწორი, რადგან იარაღის მკვლელობის ჩასაღწეად მიმართვა, ხოლო ამ პერიოდში მეორე სუბიექტის მხრიდან უშუალო ფიზიკური შემოქმედება შექმნილ პროცესში პირდაპირ თრგუნავს მსხვერპლის შესაძლებლობას წინააღმდეგობა გაუწიოს თავდამსხმელებს. ამიტომ ასეთ ვითარებაში, მოყვანილი აქციე შინაარსობრივად თანაამსრულებლის ძალმომრეობით მოქმედებას უნდა მიეკუთვნოს.

ანალოგიურად უნდა ვიმსჯელოთ იმ ლულიკებთან მიმართებაშიც, როგორებიცაა ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება (117-ე, 118-ე... მმ.), გაუპატიურება (137-ე მ.), ძარცვა (178-ე მ.) და სხვ. სადაც ძალადობა, მსგავსად მკვლელობისა, შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. მაგალითად, გაუპატიურებისას დაზარალებულის დაკავებას, მართალია, არ შეუძლია უშუალოდ დაარღვიოს სქესობრივი ხელშეუხებლობა, თუმცა შეცდომა იქნებოდა იგი დახმარების აქტად ჩაგვეთვალა, რადგან გაუპატიურების საკანონმდებლო კონსტრუქცია, არამარტო სქესობრივ კავშირს გულისხმობს დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ, არამედ ისეთ დამატებით მოქმედებასაც, როგორცაა ფიზიკური ძალადობა.

ასევე გადაწყდება საკითხი მაშინაც, როცა სქესობრივ აქტს უშუალოდ ერთი პირი სჩადის, დანარჩენები კი ემუქრებიან დაზარალებულს და აიძულებენ დაემორჩილოს მოძალადეს. ის, ვინც მუქარას ახორციელებს იქნება თანაამსრულებელი და არა დახმარე.

²¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, 1999 წ., საქმის №2-28.

რადგან იგი უშუალოდ ასრულებს გაუპატიურების შემადგენლობის ნაწილს. გაუპატიურების აუცილებელი ნიშანია აგრეთვე, სქესობრივი კავშირის დაჭერა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. უმწეო მდგომარეობაში მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს დამნაშავესაგან დამოუკიდებელი მიზეზით. თუმცა, შესაძლოა დამნაშავემ თვითონ ჩააგდოს მსხვერპლი უმწეო მდგომარეობაში მისი შემდგომი გაუპატიურების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, თვით ფაქტი მსხვერპლის უმწეო მდგომარეობაში ჩაგდებას უკვე ნიშნავს, რომ განხორციელდა შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი. „ამიტომ თუ ერთი პირი მსხვერპლს განზრახ ჩააგდებს უმწეო მდგომარეობაში, ხოლო მეორე მას გააუპატიურებს, ორივენი იქნებიან გაუპატიურების ამსრულებლები.“²¹⁵

დამხმარის და ამსრულებლის ურთიერთგამიჯვნის საკითხი გარკვეულ ყურადღებას საჭიროებს ე. წ. საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში. ასეთ დელიქტებს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი მიაკუთვნებს საქართველოს სახელმწიფო სამღვარის უკანონოდ გადაკვეთას (344-ე მ.), თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან პატიმრობიდან ან ბადრაგირებისას გაქცევას (379-ე მ.), სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვებას (388-ე მ.), და სხვ. აღნიშნულ დანაშაულთა იურიდიული ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ მათი თანაამსრულებლობით განხორციელება შეუძლებელია. ობიექტურად ამ შემადგენლობათა მთელი ნაწილის უშუალო შესრულება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ხელით განხორციელებას გულისხმობს და ამდენად, ის ყოველთვის ერთპიროვნულად და უშუალოდ უნდა განხორციელდეს, ამიტომ ამ დანაშაულთა ჩამდენი ამსრულებლისათვის ყოველგვარი ხელშეწყობა დახმარებად უნდა განვიხილოთ.

აღნიშნულ მოსაზრებას თუ გავითვალისწინებთ და თვალს გავაღწევნებთ სასამართლო პრაქტიკას აღმოჩნდება, რომ ამ მიმართულებით დაშვებული შეცდომები არცთუ იშვიათია. ასე, მაგალითად, ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლომ ნეჯმი თოფალი და ხელილ აბდული დამნაშავედ ცნო საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 19-84-ე მუხლებით (ახალი სსკ-ის 24-344 მმ.)

²¹⁵ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ.112

გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში. ხელილ აბდული 1999 წლის 8 მაისს, მიემგზავრებოდა რა საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკის გავლით ბანგლადეშში, დანაშაულებრივ კავშირში შევიდა ნეჯმი თოფალით და წინასწარი შეთანხმებით შეეცადა უკანონოდ გადაეკეთა საქართველოს სამღვარაი. ამ მიზნის განსახორციელებლად ხელილ აბდული დაძალა ნეჯმი თოფალმა მისი მართვის ქვეშე მყოფი საგვირთო ავგომანქანის ძარის ქვეშ არსებულ სათადარიგო ნაწილებისათვის განკუთვნილ სათაფსოში, მაგრამ სარფის საგუმბაგობე ხელილ აბდული საბაყო კონკროლის დროს აღმოაჩინეს და დააკავეს.²¹⁶ ცხადია, მოცემულ შემთხვევაში, ამსრულებელი არის ის, ვინც პასპორტის უქონლობის გამო ავგომანქანაში დაიძალა და ამ გზით, ჩვენი სახელმწიფოს სამღვარბე უკანონო ფიზიკურ გადაადგილებას ცდილობდა. თავად მძღოლი კი არის ფიზიკური დამხმარე. თუმცა, სასამართლომ, როგორც ჩანს ვერ უმრუნველყო ერთმანეთისაგან გაემიჯნა ამსრულებლის და დამხმარის ქმედება, ხოლო ამ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ დანაშაულის ჩადენაში ორი პირი მონაწილეობდა, ამდენად, ორივე მათგანის მოქმედება დააკვალიფიცირა 19-84-ე მუხლებზე (ახალი სსკ-ის 24-344 მმ.) მითითებით, ე. ი. ორივე მათგანი ცნო დამხმარედ. ჩადენილი ქმედების იურიდიული შეფასებისას ამგვარი აღრევა, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპს და იგი, ეჭვქვეშ აყენებს თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებასაც, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ამსრულებლის გარეშე არ არის თანამონაწილეობა დანაშაულში.

როდესაც გარკვეული მახასიათებლებით ერთგვაროვან დანაშაულთა მიმართ დიფერენცირებული მიდგომის გზით დამხმარის და ამსრულებლის გამიჯვნის საკითხს ვეხებით, დაუშვებელია გვერდი აუაროთ პრაქტიკაში არსებულ ზოგიერთ თვალსაჩინო ლაფსუს იგი ძირითადად ისეთ დანაშაულებში იკვეთება, სადაც მაგერიალური სამყაროს ამა თუ იმ საგნის მართლსაწინააღმდეგო გადაადგილება შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. ამგვარ დანაშაულებში დამხმარის მოქმედების გამოყოფისას სასამართლო, არც თუ იშვიათად თანამონაწილეთა გამიჯვნის სუბიექტურ თეორიაზეა ორიენტირებული.

²¹⁶ ქალაქ ბათუმის საქალაქო სასამართლოს არქივი, 1999 წ., საქმე №1-66

ბული. ასე, მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმცნავისი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ ლ. დიმიტრიენკოს მოქმედება დააკვალიფიცირა გასაღების მიზნის გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონოდ გადატანის დახმარებად (1960 წლის სსკ-ის 19-252-ე მმ.). მან ქ. ხარკოვში ყოფნისას გაიყნო გ. ბოლქვაძე, რომელმაც დასახელებული ქალაქიდან გამოფრენისას შესთავაზა ლ. დიმიტრიენკოს გარკვეული თანხის საფასურად ბათუმში ჩამოეგანა ნარკოტიკული ნივთიერება. ამ მიზნით გ. ბოლქვაძემ მშრალი წვრილად დაფშვნილი ყაყაჩოს თავთავი წინასწარ შეკერილ ნაჭრის ქამარში მოათავსა და გადასცა ლ. დიმიტრიენკოს. ამასთან, აუხსნა რომ ქ. ხარკოვის და ქ. ბათუმის მეზობეები ხელბარგს გაუსინჯავენ, ამიტომ ქამარი წელზე შემოეხეია. შეთანხმებისამებრ ლ. დიმიტრიენკომ შეძლო ქ. ხარკოვის აეროპორტის დაუბრკოლებლად გამოვლა, მაგრამ იგი დააკავეს ქ. ბათუმში მებრეკეთა მიერ პირადი ჩხრეკის დროს.²¹⁷

ამ განაჩენში შეცდომის გამოკვეთისათვის პირველყოფლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ნარკოტიკული საშუალების, პრეკურსორის (269 მ.), ან კიდევ ფსიქოტროპული თუ ძლიერმოქმედი ნივთიერების (270 მ.) მართლსაწინააღმდეგო გადატანა, მათ გადაადგილებას გულისხმობს ერთი ადგილიდან ნებისმიერ სხვა ადგილზე, დამოუკიდებლად გადაადგილების ხერხისა, ეს იქნება სატრანსპორტო საშუალებით, ხელბარგითან ერთად, განის სამოსელში დამალვის გზით თუ სხვ. ამასთან, ამ დანაშაულის განხორციელება უშუალოდ არა მხოლოდ იმ პირს შეუძლია, ვის კუთვნილებასაც ისინი წარმოადგენენ და ვინც უფრო მეტად დაინტერესებულია მისი გადატანით, არამედ იმასაც, რომელსაც იგი გარკვეული დროით გადაეცემა.

ამიტომ, თუ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს დისკრეციულ წარმოდგენას გამოვიყენებთ და კანონის მოთხოვნას დავეყრდნობით, მაშინ ლ. დიმიტრიენკოს მოქმედება უნდა დავაკვალიფიციროთ არა დახმარებად, არამედ ამსრულებლობად. საპირისპიროს მგაიყვება უდაოდ ნიშნავს თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიის პოზიციებზე დგომას, რომელიც თანამონაწილეთა

გამიჯვნისას, როგორც უკვე ვთქვით, დანაშაულებრივი შედეგის ინტერესის ხარისხის მიხედვით შემოიფარგლება. თანამონაწილეთა გამიჯვნის ობიექტური თეორიის მიხედვით კი, რომლის საფუძველზეც იყო და არის გამოყოფილი თანამონაწილეთა ცალკეული სახეები, როგორც საბჭოურ, ასევე ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, ფაქტია, რომ ლ. დიმიტრიენკომ უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული განსაზღვრული ახალი კოდექსის 269-ე მუხლით (ძველი კოდექსის 252-ე მ.). ამავდროულად უნდა დაკვალიფიცირდეს გ. ბოლქვაძის მოქმედებაც, რომელიც დასახელებული მუხლის ცნებითი თვალსაზრისით გამოიხატა ნარკოტიკული ნივთიერების გადაგზავნაში.

ამრიგად, ამსრულებლისაგან დახმარის გასამიჯნავად აუცილებელია მივმართოთ თანამონაწილეობისას მიმეზობრივი კავშირის განვითარების თავისებურებას. კერძოდ, უნდა ვიხელმძღვანელოთ მკაცრი დადგენით მუსტი საზღვრების მოქმედების იმ ობიექტური მხარის, რომელიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ამა თუ იმ მუხლით. ასევე დადგენით იმ კონკრეტული მოქმედების, რომლებიც ხელს უწყობენ პირის მიერ ამგვარი დანაშაულებრივი ქცევის განხორციელებას. აღნიშნულმა პპოვა შევეთრი და ნათელი ასახვა დამხმარის საკანონმდებლო ფორმულირებაში. „დამხმარება — ნათქვამია 24-ე მუხლის შესამე ნაწილში — ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩაღენას.“ მოყვანილ ფორმულაში არ არის ძნელი შევნიშნოთ, რომ საწყის ბერეკვად, აქ ორი გამომწვევი ფაქტორი გამოდის: მოქმედება ამსრულებლის და მოქმედება დამხმარის. გერმინი „ხელის შეწყობა“ დამხმარეს განეკუთვნება და ის გვევლინება მამევენებლად მიმეზობრივი ურთიერთგანპირობებულობის ერთიანად ჩაღენილი დანაშაულისას ამსრულებლის მიერ განხორციელებულ შედეგსა და დამხმარეს შორის. ამასთან, დახმარების აქტის დადგენის საქმეში, მხოლოდ ამ მითითებაზე დაკვირვება ჯერ კიდევ მცირება, არამედ აუცილებელია ცოდნა იმ ნიშნებისაც, რომლებიც მას სხვა გამომწვევი ფაქტორებისაგან განასხვავებენ. ასეთ ნიშნებს განეკუთვნება საშუალებათა მიწოდება, დაბრკოლებათა აცილება თუ სხვ. მათ შესახებ სწორი წარმოდგენა, ერთი მხრივ, იძლევა შესაძლებლობას პირის ესა თუ ის ქმედება დახმარების აქტს უშეცდომოდ მივაკუთნოთ, ხოლო მეორე

²¹⁷ აჭარის არ-ის უმაღლესი სასამართლოს არქივი, 1994 წელი, საქმის №1-17

მხრივ, — არსებითი თვალსაზრისით იგი ხელს გვიწყოფს დამხმარის დანაშაულებრივი ქმედება ამსრულებლის მიერ ჩადენილი აქტისაგან შემოგვეფარგლოთ.

ცალკე უნდა შევჩერდეთ დამხმარის ამსრულებლისაგან გამიჯვნის საკითხზე სპეციალური ამსრულებლით ჩამოყალიბებულ დელიქტებში. თეორიაში ასეთ დელიქტთა კატეგორიებად მიჩნეულია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის ამსრულებელიც არა მარტო პასუხისმგებლობისათვის დადგენილ ზოგად ნიშნებს ფლობს, არამედ იმ სპეციფიურ ნიშნებსაც, რომლებიც კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით არის განსაზღვრული. დანაშაულთა ასეთ კატეგორიებს განეკუთვნება სამთხელეო, სამხედრო, საგრანსპორტო თუ სხვა მსგავსი ხასიათის დანაშაულები.

ამგვარი დელიქტების თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ ამსრულებელთა წრე კანონმდებლის მიერ წინასწარაა შემლუღული იმ პირობით, რომლებიც სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმაში მითითებულ სპეციალურ ნიშნებს ფლობენ. ამიტომ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის წესრიგი სხვა კერძო პირების მიმართ განისაზღვრება ზოგადი წესის შესაბამისად. კერძოდ, ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც ამ დანაშაულთა განხორციელებაში მიიღებს მონაწილეობას, პასუხს აგებს, როგორც თანამონაწილე.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა საკანონმდებლო წესით გამტკიცებულია მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის 6-ე ნაწილით. მასში ნათქვამია, რომ „ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, წამქმნებელს ან დამხმარეს.“²¹⁸ მაშასადამე, აღნიშნული ნორმა ცხადყოფს, რომ კერძო პირი არ შეიძლება სპეციალური ნიშნებით კონსტრუირებული დანაშაულის ამსრულებელი ან თანამსრულებელი იყოს. ეს ღებულება უკავშირდება იმას, რომ რეალურ სინამდვილეში, არასპეციალურ სუბიექტს არა აქვს დაკისრებული ის მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობაც

სპეციალური დელიქტის ამსრულებლობის აუცილებელი ნიშანია. მაგალითად, კანონიერი განაჩენის გამოტანა მხოლოდ მოსამართლის მოვალეობაა. შესაბამისად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 336-ე მუხლით (უკანონო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა) გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელიც მხოლოდ მოსამართლე შეიძლება იყოს. სწორედ ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (332-ე მ.) ან მისი გადაყენება (333-ე მ.) მხოლოდ იმ პირს შეუძლია, რომელსაც განსაზღვრული სამსახურებრივი მდგომარეობა უკავია.

მაშასადამე, სუბიექტისათვის კანონით წინასწარ დადგენილი სპეციალური ნიშნები ფუნქციურ ბეგავენას ახდენენ აღსრულებითი ქმედების იურიდიულ შეფასებაზე და შესაბამისად აწესებენ იმ ლიმიტსაც, რომ კერძო პირები, რომლებსაც ასეთი ნიშნები არ ახასიათებთ, მიუხედავად მათ მიერ შესრულებული ობიექტური როლისა, ისინი არ მიიჩნევიან ამსრულებლებად. ამასთან, ხამი უნდა გაუსვიათ იმ გარემოებასაც, რომ სპეციალური დელიქტის დამახასიათებელი ნიშნის — მოვალეობის არსი, სამართლიანადაა აღნიშნული ლიგერაგურაში, რომ გამოიხატება პერსონალურ-ობიექტურ ხასიათში. ობიექტური ხასიათი ვლინდება იმაში, რომ იგი განსაზღვრავს დელიქტის ბუნებას, რომელშიც თანამონაწილეობა კერძო პირსაც შეუძლია, ხოლო პერსონალური ხასიათი ადვსტურებს იმას, რომ მისი უშუალო დარღვევა მას შეუძლია, ვისაც ეს მოვალეობა პირადად აკისრია.²¹⁸

ამრიგად, აუცილებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ კერძო პირები დამოუკიდებლად ობიექტური როლისა, რომელსაც ისინი ასრულებენ სპეციალური დანაშაულის ჩადენაში არ შეიძლება იყვნენ მისი ამსრულებლები. თუ კერძო პირი ხელს შეუწყობს სპეციალური სუბიექტის მიერ უშუალო მოვალეობის დარღვევას ის პასუხს აგებს დახმარებისათვის. ამასთან, ეს ღებულება, ბუნებრივია, არ გამოორიყნავს თეორიული და პრაქტიკული შესაძლებლობის ისეთ შემთხვევებს, როცა ორი ან რამდენიმე სპეციალური პირიდან,

²¹⁸ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 118

რომლებიც ერთსა და იგივე სპეციალურ დელიქტში მონაწილეობენ ერთი მათგანი იყოს ამსრულებელი, ხოლო მეორე, დამხმარე.²¹⁹

შემდეგი საკითხი, რომელიც აქ უნდა განვიხილოთ ეს არის ფსიქიკური დამხმარის გამოიყენა დანაშაულის წამქეზებისაგან. თანამონაწილის ეს ორი სახე დანაშაულებრივ ქმედებაში ჩაბმის მექანიზმის თავისებურებით კვავს ერთმანეთს. ორივე მათგანის მოქმედება ფსიქიკური ხასიათისაა და ისინი შემოქმედებას ახდენენ ამსრულებლის შეგნებაზე და ნებაზე. ამასთან, იმ საშუალებებს, რომელსაც ინგელექტუალური დამხმარე დანაშაულის ჩასადენად ხელშეწყობის აღმოჩენის მიზნით მიმართავს (რჩევა-დარიგებას, მითითებას და ა. შ.), მათ, არც თუ იშვიათად, ამსრულებელზე ეფექტური შემოქმედების მიზნით იყენებს წამქეზებელიც იმისათვის, რომ დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებულ პირს გაუდვილოს შედეგის მიღწევა. ერთი სიტყვით, თანამონაწილის ეს ორი სახე ახლოს დგას ერთმანეთთან და ისინი აუცილებლად საჭიროებენ გამოიყენას. ამ კუთხით ამოსავალი კრიტერიუმი უნდა იყოს ის ფსიქიკური შემოქმედების ინტენსივობა, რომელსაც თითოეული მათგანი ამსრულებლის დანაშაულებრივი ქცევის განპირობებაში თამაშობს.

წამქეზებელის როლი სხვა პირის დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებაში გამოიხატება, ამდენად, ის გადაწყვეტ მოტივს უნდა ქმნიდეს დანაშაულებრივი გადაწყვეტილების წარმოშობისათვის. მისი ფსიქიკური შემოქმედება ძირითადად ისეთი პირისაკენ არის მიმართული, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაჩენია კონკრეტული დანაშაულის ჩადენის სურვილი. ამ შემთხვევაში, წამქეზებლის როლი ვლინდება, როგორც ამსრულებლისათვის დანაშაულის იდეის ჩანერგვაში, ასევე მისი ხორცშესხმისათვის ბიძგის მიყვანაში. ამსრულებელში დანაშაულებრივი გადაწყვეტილების გამოწვევის თვალსაზრისით, აქ წამქეზებლის როლი უფრო თვალსაჩინოა, რადგან იგი ამსრულებელში იწვევს, როგორც მოთხოვნილებათა წარმოქმნას,

²¹⁹ აღნიშნულის ნათელი დადასტურება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სსხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 26 თებერვლის განჩინებით, ვ. გზირიშვილის, ნ. ზურაბაშვილის, ნ. ბეგუაშვილის, ნ. მელაძის და სხვათა მიმართ // იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი 1998 წელი, საქმის №2-196 // იხ. ასევე პ. გრიშავეი, ვ. კრავტრა, დასახლებული ნაშრომი, გვ. 236

ასევე მისი დაკმაყოფილებისათვის შესაბამისი გზების გათვითცნობიერებას.

დანაშაულის წამქეზებად უნდა ვცნოთ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამსრულებელს მართალია ჰქონდა დანაშაულის ჩადენის სურვილი, მაგრამ მას საბოლოო გადაწყვეტილება მისი განხორციელების შესახებ არ მიუღია, თუ პირი თავისი ფსიქიკური შემოქმედებით მიზანწარმართულად შექმნის იმ აუცილებელ პირობას, რომ ეს სურვილი გადაწყვეტილებად გადაიქცეს, ამ შემთხვევაშიც გვექნება დანაშაულის წამქეზება. სწორედ წამქეზებლის პერუროგატივია — ინიციატივა — შექმნას ამსრულებელში ისეთი ეფექტური მოტივი, რომ არსებული სურვილის საბოლოოდ გადაწყვეტილებაში გარდაქმნის მეშვეობით დაიყოლიოს ამსრულებელი დანაშაულის ჩასადენად. ფსიქიკური დამხმარის როლი ამ მხრივ ნაკლებად მნიშვნელოვანია. იგი გამოიხატება იმაში, რომ ფსიქიკური დამხმარე განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას ჩაიდინოს დანაშაული, ხოლო ეს გადაწყვეტილება ამსრულებელს დამხმარის გარეშე აქვს მიღებული.

დამხმარე არ გვევლინება დანაშაულის ინიციატორად და მისი სულის ჩამდგმელად, იგი ჩნდება მას შემდეგ, როცა დანაშაული უკვე მომწიფებულია, როცა წამქეზებელმა „თავისი საქმე“ უკვე გააკეთა, ან ამსრულებელმა უკვე გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა და მისი გათვლების მიზნით თხოვს დამხმარეს ხელშეწყობის აღმოჩენას, ან უკვე ამსრულებელი სჩადის დანაშაულს, რომელშიც დამხმარე აღმოუჩენს მხარდაჭერას. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია დახმარება აღმოუჩინოთ იმას, რაც ჯერ კიდევ არ არის და რაც ჯერ კიდევ არაფრით არ აღნიშნულა რეალობაში. ამიტომ ამსრულებლისათვის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების გამოწვევა, დამხმარის საქმიანობის სფეროს არ მიეკუთვნება. იქ, სადაც ასეთი გადაწყვეტის გამოწვევა ხდება, იქ არ არის დამხმარე, არამედ არის წამქეზებელი, რაც შეიძლება გააკეთოს დამხმარემ, არის ის, რომ იგი განუმტკიცებს სხვას უკვე წარმოშობილ გადაწყვეტილებას დანაშაულის ჩადენაზე. ამ ნიშნით

ხდება უფრო მეტი შესამჩნევი განსხვავება დამხმარესა და წამქმნებელს შორის.²²⁰

4) ცალკე უნდა შევჩერდეთ დამხმარის დანაშაულებრივ ქმედებაში ჩაბმის დროის საკითხებზე განგრძობად, ღენად და შენადგენ დანაშაულებში.

განგრძობადი დანაშაული იურიდიულ ლიგერატურაში განსაზღვრულია, როგორც „...სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ერთი დანაშაულის შემადგენლობის რეალიზაცია თანმიმდევრულად განხორციელებული, ერთიანი და განუწყვეტელი განზრახვი ბრალით დაკავშირებული ქმედებით, რომელთა შორის დროის მჭიდრო შეაღებულობა... და რომლებიც მხოლოდ ერთი კანონისმიერი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავენ.“²²¹ მაშასადამე, განგრძობადი დანაშაული ერთიანი დანაშაულის რეალიზაციის ისეთი ფორმაა, სადაც პირი რამდენიმე ქმედებითა ეგაპობრივად ჩადენის მეშვეობით ერთ კონკრეტულ დანაშაულს სჩადის. ამასთან, ამ სახის კრიმინალი დროის გარკვეულ მონაკვეთში გრძელდება, რაც ხელყოფის დისკრეტული* ხასიათით არის განპირობებული. ეს მოქმედებები თავისთავად არ გვევლინებიან დამოუკიდებელ დანაშაულად, არამედ ერთიანობაში, თავისი მჭიდრო სუბიექტური თუ ობიექტური კავშირის გამო, ქმნიან საერთო დანაშაულს. მაგალითად, ერთიანი განზრახვით მოცული მოქმედებებით ქარხნიდან დაბგის ნაწილებად მოპარვა, ან კიდევ, ყალბი დოკუმენტის წარდგენით სისტემატიურად თანხების მითვისება, ამ და მსგავს

²²⁰ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 155-156; მ. კოვლიოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 106; მ. შვიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52-53; ს. პრიბოროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 253; პ. ტელიოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37; ე. გრიგორიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 44-45; დ. სავჩენკო, დასახელებული ნაშრომი, გვ. 122, 124; ა. ხელინსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 18-19, 20 და სხვ.

²²¹ გ. მამულაშვილი, განგრძობადი დანაშაული, // ჟ. „სამართალი“, 1996, №5-6, გვ. 52

* დისკრეტული [ლათ. discretus] – ნაწევრ-ნაწევრად, წვეტილი, ცალკეული ნაწილებისაგან შემდგარი

შემთხვევებში გვექნება ერთი დანაშაული, რადგან ყოველი შემდეგი ქმედება ეს არის ერთიანი მთელის ერთ-ერთი ეპიზოდი, ეგაპი, ნაწილი.

ამგვარ დანაშაულებში დამხმარის აღმოჩენა, ბუნებრივია, შესაძლებელია დანაშაულის მომზადების ეგაპიდან მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე დანაშაული არ დასრულებულა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ფორმით დანაშაულის აღსრულებით მოქმედებას, რადგან დისკრეტული ხასიათი გამოარჩევს და ამ თვისების გამო ის დროის გარკვეულ მონაკვეთში გრძელდება, აქ დამხმარის დანაშაულებრივ ქმედებაში ჩართვის საკითხს გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს. კერძოდ, თუ ამსრულებელმა უკვე განახორციელა განგრძობადი დანაშაულის რამდენიმე ეგაპი, ხოლო დამხმარემ ხელი შეუწყო მომდევნო ეგაპების განხორციელებას, მაშინ მას პასუხისმგებლობა ადრე შესრულებული აქტებისათვის არ დაეკისრება. აღნიშნული დებულება ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ დამხმარის ქმედება მიმდინარეობს კავშირში უნდა იყოს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან. ეს კი შესაძლებელია მაშინ, თუ დამხმარის მოქმედება ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ამსრულებლის მოქმედებას. ამიგომ, პასუხისმგებლობა თანამონაწილეობისათვის განგრძობად დანაშაულში, თუ ის წინასწარ შეპირებული არ იყო, შეიძლება მხოლოდ იმ მომდევნო აქტებში, რომელშიც ის მონაწილეობდა. რადგან წინა, უკვე განხორციელებული სტადიებისათვის შეუძლებელია დახმარება, ვინაიდან შეუძლებელია ხელი შეუწყოთ უკვე დამთავრებულ სტადიას.²²²

საკითხის ამგვარ გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, თანაბარ პირობებში (ერთი და იგივე დანაშაულში, ერთი ფორმით ხელმეწყობისას) იმ საკითხის გათვალისწინებით, თუ რა დროს, რა სახის მოქმედებაში იღებდა მონაწილეობას დამხმარე იმ ობიექტურ დასკვნამდეც კი შეიძლება მივიღოთ, რომ იგი საერთოდ გავანთავისუფლოთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობი-

²²² ანალოგიურ მოსაზრებას მხარს უჭერს არაერთი მეცნიერი: იხ. თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 187; გ. მამულაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52; გ. ტელიოვი, პასუხისმგებლობა დანაშაულთა კრონოლოგიისათვის, თბ., 1965, გვ. 39; P. F. Галиакбаров, Квалификация групповых преступлений, М., 1980, ст. 73, 74...

დან აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იკვეთება მაშინ, როდესაც აღმინისგრაფიული, დისციპლინალური თუ სხვა სამართალდარღვევითა ერთობლიობა ერთიანი განგრძობადი დანაშაულის სახეს ღებულობს, როცა იგი კანონში მითითებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს შეიძენს. ასეთ დანაშაულში დამხმარის მონაწილეობა ამსრულებლის მიერ განხორციელებულ რომელიმე დისკრეტულ ნაწილში, დაუშვით იმოღივებულად აღებულ ერთ-ერთ შემადგენელ აღმინისგრაფიულ დარღვევაში, ცხადია, არ შეიძლება დამხმარის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აფუძნებდეს. თუმცა, თუ დამხმარე ამ ერთიანი განგრძობადი დანაშაულის მოსამზადებელ სტადიაშივე ჩაებმება და ამით ხელს შეუწყობს მთლიანად მის განხორციელებას, ასეთ შემთხვევაში, ის მთელი დანაშაულისათვის პასუხს აგებს ამსრულებლის გვერდით.

გარდა აღნიშნულისა, ამ ფორმით გამოვლენილ დანაშაულში, დამხმარის ქმედებაში ჩართვის დროის შესგმა დადგენამ შესაძლებელია შეცვალოს მის მიერ განხორციელებული ქმედების იურიდიული კვალიფიკაციაც. კერძოდ, მისი ქმედება არ დაემთხვეს იმ მუხლს ან მუხლის ნაწილს გათვალისწინებულ შემადგენლობის ნიშნებს, რომელსაც ამსრულებლის მოქმედება მოიცავს. სანიშნოდ შეგვიძლია ავიღოთ ასეთი მაგალითი. დაუშვით, საში თვის განმავლობაში ამსრულებელი დისკრეტულად განხორციელებული მოქმედებების მეშვეობით ითვისებს მიწობილ ქონებას, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 10,000 ლარი. ამსრულებლის მოქმედება ამ შემთხვევაში დაკვალიფიცირდება 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით. მაგრამ, თუ ამსრულებლის ამ ერთიანი განზრახვით მოცულ ერთ-ერთ ბოლო ეპიზოდში თანამონაწილეობს დამხმარეც, რომლის დროსაც 200 ლარის ღირებულების საქონლის მითივსება ხორციელდება, მაშინ დამხმარის მოქმედება დაკვალიფიცირდება არა ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით, არამედ პირველი ნაწილით. 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი მაქსიმალური სასჯელის ზომად ითვალისწინებს 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო პირველი ნაწილი — 4 წლამდე ვადით. ამიტომ, გარდა იმისა, რომ ამსრულებლის მიერ ჩადენილ მოქმედებასა და დამხმარის მიერ ჩადენილ მოქმედებას შორის არსებითი სხვაობა

არსებობს თვით სასჯელის ზომის განსაზღვრის მოცულობაში, ისინი განსხვავდებიან, ასევე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის კატეგორიების მიხედვითაც. კერძოდ, ამსრულებლის დანაშაულგებრივი ქმედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს წარმოადგენს, ხოლო დამხმარისა — ნაკლებად მძიმე დანაშაულს. ამას კი, ბუნებრივია თავისთავად მოსდევს მთელი რიგი იურიდიული შედეგები. იქნება ეს დანაშაულის ხანდაზმულობის, ნასამართლობის გაქარწყლების, სასჯელის მოხდასაგან პირობით უაღაძლე გათავისუფლების თუ სხვა კუთხით. ეს მარგივი მაგალითიც ნათლად მოწმობს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს განგრძობად დანაშაულში დამხმარის ჩაბმის დროის საკითხის დადგენას და ამ კუთხით იგი დამატებით კომენტარს აღარ საჭიროებს.

ერთიანი დანაშაულის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს დენადი დანაშაულიც. დენადი დანაშაული ესაა განხორციელებულ აქტთა ისეთი ერთობლიობა, რომლებიც ერთი და იგივე ქმედების რგოლებად გვევლინებიან და რომელთა შორის არ არის დროის შუალედი. იგი განსაზღვრული დროის განმავლობაში უწყვეტად გრძელდება. დამნაშავე ამ დროის მანძილზე დანაშაულის ჩადენის განუწყვეტელ მდგომარეობაში იმყოფება.²²³ დანაშაულთა ამგვარ კატეგორიებს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შეიძლება მივაკუთვნოთ: თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მ.), მძევლად ხელში ჩაგდება (144-ე მ.), ალიმენგის გადახდასათვის თავის არიდება (176-ე მ.), ღემურგირობა (389-ე მ.) და სხვ. ამ დანაშაულთა დასრულების დროდ უნდა მივიჩნიოთ დამნაშავის მოქმედება, რომელიც მიმართულია მის შესაწყვეტად, ან მოვლენის დადგობა, რომელიც დენადი დანაშაულის განხორციელებას აღკვეთავს. იგი დასრულებულია, მაგალითად, დამნაშავის გამოცხადებით და ბრალის აღიარებით, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მისი აღკვეთით, ან ვთქვათ, შეილის გარკვეული ასაკის შესრულებით, რომლისთვისაც დამნაშავეს ალიმენგი უნდა გადაეხადა და სხვ.

დენადი დანაშაულის შემთხვევაში დანაშაულგებრივი მდგომარეობა, ვინაიდან უწყვეტად მიუდინება დროის განსაზღვრულ მონაკ-

²²³ Уголовное право России, в 2-х томах, т. 1, общая часть, отв. редакторы А. И. Игнатов, Ю. А. Красников, изд. группа НОРМА-ИНФРА, М., 1998, ст. 63-64

ვეთში, პრაქტიკულად, სრულიად მისაღებია და თეორიულადაც მართლებულია იმ ავტორთა პოზიციები, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევენ დანაშაულში დახმარებას იმ მომენტამდე, ვიდრე არ დამდგარა მოვლენა დანაშაულებრივი მდგომარეობის მოსპობის.²²⁴ თუ მაგალითად, ამსრულებელი ვინმეს ჩაიგდებს მძევლად (144-ე მ.) და ის ჰყავს ჩაკეტილი თავის აგარაკზე, თუმცა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შესაძლო ეჭვის მიგანის მიშით, მძევლის საიმედო საფარავს თხოვს მეორე პირს, ეს უკანასკნელი იქნება დამხმარე, თუ ის აღმოუჩენს ხელშეწყობას და დაუშვიათ, დაუთმოს თავისი ბინის სარდაფს. ამ შემთხვევაში მძევლის მოსათავსებლად ადგილის მიცემა, არის საშუალება ამსრულებლის დანაშაულებრივი მიზნების რეალიზაციის. იგი მიზეზობრივად განაპირობებს დანაშაულებრივი დენადობის ხანგრძლივობასაც იმ მომენტამდე, ვიდრე არ აღკვეთილა ეს დანაშაული, ან დამარალებულს არ დაუღწევია თავი ბოროტმოქმედებისაგან. მაგრამ თუ დანაშაულებრივი ქმედება შეწყდება და ამის შემდეგ მისცემს პირი თავშესაფარს ამსრულებელს, ასეთი მოქმედება უკვე იქნება არა თანამონაწილეობა, არამედ დანაშაულის შეშუბლობა. იგი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ვათვალისწინებულ შემთხვევაში აფუძნებს.

დახმარის ხელშეწყობის დროის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს შენადგენ დანაშაულებშიც. ეს ისეთი ფორმაა დანაშაულის, როდესაც „ორი ან მეტი თავისთავად დანაშაულებრივი ქმედება ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ სხვა, შესამე ერთიან დანაშაულს ქმნიან.“²²⁵ როგორც წესი დანაშაულის ამ ფორმის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთს მოსდევენ და ისინი უმეტეს წილად მაშნისა და საშუალების მიმართებაში იმყოფებიან. ასე, მაგალითად, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის 2-ე ნაწილის „დ“ პუნქტი შემადგენლობის ნიშნებად აღწერს ძარცვას ისეთი „ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ასეთი ძალადობის მუქარას.“ ან კიდევ 179-ე მუხლით ყაჩაღობა

²²⁴ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 188; ვ. ტყეშელაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 46

²²⁵ ვ. ტყეშელაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48

განსაზღვრულია, როგორც „...თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით.“ ამ შემადგენლობებში ძალადობის ან ძალადობის მუქარის განხორციელება დამარალებულის მიმართ არ არის თვითმიზანი, არამედ იგი გამოდის, როგორც საშუალება საბოლოო მიზნის – ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის. ამიგომ იგი ქმნის ერთიან დანაშაულს. მაგრამ თუ ამრობრივად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოვიდგენთ მის შემადგენელ ნაწილებს, მაშინ აღმოჩნდება, რომ ისინი სხვადასხვა დანაშაულებრივ შემადგენლობებს ქმნიან. მაგალითად, ძალადობა ისევეა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულის სახე, მუქარა კი 151-ე მუხლით. ხოლო სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებამ მათ გარეშე შეიძლება შექმნას ძარცვის არაკვალიფიციური შემადგენლობა (178-ე მ. I ნაწ.) ან ქურდობა (177-ე მ.). ამასთან, შენადგენი დანაშაულის ისეთი სახე, როგორცაა ძარცვა მაგრიალურ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო ყაჩაღობა – ფორმალურს. პირველი მათგანი დასრულებულად ითვლება სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მომენტიდან, ხოლო ყაჩაღობა – ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებული დაუდასტოვების მომენტიდან.

დასახელებულ დანაშაულებში ხელშეწყობის აღმოჩენის დროის მიხედვით უნდა განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა:

ა) თანამონაწილეები კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების დაწყებამდე წინასწარ მეთაბმდნენ როლების განაწილებაზე, რომლის მიხედვითაც ამსრულებელი უშუალოდ შეუდგა დასახული გეგმის განხორციელებას, კერძოდ, მან დამოუკიდებლად მოახერხა დამარალებულის მზირიდან მოსალოდნელი ძალადობის ნეიგრაღიბება, ხოლო დამხმარე, მხოლოდ პირველი აქტის დასრულების შემდეგ ჩაება ქონების დაუფლების ეპიზოდში, ამ შემთხვევაში დამხმარე პასუხს აგებს მთლიანად შენადგენი დანაშაულისათვის. მართალია, პირი ფიზიკურ დახმარებას აქ მხოლოდ მეორე ეტაპზე უწევს, მაგრამ დახმარების წინასწარი შეპირებით, მისი მოქმედება მიმოზომ-

რივ კავშირშია მთლიანად შენადგენი დანაშაულის ორივე ნაწილთან.

ბ) ანალოგიურად გადაწყდება საკითხი მამისაჲ, როდესაც დამხმარე მხოლოდ პირველი აქტის ძალადობის ან შეუქარის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ამ შემთხვევაშიც სახეზე გვექნება ყველა ის აუცილებელი საფუძველი, რომ პირი, ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების ფიზიკური თუ ფსიქიკური ინგენსივობის ხარისხის შეფასების შესაბამისად კვალიფიციური ძარცვის ან ყაჩაღობის თანამონაწილედ ვყნით. ვინაიდან დამხმარე მონაწილეობს ძალადობაში, თავად ძალადობა კი მოცემულ შემადგენლობებში არის აუცილებელი პირობა ქონების დაუფლებისათვის, შესაბამისად ხელშეწყობა პირველი აქტის შესრულებაში, ნიშნავს ხელშეწყობას მთელი შენადგენი დანაშაულის განხორციელებაში. ამიგომ დამხმარე ამსრულებლის გვერდით მთელი მოცულობით პასუხს აგებს ერთობლივად განხორციელებული დანაშაულისათვის. დასახელებულ შემთხვევებში საკითხის ასეთი გადაწყვეტა თეორეტიკოსთა შორის არ იწვევს დაგას და ის ერთხმად არის გაზიარებული.

გ) დავის საგანს ისეთი შემთხვევები წარმოადგენს, როდესაც დამხმარე, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, ამსრულებლის მიერ უკვე დაწყებული შენადგენი დანაშაულის ფაქტობრივ დასრულებამდე ებმება დანაშაულებრივი ქმედების მეორე აქტში. ამ შემთხვევაში დამხმარის მოქმედება, რადგან ქრონოლოგიური თვალსაზრისით არ უსწრებს ძალადობის აქტს, და ამასთან, მისი ხელშეწყობაც წინასწარ არ არის შეპირებული, ფაქტია, რომ ამგვარი მოქმედება მიმეზობრივ კავშირში არ იმყოფება შენადგენი დანაშაულის პირველ ნაწილთან. აქ საკითხს ართულებს ის გარემოებაც, რომ შენადგენი დანაშაულის ისეთი სახე, როგორცაა ყაჩაღობა, ფორმალურ შემადგენლობათა კატეგორიას განეკუთვნება. ის, როგორც უკვე ვთქვით, დასრულებულად ითვლება თავდასხმის განხორციელების მომენტშივე. ამიგომ ბუნებრივია იხადება კითხვა, თუ როგორი შეფასება უნდა მიეცეს ყაჩაღობის, ან კიდევ ძარცვის დროს, იმ პირის მოქმედებას, რომელიც შეთანხმების გარეშე თანამონაწილეობს მეორე ეტაპზე?

სპეციალურ ლიგერატურაში აღნიშნულ შემთხვევათა იურიდიული რეგულირების თაობაზე ძირითადად ერთმანეთს ორი მოსაზრება უპირისპირდება. პირველი მათგანი თვლის, რომ დამხმარის მონაწილეობა შენადგენი დანაშაულის მეორე ეტაპზე ე. ი. ქონების დაუფლებაში უნდა დაკვალიფიცირდეს ქურდობად ან ძარცვად ძალადობის გარეშე. მაგალითად, ამ მიმართულების წარმომადგენელი პროფ. თ. წერეთელი წერს, რომ „ვინაიდან ამსრულებელმა ძალადობა შესრულა მანამდე, ვიდრე დამხმარე დანაშაულის შესახებ რამეს გაიგებდა, ხოლო მის მიერ (დამხმარის) უკვე განხორციელებული აქტის მოწონებას არ შეუძლია შეავსოს არ არსებული მიმეზობრივი და ბრალეული კავშირი. ამიგომ ასეთი პირი, საქმის გარემოებების მიხედვით პასუხს აგებს ქურდობისათვის ან ძალადობის გარეშე ჩადენილი ძარცვისათვის.“²²⁶ ავტორი ამ მოსაზრებას თანმიმდევრულად ავრცელებს, როგორც ძარცვის (მაგერიალური დანაშაულის), ასევე ყაჩაღობის (ფორმალური დანაშაულის) მიმართ.²²⁷

დასმული პრობლემის გარშემო მსჯელობისას ანალოგიურ პოზიციას აფიქსირებს პროფ. თ. გამყრელიძეც. მისი აზრით, უთუოდ სწორი მტკიცებაა ის თვალსაზრისი, რომ თანამონაწილეობა დანაშაულის ფაქტობრივ დასრულებამდე შესაძლებელი საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ავტორის სამართლიანი თქმით, „ხელს გვიწყობს უფრო შესაბამისად გავემიჯნოთ თანამონაწილეობა შემხებლობისაგან.“²²⁸ მაგრამ მაშინ როდესაც საქმე ეხება შენადგენი დანაშაულის (ყაჩაღობაში) მეორე ეტაპზე (ქონების დაუფლებას) წინასწარი შეპირების გარეშე ხელშეწყობის აღმოჩენას, აქ პრობლემა, ავტორის შეხედულებით, მხოლოდ ამ მოგადი დებულებით არ ამოიწურება. არამედ აუცილებელია გამოირკვეს ისიც, თუ რომელი დანაშაულის თანამონაწილე იქნება ასეთი პირი. „ის ვინც თავდასხმის შემდეგ დაეხმარება ყაჩაღს ქონების დაუფლებაში, — წერს ავტორი, — შემხებული კი არა თანამონაწილე იქნება, მაგრამ იქნება თუ არა ის ყაჩაღობის თანამონაწილე — ეს უკვე სხვა საკითხია. ყაჩაღობა ისევე როგორც ყოველი შენადგენი დანაშაული, ორი ისეთი მოქმე-

²²⁶ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 189

²²⁷ იქვე, გვ. 189, 193-194

²²⁸ თ. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 116

ღებისაგან შედგება, რომლებიც ცალკე-ცალკე აღებული დამოუკიდებელ შემადგენლობებს ქმნიან. ამიგომ იმან, ვინც დაეხმარება ყაჩაღს მხოლოდ ქონების დაუფლებაში, პასუხი უნდა აგოს ქურდობასა ან ძარცვაში თანამონაწილეობისათვის. შენაღვენი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს იმას, ვის მოქმედებასა და ამ პირველ აქტს შორის არც მიზეზობრივი და არც ბრალეული კავშირი არ არსებობდა. „თითოეულმა დამნაშავემ, — იმოწმებს პროფ. ო. გამყრელიძე პროფ. თ. წერეთლის მოსაზრებას, — პასუხი უნდა აგოს იმისათვის, რაც მან ობიექტურად გააკეთა და რისი განზრახვაც მას ჰქონდა. შემდგომი მონაწილეობა ვერ შეავესებს მიზეზობრივ კავშირს, რომელიც მეორე დამნაშავეს ქმედობასა და ძალადობის აქტს შორის არსებობდა, იგი ვერ შეავესებს ბრალსაც, ვინაიდან განზრახვა არის ფსიქიკური დამოუკიდებულება მომავლისაკენ და არა წარსულისაკენ.“²²⁹

დანაშაულებრივ ქმედებაში დახმარების აღმოჩენის დროს საკითხებს ანალიზებს პროფ. მ. კოვალიოვიც. იგი მხარს უჭერს იმ ავტორთა შეხედულებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თანამონაწილეობა დანაშაულის ფაქტობრივ დასრულებამდე შესაძლებელია. „თანამონაწილეობა, — წერს ავტორი, — გვევლინება სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტად, მისი ცნების კონსტრუირება უნდა განხორციელდეს ყველა დანაშაულთან მიმართებაში ერთგვაროვნად და დამოუკიდებლად კანონში აღწერილ კონკრეტულ შემადგენლობათა შესრულებისა. მამასადაბე, მონაწილეობა დანაშაულში სინამდვილეში შესაძლებელია დანაშაულის ფაქტობრივ დასრულებამდე, თუნდაც რომ თანამონაწილეები ჩაერთონ დანაშაულებრივ ქმედებაში მას შემდეგ, როცა დანაშაულის განვითარებაში მიაღწია იმ დროს, რომელსაც კანონი უკავშირებს შემადგენლობის დასრულებას.“²³⁰ ავტორი ამ მოსაზრებას ილუსტრირებას უკეთებს, როგორც ღენადი, ასევე შეკვეცილი დანაშაულის შემადგენლობათა ანალიზის საფუძველზე. უკანასკნელის ერთ-ერთ ნიმუშად მოყავს ყაჩაღობის შემადგენლობა. ყაჩაღობა შეკვეცილი შემადგენლობაა.

²²⁹ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 116-117

²³⁰ მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 117-118

წერს ავტორი, იურიდიულად იგი დამთავრებულია მაშინ, როცა ისინი და თავდასხმა ქონების დაუფლების მიზნით, მაგრამ ამ საფუძველზე არასწორი იქნებოდა დამხმარედ ჩაგვეთვალო ის, ვინც ხელს უწყობდა ყაჩაღებს თავდასხმის მომენტამდე, ხოლო ისინი, ვინც რაიმე დახმარება აღმოუჩინა თავდასხმის შემდეგ, პასუხი ვაგებიანოთ როგორც დამფარავს. ამ მოსაზრებას ავტორი აკონკრეტებს შემდეგი მაგალითით: თუ ა-ნი იარაღს აწვდის ბ-ანს, ხოლო ვ-ანი, რომელიც არის ბ-ანის ნაცნობი, შემთხვევით აღმოჩნდება დანაშაულის ჩადენის ადგილზე, როდესაც ბ-ანი უკვე თავს დაესხა გ-ანს, და აღმოუჩენს დახმარებას დამარალებულის ქონების დაუფლებაში, მაშინ ა-ნი და ვ-ანი მიჩნეულ უნდა იქნან თანამონაწილეებად ყაჩაღურ თავდასხმაში, თუმცა პირველი მოქმედება ყაჩაღობის შემადგენლობის დასრულებამდე, ხოლო მეორე, მას შემდეგ.²³¹ მ. კოვალიოვის გადმოცემულ შეხედულებას ეთანხმება პროფ. ფ. ბურჩაკიც.²³²

ღებულება, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია დანაშაულის ფაქტობრივ დასრულებამდე, უთუოდ სწორი მტკიცებაა.²³³ ამა-სთან, სრულებით ბუნებრივი მოვლენაა ისეთი შემთხვევებიც, როცა შეკვეცილ დანაშაულში ამსრულებლის მიერ კონკრეტული შემადგენლობით აღწერილი ნიშნების განხორციელების შემდეგ, სანამ საკანონმდებლო კონსტრუქციით ნაგულისხმევი (და არა უშუალოდ ფიქსირებული) ბუნებრივი, მაგერაბალური შედეგი დადგებოდეს, მანამდე ჩაერთოს მეორე პირიც. კონკრეტული განხილვისათვის შეგვიძლია ავიღოთ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული გამოძალვის შემადგენლობა. როგორც ამ მუხლის განმარტებიდან ჩანს გამოძალვა ფორმალურ, ანუ შეკვეცილ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. იგი დამთავრე-

²³¹ მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 119

²³² იხ. ფ. ბურჩაკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 154

²³³ ამ ღებულებას ზემოთ დასახელებული მეცნიერების ვარდა მხარს უჭერენ სხვა ავტორებიც. იხ. ა. ზელინსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7; ვ. ვრიგორიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 12; П. Ф. Тельнов, Кто отвечает за соучастие в преступлении, М. 1981, ст. 52; Б. Т. Разгильдиев, Уголовно-правовые проблемы прикосновенности к преступлению, Саратов, 1981, ст. 20-21; Ю. А. Красиков, Соучастие в преступлении, М., 1996, ст. 32 и др.

ბულ დანაშაულად მიიჩნევა ნიეთის გადაცემის ან მასზე უფლების ან ქონებით სარგებლობის უფლების მოთხოვნის წაყენების მომენგიდან.²³⁴ ამიგომ, თუ, დაუშვათ ა-ნი იგაცემს ავგომანქანას, შემდეგ ურეკავს მესაკუთრეს გელუფონზე და აფრთხილებს, რომ მან ორი დღის განმავლობაში გამოსასყიდის სახით 7000 დოლარი უნდა გადაუხადოს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ავგომანქანას ეცხხლს წაუკიდებს და დაწვავს, ეს ფაქტი უკვე არის საფუძველი იმისათვის, რომ დამნაშავე დამთავრებული გამოძალვის ამსრულებლად ეცნოთ. მაგრამ ეს გარემოება ვერ გამოიციხავს იმის შესაძლებლობას, რომ იგივე დანაშაულის დამხმარედ მივიჩნიოთ ის პირიც, რომელიც უკვე მეორე ეპიზოდში, ანუ თანხის მიღების მომენტში ერთვება დაბრკოლების ასაცილებლად, ან აძლევს რჩევა-დარიგებას თუ სხვა ისეთ მოქმედებას სჩადის, რომლის დანიშნულებასაც დახმარების აღმოჩენა წარმოადგენს დასახული საბოლოო მიზნის – ფულის გამოძალვის მიღწევაში. მართალია, ქრონოლოგიურად, მეორე აქტში ხელის შემწყობის მოქმედება წინ ვერ უსწრებს საკანონმდებლო კონსტრუქციით განსაზღვრულ გამოძალვის ნიშნებს, და მაშასადამე, იგი ვერ განაპირობებს ამ შემთხვევაში გამოსასყიდის მისაღებად მუქარის განხორციელების ფაქტს. თუმცა მუქარის შემდგომ ნავულისხმევი შედეგი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული მასთან, რომ მისი გამოყოფა და დამოუკიდებელი შეფასება დამხმარესთან მიმართებაში კვალიფიკაციის თვალსაზრისით ვერაფერს შეცვლის. დამხმარეს პასუხისმგებლობა დაეკისრება ამსრულებლის გვერდით, როგორც გამოძალვის თანამონაწილეს.

მაგრამ, შენადგენ დანაშაულებს, რაც შეეხება, ამ თვალსაზრისით ისინი ნამდვილად ავლენენ გარკვეულ სპეციფიკას. როგორც უკვე ვთქვით, დანაშაულის ასეთი ფორმა ორი ისეთი მოქმედებისაგან შესდგება, რომლებიც ერთმანეთისაგან იზოლირებულად აღებული დამოუკიდებელ შემადგენლობებს ქმნიან. სწორედ ამ პირობის მხედველობაში მიღებით, აქ გვაქვს შესაძლებლობა, უტყუარი გარანტი შევექმნათ დამხმარეს და პასუხი ვაგებინოთ არა იმისათვის, რაც მისგან დამოუკიდებლად გააკეთა ამსრულებელმა,

²³⁴ იხ. მ. ლეკვიშვილი, გ. მამულაშვილი, პასუხისმგებლობა კონომიკური დანაშაულისათვის, კომენტარი, თბ., მერიდიანი, 1999, გვ. 42-45

არამედ იმისათვის, რასაც მან ობიექტურად შეუწყო ხელი. მაშასადამე, ყაჩაღობის დროს დამხმარე, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილზე შემთხვევით აღმოჩნდება მას შემდეგ, როდესაც ძალადობის აქტი უკვე დამთავრებულია და ის ხელს შეუწყობს მხოლოდ და მხოლოდ მეორე ეპიზოდს (ანუ ქონების დაუფლებას), რომელიც თავდასხმისაგან დამოუკიდებლად შეიძლება შეფასდეს ქერლობად, ან კიდევ ძარცვად ძალადობის გარეშე, მაშინ დამხმარემ პასუხი უნდა აგოს ამ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. მაშასადამე, პომიციურად, ამ საკითხში, ჩვენ ვემიჯნებით მ. კოვალისთვის და ფ. ბურჩაკის გადმოცემულ მოსაზრებებს, რომლებიც დამხმარის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მოითხოვენ მთლიანად შენადგენი დანაშაულისათვის.

5) შემდეგი საკითხი, რომელიც დამხმარის გარშემო მსჯელობისას აუცილებლად საჭიროებს ანალიზს, გვევლინება კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორი შეფასება უნდა მიეცეს იმ სუბიექტის მოქმედებას, რომელმაც ამსრულებელს განზრახ შეუქმნა დანაშაულის ჩასაღებად პირობები. თუმცა, უკანასკნელმა მისი ხელშეწყობა არ გამოიყენა და დანაშაული რეალურად საკუთარი ძალისხმევით განახორციელა. მაგალითად, ქერდი ბინაში შევიდა არა იმ კარებით, რომელიც წინასწარ შეგნებულად ღიად დაგოვა დამხმარემ, არამედ გადაჭრა ფანჯრიდან, ან კიდევ ყაჩაღმა სხვისი ქონება გაიგადა არა დამხმარის მიერ მიწოდებული რეგოლვერით, არამედ საკუთარი დანის გამოყენებით. მაშასადამე, მხედველობაში გვაქვს შემთხვევათა ისეთი კატეგორიები, როდესაც დამხმარე დანაშაულის ჩასაღებად ქმნის სათანადო პირობას, თუმცა ამსრულებელი ერთიან დანაშაულებრივ ქმედებაში, დამხმარის მიერ განხორციელებულ აქტს, მიმებობრივი კავშირის საერთო დინებაში არ რთავს. რის გამოც ისინი, თუ წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, ამსრულებლის მიერ გამოწვეულ დანაშაულებრივ შედეგს ვერ განაპირობებენ. ამგვარ შემთხვევათა იურიდიული რეგულირების თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი დასახული.

ჯერ კიდევ რევოლუციამდელი რუსი მეცნიერი ნ. ტაგანცევი მართალია, მიზანშეწონილად თვლის იმ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომლის ხელშეწყობაც ამსრულებლის მიერ არ იქნა გამოყენებული. თუმცა თავად ქმედებას ასეთ შემთხვევაში თუ რა იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს კვალიფიკაციის განსაზღვრის კუთხით, ავტორი ამ მოსაზრებას არ აკონკრეტებს. იგი ზოგადად შენიშნავს, რომ ფიზიკური დამხმარეები, რომლებიც ხელსუწყობენ დანაშაულს საშუალებათა მიწოდებით, დაბრკოლებათა აცილებით და ა. შ. პასუხს აგებენ არა მარტო მაშინ, როცა ამსრულებელმა თანამონაწილის დახმარებით ისარგებლა, არამედ მაშინაც, როცა მისი ხელშეწყობა არ გამოიყენა, ე. ი. ამსრულებელმა თავისი განზრახვა სხვა პირის მიერ მიწოდებული საშუალებების, აცილებული დაბრკოლების თუ სხვა ამ სახის მოქმედებითა გარეშე განახორციელა.²³⁵

შედარებით გვიანდელი პერიოდის სისხლის სამართლის ლიგურატურაში კი დასმული პრობლემის გარშემო მსჯელობისას განსხვავებული მოსაზრებებია ასახული. ისინი რამდენიმე ნაწილად უნდა დავყოთ: პირველ მათგანს ის ავტორები უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც მოითხოვენ, რომ ამსრულებლის მიერ, ხელშეწყობის აღმოჩენის იგნორირებით, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შეთავაზებული დახმარება დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაულის მომზადება.²³⁶

თეორეტიკოსთა მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ამსრულებლის მიერ ფიზიკური დახმარების გამოყენების გარეშე დანაშაულის ჩადენისას, არარეალიზებული დახმარებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დაისვას არა მარტო დანაშაულის მომზადებისათვის, არამედ ზოგჯერ დანაშაულში თანამონაწილეობისთვისაც. ამ შეხედულების წარმომადგენლებს უკანასკნელი მოსაზრების საბუთად მოჰყავთ ის არგუმენტი, რომ დამხმარის მიერ აღმოჩენილმა ფიზიკურმა ხელშეწყობამ შეიძლება

²³⁵ ნ. ტაგანცევი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 764

²³⁶ მ. კოვლიოვი, დასახლებული ნაშრომი, ნაწილი პირველი, გვ. 224.; მ. კოვლიოვი, დასახლებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 103.; П. Ф. Тельнов, Ответственность за соучастие в преступлении, М., 1978, ст. 36-37

ერთგვარად განამტკიცოს ამსრულებლის დანაშაულებრივი გადმოწვევტილება და ამის მეშვეობით განსაზღვროს ის დანაშაულებრივი შედეგი, რომელიც ამსრულებლის მიერ უშუალოდ არის გამოწვეული, ანუ აქ შეიძლება საქმე გვექონდეს ინგელექტუალური დახმარების სახესხვაობასთან.²³⁷

მ. გაუხმანი კი დასმული საკითხის გარშემო მსჯელობისას აღნიშნავს, რომ დანაშაულში დახმარებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამსრულებელმა ფაქტობრივად გამოიყენა აღმოჩენილი ხელშეწყობა თუ მათ გარეშე განახორციელა დანაშაული. ის ყველა შემთხვევაში, ავტორის აზრით, დახმარებად უნდა იქნას განხილული. მაგრამ, რაც შეეხება უშუალოდ არარეალიზებული დახმარების ქმედების კვალიფიკაციას მ. გაუხმანი თვლის, რომ ის უნდა დაკვალიფიცირდეს დახმარების მცდელობად.^{237a}

დაბოლოს, ლიგურატურაში ვხვდებით მტკიცებას იმის თაობაზეც, რომ მოცემულ შემთხვევებში დამხმარის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს, არა განზრახ ჩადენილი დანაშაულის სგადიების შესაბამისად, ეთქვას, დანაშაულის მომზადებისათვის, არამედ იმ დანაშაულში თანამონაწილეობისთვის, რომლისთვისაც დამხმარემ განზრახ შექმნა სათანადო პირობები. ამასთან, ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან არარეალიზებული ფიზიკური ხელშეწყობის დასაკავშირებლად და შესაბამისად დამხმარის დანაშაულის თანამონაწილედ ცნობისათვის ამ მიმართულების წარმომადგენელი მ. შნეიდერი ეყრდნობა იმ საფუძველს, რომ შეთავაზებული დახმარება, მაგალითად, მიწოდებული გასაღები საწყობის გასაქურდად (რომელიც ამსრულებელმა არ გამოიყენა და კარები შეამკვრია ძალაყინით) განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას დანაშაულის ჩადენის შესახებ. ამიგომ არარსებობა სხვა გარემოებების, ამსრულებლის მიერ თავისთავად შეცვლა ერთი საშუალების მეორეთი, ან კიდევ დანაშაულის ჩასადენად პირველი გეგმის შეცვლა მეორეთი, მ. შნეიდერის აზრით, არ სძობს მიზნობრივ კავშირს დამხმარის

²³⁷ თ. წერეთელი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 171-

^{237a} Л. Д. Гаухман, Соучастие в преступлении по советскому законодательству, М., 1990, ст. 37

მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის და არ ხსნის დამხმარის დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხს.²³⁸

გადმოცემულ მოსაზრებათა შეფასებისას ამთავითვე უნდა გამოირიცხოს მ. გაუხმანის პოზიცია, ასეთი მოქმედებები დაკვალიფიცირდეს დახმარების მცდელობად. იმ მარტივი არგუმენტის საფუძველზე, რომ თანამონაწილეობა კონკრეტულ დანაშაულებრივ შედეგს მადგენლობას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ამა თუ იმ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოვლინების ფორმაა. დამხმარებ ამსრულებელთან ერთად შეიძლება ჩაიდინოს მკვლელობა, ქურდობა, ყაჩაღობა და ა. შ. მაგრამ თავად დახმარების, როგორც სპეციალური დანაშაულის ჩაღება, ან მისი მკვლელობა შეუძლებელია. მკვლელობა როგორც დანაშაულის განხორციელების ერთ-ერთი სტადია შესაძლებელია კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით, ამიგომ თანამონაწილეობის (და შესაბამისად მისი ერთ-ერთი სახის დახმარების) მკვლელობა ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება, ვთქვათ, უკიდურესი აუცილებლობის მკვლელობა. მაშასადამე, თითქოსდა არსებობს დახმარების დამოუკიდებელი შემადგენლობა ანტირეალისტური პოზიციაა. ეს შეხედულება სათავეს თანამონაწილეობის აქტუორული ბუნების უარყოფიდან იღებს. მ. გაუხმანი კი, რომელიც თანამონაწილეობისათვის დამახასიათებელ ამ თვისებას უარყოფს, სრულებით გასაგებია ის ლოგიკური გაგრძელება, რომელიც მისი მხრიდან ასეთი ხელოვნური ცნების სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრების მცდელობაში გამოიხატება.

შეუძლებელია იმ უაპელაციო მგვიცხვასაც დავეთანხმოთ, რომ ფიზიკური ხელშეწყობის დროს პირის დანაშაულში თანამონაწილედ ცნობისათვის, თითქოსდა არ ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა ამსრულებელმა რეალურად ისარგებლა თუ არა აღმოჩენილი ხელშეწყობით. რამდენადაც ქმედების ამ ფორმისათვის მიზეზობრივი კავშირის არსებობა აუცილებელია თანამონაწილის მოქმედებასა და ამსრულებლის მიერ განხორციელებულ დანაშაულს შორის, შესაბამისად განხორციელებული აქტი, რომელიც არ არის დაკავშირებული ამსრულებლის მოქმედებასთან და მისი მეშვეობით დანაშა-

ულებრივ შედეგთან, იგი არ შეიძლება დახმარებას მივაკუთვნოთ. როდესაც ამსრულებელი თანამზრახველის მიერ მიწოდებულ სამუშაოს ან აცილებულ დაბრკოლებას უგულვებელყოფს, მაშინ ხელშეწყობა დანაშაულებრივი შედეგის გამომწვევი მიზეზის ფარგლებს გარეთ რჩება. ამიგომ წმინდა ფიზიკური თვალსაზრისიდან თუ გამოვალთ, ასეთი შემთხვევების სისხლისსამართლებრივი რეგულირება უნდა განხორციელდეს არა თანამონაწილეობით, არამედ განზრახ ჩადენილი დანაშაულის სტადიებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად. კერძოდ, ხელშეწყობას, რომელსაც ამსრულებელი უგულვებელყოფს ის უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მომზადებად.

თუმცა, აქვე იბადება კითხვა: თუ რამდენად საეჭვოა ამ გადაწყვეტილებას ცვლიდეს მითითება ამსრულებლის ნების განმტკიცებაზე? ეს მოსაზრება არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, მაგრამ იგი უნდა ვაღიაროთ არა, როგორც ზოგად პრინციპად, რომლის მიხედვითაც ფიზიკური ხელშეწყობა, თითქოსდა ყველა ერთი-ულ შემთხვევაში განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას და შესაბამისად, დამხმარის მოქმედება, აღნიშნულ შემთხვევებში, მაინც უნდა ვცნოთ დანაშაულში თანამონაწილეობად (როგორც ამას ამტკიცებს მ. შნიდერი), არამედ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ჩადენილი დანაშაულის კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით.

აღნიშნულის ერთ-ერთ რეალურ გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ჩასადენად მიწოდებული იარაღი ან დაბრკოლების აცილება ამსრულებლის მიერ ვითარების ზოგადი შეფასების მხედველობაში მიღებით მიიხსნება, როგორც რეზერვი, რომელსაც დანაშაულის განხორციელების დროს შეუძლია სათადარიგოს როლი ითამაშოს. ამსრულებლის მიერ ასეთის გათვალისწინებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ შეუძლია განუმტკიცოს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. რომლის ძალითაც დამხმარის განზრახვი მოქმედება, შეიძლება მაინც აღმოჩნდეს საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის მიაჩნის მიყენების, ერთიანი პროცესის შემადგენელი ნაწილი. ავიღოთ კონკრეტული მაგალითი. დაუშვათ, ანი გ-ანს აწვდის იარაღს ბ-ანის

²³⁸ მ. შნიდერი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 73-74

მოსაკლავად უკანასკნელი შერჩეულ მსხვერპლს ნახულობს მძინარეს თავისივე სახლში, სადაც იარაღის სრილით გამოწვეული ხმაურის აცილების გამო გუდავს მას მისივე ბალიშის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში დამხმარის მიერ მიწოდებული და მის ხელთ არსებული იარაღი მიიჩნევა, როგორც სათადარიგო საშუალება, რომლითაც ამსრულებელს მსხვერპლის მხრიდან მოსალოდნელი ძალადობის მიუხედავად, მაინც შეუძლია თავისი დანაშაულებრივი განზრახვა ბოლომდე დაასრულოს. მაშასადამე, ფიზიკური ხელშეწყობა არსებულ ვითარებათა გათვალისწინებით ამსრულებელს განუმტკიცებს გადაწყვეტილებას და ამის შესრულებით ის განსაზღვრავს დამდგარ მოვლენასაც (სიკვდილს).

მაგრამ, თუ დაუშვათ, დამხმარემ ბანკის გაძარცვის მიზნით გათხარა გვირაბი, თუმცა ამსრულებელი ასეთი ხელშეწყობის საზღვროდ ბანკის თანამშრომელს მოისყიდის, რომელიც აძლევს მორგებულ გასაღებს ბანკის გასაძარცვად, ამ შემთხვევაში, პირველი დამხმარის მოქმედება არ იქნება მიზეზობრივ კავშირში ამსრულებლის მიერ განხორციელებულ ძარცვასთან. მაშასადამე, როდესაც ამსრულებელი დანაშაულს დამხმარის ხელშეწყობის სრული იგნორირებით ანხორციელებს, მაშინ დამხმარეს მოცემულ ვითარებაში, რამდენადაც არ უნდა სწყურებოდა ხელშეწყობა, მას თავისი მოქმედებით დამნაშაულისათვის არავითარი ხელშეწყობა არ აღმოუჩენია. ამიგომ ამ და მსგავს შემთხვევებში პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს არა თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ დანაშაულის მომზადებისათვის.

დანაშაულის მომზადებად უნდა შეფასდეს უშედეგო დახმარების ისეთი სახესხვაობაც, როდესაც დამხმარის მიერ განხორციელებული მოქმედება მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფება ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დამხმარე დაგვიანებით ანხორციელებს მოქმედებას, რომელიც ამსრულებლის ხელშეწყობისაკენ იყო მიმართული. ასე, მაგალითად, დამხმარეს ამსრულებელთან მიაქვს მკვლელობის ჩასადენად იარაღი მას შემდეგ, როდესაც დანაშაული დასრულებულია, ან კიდევ, შენობის დასაწვავად ნაეთი გაეგზავნება ამსრულებელს,

თუმცა მასთან აღწევს შენობის დაწვის შემდეგ და სხვ. ასეთი უშედეგო დახმარება არ გვევლინება დანაშაულში თანამონაწილეობად. ის პასუხისმგებლობას იწვევს დანაშაულის მომზადებისათვის ანალოგიურ მოსაზრებას, ამ საკითხზე მსჯელობისას აფიქსირებს არაერთი კრიმინალისტი.²³⁹

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არარეალიზებული ხელშეწყობისა (იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ამსრულებელი მიწოდებულ იარაღს ან აცილებულ დაბრკოლებას სრულ იგნორირებას უკეთებს) და უშედეგო დახმარების (იგულისხმება შემთხვევები, როდესაც დამხმარე დაგვიანებით ანხორციელებს მოქმედებას) საშიშროების ხარისხი უმრავლეს შემთხვევაში იმდენად ჰყირება, რომ ისინი შეიძლება არც იქნას მიჩნეული დასაჯად. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი მოქმედებები ყოველთვის სისხლისსამართლებრივი რეგულირების მიღმა უნდა რჩებოდნენ და მათ მიმართ ინდიფერენტირებული დამოკიდებულება უნდა გვქონდეს არამედ საქმის კონკრეტულ ვითარებათა გათვალისწინებით მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ქცევა, რომელიც არა თუ არ ეწინააღმდეგება დანაშაულებრივ ქმედებას, არამედ მისი ხელშეწყობის მკვლელობაში გამოიხატება სოციალურად საზიანოა. ამიგომ განსაზღვრული სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა უნდა მიეცეს არა მარტო იმ შემდეგ, რომელიც დამხმარის დანაშაულში თანამონაწილეობის შემთხვევით დგება, რომელიც გაშუალებულია ამსრულებლის მოქმედებით, არამედ თავად დამხმარის ქცევის უშუალო შემდეგსაც. ამიგომ, ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში, გადაწყვეტით თქმა იმისა, რომ დამხმარე ყოველთვის უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, არა სარწმუნოდ მიგვაჩნია.²⁴⁰

²³⁹ იხ. მ. კოვალოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 103; მ. შვიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 72-73 და სხვ.

²⁴⁰ იურიდიულ ლიტერატურაში იმ შემთხვევების მიმართ, როდესაც დამხმარეს სურდა ხელშეწყობა ამსრულებლისათვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს დანაშაული დამთარებული აქვს, ცალსახად არის გამოთქმული მოსაზრება, რომ ასეთ ვითარებაში დამხმარის ქმედება არ არის დასჯადი. იხ. Johannes Wessels, *Stafrecht allgemeiner teil*, 15 auflage, Heidelberg, 1985, s. 160; Fritj-of Haft, *Stafrecht allgemeiner teil*, 4 auflage, Munchen, 1990, s.211, 212

6) დამხმარის გარშემო მსჯელობისას არანაკლებ საინტერესოა იმ საკითხის გამორკვევა, თუ როგორ დამოკიდებულებაში უნდა იყვნენ ამსრულებელი და დამხმარი. კერძოდ, დამხმარის თანამონაწილედ მიჩნევისათვის, აუცილებელია თუ არა ამსრულებლის მიერ ცოდნა დანაშაულის ჩაღწევაში შემოერთებული ხელშეწყობის შესახებ, თუ საკმარისია მხოლოდ ის მინიმალური სუბიექტური კავშირი, რომელიც დამხმარის მხრიდან ამსრულებლის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი საქმიანობის ცოდნაში გამოიხატება. დასმული საკითხი თეორეტიკოსთა შორის მძაფრი პოლემიკის საგანია. კრიმინალისგთა ერთი ნაწილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სუბიექტური კავშირი, რომელიც თანამონაწილეობის ერთიანობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს, უნდა მოიცავდეს ორმხრივ ცოდნას მათი დანაშაულებრივი საქმიანობის თაობაზე. ამასთან, ასეთი ცოდნის არსებობის წინაპირობად აყენებენ თანამონაწილეთა შორის შეთანხმების არსებობას. ასე მაგალითად, მ. შნეიდერი წერს, რომ „თანამონაწილეობად შეიძლება მიჩნეული იქნეს ორი ან რამდენიმე პირის მიერ არა ყოველგვარი დანაშაულის ჩაღწევა, არამედ ისეთი ერთობლივი მოქმედება, რომლის შესახებ თანამონაწილეთა შორის შედგა შეთანხმება.“²⁴¹ ამ მოსაზრებას ავტორი თანმიმდევრულად აერყვებს დანაშაულში მონაწილე ყველა სახის მიმართ: „მხოლოდ შეთანხმება ადასტურებს თითოეული თანამონაწილის სურვილის არსებობას მიიღონ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩაღწევაში — ამსრულებლის, ორგანიზატორის, წაქეზებლის და დამხმარის სახით. თანამონაწილეთა შეთანხმება, აგრძელებს მსჯელობას მ. შნეიდერი, მოიცავს გადაწყვეტილებას გაერთიანებული ძალისხმევით მიაღწიონ დანაშაულებრივ შედეგს.“²⁴² ამასთან შეთანხმება, რომელიც დანაშაულის ერთობლივად განხორციელების სუბიექტურ გამოხატულებას წარ-

²⁴¹ მ. შნეიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17

²⁴² იქვე, გვ. 17

მოადგენს, მ. შნეიდერის აზრით, იქმნება მოლაპარაკების გზით, რა დროიდანაც წარმოიშობა დანაშაულში თანამონაწილეობა.²⁴³

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში შეთანხმების არსებობას და შესაბამისად თანამონაწილეთა ერთობლივი საქმიანობის ორმხრივ ცოდნას მხარს უჭერენ ასევე პ. გელნოვი, ლ. გაუხმანი, ს. აფინოგენოვი, ვ. გრიგორიევი და სხვ.²⁴⁴ მაგალითად, ლ. გაუხმანი წერს, რომ „შეთანხმება დანაშაულის ერთობლივად განხორციელების სუბიექტური გამოხატულების იმ აუცილებელ ფსიქოლოგიურ კავშირს წარმოადგენს თანამონაწილეთა შორის, რომელიც მათი ერთობლივად მოქმედების სუბიექტურ მხარეს ახასიათებს. ამ ხელშეუვალი ნიშნის არარსებობა გამოორიცხავს უკანასკნელის არსებობას. თანამონაწილეობა დანაშაულში არ შეიძლება იყოს მაშინ, როცა ამსრულებელმა არ იცის, რომ ის დანაშაულს ჩადის სხვა პირებთან ერთად, ასევე მაშინაც, როცა ამ პირებმა, რომელთა მოქმედებებიც მიზეზობრივ კავშირშია დანაშაულის ჩაღწევაში, არ იციან ამსრულებლის დანაშაულებრივი მოქმედებების და განზრახვის შესახებ.“²⁴⁵

თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის ორმხრივი ცოდნის გაგებაში არსებობს კიდევ მეორე განსჯივადი, რომელიც დასმული საკითხის ანალიზისას, ერთი მხრივ, ცდილობს შეთანხმების თეორიას გაემიჯნოს, ხოლო მეორეს მხრივ, არავითარი ადგილი არ დაუტოვოს დანაშაულში თანამონაწილეობის ცალმხრივ სუბიექტურ კავშირს. ამ მიმართულების ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლები არიან ნ. ივანოვი და მ. კოვალიოვი.²⁴⁶ მ. კოვალიოვის აზრით, თანამონაწილეთა ყოველი მოქმედება ამა თუ იმ სახით აუცილებლად უნდა აისახოს ამსრულებლის შეგნებაში. როცა წაქეზებული

²⁴³ მ. შნეიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 18, 20

²⁴⁴ ვ. გრიგორიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14-15; ლ. გაუხმანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14-15; П. Ф. Тельнов, Кто отвечает за соучастие в преступлении, М., 1981, ст. 18; С. В. Афиногенов, Соучастие в преступлении (понятие, виды и формы), Автореферат на соискание ученой степени к. ю. н., М., 1991, ст. 19-20

²⁴⁵ ლ. გაუხმანი, დასახელებული ნაშრომი, 14-15

²⁴⁶ ნ. ივანოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 91-94; მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი პირველი, გვ. 248.

შეიყენოს, რომ მას ვინმემ დანაშაულის ჩაღწევის გადაწყვეტილება აღუძრა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულში, ე. ი. თანამონაწილეობა. მაგრამ, თუ ამსრულებელს არა აქვს გაცნობიერებული წამქეზებლის დანაშაულებრივი ქმედება, არამედ აღმოჩნდება უბრალო იარაღად მის ხელში, მაშინ არცერთი მათგანი, არ შეიძლება ერთი და იმავე დანაშაულის თანამონაწილედ მივიჩნიოთ. წამქეზებელი ასეთ შემთხვევაში დამოუკიდებლად ამსრულებლის პასუხისმგებლობისა განხილულ უნდა იქნას შუალობით ამსრულებლად. იგივე უნდა ითქვას დახმარებაზეც. ამსრულებელმა უნდა იცოდეს, რომ მას ხელს უწყობენ დანაშაულის ჩაღწევაში. თუ ამსრულებელს არა აქვს შეგნებული, რომ მას ესმარება, ასეთ შემთხვევაში არ გვექნება ერთობლივი მოქმედება, ამიტომ დამხმარე პასუხს აგებს შუალობითი ამსრულებლობისათვის.²⁴⁷ მ. კოვალისკის აზრით, თანამონაწილეობა უნდა იცოდნენ, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ სხვა პირის მიერ ჩაღწეულ დანაშაულში. თუ ვინმემ არ იცის, რომ იგი აქეზებს, ან ხელს უწყობს სხვას დანაშაულის ჩაღწევაში, ასეთი პირი არ შეიძლება იყოს ამსრულებლის მოქმედების თანამონაწილე. მამასადაძე, მ. კოვალისკის მხარს უჭერს თანამონაწილეთა მიერ მათი საქმიანობის ორმხრივ ცოდნას. მაგრამ, მეორე მხრივ, უარყოფს შეთანხმების არსებობა, განხილულ იქნეს როგორც თანამონაწილეობის აუცილებელი ნიშანი: „ჩვენს მიერ ყოველივე აქ ნათქვამი, წერს – მ. კოვალისკის, – არ აღნიშნავს, რომ თანამონაწილეობას ვცნობთ მხოლოდ მონაწილეთა შორის წინასწარ შეთანხმების არსებობისას. შესაძლებელია, რომ ჩვენსა და მწიფერს შორის სხვაობა არის წმინდა გერმინოლოგიურ ხასიათში, მაგრამ წინასწარი შეთანხმება, ჩვენი აზრით, მოიცავს წინასწარ მოლაპარაკებას ამსრულებლის მიერ მის დაწყებამდე. მაგრამ იმის გამო, რომ დახმარება შესაძლებელია დანაშაულის ჩაღწევის მომენტში და მისი განხორციელების დაწყების შემდეგაც, წინასწარი მოლაპარაკება არ შეიძლება მივიჩნიოთ თანამონაწილეობის აუცილებელ ნიშნად.“²⁴⁸

²⁴⁷ მ. კოვალისკის, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი პირველი, გვ. 248-252

²⁴⁸ იქვე, გვ. 253

ამრიგად, ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე ერთი ზოგადი ხასიათის დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ, კერძოდ, მ. კოვალისკის აზრით, თანამონაწილეობა უნდა გამოვრიცხოთ მაშინ, როდესაც, მხოლოდ თანამონაწილეობა იცინ ამსრულებლის განზრახვის თაობაზე და თავიანთი შეგნებული მოქმედებით ცდილობენ ამ განზრახვის განხორციელებას შეუერთდნენ. აქედან გამომდინარე, თანამონაწილეობის ცნების აგებისათვის მხოლოდ ის ლოგიკური გაგრძელება რჩება, რომ თავად ამსრულებელსაც აუცილებელია გაცნობიერებული პქონდეს ის ფაქტი, რომ ის წააქეზებს კონკრეტული დანაშაულის ჩასაღწევაზე ან ხელი შეუწყოს მის განხორციელებაში. ამგვარი პოზიცია კი თავისი არსით შეთანხმების თეორიის მომხრეთა მიერ გამოთქმული მოსაზრების იდენტურია. რადგან ამ ორი განმტკიცების ძირითადი დედაბარი, რომელიც მათი ერთი მიმართულებით ჩამოყალიბების საფუძველს იძლევა – „დანაშაულში თანამონაწილეობის არსებობისათვის მასში მონაწილე პირთა ორმხრივი ცოდნის აღიარებაში მდგომარეობს.“

ცხადია, აქ განხილულ მოსაზრებებს ის ავტორები უპირისპირდებიან, რომლებიც თანამონაწილეობის ცალმხრივ, ანუ მინიმალურ სუბიექტურ კავშირს უჭერენ მხარს. ამასთან, უკანასკნელი მიმართულების წარმომადგენელთა შორის ცალკეულ თანამონაწილეთა სახეების დიფერენცირებული ანალიზისას აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება. ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ მინიმალური სუბიექტური კავშირის კონცეფცია უნდა მოიცავდეს მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულში დახმარებას.²⁴⁹ სხვები კი, მარტო თანამონაწილის ამ სახით არ შემოიფარგლებიან და აღნიშნულ კონცეფციას საფუძვლიანად მიიჩნევენ დანაშაულის წამქეზებლის მიმართაც. უკანასკნელი მიმართულების ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი ა. ტრაინინი წერს, რომ „თანამონაწილეობა სრულებით წარმოსადგენია იმ შემთხვევაში... როდესაც დანაშაულის განხორციელებაში შემოერთებული პირის (წამქეზებლის ან დახმარების) მოქმედების არ

²⁴⁹ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 61-62; ო. გამყრელიძე, სისხლის-სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეთა დახმარების საფუძველი, თბ., 1989, გვ. 115; 6. სარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 49-50; Fritsch, Hafi, Strafrecht allgemeiner teil, 4 auflage, Munchen, 1990, s. 212 und andere

მცოდნედ გვევლინება ამსრულებელი: ამსრულებელმა შეიძლება არ იყოფეს, რომ იგი დანაშაულის წაქეზების მსხვერპლი გახდა ან მას დამხმარემ მიაწოდა იარაღი. პირიქით, თანამონაწილეობა არ არის და არც შეიძლება იყოს თუ ამსრულებელმა იცის სხვა პირთა დახმარების შესახებ, მაგრამ თავად თანამონაწილეებმა არ იციან ამსრულებლის გეგმების შესახებ.²⁵⁰ ამიგომ ა. გრაინინის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ თანამონაწილეთა შორის შეთანხმება ხშირად ხდება, ეს ფაქტობრივი გარემოება არ შეიძლება სამართლებრივ პრინციპში ავიყვანოთ, რადგან თანამონაწილეობა დანაშაულში შესაძლებელია არა მხოლოდ წინასწარი შეთანხმების გარეშე, არამედ საერთოდ მაშინაც, როდესაც ამსრულებელმა არ იცის წამქეზებულის და დამხმარის ქმედების შესახებ.²⁵¹

უკანასკნელი მოსაზრების ნათელსაყოფად დამხმარესთან მიმართებაში ა. გრაინინს ასეთი მაგალითი მოაქვს: ა-ნმა იცის, რომ ბ-ანს გადაწყვეტილი აქვს კაცის მოკვლა. ა-ნიც დაინგერესებულია ამ პიროვნების მოკვლით და ბ-სთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით შეგნებულად გოუებს მასთან რევოლვერს, ვითომ დაბვიწყდა. ბ-ანი სარგებლობს ა-ნის რევოლვერით და კლავს თავის მოწინააღმდეგეს. ამ შემთხვევაში ამსრულებელმა არ იცის ა-ნის ხელშეწყობის შესახებ, მაგრამ ა-ნი მთლიანად ითვალისწინებს ამსრულებლის როლს. „ამიგომ აქ არის ყველა საფუძველი იმისათვის, რომ დამხმარემ პასუხი აგოს თანამონაწილეობისათვის“ — დაასკვნის ავტორი.²⁵²

გაკეთებული ანალიზის შემდეგ ა. გრაინინს გამოაქვს საბოლოო დასკვნა, რომ „თანამონაწილეობა შეიძლება განიმარტოს რამდენიმე პირის მიერ ერთი და იგივე დანაშაულის ერთობლივად განხორციელების ისეთი სახე, რომლის დროსაც წამქეზებელმა და დამხმარემ უნდა იყოფოდნენ ამსრულებლის მოქმედების შესახებ. თანამონაწილეთა შორის თუ არ არის ეს მინიმალური სუბიექტური კავშირი, იქ არ არის თანამონაწილეობა.“²⁵³

²⁵⁰ ა. გრაინინი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 76

²⁵¹ იქვე, გვ. 73

²⁵² იქვე, გვ. 75

²⁵³ იქვე, გვ. 77

რუსულ იურიდიულ ლიგურაგურაში ა. გრაინინის გადმოცემულ მოსაზრებას მხარს უჭერენ ვან ცი, ვ. პროხოროვი, ფ. ბურჩაკი და სხვ.²⁵⁴ დასახელებულ თეორეტიკოსებს მართებულად მიაჩნიათ მტკიცება, რომ წამქეზებლის და დამხმარის მიმართ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის განხორციელებას არ შეიძლება სამართლებრივ პრინციპად დაედოს მათსა და ამსრულებელს შორის შეთანხმების არსებობა, ან კიდევ, ამსრულებლის მხრიდან მათი მოქმედების აუცილებელი ცოდნა. თანამონაწილეობის აღიარებისათვის, შენიშნავს მაგალითად, ფ. ბურჩაკი, საკმარისია მხედველობაში მივიღოთ მხოლოდ ის ფაქტი, რომ „წამქეზებელმა იცოდა, რომ ის აქეზებდა ამსრულებელს კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად, ხოლო დამხმარემ იცოდა, რომ ის თავისი მოქმედებით ამსრულებელს ეხმარებოდა დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებაში. სწორედ წამქეზებლის და დამხმარის მიერ ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების და მასში თავიანთი მონაწილეობის როლის ცოდნა მოწმობს, — ფ. ბურჩაკის აზრით, — მათი მოქმედების ერთიანობაზე, და მაშასადამე, იძლევა შესაძლებლობას თანამონაწილეობაზე ვისაუბროთ. პირიქით, არ არსებობა ასეთი ცოდნისა წამქეზებლის და დამხმარის მხრიდან გამორიცხავს თანამონაწილეობას.“²⁵⁵

ამრიგად ჩვენ გადმოვიყვით სპეციალურ ლიგურაგურაში გავრცელებული ძირითადი შეხედულებები თანამონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ამ მოსაზრებათა შეფასებისას ამთავითვე ხაზი უნდა გაუსვათ იმ გარემოებას, რომ თანამონაწილეობა მართლაც არ წარმოადგენს დანაშაულის გამოვლინების იმ ფორმას, რომელიც აუცილებლად უნდა დაეფუძნოს თანამონაწილეთა შორის შეთანხმების არსებობას, მიუხედავად ამ შეთანხმების სახისა (იქნება ეს სიგვეიერი, წერილობითი, კონკულენგური მოქმედებით თუ სხვ.) თუ დროისა (წინასწარ, ან დანაშაულის ჩადენის მომენტში). იმისათვის, რომ ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება არგუმენტირებული იყოს პირველ რიგში, თავად შეთანხმების თეო-

²⁵⁴ ვან ცი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 213; ვ. პროხოროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75-84; ფ. ბურჩაკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 105-108

²⁵⁵ ფ. ბურჩაკი დასახელებული ნაშრომი, გვ. 107

რის წარმომადგენელთა მიერ გამოთქმულ შეხედულებებს უნდა მოეხსნოთ. კერძოდ, აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოება, რომ თანამონაწილეთა შეთანხმების კონცეფციის წარმომადგენლები საკუთარი შეხედულების გამყარების მიზნით სასამართლო პრაქტიკას მიმართავენ, სადაც მათი აზრით, არ არსებობს მსგავსი მაგალითები იმისა, რომლებიც დანაშაულში თანამონაწილეობის ცალმხრივი სუბიექტური კავშირის მტკიცების საფუძველს იძლეოდეს.²⁵⁶ სწორედ ამ არგუმენტზე დაყრდნობით ცდილობენ ისინი წარმოაჩინონ, რომ საიღუმლო თანამონაწილეობის პრობლემა ხელოვნურია და იგი რეალური მოვლენის სახით სასამართლო თუ საგამომიებო საქმიანობაში თავის გამოხატულებას ვერ პოულობს.

აღნიშნული არგუმენტი მეტად უსუსურია. პირველ რიგში, იმიტომ, რომ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ასეთი საქმეები და მას დანაშაულში თანამონაწილეობის ცალმხრივი სუბიექტური კავშირის მოძრეები თანამონაწილეთა პოლემიკისას არც თუ იშვიათად მიმართავენ.²⁵⁷ გარდა ამისა, მსგავსი ხასიათის მაგალითების უკმარისობა არ შეიძლება თავად ფენომენის უარყოფის მტკიცებულებად გამოდგეს, რადგანაც ცნობილია, რომ მაგალითების არა საკმარისი არსებობა არ ნიშნავს თავად მოვლენის არ არსებობას, არამედ აღნიშნავს მხოლოდ მოცემული საკითხის არასრულყოფილად შესწავლას მეცნიერული თვალსაზრისით.

უფიქრობთ, დანაშაულში თანამონაწილეობის ცალმხრივი სუბიექტური კავშირის შინაარსის ახსნისათვის არ არის აუცილებელი სასამართლო პრაქტიკის ანალიზს მივმართოთ, თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ ამის თვალსაზრისით მაგალითი ფიზიკურ დამხმარესთან მიმართებაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოყავს ა. გრაინისა. სადაც დამხმარე, მკვლელობის განხორციელების მიზნით, განზრახ გოვეს რევოლვერს ამსრულებლის მიერ მისი ცოდნისა და თანხმობის გარეშე. ასეთ შემთხვევას შეუძლებელია უსაფუძველო და ხელოვნური ექვოდოთ. შეთანხმების თეორიის წარმომადგენელთა უმრავლესობა ამ მაგალითს რატომღაც არ აძლევს სათანადო

²⁵⁶ იხ. მაგალითად, მ. შნიდერის დასახელებული ნაშრომი, გვ. 24-25; ან კიდევ, ა. უშაკოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 16-17

²⁵⁷ იხ. მაგალითად, ე. პროხოროვას დასახელებული ნაშრომი, გვ. 77-78

შეფასებას და გვერდის ავლას ამჟობინებს. მოგიერთ მათგანს კი, მსგავსი შემთხვევების მხედველობაში მიღებით გამოაქვს არა სარწმუნო გადაწყვეტილება. მაგალითად, მ. შნიდერი წერს, რომ „არ შეიძლება თანამონაწილეობისათვის დასაბუთებულად ვაღიაროთ ე. წ. ფარული დახმარება, როცა „დამხმარე“ ამსრულებლის... ცოდნის გარეშე ჩადის მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის შედეგის დადგომას. ასეთი „დახმარება“ დანაშაულის ჩადენის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი დანაშაულის მომზადება, რომლის დასჯადობა განისაზღვრება მოცემული დანაშაულის საშიშროებიდან გამომდინარე, ან როგორც შუალობითი ამსრულებლობა.“²⁵⁸

უკანასკნელი მოსაზრებიდან ორი დასკვნის გამოგანა შეიძლება. პირველი, მ. შნიდერი რომელიც თვლიდა, რომ ცალმხრივი სუბიექტური კავშირი ხელოვნურია, მოგვიანებით, უშუალოდ დამხმარის გარეშე მსჯელობისას იძულებულია შეურიგდეს იმ ფაქტს, რომ დამხმარე შეიძლება მიაწოდოს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის იარაღი, ან ააყილოს დაბრკოლება, რომელსაც უკანასკნელი იყენებს და ამასთან ისე, რომ არაფერი არ იყოს დამხმარის ხელშეწყობის შესახებ. და მეორე, დახმარების ასეთი შემთხვევა მ. შნიდერის აზრით უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მომზადებად ან შუალობით ამსრულებლობად. სხვათა შორის თანამონაწილეთა ორმხრივი ცოდნის მოძრე მ. კოვალიოვიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმთავითვე ამ შეხედულებას იმ განსხვავებით, რომ მსგავს შემთხვევებს ის აკვალიფიცირებს მხოლოდ და მხოლოდ შუალობით ამსრულებლობად.

მკვლელობა იმისა, რომ ამგვარი მოქმედებები შუალობით ამსრულებლობად დაკვალიფიცირდეს გაუმართლებელია მიწიქმ სამი გარემოებიდან გამომდინარე:

პირველი, იგი ეწინააღმდეგება მეცნიერებაში დამკვიდრებულ ამ ცნების გაგებას. კერძოდ, შუალობით ამსრულებლობას, გაბატონებული აზრის თანახმად, მამინა აქვს ადგილი, როცა თანამონაწილემ იყის, რომ ის სხვა ადამიანს დანაშაულის ჩადენის „იარაღად“

²⁵⁸ მ. შნიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 62-63

იყენებს. ამასთან, იარაღის სახეში ისეთი პირი იგულისხმება, რომელიც საერთოდ, ან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პასუხს არ აგებს სისხლისსამართლებრივი წესით, ან რომელმაც შეიძლება პასუხი აგოს გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ თანამონაწილე თვითონ განიხილება ამსრულებლად, სახელდობრ, შუალობით ამსრულებლად.

მაგრამ, რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ბ. გრაინინის შემთხვევაში დასახელებული მაგალითიდან მომდინარე წარმომართობილი დავის გარშემო. აქ დამხმარე, რომელიც განზრახ ხელსუწყობს ამსრულებელს, დასახული მიზნის რეალიზაციაში, მან იცის, რომ ის აღამიანი, რომელსაც დახმარება აღმოუჩინა არ არის უბრალო იარაღი დასახული მიზნის მიღწევის გზაზე. უშუალო ამსრულებელს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი ითვალისწინებს მის შედეგს და სურს კიდევაც ეს შედეგი. ამიგომ ამსრულებელი, რომელიც თავისი ნებით მოქმედებს, ის მთელი მოცულობით პასუხისმგებელია მის მიერ განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და იგი დაუმეხებელია „ყოცხალ იარაღად“ მივიჩნიოთ. იურიდიული არსით ასეთი შემთხვევა შუალობითი ამსრულებლობისაგან განსხვავებულია და ამ მოსაზრებაზე წარმომართობილი დავის გარშემო მსჯელობისას მიუთითებს არა ერთი მეცნიერი.²⁵⁹

გარდა აღნიშნულისა, თუ ჩვენ თანამონაწილეობის ცნებას უკუვაგდებთ და იმ პირის მოქმედებას, ვისც ამსრულებელს ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენაში მისი ცოდნისა და თანხმობის გარეშე, შუალობით ამსრულებლობად დავაკვალიფიცირებთ, შესაბამისად იმ დასკვნამდეც უნდა მივიღეთ, რომ ე. წ. „საკუთარი ხელით ჩასადენ დელიქტებში“ ფარული ხელშეწყობის აღმოჩენისას, დამხმარე უნდა გაეანთავისუფლოთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. მაგალითად, იმ პირს, რომელიც, მსჯავრდებულის გაქცევის დროს, სოლიდარობის შეგრძნების გამო მცველთა ყურადღებას იპყრობს, ვერ მივეცემთ პასუხისმგებლობაში. რადგან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან, პატიმრობიდან ან ბადრეგირებისას გაქცევა (379-ე მ.) ეს არის დელიქტი, რომლის შუალობითი აღსრულება შეუძლებელია. ამიგომ, თუ ცალმხრივი ცოდნისას გამოვირიცხავთ

²⁵⁹ იხ. თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 62; ე. პროხოროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 275-277 და სხვ.

თანამონაწილეობის არსებობას, ხოლო მეორე მხრივ, დელიქტის ბუნებიდან გამომდინარე, ასეთ მოქმედებას ვერც შუალობით ამსრულებლობად ვაკვალიფიცირებთ. მაშინ გამოდის, რომ ეშმაკი და უფრო გამჭირავი დამხმარე „საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტების“ განხორციელებაში ხელშეწყობის აღმოჩენისას ყოველთვის დაუტყრება მართლმსაჯულების ორგანოებს. ანალოგიური წინააღმდეგობა წარმოიქმნება მაშინაც, როდესაც კანონის თანახმად ამსრულებელი უნდა ფლობდეს სპეციალურ ნიშნებს. მაგალითად, კერძო პირი არ შეიძლება იყოს სამოხელეო, ან კიდევ, სამხედრო დანაშაულის შუალობითი ამსრულებელი.

საბოლოოდ აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ დანაშაულში დახმარების ცალმხრივი სუბიექტური კავშირის ისეთი იგერპრეცედისას, რომელსაც გვთავაზობენ მ. კოვალიოვი და მ. შნეიდერი გამოდის, რომ დამხმარე მოულოდნელად გადაიქცევა ამსრულებლად, ეს კი, ცხადია, დამხმარის სამართლებრივ მდგომარეობას გააუარესებს იმ გარემოებებში, რომლებმაც, პირიქით, დანაშაულის ჩადენაში შეგანილი წვლილის მიხედვით უნდა შეაშუბუქოს დამხმარის პასუხისმგებლობა შუალობით ამსრულებლობასთან შედარებით.

ამრიგად ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მცდარი იქნებოდა მტკიცება თანამონაწილეად არ გვეცნო ის პირი, რომელიც ამსრულებელს მისი ცოდნისა და თანხმობის გარეშე დანაშაულის ჩასადენად აწვდის საშუალებას, ან კიდევ, აცილებს დაბრკოლებას. თანამონაწილეობისათვის საკმარისია დამხმარემ იცოდეს, რომ ის ამსრულებელს ხელს უწყობს კონკრეტული უმართლობის განხორციელებაში. ამასთან, იგი იმავე მიზანს უნდა ისახავდეს, რომელსაც დანაშაულის ამსრულებელი. მიზანი, როგორც შემთხვევით, სუბიექტურ სფეროში არსებული ობიექტური უმართლობის საზომია, უკანკსკნელი კი თანამონაწილეთა დასჯადობის ერთიანი საფუძველი. ეს საფუძველი სახეზე გვაქვს ცალმხრივი ცოდნის დროსაც და მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში არის ყველა ის აუცილებელი წინამძღვარი, რათა დამხმარე დანაშაულის თანამონაწილეად მივიჩნიოთ.

თავი III დამხმარის პასუხისმგებლობა

დამხმარის, როგორც თანამონაწილის ერთ-ერთი სახის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები და წესრიგი უნდა განისაზღვროს იმ დებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლშია ფორმულირებული. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.“ მოკეტილი ნორმა, რომელიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის მოგად წესს განსაზღვრავს, თავისი არსით სამ ფუნდამენტურ პრინციპზეა ბაზირებული:

პირველი, მასში აღიარებულია თანამონაწილის და ამსრულებლის პასუხისმგებლობის საერთო საფუძველი. დამხმარე, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის განხორციელებას, იგი ამსრულებელთან ერთად პასუხს აგებს საერთო დანაშაულისათვის, უფრო სწორად კი, ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის (უმართლობისათვის). მაშასადამე, ეს კრიტერიუმი არის, როგორც დამხმარის ისე ამსრულებლის პასუხისმგებლობის ფარგლების საერთო ობიექტური საზომი.

მეორე, თანამონაწილეთა ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების ეს ერთიანი საფუძველი, არ გამოორიქხავს დანაშაულის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელებას. ამ პრინციპის რეალიზების მიზნით კანონმდებელი ორ გარემოებაზე მიუთითებს: პირველი, რომ დანაშაულში მონაწილე თითოეულმა პირმა პასუხი მხოლოდ საკუთარი ბრალის ფარგლებში უნდა აგოს, და მეორე, პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის დროს აუცილებელია გათვალისწინებული იქნას დანაშაულში თითოეული თანამონაწილის მონაწილეობის ხასიათი

და ხარისხი, ანუ ის ობიექტური წელილი, რომელიც თითოეულმა მათგანმა შეიგანა დანაშაულის ჩადენაში.

მესამე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის მოგადი წესრიგის დამდგენი ნორმა, ამ ორი პრინციპის გვერდით, თავისი არსით, აღიარებს თანამონაწილეთა აქცესორული პასუხისმგებლობის პრინციპსაც. ამას აღსკვრებს ნორმაში ასახული შემდეგი სიტყვები: „ამსრულებელს და თანამონაწილეს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.. ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე.“ ეს დამხმარის პასუხისმგებლობასთან მიმართებაში ნიშნავს, რომ დამხმარე, რომლის დანაშაულში თანამონაწილეობის სპეციფიკაც მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხელსუწყობს ამსრულებელს დანაშაულის ჩადენაში. შესაბამისად, მის მიერ დასახული მიზნის ხორცშესხმა ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით ხორციელდება. ამგვარი კანონზომიერებიდან გამომდინარე, ამსრულებელი არის ის მთავარი ფიგურა, რომელიც ობიექტური უმართლობის კუთხით დამხმარის პასუხისმგებლობის ფარგლებს განსაზღვრავს. დანაშაულში თანამონაწილეთა გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა მონაწილე (დამხმარეც და ამსრულებელიც) ერთიან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ანუ ერთიან უმართლობას სჩადის. თანამონაწილეობის აქცესორული იდეების თანამედროვე დანიშნულებაც, ძირითადად, ამ კუთხით უნდა ვეძიოთ. დამხმარე იმ უმართლობის თანამონაწილეა, რომლის აღსრულებასაც უშუალოდ ახდენს ამსრულებელი და რომლის რეალიზებაშიც დამხმარე უწყობს ხელს. თანამონაწილეობა აქცესორულია, ანუ დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ განხორციელებულ უმართლობაზე. დამხმარე პასუხს ამსრულებელთან ერთად ჩადენილი უმართლობისათვის აგებს. მაშასადამე, დამხმარის პასუხისმგებლობის მოცულობას ობიექტური თვალსაზრისით განსაზღვრავს ამსრულებლის მოქმედება.

იურიდიულად, ეს დებულება თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ თანამონაწილეთა მოქმედება იმავე მუხლით კვალიფიცირდება რომლითაც ამსრულებლის მოქმედება. თუ დავუშვათ, ამსრულებელი დანაშაულებრივ ხელყოფას ვერ მიიყვანს ბოლომდე, მაშინ არა მხოლოდ ის, არამედ მისი დამხმარეც პასუხს აგებს დანა-

შაულის მცდელობისათვის. ეს აისახება მათი მოქმედებების კვალიფიკაციაზე. ამსრულებლის მოქმედება მე-19 მუხლით (მცდელობა) და კერძო ნაწილის სათანადო მუხლით დაკვალიფიცირდება, ხოლო დამხმარისა – 19, 24-ე მუხლებით და კერძო ნაწილის შესაბამის მუხლებზე მითითებით. მაგრამ, ამსრულებელი თუ დაასრულებს დანაშაულს, დამხმარეც დასრულებული დანაშაულისათვის აგებს პასუხს. ასეთ შემთხვევაში ამსრულებლის მოქმედება დაკვალიფიცირდება მხოლოდ კერძო ნაწილის მუხლებზე მითითებით. დამხმარის კი – 24-ე და კერძო ნაწილის იმ მუხლებზე მითითებით, რომელიც პასუხისმგებლობას ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ითვალისწინებს. მაშასადამე, დამხმარის მოქმედების იურიდიული კვალიფიკაცია ამსრულებლის მოქმედებამზე დამოკიდებული, რაც აღასკურებს მის აქცესორულ ხასიათს.

საპირისპირო თვალსაზრისის მტკიცება, ანუ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პოზიციებზე დგომა, რეალურად, ნიშნავს თანამონაწილეობის ინსტიტუტის გაუქმებას. თანამონაწილის პასუხისმგებლობა თუ არავითარ კავშირში არ არის ამსრულებლის ქმედებასთან და მის მოქმედებას დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა აქვს, მაშინ ამ ლოგიკით დამხმარე არის არა თანამონაწილე, არამედ დამოუკიდებელი დანაშაულის ამსრულებელი. ამით კი იშლება ყოველგვარი ზღვარი თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის. ამ მიმართულების წარმომადგენელი ი. ფონიუკი ამტკიცებდა, რომ თანამონაწილეობის დროს „რამდენი დამნაშავეც არის იმდენივეა დანაშაული.“ ასეთი შეხედულება საპარტილიანად აღნიშნავდა პროფ. თ. წერეთელი, რომ „წარმომადგენს თანამონაწილეობის ინსტიტუტის სრულ გაუქმებას და ემყარება იმ იდეას, რომ პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი არის სუბიექტის ანგისოციალური ფსიქიკური განწყობა და არა მასთან ერთად ქმედება.“²⁶¹ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრე შეცნიერთა თვალსაზრისების კრიტიკული შეფასებისას ანალოგიურ საყვედურს გამოთქვამს პროფ. თ. გამყრელიძე. „ი. ფონიუკის თეორიის შორეულ გამოძახილად უნდა

²⁶⁰ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 197

მივიჩნით – აღნიშნავს ავტორი – აქცესორული თეორიის თანამედროვე მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი, რომელიც გავრცელებულია საბჭოთარ იურიდიულ ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისის დამცველები, რომლებიც უგულებელყოფენ აქცესორულ თეორიას და თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპის ვითომდა დაყვას ქადაგებენ, არსებითად ცნობიერად თუ ქვეცნობიერად თავიანთი წინამორბედების გზას აგრძელებენ და ლოგიკურად თანამონაწილეობის კონსტრუქციის სრული გაუქმების საფუძველს ქმნიან.“²⁶¹ მაშასადამე, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების აღიარება, სულ რომ არაფერი ვთქვათ, მინიმუმ აუცილებელია იმდენად, რამდენადაც საქმე შეეხება თვით ამ ინსტიტუტის და თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის არსებობის საფუძველს.

ჩვენ მხარს ვუჭერთ დამხმარის აქცესორულ პასუხისმგებლობის პრინციპს, ამასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეთა საყურადღებოდ აქვე დავაფიქსიროთ შემდეგი სასიათის პრინციპული დებულებები:

ა) თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების აღიარება, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის უარყოფას, რომლის თანახმადაც თითოეულმა თანამონაწილემ, და ცხადია, დამხმარემაც პასუხი უნდა აგოს საკუთარი ბრალის ფარგლებში და დანაშაულში მის მიერ შესრულებული როლის შესაბამისად;

ბ) დამხმარეს პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს ამსრულებლის ექსცესისათვის;

გ) უშუალოდ დახმარება არ გამოირიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;

დ) დამხმარეს პასუხისმგებლობა შესაძლებელია დაეკისროს მაშინაც, როდესაც ამსრულებელი ამა თუ იმ პირადი გარემოების გამო (შეურიგდა დაზარალებულს (69-ე მ.), დაავადდა სულიერად, გარდაიცვალა, სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით

²⁶¹ თ. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი, თბ. გვ. 113

ა. შ.) არ შეიძლება მიცემული იქნას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში;

ე) ამსრულებელის სასჯელისაგან გათავისუფლება (შეწყალების, ბრალდებულის თავღებქვეშ გადაცემის თუ სხვა მსგავსი გარემოებების საფუძველზე, რომელიც ამსრულებლის პიროვნებას შეეხება) არ გამოორიცხავს დამხმარის პასუხისმგებლობას;

ვ) ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩაღწევაზე ნებაყოფილებით ხელის აღება არ გამოორიცხავს დამხმარის პასუხისმგებლობას;

ზ) დამხმარის პასუხისმგებლობაზე შეგავლენა არ უნდა იქონიოს ამსრულებლის მხარეზე არსებულმა პერსონალური ხასიათის პასუხისმგებლობის დამამძიმებელმა და შემამსუბუქებელმა გარემოებებმა.

ასეთია დამხმარის, როგორც თანამონაწილის ერთ-ერთი სახის პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპები და ჩვენი შეხედულებები დანაშაულში დახმარების იმ კერძო საკითხების გარშემო, რომლებსაც თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის წარმომადგენლები, არც თუ იშვიათად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაუკუღმართებული სახით მიაწერენ აქცესორულ თეორიას და მის მომხრეებს. ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალებში არ შეგვხვედრია აქცესორული თეორიის არც ერთი მომხრე, რომელსაც რაიმე სახით გამოეთქვა მოსაზრება, მაგალითად, იმის თაობაზე, რომ დამხმარეს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ამსრულებლის ექსცესისათვის, რომ დანაშაულზე ამსრულებლის მიერ ნებაყოფილებით ხელის აღება თავისთავად უნდა იწვევდეს დამხმარის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებასაც და ა. შ. მსგავსი ხასიათის ანთომალური დასკვნები არ გამოიმდინარეობს თანამონაწილეთა აქცესორული პასუხისმგებლობის პრინციპიდან და მათ, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეები უსაფუძვლოდ მიაწერენ აქცესორულ თეორიას და მის დამცველებს.²⁶²

²⁶² იხ. ვ. გრიგორიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 47-48; ფ. ბურჩაკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 158; მ. შნეიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66-67

განებილით ზოგიერთი საკითხი უფრო დაწვრილებით, რომლებსაც უფრო მეტი თეორიული ინტერესი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და რომელთა გადაწყვეტაშიც, თავის გამოსატყულებას პოულობს, ზემოთ ნახსენები საში ძირითადი პრინციპის (თანამონაწილეთა აქცესორული ხასიათის, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საერთო თბიქვეური საფუძვლის და პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის) შინაარსი.

§ 1. დამხმარის პასუხისმგებლობა ამსრულებლის ექსცესის დროს

დახმარების გზით ამსრულებელთან ერთად ერთობლივი დანაშაულის ჩაღწევისას დამხმარესაც და ამსრულებელსაც აერთიანებს საერთო დანაშაულებრივი მიზანი, რომლის რეალიზაცია და მისი გარდაქმნა ცხოვრებაში ამსრულებლის მოქმედებით ხდება. შესაბამისად, ამსრულებელი, როგორც წესი დამხმარის სისხლისამართლებრივი შერაცხვის ფარგლებს განსაზღვრავს იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რომელიც მისი განზრახვით იყო მოცული. ამ კანონზომიერებით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ სისხლის სამართლის ლიგერაგურაში ექსცესის გარშემო მსჯელობა ამსრულებლის (თანამსრულებლის) ფიგურასთან მიმართებაში მიმდინარეობს. ერთობლივი დანაშაულებრივი მიზნის რეალიზაციის ხაზისაგან ამსრულებლის გადახრა და ამ გადახრის სხვადასხვა ხარისხი, სხვადასხვაგვარ შეგავლენას ახდენს მისი დამხმარის პასუხისმგებლობაზე. ამსრულებლის ექსცესისათვის თანამონაწილეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. ამიგომ, ამ პირობის ძალით დამხმარე, მართალია, იმ დანაშაულის მონაწილედ იქნება მიჩნეული, რომელსაც მისი განზრახვა მოიცავდა, თუმცა მისი და ამსრულებლის პასუხისმგებლობის მოცულობა სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესაბამისად განისაზღვრება. ზოგჯერ კი, დამხმარის ქმედება საერთოდ არ განიხილება თანამონაწილეთად. ამ საკითხებს ცოტა მოგვიანებით დავაკონკრეტებთ.

ამეამად კი, ხაზი უნდა გაესვიათ იმ გარემოებას, რომ დანაშაულის ამსრულებელი ქმედენარიანი პირია, რომელიც შეგნებულად და თავისუფლად მოქმედებს. ამიგომ, ბუნებრივია, რომ ნებისმიერი საგულდაგულოდ მომზადებული და დაშმარისათვის დეკლურად ნაცნობი დანაშაულებრივი გეგმის განხორციელების პროცესში ამსრულებელს, არც თუ იშვიათად, შეაქვს ცვლილებები. ეს გარემოება, სამართლიანად მიუთითებენ ლიგერატურაში, რომ შეიძლება აიხსნას ამსრულებლის ჩვევებით, ხასიათით, გემპერამენგიით, დამოკიდებული იყოს ობიექტური გარემოებების შეცვლასთანავე, რომელშიც ამსრულებელს უხდება მოქმედება და სხვ.²⁶³

დანაშაულის ჩადენისას ამსრულებლის მიერ შეტანილი კორექტივების ხარისხი საკმაოდ სხვადასხვაგვარია, შესაბამისად სხვადასხვაგვარია მათი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობაც დამხმარის პასუხისმგებლობის კუთხით. თუ, დაუშვათ, ქურდობის ამსრულებელი დაშმარესთან შეთანხმებული ფულის მოპარვის სანაცვლოდ ძვირფას ნივთებს მოიპარავს, ასეთი უმნიშვნელო ცვლილება, ბუნებრივია, არ ცვლის მათი ერთობლივი ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასების საკითხს. ამ და სხვა მსგავსი უმნიშვნელო ცვლილებების შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ საერთო საფუძველზე. მაგრამ, შესაძლებელია, რომ ამსრულებლის მიერ დაწყებული ქურდობა გადაიზარდოს უფრო მძიმე დანაშაულში – ყაჩაღობაში, ე. ი. ამსრულებელი პირველდაწყებითი მართლსაწინააღმდეგო ქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გასცდეს თავისი დამხმარის ჩანაფიქრს. თავისი ინიციატივით ჩაიღიწოს ისეთი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელსაც არ მოიცავდა თანამონაწილის განზრახვა. ასეთ შემთხვევებს თეორიაში და მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსითაც ეწოდება ექსცესი, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა არ დაეკისრება სხვა თანამონაწილეებს (26-ე მ.).

იმ დებულებას, რომ ამსრულებლის ექსცესმა არ უნდა გააფართოვოს სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა მას თანმიმდევრულად იყავს ჩვენი სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს უზენაესი სასამა-

²⁶³ ფ. ბურჩაკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 182; მ. კოვალივი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 177-178

რთლოს არქივიდან ერთ-ერთი განახეხი, რომლის შინაარსიც ასეთია: ჭოხონელიძეს, რომელსაც ოდიოზური დამოკიდებულება გაუქნდა თავის ქმართან, გადაწყვიტა მისი თავიდან მოცილება. ამ მიზნით დაუკავშირდა თავის დის შეილს შაკაიძეს, რომელსაც თხოვა მოენახა ისეთი პიროვნება, რომელიც 5000 ლოლარის საფასურად მოკლავდა თავის ქმარს. შაკაიძემ ამის შესახებ განაცხადა თანხმობა, რის შემდეგაც დანაშაულის გაიოლების მაზნით ღვიდისაგან მიიღო სრული ინფორმაცია მისი ქმრის სახლიდან სამუშაოზე გადაადგილების მარშრუტის შესახებ. ამასთან შეუთანხმდა, რომ მის ქმარს გზიდან გაიგაკებდნენ და მოკლავდნენ. ამ შეთანხმებიდან რამდენიმე დღეში შაკაიძე დაუკავშირდა თავის მეგობარს თოდლაურს, რომელთან ერთადაც ჯერ განახორციელა ყაჩაღური თავდასხმა გზაზე მიმავალ ნახიევზე. იარაღის გამოყენებით მას წაართვეს ფული და სხვა ნივთები, ხოლო შემდეგ ჩასვეს მისივე ავტომობილში, გაიგაკვეს და მოკლეს. კვალის დაფარვის მიზნით ნახიევის გზაში ჩადვეს მანქანაში, გადაასხეს ბენზინი და დაწვეს. მთლიანად დაიწვა ნახიევის გზაში და მანქანა, ასევე სხვა ქონებაც. მარაღის ოდენობამ სულ შეადგინა 6370 ლარი.

სასამართლო კოლეგიამ შაკაიძე დამნაშავედ ცნო ყაჩაღური თავდასხმის, განზრახ მკვლელობის, აღამიანის გაგაკების, სხვისი ქონების განზრახ განადგურებისა და დამიანების, საგრანსპორტო საშუალებათა გაგაკების თანაამსრულებლად, ხოლო ჭოხონელიძის (რომელიც არის წამქმნებელი, ასევე დამხმარე) პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისას ხაზი გაუსვა, რომ „ბრალდება, თითქოსდა, ჭოხონელიძე არის თანამონაწილე ყაჩაღურ თავდასხმაში, პირადი ქონების განადგურებაში, ასეთი განსასჯელ ჭოხონელიძეს უნდა მოეხსნას და გამართლებული უნდა იქნეს, ეინაიდან როგორც საქმის მასალებით ირკვევა მას მხოლოდ შურისძიების მოტივით სურდა ნახიევის მკვლელობა და თუ რა მეთოდით მოხდებოდა აღნიშნული დანაშაული, მას არავითარი შეთანხმება არ ჰქონდა შაკაიძესთან და მისთვის ცნობილი არ იყო საქმის სხვა გარემოებები.“²⁶⁴ მამასადაძემ, ამსრულებელი, რომელიც ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების ფარგლებს გასცდა, ჩაიღიწა მოქმედება, რომელსაც არ მოიცავ-

²⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი, 1998 წ., საქმე №2-88

და თანამონაწილის განზრახვა, ამისათვის სასამართლომ პასუხისმგებლობა დააკისრა მხოლოდ ამსრულებელს. ამსრულებლის ექსცესისათვის მან სრულიად საფუძვლიანად არ გააფართოვა თანამონაწილის პასუხისმგებლობა, რითაც გამოირიცხა მის მიმართ ობიექტური შერაცხვა.

ექსცესის გარშემო მსჯელობისას აუცილებელია განვიხილოთ თეორიული და პრაქტიკული კუთხით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. პირველყოფლისა უნდა გამოვარკვიოთ შემთხვევათა ის ჯგუფი, რომელიც ამსრულებლის ექსცესის ცნებით არის მოცული. შემდეგ კი განვსაზღვროთ დამხმარის პასუხისმგებლობაზე მისი მუგავლენის საკითხი, და კიდევ ერთიც, ამსრულებლის ექსცესის დროს, ერთის მხრივ, თანამონაწილის, და მეორეს მხრივ, ამსრულებლის ქმედების სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაცია, ნიშნავს თუ არა თანამონაწილეობის აქტესორული პასუხისმგებლობის კონსტრუქციის რღვევას, როგორც ამას წარმოაჩენს ამ თეორიის ზოგიერთი მოწინააღმდეგე.

სისხლის სამართლის ლიგერაგურაში ამრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი იმის თაობაზე, რომ ექსცესის ცნებით მოცული უნდა იყოს ერთიანი დანაშაულებრივი ქმედების ხაზისაგან ამსრულებლის მხოლოდ განზრახვი გადახვევა, თუ ამ ცნებაში მისი გაუფრთხილებლობითი მოქმედებაც უნდა შედიოდეს. სხვაგვარად, რომ ეთქვათ, წარმოადგენს თუ არა ექსცესს შემთხვევები დამოუკიდებლად იმისა, ამსრულებელმა განზრახ გადაუხვია თანამონაწილეთა ჩანაფიქრს თუ ეს გააკეთა გაუფრთხილებლობით.

გაუფრთხილებლობითი ექსცესის აღიარება პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილე, ვინაიდან ექსცესისათვის პასუხს არ აგებს, შესაბამისად, შედეგი, რომელიც დადგა ის არაერთაზრ შემთხვევაში არ უნდა შეერაცხოს თანამონაწილეს.

ჩვენ ვიზიარებთ შეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობის ამრს, რომ ექსცესის ცნება განზრახ განხორციელებულ მოქმედებას მოიცავს, და აქედან გამომდინარე, თუ ამსრულებლის განზრახ მოქმედებას გაუფრთხილებლობითი შედეგიც მოჰყვება, ამისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება ამსრულებელთან ერთად თანამონაწი-

ლესაც დაეკისროს.²⁶⁵ „გაუფრთხილებლობითი ექსცესის შესახებ შეხედულება — ამბობს პროფ. ო. გამყრელიძე — არ უნდა იყოს სწორი. მართალია ექსცესი ნიშნავს გადაჭარბებას, რაიმეს უკიდურესად გამოვლინებას, მაგრამ შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ექსცესად მივიჩნიოთ თანამონაწილეთა ჩანაფიქრიდან ამსრულებლის მოქმედების ყოველგვარი გადახრა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამსრულებლის ექსცესი ეს არის ერთგვარი მთულოდნელობა სხვისთვის, კერძოდ თანამონაწილისათვის, და არა თვითონ ამსრულებლისათვის. ამსრულებელი, რომ ქურდობის ნაცვლად ყაჩაღობას ან მკვლელობას სჩადის, ეს ექსცესია არა მის მიმართ, არამედ თანამონაწილეთა მიმართ, რომლებიც ამსრულებლისაგან ამას არ მოელოდნენ. მაგრამ ამსრულებლის განზრახ მოქმედებას თუ გაუფრთხილებლობითი მოქმედებაც მოსდევს, ეს მთულოდნელია არა მარტო თანამონაწილისათვის, არამედ თვითონ ამსრულებლისთვისაც. ამიტომ ეს ამსრულებლის ექსცესი კი არა ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობაა.“²⁶⁶ მართლაც, ამსრულებლის ექსცესად უნდა ჩაითვალოს თანამონაწილეთა მიერ განზრახული დანაშაულებრივი ქმედების ხაზისაგან ისეთი გადახრა, რომელიც დაკავშირებულია არა ამსრულებლის შეცდომასთან, არა მის მიერ წინდახედულების ნორმის დარღვევის შედეგად გაუფრთხილებლობით გამოწვეულ შედეგთან, არამედ — ამსრულებლის ისეთი გადახრა, რომელიც მისი შეგნებით და ნებით კონტროლდება, ე. ი. გვეუღინება განზრახ ჩადენილად.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სწორად რეგულირების კუთხით აუცილებელია, რომ ყველა შემთხვევა, რომელიც ექსცესით არის მოცული, მათი მკვეთრი კლასიფიკაცია განხორციელდეს. იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა სახით გასცდა ამსრულებელი თანამონაწილეთა განზრახვის ფარგლებს სისხლის სამართლის

²⁶⁵ ო. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 204; მ. კოვლიოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 180; ფ. ბურჩაქი, დასახელებული ნაშრომი გვ. 182; ა. ზელინსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32-33

²⁶⁶ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 158-160;

თეორიაში დიდი ხანია ერთმანეთისაგან განასხვავებენ რაოდენობრივ და თვისობრივ ექსცესს.

რაოდენობრივი ექსცესი, შემთხვევათა ისეთ წრეს აერთიანებს, სადაც ამსრულებლის მიერ ჩაღწეული დანაშაული თავისი ბუნებით მსგავსია იმ დანაშაულსა, რომლის განხორციელებასაც მიზნად ისახავდა დამხმარე. ექსცესის ამ სახისათვის, როგორც თვით სახელწოდებაც მოწმობს, დამახასიათებელია ის, რომ თანამონაწილის მიერ განზრახულ დანაშაულსა და ამსრულებლის მიერ ფაქტობრივად ჩაღწეულ დანაშაულს შორის არის არა თვისობრივი, არამედ რაოდენობრივი სხვაობა. თუ, მაგალითად, დამხმარე ხელს უწყობს ჯამრთელობის განზრახ მძიმე დამიანებაში, თუმცა ამსრულებელი განზრახ მკვლელობას ჩაიდენს, ან კიდევ, დამხმარე თუ ხელს უწყობს ქურდობაში, თუმცა ამსრულებელი ძარცვას ან ყაჩაღობას ჩაიდენს, მსგავს შემთხვევებში, გვექნება რაოდენობრივი ექსცესი.

თვისობრივ ექსცესად კი, ისეთი შემთხვევები უნდა ჩაითვალოს, როდესაც ამსრულებელი სჩადის არა ერთგვაროვან, არამედ თვისობრივად განსხვავებულ დანაშაულს იმასთან შედარებით, რომლის განხორციელებაშიც ხელს უწყობდა დამხმარე. მაგალითად, თუ დამხმარე ძარცვაში ეხმარებოდა, თუმცა ამსრულებელმა გაუპატიურება ჩაიდინა, ან კიდევ, ხელს უწყობდა ქურდობაში, თუმცა ამსრულებელმა მკვლელობა ჩაიდინა, მსგავს შემთხვევებში, უკვე გვექნება თვისობრივი ექსცესი. აღნიშნული დელიქტები — ძარცვა და გაუპატიურება, ან ქურდობა და მკვლელობა — თვისობრივად სხვადასხვა დელიქტებია, რომლებიც სხვადასხვა სიბრტყეში მდებარეობენ და ერთმანეთთან კავშირში არ იმყოფებიან.

აღნიშნულ სახეთა დაყოფას უდაოდ აქვს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა. თუმცა, ბუნებრივია, არა იმ უშუალო კუთხით, რომ ამ დაყოფის გზით დამხმარის პასუხისმგებლობა ამსრულებლის ექსცესისათვის გამოერიცხთ. ექსცესი — ექსცესია და მისთვის დამხმარე პასუხს არ აგებს დამოუკიდებლად იმისა იგი რაოდენობრივი ფორმით გამოვლინდება თუ თვისობრივი ფორმით. არცერთ შემთხვევაში არ გვექნება დამხმარის მხარეს ის აუცილებელი სუბიექტური წინაპირობები, რომელიც საფუძველს მოგვეყვება დამხმარი-

სათვის პასუხისმგებლობა დაგვეკისრებია ამსრულებლის მიერ ჩაღწეული იმ მოქმედებისათვის, რომელსაც მისი განზრახვა არ მოიცავდა. ექსცესის სახეთა ამგვარი დაყოფის უშუალო პრაქტიკული ღირებულება, მდგომარეობს იმაში, რომ გამოვარკვიოთ ფარგლები, რომელშიც ქმედება ექსცესის პირობებში ხორციელდება, თვით მის ფორმებზე დამოკიდებულებაში დამხმარის პასუხისმგებლობის კონსტრუქცია თანამონაწილების წესის შესაბამისად უნდა აიგოს, თუ განზრახ ჩაღწეული დანაშაულის სტადიების განვითარების შესაბამისად. სხვაგვარად რომ გამოვხატოთ, ექსცესის ამა თუ იმ ფორმაზე დამოკიდებულებით დამხმარე პასუხს აგებს, როგორც თანამონაწილე, თუ, როგორც პირი, მის მიერ ჩაფიქრებული დანაშაულის მომზადების ავტორი.

თვისობრივი ექსცესის დროს, სადაც ამსრულებელი თავისი ბუნებით სრულიად განსხვავებულ დანაშაულს სჩადის, ვიდრე ის, რომლის განხორციელებასაც ხელს უწყობდა დამხმარე, ასეთი არსებითად განსხვავებული არა თანაფარდობა, დამხმარის განზრახვასა და ამსრულებლის მიერ ფაქტობრივად ჩაღწეულ დანაშაულს შორის, ალოგიკურს ხდის იმ მოთხოვნისა, რომ დამხმარეს პასუხისმგებლობა დაეკისროს, როგორც თანამონაწილეს იმ დანაშაულისათვის, რომელსაც მისი განზრახვა მოიცავდა. ამსრულებლის მიერ თვისობრივად სხვა უპართლობის განხორციელება დამხმარის მოქმედებას დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებს. თავისი ობიექტური ფორმით გამოვლენილი ხელშეწყობითი მოქმედება, მოცემულ პირობებში, განიხილება არა თანამონაწილეობად, არამედ დანაშაულის მომზადებად. დამხმარე დამოუკიდებლად აგებს პასუხს, თუმცა არა როგორც თანამონაწილე, არამედ როგორც პირი რომელმაც განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად პირობები. მაშასადამე, თუ დამხმარე ხელს უწყობდა ქურდობაში, თუმცა ამსრულებელმა მკვლელობა ჩაიდინა, ამ შემთხვევაში, დამხმარის პასუხისმგებლობა უნდა დარეგულირდეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის შოგადი ნაწილის მე-18 მუხლის (დანაშაულის მომზადება) და კერძო ნაწილის 177-ე მუხლის (ქურდობა) შესაბამისად, ანუ იმ დანაშაულებრივი ქმედების მიხედვით, რომელსაც მისი განზრახვა მოიცავდა,

ხოლო ამსრულებლის – ამავე კოლეჯის 108-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა) შესაბამისად.

თვისობრივი ექსცესის დროს ამსრულებლის მოქმედება არ განსაზღვრავს დამხმარის სისხლისამართლებრივი შერაცხვის ფარგლებს იმ დანაშაულისათვის, რომელიც მოცული იყო მისი განზრახვით, ანუ აქ არ გვყავს ამსრულებელი დანაშაულში თანამონაწილეობის თვალსაზრისით. არ გვყავს ამსრულებელი, არ გვაქვს თანამონაწილეობა. შესაბამისად, დამხმარებ პასუხი დანაშაულის მომზადებისათვის უნდა აგოს. ასეთი დასკვნა გამოძინარეობს, სწორედ, აქცესორული პასუხისმგებლობის პრინციპიდან. ამიგომ არსებითად უსაფუძვლოა ვ. პროხოროვის მიერ გამოთქმული კრიტიკა იმის თაობაზე, თითქოსდა, „თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების მომზრეებისათვის, კონსტაგაცია ამსრულებლის ექსცესის დროს თანამონაწილის და ამსრულებლის სხვადასხვა დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობა, გვევლინება სხვა არაფრად, თუ არა თანამონაწილეობის საკუთარი კონსტრუქციის ფარგლებს გარეთ გამოსვლა.“ ეს ციტატა, თვისობრივ ექსცესთან მიმართებაში, აქ ვაკეთებული კომენტარის შემდეგ, დამატებით ანალიზს აღარ საჭიროებს.

რაც შეეხება რაოდენობრივ ექსცესს, ანუ შემთხვევებს, სადაც ამსრულებელმა ერთგვაროვანი, მაგრამ უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა, დამხმარის პასუხისმგებლობის კონსტრუქცია, აქ თანამონაწილეობის წესის შესაბამისად უნდა აიგოს, ოღონდ იმ დანაშაულის გათვალისწინებით, რომელსაც მისი განზრახვა მოიცავდა. თუ დამხმარე ამსრულებელს ქურდობაში უწყობდა ხელს, თუმცა ის ქონების დაუფლების პროცესში ყაჩაღობაში გადაიზარდა, ვითარების ამგვარი გართულება, რომელიც შეცნობილი არ ჰქონდა დამხმარეს, და რომლის გამოც ამსრულებელმა იმავე გვარის უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ეს ფაქტი, ვერ შეცვლის დამხმარის პასუხისმგებლობის ბუნებას. დამხმარე აქ პასუხს აგებს ქურდობაში თანამონაწილეობისათვის, ხოლო ამსრულებელი ყაჩაღობისათვის. თუმცა, საკითხის ამ სახით გადაწყვეტა არ ეწინააღმდეგება აქცესორული პასუხისმგებლობის ბუნებას. ვინაიდან ამსრულებლის მიერ ჩადენილ ამ ერთგვაროვან მძიმე დანაშაულში მოცემულია ამავე გვარის უფრო მსუბუქი დანაშაულის ნიშნები, რომელიც თანამონაწილის

მიერ იყო გათვალისწინებული. მაშასადამე, თანამონაწილის პასუხისმგებლობის დამოკიდებულება აქ ატარებს ფილიგრანულ ხასიათს. თანამონაწილეს არ ერაცხება ამსრულებლის ექსცესი, მაგრამ მისი პასუხისმგებლობის მოცულობას ის ნაწილი განსაზღვრავს, რომელიც ამრობრივად ექსცესის გამოკლებით იმ დანაშაულს წარმოადგენს, რომელიც თანამონაწილეს ჰქონდა განზრახული.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სასამართლო ორგანოები სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას, რომლებიც რაოდენობრივ ექსცესს შეეხება, დამხმარის პასუხისმგებლობის საკითხს, სწორედ, დანაშაულში თანამონაწილეობის წესის შესაბამისად განსაზღვრავენ ამასთან, ისე რომ გამოორიცხავენ იმ მოქმედების თბიქტურ შერაცხვას, რომელიც მოცული იყო ექსცესის ცნებით. ამ მხრივ საინტერესოა ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს მიერ განხილული საქმე ა. ფუტკარაძის და ჯ. საგინაძის მიმართ. აღნიშნული პირები ნასუამ მდგომარეობაში, ღამით მიდიოდნენ ხელვაჩაურის რაიონში დ. აღმაშენებლის ქუჩაზე. ისინი მიუახლოვდნენ ხუთსართულიან საცხოვრებელ ბინებს შენაშნეს, რომ პირველი სართულის ერთ-ერთი ბინის ფანჯარა ღიად იყო დარჩენილი. მათ გადაწყვიტეს მისი გაქურდვა. ამ მიზნით საგინაძე გადაძვრა ბინაში, ხოლო ფუტკარაძე გაჩერდა საღარაჯოდ ფანჯარასთან. ბინაში მყოფი საგინაძე შევიდა ერთ-ერთ საძინებელში, სადაც მისთვის უცნობი აბესლამიძე შენიშნა, რომელსაც კარის გაღებით გამოწვეული ხმაურის გამო გამოეღვიძა და შეეცადა მისთვის წინააღმდეგობის გაწევას. თუმცა, ამ დროს საგინაძემ ამოიღო ჯიბიდან დანა, ყელზე მიადო და დანებება უბრძანა. მას შემდეგ, როდესაც საგინაძემ აბესლამიძეს შეაწყვიტა ყელზე ოქროს ჯაჭვი, წაართვა გარკვეული ფულადი თანხა, გადმოხტა ფანჯარიდან და გაუჩინარდა.

წინასწარ შეთანხმებული ქურდობა, მოცემულ შემთხვევაში, მაშასადამე, გადაიზარდა უფრო მძიმე დანაშაულში – ყაჩაღობაში. ამის გათვალისწინებით წინასწარი ძიების დროს ორივე მათგანი მისცეს პასუხისმგებლობაში ყაჩაღობაში თანამონაწილეობისათვის, ხელვაჩაურის რაიონის სასამართლომ აღნიშნული საქმის განხილვისას გამოასწორა წინასწარი ძიების დროს დაშვებული შეცდომა, მიუთითა თავის განაჩენში, რომ „დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებუ-

ლი გარემოებები, მოწმობს იმაზე, რომ ა. ფუტკარაძესა და ჯ. საგინაძეს შორის შეთანხმება იყო ქურდობის ჩადენაზე და ა. ფუტკარაძის განმრავლება მიმართული იყო ქურდობისაკენ და არა ყინაღური თავდასხმისაკენ, რომელიც ჯ. საგინაძემ ჩაიდინა უშუალოდ.²⁶⁷ ამიტომ მისი მოქმედება მე-19, 96-ე მმ. მე-6 ნაწილიდან გადააკვალიფიცირა მე-19, 91-ე მმ. მე-3 ნაწილზე. მაშასადამე, ამსრულებლის მიერ გამოყენებული ძალადობა, ქონების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მიზნით სასამართლომ მიიჩნია ამსრულებლის ექსცესად, რისთვისაც პასუხისმგებლობა სამართლიანად არ დააკისრა დამხმარეს. ამასთან დამხმარის მოქმედება თანამონაწილეობად დააკვალიფიცირა, თუმცა იმ დანაშაულის მიხედვით, რომელსაც მისი განმრავლება მოიცავდა, რაც სრულებით სწორი გადაწყვეტილებაა.

§ 2. დამხმარის ნებაყოფილებით ხელის აღება დანაშაულში თანამონაწილეობაზე

დამხმარის პასუხისმგებლობის წესის და მისი ფარგლების დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულში თანამონაწილეობაზე ნებაყოფილებით ხელის აღების საკითხის გამოვლენას. ნებაყოფილებით ხელის აღების ზოგადი დებულება, რომელიც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით არის განსაზღვრული, მისი ძირითადი შინაარსი შეიძლება დაყვანილი იქნას შემდეგზე: პირი, რომელიც ნებაყოფილებით და საბოლოოდ აიღებს ხელს დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრება, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს. მაშასადამე, კანონი დაუსჯელობის გარანტიას უქმნის იმას, ვინც დანაშაული დაიწყო, განახორციელა მისი მომზადება ან მცდელობაც კი, თუმცა შემდეგ, საკუთარი ნებით, მისი ბოლომდე მიყვანის შესაძლებლობის გათვით-

ცნობიერების მიუხედავად, უარი თქვა დაწყებული დანაშაულის დასრულებაზე. ამასთან, იმ შემთხვევაში განთავისუფლება პირი საერთოდ პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ უკვე ჩადენილი მოქმედება სხვა დანაშაულს არ წარმოადგენს.

აღნიშნული სისხლის სამართლის ნორმა, დამხმარე ბილიკია იმ აღმნიშნისთვის, რომელმაც თავისი დანაშაულებრივი ქმედებით საკმაოდ ღრმად შეგოპა, თუმცა დაწყებული ქმედების საკუთარი სურვილით მიგოყების შემთხვევაში, მას კვლავ ეძლევა შესაძლებლობა უმწიკვლო და პაგიოსან შრომით ცხოვრებას დაუბრუნდეს. კანონმდებლის მიერ ბოძებული ამ პუმანური აქტით ნებისმიერ აღამიანს, იქნება ეს ერთპიროვნულად მოქმედი ამსრულებელი თუ თანამონაწილე (თანამსრულებელი, ორგანიზატორი, წამქმნებელი თუ დამხმარე), შეუძლია თავიდან აიცილოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამასთან, პასუხისმგებლობის აცილება იმ დანაშაულისთვის რომლისკენაც პირის მოქმედება იყო მიმართული, ცხადია, მაშინ არის შესაძლებელი, თუ მის მიერ შეწყვეტილი ქმედება ნებაყოფილებით ხელის აღების სათანადო პირობებს აკმაყოფილებს. ასეთ პირობებს უნდა მივაკეთოთ შემდეგი:

ა) ნებაყოფილებით ხელის აღება დანაშაულზე მისი მომზადების ან მცდელობის სტადიაზე უნდა მოხდეს;

ბ) სუბიექტის მიერ შეწყვეტილი ქმედება ნებაყოფილებით ხასიათს უნდა აგარებდეს. დანაშაულის ჩადენაზე ხელის ამღებს გაყნობიერებული უნდა პქონდეს, რომ მოვლენათა ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე მას აქვს შესაძლებლობა ქმედების ბოლომდე მიყვანის. აქედან გამომდინარე, ნებაყოფილებითად არ შეიძლება ჩავთვალოთ დანაშაულის შეწყვეტა, რომელიც მისი განხორციელების პროცესში წარმომოხილ ისეთ წინააღმდეგობებს უკავშირდება, რომლებსაც პირი დანაშაულის განხორციელების დასაწყისში არ ითვალისწინებდა, ან ითვალისწინებდა, მაგრამ მათ სათანადოდ ვერ აფასებდა. ამ კუთხით უნდა დავეთანხმოთ იმ ავტორთა მოსაზრებებს, რომლებიც ნებაყოფილებითად არ თვლიან ისეთ უარის თქმას დაწყებულ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომელიც დანა-

²⁶⁷ ზელვაჩაურის რაიონის სასამართლოს არქივი, 1998 წ., საქმე №1-116

შაულის ბოლომდე მიყვანისათვის აღრე არსებული ხელსაყრელი პირობების არსებითი გაუარესებით არის გამოწვეული.²⁶⁸

გ) ნებაყოფილებით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე უნდა იყოს საბოლოო, ე. ი. რაიმე მიზეზით დანაშაულის დამთავრების დროებითი გადაღების გადაწყვეტილება პირს პასუხისმგებლობისაგან არ ანთავისუფლებს.

აღნიშნული პირობები თანაბრად ვრცელდება, როგორც ერთ-პიროვნულად მოქმედი დამნაშავეის მიმართ, ასევე იმ პირის მიმართაც, ვინც სხვასთან ერთად თანამონაწილეობს დანაშაულში. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის სპეციფიკა ერთპიროვნულად მოქმედ დამნაშავესთან შედარებით განაპირობებს მასში მონაწილე პირთა ნებაყოფილებით ხელის აღების გარკვეულ თავისებურებებს. იგი, პირველყოფილისა, გამოიხატება იმაში, რომ დანაშაულის ჩადენაზე ერთი პირის მიერ ნებაყოფილებით ხელის აღება, სხვა თანამონაწილეებს, ერთობლივად განხორციელებული ქმედებისათვის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს, და მეორე, თანამონაწილეთა ნებაყოფილებით ხელის აღება, როგორც წესი, აქტიურია, რომლებიც მიმართული არიან სხვა თანამონაწილეებისაკენ იმ მიზნით, რათა მათ თავიანთი დანაშაულებრივი ქმედება შეწყვიტონ.

ნებაყოფილებით ხელის აღების უკანასკნელმა სპეციფიკამ თავისი გამოხატულება პპოვა კიდევაც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილში. მასში ნათქვამია, რომ „დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელს და დამხმარეს არ დაუკისრებათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეაგყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა.“ მამასადაამე, კანონმდებელი, თანამონაწილეთა ნებაყოფილებით ხელის აღების საფუძველზე მათი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის სხვა პირთა დანაშაულებრივი

²⁶⁸ აბ. შ. კოვალოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე გვ. 186; Уголовное право России, учебник для вузов, общая часть, т. 1, ответственные редакторы А. И. Игнатов и Ю. А. Красиков, М., 1998, ст. 222

ქმედების შესაწყვეტად აქტიურ ჩარევას და ხელშეშლას მოითხოვს. ასეთი თავისებურება, ბუნებრივია, გამოწვეულია დანაშაულის ჩადენის სპეციფიური ფორმით, თანამონაწილეთა მოქმედებების ურთიერთდაკავშირებული ხასიათით, რომლებიდანაც ერთის მოქმედება გამოდის, როგორც ორგანული დამატება და გაგრძელება მეორის მოქმედების. ამიგომ, თანამონაწილის მიერ ნებაყოფილებით ხელის აღება უნდა იყოს ერთობლივად დაწყებული დანაშაულის არა პასიური მიტოვება, არამედ აქტიური მოქმედება და წინააღმდეგობის გაწევა იმ მიზნით, რომ სხვა პირებმა თავიანთი დანაშაულებრივი ქმედება შეწყვიტონ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებელი, ამავე ნორმამი, ნებაყოფილებით ხელის აღების საერთო პრინციპიდან გარკვეულ გამოინაკლისს უშეუბნებლად დამხმარესთან მიმართებაში. „დამხმარეს – მითითებულია დასახელებული მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადებაში – აგრეთვე არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან არ შეასრულა ამსრულებლისათვის ან სხვა თანამონაწილისათვის შეპირებული ქმედება ანაღ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან სხვა საშუალებები.“ დასახელებული ნორმის ნაწილში ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები აჩვენებს, რომ დამხმარეს გამონაკლისის სახით უმოქმედობის გზითაც ხელეწიფება ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე. გარდა ამისა, თუ დამხმარეს ჯერ კიდევ არ განუხორციელებია მოქმედება, რომელიც ამსრულებელმა შეიძლება დანაშაულის ჩასადენად გამოიყენოს, ან მართალია, განახორციელა ასეთი მოქმედება, მაგრამ შემდეგ თავისი მოქმედების უშუალო შედეგი მოსპო (დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა იარაღი ან სხვა საშუალებები), ასეთ შემთხვევებში, კანონმდებლის მიერ დამხმარის ნებაყოფილებით ხელის აღებისათვის აუცილებელ მოთხოვნისაგან, როგორც ჩანს, არ წარმოადგენს ის, რომ მან აქტიური მოქმედებით აუცილებლად აღკვეთოს დანაშაულის განხორციელება.

ამრიგად, გადმოცემული მუხლის ზოგადი ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი სახის ზოგადი დასკვნა: ის საერთო დებულება, რომ თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფილებით

თი ხელის ალება აქტიური უნდა იყოს და ამ მოქმედებების მეშვეობით თავიდან უნდა იქნას დანაშაული აცილებული, მოცემული საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომის გზით გადაწყვეტის აუცილებლობას არ გამოირიცხავს, რადგან თანამონაწილეობისას, მის ცალკეულ სახეობრივ გამოვლინებებთან დამოკიდებულებაში ნებაყოფილებით ხელის ალებას აქვს თავისი თავისებურებები.

აღნიშნულთან დაკავშირებით თანამონაწილეობისას, ამ სიტყვის ეიწრო გაგებით, უნდა გამოვყოთ ორი ფიგურა: დამხმარე, როგორც ჩვენი უშუალო კვლევისა და ინტერესის საგანი, და ამსრულებელი, როგორც თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის მთავარი ფიგურა, რომლის მოქმედების ხასიათზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დამხმარის დანაშაულში თანამონაწილეობაზე ნებაყოფილებით ხელის ალებისა და მისი პასუხისმგებლობის მოცულობის საკითხი.

თანამონაწილეობისას ამსრულებლის განსაკუთრებული მდგომარეობა გამოიხატება იმაში, რომ ის უშუალოდ ასრულებს დანაშაულს და შესაბამისად, დამხმარის დანაშაულებრივი განზრახვის ხორცშესხმა მისი მოქმედების მეშვეობით ხდება. აქედან გამომდინარე, თუ ამსრულებელი უარს იცხვებს დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელებაზე დამხმარეს, რამდენადაც არ უნდა სწყუროდეს შედეგის მიღწევა, იგი მანაც არ განხორციელდება. ეს ობიექტური რეალობაა და იგი, უდაოდ ახდენს ზეგავლენას დამხმარის პასუხისმგებლობის მოცულობაზე, რომლის შესახებაც აქვე მოგახსენებთ. თუმცა, მანამდე უნდა გამოვარკვიოთ ის საკითხიც, თუ როგორია თავად ამსრულებლის, როგორც თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის მთავარი ფიგურის, ნებაყოფილებით ხელის ალების ხასიათი. კერძოდ, განსხვავდება თუ არა იგი ერთპიროვნულად მოქმედი დამხმარის ნებაყოფილებითი ხელის ალებისაგან?

დასმულ კითხვას უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ეს გარემოება უნდა აგხსნათ იმით, რომ ერთპიროვნულად მოქმედი დამხმარის შესაბამისად თანამონაწილეობის დროსაც შემადგენლობის შესაბამისი მოქმედების ბაგონ-პაგრონი მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის ამსრულებელია. თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში

ამსრულებელს, მისთვის მიწოდებული როლიდან გამომდინარე, ხელეწიფება თავისივე შეწყვეტილი მოქმედების მეშვეობით თავიდან აიცილოს ის შედეგი რომლის მიღწევასაც სხვა თანამონაწილეები ცდილობდნენ. ამიტომ, დანაშაულის ნებაყოფილებითი მიგოვების საფუძველზე მისი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის რაიმე დამატებითი პირობა, იმასთან შედარებით, რომლებიც ერთპიროვნულად მოქმედი დამხმარის მიმართ არის დადგენილი, არ მოითხოვება. ამასთან, ხაზი უნდა გაუსვიათ იმ გარემოებასაც, რომ თანამონაწილეობისას თუ ამსრულებლის ნებაყოფილებითი ხელის ალება ერთპიროვნულად მოქმედი დამხმარის ნებაყოფილებით ხელის ალებას ემსგავსება, მეორეს მხრივ, იგი განსხვავდება თანამონაწილეთა ნებაყოფილებით ხელის ალებისაგან. ეს სხვაობა ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ პირველი მათგანისათვის არ არის აუცილებელი იმ ღონისძიებათა მიღება, რომლებიც სხვა თანამონაწილეთა დანაშაულებრივი მოქმედებების შეწყვეტას უნდა იწვევდნენ. ეს ბუნებრივიც არის, ვინაიდან ამსრულებლის მიერ უარის თქმა დანაშაულზე ნიშნავს იმას, რომ მათი მოქმედებები ვეღარ კოოვებენ შემდგომინდელ გაგრძელებას და დანაშაულიც შესაბამისად ვეღარ იქნება მიყვანილი ბოლომდე.

ეს რაც შეეხება ამსრულებლის საკუთარი ნებით შეწყვეტილი დანაშაულებრივი მოქმედების ხასიათს. ამეამად კი საინტერესოა, თუ როგორია თავად დამხმარის პასუხისმგებლობის მოცულობის ფარგლები ამსრულებლის მიერ დაწყებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე უარის თქმის შემთხვევაში. დამხმარის მოქმედება ასეთ პირობებში უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მომზადებად თუ იმაზე დამოკიდებულებაში რომელ სტადიაზეც ამსრულებელმა შეწყვიტა დანაშაულებრივი მოქმედება?

სისხლის სამართლის ლიგერაგურაში ამ საკითხის გარშემო ერთიანი პოზიცია არ არის ჩამოყალიბებული. კრიმინალისგთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ამსრულებელმა ვინაიდან უარი თქვა დაწყებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, ეს აღნიშნავს იმას, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა ჩაიშალა. ამიტომ, მათი აზრით, თანამონაწილეებმა პასუხი უნდა აგონ დანაშაულის მომზადებისათვის დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ სტადიაზე შეწყვიტა

ამსრულებელმა დანაშაულებრივი ქმედება.²⁶⁹ კრიმინალისტთა მეორე ნაწილი კი, უპირისპირდება ამ მოსაზრებას და თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის – იმაზე დამოკიდებულებაში, თუ რომელ სგადიაზე მოხდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება.²⁷⁰

ჩვენ შართებულად უკანასკნელი პოზიცია მიგვაჩნია. დამხმარემ თუ დანაშაულის ხელშეწყობა დაასრულა და იგი ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით დანაშაულის მომზადებას გასცდა და გადაიზარდა მცდელობაში, ე. ი. მოქმედებაში, რომელიც უშუალოდ არის მიმართული დანაშაულის ჩადენაზე, ასეთ მდგომარეობაში ამსრულებლის ნებაცოფილებით ხელის აღება არ უნდა იყოს ის საფუძველი, რომ დამხმარის მოქმედებას უკუქცევითი ძალა მიანიჭოს და მან პასუხი დანაშაულის მომზადებისთვის აგოს. ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედება უნდა არსებობდეს იმ სგადიაზე სახამ ამსრულებელს არ აუღია ხელი თავის მოქმედებაზე. ეს გარემოება უნდა აგხსნათ იმით, რომ ამსრულებელი, რომელიც თანამონაწილეთა მიერ დაწყებულ მიზეზობრივ კავშირს აგრძელებს, იგი მათი შერაცხვის მოცულობას განსაზღვრავს იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც თანამონაწილეთა განზრახვით არის მოცული. ამიტომ, თუ ამსრულებელი ერთობლივად დაწყებულ მოქმედებას დანაშაულის მცდელობაზე ნებაცოფილებით მიაჩნებს თავს და ამ განსაკუთრებული პირადი გარემოების საფუძველზე განთავისუფლება პასუხისმგებლობისაგან, ეს გარემოება ვერ გამოდგება იმ საფუძველად, რომ დამხმარის მოქმედება (რომელმაც ამსრულებლის მოქმედებასთან ერთად მცდელობის სგადიას მიაღწია), დანაშაულის მომზადებად გადააქციოს. დამხმარემ ასეთ შემთხვევაში პასუხი უნდა

²⁶⁹ И. Ф. Тельнов. Ответственность за соучастие в преступлении, М., 1978, ст. 64; У. Джекебаев, Л. Вайсберг, Р. Суданова. Соучастие в преступление, Алма-Ата, 1981, ст. 139

²⁷⁰ დ. ხულაქელიძე, დანაშაულის მცდელობა და ნებაცოფილებით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე // ე. „სამართალი“, 1991, №3-4, გვ. 10-11; ვ. პრხოროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 324-325; მ. შვიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 85, ვან ცი, დასახელებული ნაშრომი, 225; ლ. ვაუხანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 47

აგოს დანაშაულის მცდელობისათვის. ამსრულებლის ნებაცოფილებით ხელის აღება ვერ გააბათილებს უკვე მანამდე არსებულ თანამონაწილეთა ჩადენილ დანაშაულის მცდელობას, ისევე როგორც, ის ვერ გაბათილებს იმ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას, რომლებმაც ხელი არ აიღეს დანაშაულში თანამონაწილეთაზე. ამ შემთხვევაში, დამხმარის მოქმედების იურიდიული კვალიფიკაცია უნდა იყოს ისეთივე, როგორც ეს თანამონაწილეთა აქცესორული ბუნებიდან გამომდინარეობს, ე. ი. თანამონაწილემ პასუხი უნდა აგოს დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის – იმაზე დამოკიდებულებაში, რომელ სგადიაზეც ამსრულებელი შეწყვეტს დანაშაულებრივ ქმედებას.

აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ თანამონაწილეთა დროს ამსრულებელმა ნებაცოფილებით თუ მცდელობის სგადიაზე აიღო ხელი დანაშაულზე, ხოლო დამხმარის მოქმედება (რომელმაც ხელი არ აიღო დანაშაულზე) თანამონაწილეთა ჩადენილი დანაშაულის მცდელობად კვალიფიციირდება, ეს გარემოება, აქცესორული თეორიის კრიტიკოსთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ თავისთავად არ არის იმ დაცენის გაკეთების საფუძველი, რომ დანაშაულის ამსრულებლის გარეშე აქ არსებობს თანამონაწილეთა დანაშაულში, რაც მათი აზრით, უწინააღმდეგება თანამონაწილეთა აქცესორულ ბუნებას.

რეალურ სინამდვილეში, ასეთ შემთხვევებში, არა თუ არ არის ამსრულებელი, არამედ მისი მოქმედების მეშვეობით აღწევს ერთობლივი ქმედება დანაშაულის მცდელობის სგადიას. თუმცა, ის გარემოება, რომ ამსრულებელი ნებაცოფილებით ხელის აღების საფუძველზე თავისუფლება პასუხისმგებლობისაგან, ეს გამოწვეულია წმინდა პერსონალური ფაქტორით და კანონმდებლის მიერ დადგენილი ამ შედეგითი სარგებლობს მხოლოდ ის, ვინც მას პირადად დაიმსახურებს.

ამსრულებელთან შედარებით სხვაგვარია დანაშაულის ჩადენაზე ნებაცოფილებით ხელის აღება დამხმარის შარადან. ეს სასაიათი ძირითადად თანამონაწილეთა ჩადენილი დანაშაულის რთული მექანიზმით და იმ რთული არის განპირობებული, რომელსაც თანამონაწილის ეს სახე ერთობლივად ჩადენილ დანაშაულში თამაშობს.

დამხმარის როლი გამოიხატება იმაში, რომ იგი ხელს უწყობს დანაშაულის ამსრულებელს და მისი მოქმედების შედეგობით აღწევს დასახულ მიზანს. მაშასადამე, დამხმარის მოქმედება და მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა სხვა პირის მოქმედებით არის გაშუალებული. დანაშაულში მონაწილეობის ამგვარი მექანიზმი შესაბამისად განსაზღვრავს ნებაყოფილებით ხელის აღების გარკვეულ თავისებურებებს. ამასთან, ეს თავისებურებები დანაშაულში ხელშეწყობის აღმოჩენის ცალკეულ სახეობრივ გამოვლინებებზეც არის დამოკიდებული. მაგალითად, იმ საკითხის მხედველობაში მიღებით დანაშაულში დახმარება ფიზიკურია თუ ფსიქიკური, ან თავად ფსიქიკური დახმარება დანაშაულის წინასწარ შეპირებულ დაფარვაში გამოიხატა თუ სხვა რომელიმე სახით, შესაძლებელია სხვადასხვა იყოს დანაშაულზე ნებაყოფილებით ხელის აღების პირობებიც.

ინგელექტუალური დამხმარე შემოქმედებას ახდენს ამსრულებლის შეგნებაზე და ნებაზე. აქედან გამომდინარე, მისი მოქმედების თანდართულ თბიერებად, რომელზედაც იგი უშუალოდ შემოქმედებს, შეგნებული ადამიანის ფსიქიკა გვევლინება, რომელშიც მას შეაქვს გარკვეული ცვლილებები. მას შემდეგ, როდესაც დამხმარე ამსრულებლის ფსიქიკაში განსაზღვრულ ცვლილებებს გამოიწვევს, დაუშვავთ, მისცემს რჩევა-დარიგებას, მითითებას, ინფორმაციას და ა. შ., იგი დანაშაულის პასიური მონაწილე ხდება. დანაშაულის განხორციელების ბედი მთლიანად ამსრულებლის ხელში გადადის, რომელიც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად იქცევა. დამხმარე დანაშაულის ჩაღწევაზე კარგავს უშუალო კონტროლს.

დანაშაულში მონაწილეობის ამგვარი მექანიზმი დამხმარის მხრიდან ნებაყოფილებით ხელის აღებისათვის აქტიურ ხასიათს მოითხოვს. დამხმარემ, რომელმაც ხელშეწყობა აღმოუჩინა ამსრულებელს და ამ უკანასკნელის მოქმედების შედეგობით დაუდგა საფუძველი მიზეზობრივი კავშირის შემდგომინდელ განვითარებას, ასეთ შემთხვევაში, მისი მხრიდან უკვე აღმოჩენილი ხელშეწყობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ნებაყოფილებითი ხელის აღებისათვის საკმარისი საფუძველი ვერ იქნება. დამხმარის დანაშაულზე განმრავნის რადიკალურ შემოტრუნებას ან თავისთავად გულწრფელ მონანიებას არ შეუძლია ამსრულებლის დანაშა-

ულბრივი ხელყოფა შეაჩეროს, ან გაუწინებელს ის წილი ძალი-სხმევის, რომელიც ამსრულებლის განმრავნის განმტკიცების მიზნით დანაშაულის ჩასაღწეოდ იყო მიმართული. ფსიქიკურმა დამხმარემ, ასეთ ვითარებაში აქტიური ღონისძიებები უნდა მიიღოს დანაშაულის შესაწყვეტად, ხოლო ზოგჯერ თავისი მოქმედებების უშუალო შედეგის აღსაკვეთად.

ამასთან, უკანასკნელი პირობა ინგელექტუალური დახმარების ცალკეულ სახეობრივ გამოვლინებაზე დამოკიდებულია. რიგ შემთხვევებში ინგელექტუალური დამხმარის მიერ დანაშაულის ჩაღწევაზე ნებაყოფილებით ხელის აღებისათვის საკმარისია მხოლოდ თავისი აღრიხილი ქცევის უშუალო შედეგი მოსპოს.

ავიღოთ ინგელექტუალური დახმარების ისეთი სახე, როგორც არის წინასწარ შეპირებული დანაშაულის დაფარვა.²⁷¹ იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, რომ დანაშაულში ხელშეწყობის ეს სახე ერთობლივად განხორციელებული დანაშაულის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს, ვინაიდან იგი წინასწარი შეპირების ფაქტით მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ ჩაღწეულ დანაშაულთან. ამასთან, მისი დანაშაულზე ქმედებაში ჩაბმის მექანიზმი მდგომარეობს იმაში, რომ ამსრულებელი დანაშაულის განხორციელების პროცესში მხედველობაში იღებს შეპირებული მოქმედების შესრულებას. კერძოდ, მან იცის, რომ დანაშაულის დასრულების შემდეგ დამხმარე მისცემს თავშესაფარს, გაანადგურებს დანაშაულის კვალს, დაფარავს დანაშაულზე გზით ნაშთს საგნებს და ა. შ. ამის წარმოდგენა ამსრულებლის შეგნებაში მრდის მანს იმისათვის, რომ იგი თავიდან აიცილებს პასუხისმგებლობის მუქარას, რაც თავისთავად ასუსტებენ მის შეგნებაში იმ მოტივებს, რომლებმაც იგი დანაშაულის ჩაღწევისაგან უნდა შეაკავონ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ დამხმარის მოქმედება წინასწარ შეპირებულ დაფარვაში გამოიხატა, მაგრამ შემდეგ, მოსალოდნელი სასჯელის შიშით ან სხვა რაიმე მოტივით, დამხმარე შეპირებულის შესრულებას გადაიფიქრებს და

²⁷¹ ამ პარაგრაფში ქვევით, სადაც მოხსენიებული იქნება წინასწარ შეპირებული დაფარვა, იქვე ვგულისხმობთ წინასწარ შეპირებულ დანაშაულის გარეუცადებლობას და მიზეზობრივობასაც.

ამის თაობაზე დროულად და მკაცრად განუცხადებს ამსრულებელს, ამით იგი უკეთებს ნეიგრალიზებას იმ ფსიქიკურ ზემოქმედებას, რომელიც მან თავისი წინასწარი შეპირებით მოახდინა. ამიგომ ამსრულებელი, თუ მაინც მიიყვანს განზრახულ მოქმედებას ბოლომდე, ეს იქნება, ჩვენი აზრით, ინდივიდუალურად განხორციელებული დანაშაული, მოცემული დამხმარის მხრიდან ხელშეწყობის აღმოჩენის გარეშე. ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში ირღვევა ის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც დამხმარის ადრინდელი მოქმედება უნდა ყოფილიყო ჩაბმული ერთიან დანაშაულებრივ მოქმედებაში. ამ მექანიზმის რღვევის პირობა გამოისახება იმაში, რომ დამხმარის უარის გაცხადების შემდეგ ამსრულებელი, რეალურად, დანაშაულს ჩადის შეპირებული მოქმედების შესრულების მხედველობაში მიღების გარეშე. აქედან გამომდინარე, ისაობა ის პირობები, რომლებიც ამსრულებლის შეგნებაში წინასწარი შეპირებით ასუსტებდნენ იმ მოტივებს, რომლებსაც ის დანაშაულის ჩადენისაგან უნდა შეეკავებიათ. მამასადავამე, დამხმარე უკეთებს ნეიგრალიზებას თავისი მოქმედების უშუალო შედეგებს და ის აღარ არის მონაწილე იმ დანაშაულის, რომელსაც ჩადის ამსრულებელი.

მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ დამხმარე მხოლოდ შეპირებული მოქმედების შეუსრულებლობით შემოიფარგლება და ამ გადაწყვეტილების შესახებ არ აცნობებს ამსრულებელს, მაშინ, სამართლიანად შენიშნავს ვ. პროხოროვი, რომ შეპირებული მოქმედების თავისთავად შეუსრულებლობას არ შეუძლია თავისი მოქმედების უშუალო შედეგი მოსპოს. მას არ შეუძლია მიზეზობრივი კავშირის განვითარების ის რიგისობა შეაჩეროს, რომელიც მიცემულ შეპირებასა და ამსრულებლის მოქმედებას შორის არსებობს, ვინაიდან ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენა დამხმარის შეპირებული მოქმედების შესრულების მხედველობაში მიღებით ხორციელდება.²⁷² ამიგომ, ასეთ შემთხვევაში დამხმარე პასუხს აგებს ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ინგელექტუალური დახმარება დანაშაულში წინასწარ შეპირებული დაფარვის გარდა, თუ რომელიმე სხვა სახით გამოვლინდება, (იქნება ეს რჩევა-დარიგება, მითითება, ინფორმაციის მიწოდება და სხვ.), მაშინ ნებაყოფილებით ხელის აღებისათვის დამხმარე ვალდებულია დროულად გაუკეთოს მობილიზება თავის ძალისხმევას და იგი მიმართოს დანაშაულის ამსრულებლისაკენ, რათა არ მისცეს მას დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე დამხმარეს ასეთი შედეგის მისაღწევად შეუძლია სხვადასხვაგვარი ღონისძიებები მიიღოს. ყველაზე უფრო უბრალო საშუალებას დანაშაულის ასაცილებლად შეიძლება წარმოადგენდეს ამსრულებლის დარწმუნება, რათა მან გადაიფიქროს დანაშაულის ჩადენა. ამისათვის დამხმარეს ფსიქიკური ინტენსიობის სხვადასხვა საშუალებები შეუძლია გამოიყენოს, რომლებმაც კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შექმნან ამსრულებლის შეგნებაში ისეთი საპირისპირო მოგვიები, რომლებმაც იგი დანაშაულის ჩადენისაგან უნდა შეაკავონ. ამსრულებელზე დამხმარის მხრიდან ფსიქიკური ზემოქმედების ასეთ საშუალებებს შეიძლება წარმოადგენდეს: რჩევა-დარიგება, დაეინებული და ენერგიული თხოვნა, შეპირება რაიმე სამსახურის გაწყვეის და ა. შ.

წარმატება ამ საშუალებების არსებითად არის დამოკიდებული იმ ურთიერთობებზე, რომელიც დამხმარესა და ამსრულებელს შორის არსებობს, ასევე ამსრულებლის პიროვნული მახასიათებლების ინდივიდუალურობაზე. მის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების ხარისხზე და სხვა. მოგვიერ იმდენად დიდად ამსრულებლის პირადი დაინტერესება, გულის წადილი და განწყობა დანაშაულის ჩადენაზე, რომ დამხმარის ინგელექტუალურმა ძალისხმევამ, მიმართულმა დანაშაულის ასაცილებლად, ყოველთვის შესაძლებელია არ გამოიღოს სათანადო ნაყოფი. ამიგომ, დამხმარეს უნდა ჰქონდეს, და აქვს ცხადია კიდევაც, იმის უფლება, რომ მან სხვა ღონისძიებებიც მიიღოს, რომლებიც ამსრულებლის მიერ დანაშაულებრივი ქმედების დასრულების შესაძლებლობას გამოორიქხავენ. დამხმარის მხრიდან ასეთ ღონისძიებებს შეიძლება წარმოადგენდეს ამსრულებლისთვის ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა, მის მიმართ შექარის განხორციელება, ხელისუფლების ორგანოებისათვის დროული შეგვობინება, რომ მზადელება დანაშაული, გაფრთხილება იმ პირისა, ვის მიმართაც დანაშაულებრივი ხელყოფა იგეგმება და

²⁷² ვ. პროხოროვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 324-325;

სხვა ერთი სიტყვით, ეს უნდა იყოს აქტიური მოქმედებები მიმართული დანაშაულის აღკვეთისაკენ.

დანაშაულში ინტელექტუალური ხელშეწყობის უკანასკნელ სახეებთან მიმართებაში დამხმარის ნებაყოფილებით ხელის აღების საფუძველზე პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების პირობას დანაშაულის თავიდან აცილება უნდა წარმოადგენდეს. დამხმარებ, რომელმაც რჩევა-დარიგებით, მითითებით, ინფორმაციის მიწოდებით შესაბამისი ფსიქიკური ზეგავლენა იქონია ამსრულებელზე, აქ შეუძლებელია სწორად ჩაითვალოს მ. კოვალიოვის მიერ სისხლის სამართლის ლიგერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ფსიქიკური თანამონაწილე მასზე დამოკიდებულ ღონისძიებითა მაქსიმუმს თუ გამოიყენებს დანაშაულის ასაკილებლად, მაგრამ ამსრულებელი მაინც მიიყვანს დანაშაულს ბოლომდე, ამით იგი თითქოსდა სპობს მიზეზობრივ კავშირს თავის წინა მოქმედებასა და ამსრულებლის მიერ ჩაღწილ დანაშაულს შორის. ამიტომ, დამხმარე უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.²⁷³

რეალურ სინამდვილეში დამხმარება დანაშაულში თუ ინტელექტუალური დამხმარების დასახელებულ ფორმებში გამოვლინდა ისინი თავისი არსით და მისი დანაშაულში ჩაბმის მექანიზმის თავისებურებით არავითარ შემთხვევაში არ იძლევიან აღნიშნული მოსაზრების მტკიცების საფუძველს. დამხმარებ, რომელმაც ამსრულებელს მოსყა რჩევა-დარიგება, მითითება, მიაწოდა ინფორმაცია, და მამასადაბმე, ამსრულებლის ფსიქიკაში შეიგანა გარკვეული კორექტივები, აქ უკვე სახეზე გვაქვს ობიექტური შედეგი ინტელექტუალური დამხმარების, რომელსაც ამსრულებელი პრაქტიკულად იყენებს დანაშაულის განხორციელების პროცესში. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა, დაუშვათ მაგანს გადაწყვეტილი აქვს მოკლას თავისი დაუძინებელი მტერი, რომლის საიდუმლო ადგილსამყოფელი იცის მხოლოდ დამხმარებ. იგი გარკვეული თანხის მიღების შემდეგ გასცემს მის საიდუმლო თავმესაფარს, თუმცა შემდეგ, მოსალოდნელი მძიმე შედეგების შიშით შეეცლება დანაშაულის თავიდან აცილებას. რისთვისაც ის მაქსიმალურად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყვე-

²⁷³ მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, მეორე ნაწილი, გვ. 190-191

ლა შესაძლებლობას, მაგრამ მაინც ვერ მოახერხებს დანაშაულის თავიდან აცილებას.

დამხმარის მიერ გაცემული ინფორმაციის შემდეგ მიზეზობრივი კავშირის განვითარების ის თანამიმდევრობა, რომელიც მოცემულ მაგალითშია ასახული შეიძლება დარღვეული ყოფილიყო დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებით. მაგრამ პოზიციას, რომელსაც იყავს მ. კოვალიოვი, თუ კი მას აღნიშნული მაგალითის კონტექსტში ჩაესვამთ და ეიკვით, რომ დამხმარებ მიღებული აქტიური ღონისძიებებით მიზეზობრივი კავშირი მოსპო მის მიერ მოცემულ ინფორმაციასა და შედეგს შორის, მაშინ ეს აღნიშნავს იმას, რომ დამხმარებ, თითქოსდა ამსრულებელთა გონებიდან უნდა შეტლოს მის მიერ გაცემული ინფორმაციის „ამოშლა.“ რაც ცხადია სრული ალოგიკია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამის მიღწევა შეგნებული ადამიანის ფსიქიკიდან შეუძლებელია, არამედ იმიტომაც, რომ ასეთის მიღწევის შემთხვევაში უკვე მოცემულ დროს და მოცემულ ადგილზე დანაშაულებრივი შედეგი არ დადგებოდა და შესაბამისად არც მიზეზობრივი კავშირის არსებობა არ არსებობის საკითხი დაისმებოდა დამხმარის მიერ აღმოჩენილ ფსიქიკურ ხელშეწყობასა და ამსრულებელთა მიერ ჩაღწილ დანაშაულებრივ შედეგს შორის. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში და საერთოდ ინტელექტუალური დამხმარების სხვა სახეების მიმართაც (წინასწარ შეპირებული დაფარვის, განუცხადებლობის და მიმნებებლობის გამოკლებით) არ შეიძლება საუბარი იყოს მიზეზობრივი კავშირის გაუქმებაზე აღმოჩენილ ხელშეწყობასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის.

აქტიური მოქმედების ფორმას უნდა აგარებდეს დანაშაულის ჩაღწიმაზე ნებაყოფილებით ხელის აღება ფიზიკური დამხმარის მხრიდანაც მაშინ, როდესაც იგი განახორციელებს რაიმე მოქმედებას, რომელიც ამსრულებელმა შეიძლება დანაშაულის ჩასაღწილად გამოიყენოს. ღონისძიებები მიმართული დანაშაულის შეჩერებისაკენ ამ შემთხვევაშიც ისეთივე შეიძლება იყოს, როგორც ინტელექტუალური დამხმარების დროს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტელექტუალური დამხმარების უკანასკნელ სახეებთან შედარებით (რომლებთან მიმართებაშიც ნებაყოფილებით ხელის აღებისათვის აუცილებელი მოთხოვნილებაა დანაშაულებრივი ქმედების თავიდან აცილე-

ბა) ფიზიკური დამხმარის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფილებით ხელის აღებას გარკვეული სპეციფიკაც ახასიათებს. კერძოდ, ფიზიკური დამხმარე თავისი მოქმედების უშუალო შედეგებს თუკი გააუვნებელყოფს (როგორც ეს წინასწარ შეპირებული დაფარვის შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც დამხმარე არ ასრულებს შეპირებულ მოქმედებას და ამის შესახებ დროულად აცხადებს დანაშაულის ამსრულებელს), მაშინ მას ნებაყოფილებით ხელის აღებისათვის არ მოეთხოვება აუცილებლად განახორციელოს ისეთი მოქმედებები, რომლებმაც ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების აცილებასთან უნდა მიგვიყვანონ. მაგალითად, თუ ფიზიკური დამხმარე დანაშაულის ჩასადენად საშუალებათა გადაცემაში გამოიხატა, მაშინ დამხმარემ ამსრულებელს დანაშაულის დამთავრებაზე უკან უნდა წაართვას ეს საშუალებები, ხოლო მისი ხელშეწყობა თუ დანაშაულის დაბრკოლებათა აცილებაში გამოვლინდა, მაშინ დროულად უნდა აღადგინოს ეს დაბრკოლებები და ამის შესახებ აცნობოს დანაშაულის ამსრულებელს. დამხმარის მიერ განხორციელებული მოქმედებები, თუ წარუმატებელი აღმოჩნდება, ე. ი. უკან ვერ დაიბრუნებს დანაშაულის იარაღს, ვერ აღადგენს დაბრკოლებებს და ა. შ., მაშინ იგი ვალდებულია წინააღმდეგობის გაწევით ან სხვა გზით აღკვეთოს დანაშაულის განხორციელება.

დამხმარემ თავისი მოქმედების აღრინდელი შედეგების გაუვნებელყოფა თუ შეძლო, ეს აღნიშნავს, რომ მან თავისი მოქმედებით მოსპო ის პირობები, რომლებიც დანაშაულის ჩადენაში ამსრულებელს უნდა გამოეყენებინა. დამხმარის მხრიდან ასეთი შედეგის მიღწევამ შესაძლებელია თავისთავად განაპირობოს ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ამსრულებელმა თვითონ გამოძებნოს სათანადო საშუალებები, ან დაძლიოს დამხმარის მიერ აღდგენილი დაბრკოლებები და მაინც მიიყვანოს დაწყებული დანაშაული ბოლომდე. ეს კი უნდა აღნიშნავდეს მხოლოდ ერთს, რომ დანაშაული რომლის ჩადენაც დამხმარეს განზრახული ჰქონდა ამსრულებელთან ერთად თავისი ხელშეწყობის გაერთიანების ფორმით, მაგრამ შემდგომში გადაიფიქრა და ნებაყოფილებით მოსპო მიმემობრივი კავშირის განვითარება თავის აღრინდელ მოქმედებასა და ამსრულებ-

ლის მიერ ჩადენილ დანაშაულს შორის, ასეთ შემთხვევაში, დანაშაული განხორციელებულია მისი მონაწილეობის გარეშე. ამიტომ, ასეთი პირის მხარეს რეალურად არის ყველა პირობა, რომელიც დამხმარის ნებაყოფილებით ხელის აღებისთვისაა აუცილებელი.

ფიზიკური დამხმარის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ იგი თანამონაწილეთა შორის (შედეგობაში გვაქვს ორგანიზატორი, წამქმნებელი და ინტელექტუალური დამხმარე) ერთადერთი სახეა, რომელსაც გარკვეულ შემთხვევებში უმოქმედობის ფორმითაც ხელეწიფება ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე. ეს არის შემთხვევათა ისეთი კატეგორიები, როდესაც დამხმარე თავის თავზე იღებს მოვალეობას, ამსრულებელს შეუქმნას დანაშაულის ჩადენის პირობები, მაგრამ შემდეგ არ ასრულებს ამას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, დამხმარე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უნდა გავეანთავისუფლოთ მაშინ, როდესაც იგი ამსრულებელს პირდება, რომ გადასცემს დანაშაულის ჩასადენად სათანადო საშუალებებს (მაგალითად, გასაღებს სეიფის გასაქურდად), ან კიდევ, ააცილებს დანაშაულის დაბრკოლებებს (მაგალითად, საწყობის გაქურდვის მიზნით ღიად დატოვებს კარებს), მაგრამ შემდეგ არ ასრულებს შეპირებულ მოქმედებას. მსგავსი მოქმედებების შეუსრულებლობა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი უნდა იყოს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებელი ვერ ჩადის ან არ ჩადის დანაშაულს, და ე. ი. დამხმარემ უმოქმედობითაც შეძლო თავიდან აცილებინა დანაშაულის განხორციელება, არამედ მაშინაც, თუ ამსრულებელი ნახულობს სხვა საშუალებებს ან იყენებს სხვა ხერხებს და განზრახული მოქმედება მიყვას ბოლომდე. აღნიშნულ შემთხვევებში, დამხმარის უმოქმედობის გზით დანაშაულზე ნებაყოფილებით ხელის აღების ამოცანა უნდა დაიყვანებოდეს არა იმაზე, რომ დამხმარეს უმოქმედობის გზითაც შეუძლია აიცილოს დანაშაული და დანაშაულის აცილების შემთხვევაში უნდა ვცნოთ ნებაყოფილებითი ხელის აღება, არამედ ამისათვის საკმარისია, რომ დამხმარემ არ შეასრულოს თავისი ფიზიკური ხელშეწყობა. ამით ის თავისთავად ვეღარ იქნება იმ დანაშაულის მონაწილე, რომელსაც სჩადის დანაშაულის ამსრულებელი.

ამრიგად, ზემოთ გაკეთებული ანალიზი აჩვენებს, რომ დამხმარესთან მიმართებაში დანაშაულზე ნებაყოფილებით ხელის აღება დიფერენცირებული მიდგომის გზით უნდა განიხილებოდეს. იმ გარემოების მხედველობაში მიღებით თუ დამხმარემ რომელი ხერხით შეუწყო ხელი ან აპირებდა ხელშეწყობას (შეპირდა ამსრულებელს დანაშაულის ჩასაღწეოდ იარაღი, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა) ნებაყოფილებით ხელის აღებისათვის მას ზოგჯერ მოეთხოვება წინააღმდეგობის გაწევით ან სხვა გზით დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების პროცესი აღკვეთოს, ზოგჯერ კი, ამისათვის საკმარისია თავისი ქმედების უშუალო შედეგი გააუვნებელყოს ან არ შეასრულოს შეპირებული მოქმედება, რომელიც ამსრულებელს უნდა გამოეყენებინა. უკანასკნელ შემთხვევებში ამსრულებელი თუ მაინც მიიყვანს განზრახულ მოქმედებას ბოლომდე დამხმარე პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია გავიზიაროთ სისხლის სამართლის ლიგერაგურაში გამოთქმული ის ზოგადი თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევებში, თუ თანამონაწილეთა მხრიდან ნებაყოფილებით ხელის აღების მცდელობა არ დასრულდა წარმატებით და ამსრულებელმა მაინც ჩაიდინა დანაშაული, თანამონაწილე მიცემული უნდა იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუმცა მის მიერ განხორციელებული დანაშაულის აცილების მცდელობა სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს უნდა ცნოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.²⁷⁴

დებულება, რომ თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის აცილების მცდელობა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას უნდა წარმოადგენდეს, ამაში საკმაოდ, ცხადია, არაფერია. მაგრამ ზოგადი პოზიცია იმის თაობაზე, რომ თანამონაწილემ და მათ შორის დამხმარემაც, თითქოსდა, ყოველთვის თავიდან უნდა ააცილოს დანაშაულის დასრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული, ასეთი მიდგომა, დანაშაულში მონაწილე იმ დამხმარის მიმართ, რომელსაც ხელშეწყობის ხასიათი-

²⁷⁴ ე. გრიგორიუვი, დასახლებული ნაშრომა, გვ. 56

დან გამომდინარე ხელეწიფება მოსპოს თავისი მოქმედების უშუალო შედეგები და აღწევს კიდევაც ამას, არასარწმუნოდ მიგვაჩნია. მაგალითად, დამხმარე, რომელიც დანაშაულის დასრულებამდე უკან იბრუნებს გადაცემულ საშუალებებს ან იარაღს, მაგრამ ამსრულებელი მაინც აღწევს დასახულ მიზანს, ასეთ პირობებში მსჯელობა უნდა იყოს არა უბრალოდ პასუხისმგებლობის შემსუბუქებაზე, არამედ დამხმარის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე.

მაგრამ, დანაშაულში ხელშეწყობის იმ შემთხვევების მიმართ, სადაც დამხმარის დანაშაულზე ნებაყოფილებით ხელის აღების პირობას დანაშაულის აცილება წარმოადგენს (მაგალითად, დამხმარემ ამსრულებელს მისცა დანაშაულის ჩასაღწეოდ იარაღი, მაგრამ ვეღარ მოახერხა უკან დაბრუნება, ან დაუშვათ, დამხმარის ხელშეწყობა გამოისაგა რჩევა-დარიგებაში) სწორედ ასეთ შემთხვევებში დამხმარის მხრიდან დანაშაულის აცილების მცდელობა უნდა განიხილებოდეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

§ 3. ამსრულებლის მხარეზე არსებული ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ზეგავლენა დამხმარის პასუხისმგებლობაზე

დამხმარის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისას ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტს, თავისი ბუნებით, იმ სხვადასხვაგვარი მაკვალიფიცირებელი ნიშნების სწორი იურიდიული შეფასება წარმოადგენს, რომლებიც დანაშაულის ამსრულებლის მხარეს შეიძლება არსებობდნენ. ამ ნიშნებიდან ზოგიერთი მათგანი შეიძლება ობიექტური ხასიათის იყოს და ისინი ამსრულებლის მიერ უშუალოდ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების (უმართლობის) ხასიათს განსაზღვრავდეს — მიუთითებდეს, მაგალითად, კანონით სპეციალურად მონიშნულ დანაშაულის ადგილზე, ღრობზე, იარაღის გამოყენებაზე, ძალადობაზე, განსაკუთრებულ სისასტიკეზე, მძიმე შედეგზე და სხვ. ზოგიერთი მათგანი კი, შეიძლება სუბიექტური, პერსონალური ხასიათის იყოს და ისინი ამსრულებლის უაღრესად პიროვნულ თვისებებს აღწერდნენ ან კიდევ ზეგავლენას ახდენდნენ

მისი ბრალის ხარისხზე. ამგვარ ნიშნებად დასაშვებია მოგვევლინონ დანაშაულის არაერთგზის ჩაღწევა, აღრიხლელი ნასამართლობა, დანაშაულებრივი ქცევის სხვადასხვა მოტივები თუ სხე.

დანაშაულში თანამონაწილეობის დროს ამ ნიშნების დიფერენცირებულ შეფასებას და მათი დამხმარისათვის შესაძლო შერაცხვის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის განხორციელებისათვის, არამედ თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის სწორი გაგებისათვისაც. უკანასკნელ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ კანონის დისპოზიციამში ჩამოყალიბებული ცალკეული ნიშნების გათვალისწინებით გამოირიცხული არ არის თანამონაწილის მოქმედება ზოგჯერ ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციას უშუალოდ არ დაემთხვეს, რის საფუძველზეც ჩნდება ეჭვი თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების რღვევის თაობაზე.

აღნიშნული ფაქტი შეიძლება დაკავშირებული იყოს დანაშაულში მონაწილე პირების განსხვავებულ პიროვნულ ნიშნებთან, მათი დანაშაულებრივი ქცევის სხვადასხვა მოტივებთან თუ რიგ ისეთ გარემოებებთან, რომლებიც თავისი ბუნებით პერსონალური ხასიათის არიან და ისინი სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლით ან მუხლის ნაწილით კონკრეტული დანაშაულის მაკვალიფიცირებულ გარემოებად გვევლინებიან ასე, მაგალითად, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის (ქურდობა) მესამე ნაწილის „დ“ პუნქტი კვალიფიციურ გარემოებად ითვალისწინებს ისეთ პიროვნულ ნიშანს, როგორც არის ნასამართლობა ორჯერ ან მეტჯერ სხვისი შობრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოთავისათვის. ქურდობაში თანამონაწილეობის დროს ამგვარი ნიშანი შესაძლებელია დამხმარის პიროვნებას არ ახასიათებდეს, თუმცა იგი ხელს უწყობდეს ამსრულებელს, რომელიც ორჯერ ან მეტჯერ უკვე არის ნასამართლევნი სხვისი შობრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოთავისათვის. ასეთ პირობებში ამსრულებლის მოქმედება 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ პუნქტით დაკვალიფიცირდება, ხოლო დამხმარის მოქმედება – 24-ე და 177-ე მუხლის პირველი ნაწილით. ეს იმიტომ, რომ დამხმარეს არ შეიძლება პასუხისმგებლობა იმ

პერსონალური მაკვალიფიცირებელი ნიშნისათვის დაეკისროთ, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ამსრულებლის პიროვნებას ახასიათებდა და რომელიც სასჯელს მხოლოდ ასეთი ნიშნის მქონე პიროვნებისათვის ამკაცრებდა. საპირისპიროს მტკიცება ჭეშმარიტად შეუთავსებელია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპისათვის.

ანალოგიური ვითარება შეიქმნება, მაშინაც თუ ამსრულებელი მკვლელობას ანგარების მოტივით ჩაიდენს, ხოლო დამხმარე, მას მეგობრული თანაგრძნობის გამო შეუწყობს ხელს მკვლელობაში. ამ შემთხვევაში ამსრულებელი განზრახ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებისათვის აგებს პასუხს, რომელიც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ პუნქტით არის განსაზღვრული. მაგრამ დამხმარე, რომელიც მეგობრული თანაგრძნობის გამო მოქმედებდა, მას პასუხისმგებლობა დაეკისრება არა ანგარებითი მკვლელობისათვის, არამედ მკვლელობის ძირითადი (მარტივი) შემადგენლობისათვის, რომელიც ამავე კოდექსის 108-ე მუხლით არის განსაზღვრული. ერთი სიტყვით, დანაშაულში თანამონაწილეობის დროს ნამდვილად აქვს ალგილი დამხმარისა და ამსრულებლის მოქმედებების სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით კვალიფიკაციას. ეს დანაშაულის ჩაღწევის კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებულია. კერძოდ, იმ მაკვალიფიცირებელი ნიშნების თავისებურებებზე, რომლებიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციამში არიან განსაზღვრული.

ამასთან, ეს ნიშნები, როგორც უკვე ვთქვით, თავისი ბუნებით სხვადასხვაგვარი წარმოშობის არიან. ზოგიერთ მათგანს ობიექტური ხასიათი აქვს და ისინი განხორციელებული ქმედების მართლსაწინააღმდეგობის ხასიათს განსაზღვრავენ, ზოგიერთს კი სუბიექტური, პერსონალური ხასიათი აქვს და ისინი დანაშაულის სუბიექტის პიროვნულ თვისებებს აღწერენ ან კიდევ ზეგავლენას ახდენენ ბრალის ხარისხზე. ამიტომ, აუცილებელია, პირველ რიგში, გამოვარკვიოთ ამსრულებლის მხარეზე არსებული როგორი გიპის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები შეიძლება ახდენდნენ ზეგავლენას დამხმარის პასუხისმგებლობის მოცულობაზე, და მეორე, ამ გამორკვევის შედეგად ამსრულებლის და

დამხმარის სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაციის ცალკეული შემთხვევები, ქმნიან თუ არა თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების უარყოფისა და საპირისპირო თვალსაზრისის მტკიცების საფუძველს. ეს საკითხები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ისინი იურიდიულ ლიგერაგურაში, არც თუ იშვიათად, მძაფრი პოლემიკის საგანს წარმოადგენენ.

თეორეტიკოსთა ერთი ნაწილი პირველი საკითხის გარშემო მსჯელობისას არასწორად მიიხივებს კანონში გამოყოფილი დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ნიშნების დიფერენცირება მათი წარმოშობის ხასიათის მიხედვით მოხდეს და იმის გათვალისწინებით საქმე ამსრულებლის პიროვნების თუ მისი ქმედების დამახასიათებელ გარემოებებს შეუხება, შესაბამისად გადაწყდეს თანამონაწილეს შეერაცხოს თუ არა პასუხისმგებლობაში ესა თუ ის ნიშანი. მათი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მთავარი მნიშვნელობა თანამონაწილეთა მიერ შემადგენლობის მაკვალიფიცირებული ელემენტების გათვალისწინების ფაქტს უნდა მიენიჭოს. სხვა სიტყვებით, რომ გამოუხატოთ, თანამონაწილეს თუ შეცნობილი აქვს ამსრულებლის მხარეზე არსებული რომელიმე გარემოება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მისი ქმედების კვალიფიკაციისათვის, ეს არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ ეს გარემოება ამსრულებელთან ერთად პასუხისმგებლობაში შეერაცხოს სხვა თანამონაწილეებსაც, დამოუკიდებლად იმისა, ისინი თავისი ბუნებით არიან თბიერეტიკური თუ პერსონალური ხასიათისა. ასე, მაგალითად, ბ. კურინოვი ამტკიცებს, რომ დანაშაულის სუბიექტის ის თავისებურებები, რომლებიც კანონში გამოყოფილი არიან დანაშაულის შემადგენლობის ძირითადი და მაკვალიფიცირებელი ნიშნების სახით, ისინი მიეკუთვნებიან სისხლის სამართლებრივ შერაცხვას სხვა თანამონაწილეების მიმართაც, მაშინ, თუ ეს გარემოებები მოცული იყო მათი განზრახვით.²⁷⁵ დასმულ საკითხზე მსჯელობისას ანალოგიურ პოზიციას აფიქსირებს ა. ტრაინინი, იგი წერს, რომ „არ შეიძლება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისას სხვადასხვა პრინციპები იყოს დადგენილი მათ მიერ ერთნაირად გაცნობიერებული შე-

მადგენლობის ელემენტების მიმართ. ამიტომ, საუბარი თბიერეტიკური გარემოებების.. შესახებ მიდის, თუ სუბიექტური გარემოებების.. შესახებ, პასუხი ერთია: თუ თანამონაწილეს შეცნობილი აქვს შემადგენლობის დამამძიმებელი ელემენტი, ის ამისათვის პასუხსაც აგებს, თუ შეცნობილი არა აქვს — არ აგებს.“²⁷⁶

არსებითად ასეთივე პოზიციას იზიარებს მ. კოვალიოვიც, რომელიც ამტკიცებს, რომ ყველა ელემენტი, რომელიც დანაშაულის შემადგენლობას ახასიათებს და რომლებიც ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციაზე ახლენენ ზეგავლენას, ისინი შეიძლება შერაცხული იქნას ნებისმიერი თანამონაწილისათვის, თუ ისინი შეცნობილი იყო მათ მიერ.²⁷⁷ მ. კოვალიოვი აღნიშნული მოსაზრების საილუსტრაციოდ რამდენიმე ისეთ მაგალითსაც ასახელებს, რომლებიც თანამონაწილეთა მიმართ ამსრულებლის მხარეს მოცემული პერსონალური მაკვალიფიცირებელი ნიშნების სისხლის სამართლებრივ შერაცხვაზეა ორიენტირებული. სახელდობრ, ის აღნიშნავს, რომ წამქმნებელი თუ ამსრულებელს ანგარებითი მკვლელობისაკენ აქეზებს, თუმცა თვითონ არ ისახავს ანგარების მიზანს, მიუხედავად ამისა, მ. კოვალიოვის აზრით, წამქმნებელმაც ამსრულებლის გვერდით პასუხი უნდა აგოს ანგარებითი, ანუ კვალიფიციური მკვლელობისათვის და არა მკვლელობის ძირითადი შემადგენლობისათვის. ასევე დამხმარემა, თუნდაც, რომ ის არ მოქმედებდეს ანგარების მოტივით, მაგრამ ხელს უწყობდეს ანგარებით მკვლელობას და იცოდეს მკვლელობის შემადგენლობის ამ მაკვალიფიცირებელი გარემოების შესახებ. ზუსტად ასევე მსჯელობს ავტორი დანაშაულის განმეორებით ჩადენის, როგორც პიროვნების დამახასიათებელი მაკვალიფიცირებელი ელემენტის მიმართ.²⁷⁸ ერთი სიტყვით, მ. კოვალიოვი თვლის, რომ ესა თუ ის გარემოება, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლში ან მუხლის ნაწილში და მას მნიშვნელობა აქვს დანაშაულბრივი ქმედების კვალიფიკაციისათვის, ასეთი გარემოება აუცილებ-

²⁷⁵ Б. А. Куриннов, Научные основы квалификации преступлений, М., 1984, ст. 156.

²⁷⁶ А. Н. Трайнин. Общее учение о составе преступления, М., 1957, ст. 268

²⁷⁷ მ. კოვალიოვი, დასახელებული ნაშრომი, ნაწილი მეორე, გვ. 160

²⁷⁸ იქვე, გვ. 161-162

ლად უნდა შეერაცხოთ პასუხისმგებლობაში ამსრულებელთან ერთად სხვა თანამონაწილეებსაც.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველზე და ფარგლებზე მსჯელობისას ანალოგიურ შეხედულებას ანიითარებს მ. შნეიდერიც. ამასთან, იგი მ. კოვალიოვისაგან განსხვავებით თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას უარყოფს²⁷⁹ და თვლის, რომ ეს კონცეფცია საფუძველს უთხრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, თუმცა, მეორეს მხრივ, მ. კოვალიოვის მსგავსად ამტკიცებს, რომ დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური (დანაშაულის მძიმე შედეგი, დანაშაულის ჩადენის პირობები, დანაშაულის განხორციელების საშუალებები და სხვ.) თუ სუბიექტური (დანაშაულის განმეორება, დანაშაულებრივი ქცევის მოტივი და სხვ.) სახის გარემოებები, რომლებიც ზეგაეღუნას ახდენენ ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციაზე, ასეთი გარემოებებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ თანამონაწილეებსაც, თუ მათ შეცნობილი ჰქონდათ ისინი.²⁸⁰

აანალიზებს პროფ. ო. გამყრელიძე მ. შნეიდერისა და მისი თანამოაზრეების პოზიციას, თანამონაწილეებისათვის დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ელემენტების შერაცხვის თაობაზე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „რაც ყველაზე უფრო პარადოქსულია, ამ შეხედულების მომხრეთა უმრავლესობა არ იმითარებს თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას..., რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხში აქცესორობის პრინციპის მოწინააღმდეგეები ისეთ უკიდურეს დასკვნებს აკეთებენ, რაც ამ პრინციპის თანამედროვე გაგებიდან სრულადაც არ გამოდინარეობს... მართალია, მ. კოვალიოვს აქცესორული პრინციპის მომხრეს, ხსენებული თვალსაზრისის გამიარების მეტი უფლება აქვს, ვიდრე ამ პრინციპის მოწინააღმდეგე კრიმინალისგებს, მაგრამ ასე ხელაღებით, იმის მტკიცება, თითქოს ამსრულებლის პიროვნების და მისი ქმედების დამახასიათებელი მაკვალიფიცირებელი ნიშნები ყველა შემთხვევაში შეერაცხება თანამონაწილესაც მანაც გაუმარ-

თლებლად უნდა ჩაითვალოს.“²⁸¹ მართლაც, არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმასთან დაკავშირებით, რომ თანამონაწილეებს თითქოსდა პასუხისმგებლობა უნდა დაეკისრონ დანაშაულის ნებისმიერი მაკვალიფიცირებელი გარემოებისათვის, დამოუკიდებლად იმისა ეს გარემოებები ამსრულებლის მიერ უშუალოდ განხორციელებული ქმედების მართლწინააღმდეგობის ხასიათის განსაზღვრავდნენ, თუ ისინი თვით ამსრულებლის პიროვნებას ახასიათებდნენ, ან ზეგაეღუნას ახდენდნენ მისი ბრალის ხარისხზე. მიმართულება, რომელიც თანამონაწილეებისათვის მაკვალიფიცირებელი ნიშნების სისხლის სამართლებრივი შერაცხვისას ამოღის არა ამ ნიშნითა დიფერენცირებული შეფასებიდან, მათი წარმოშობის ხასიათის მიხედვით, არამედ საკმარისად თვლის მათი შეცნობის ფაქტს თანამონაწილეების მიერ, ასეთი მიდგომა, არც მეტი, არც ნაკლები, უხეშად ამარტივებს დასმულ პრობლემას და იგი ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს.

აღნიშნული თვალსაზრისით მოჩანს ამსრულებლის პიროვნებასთან დაკავშირებული წმინდა პირადი ხასიათის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების კრილმი. ავიღოთ თუნდაც, ზემოთ ნახსენები ქურდობის შემადგენლობის ისეთი მაკვალიფიცირებელი პერსონალური ნიშანი, როგორც არის ნასამართლობა ორჯერ ან მეტჯერ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალისათვის. სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად, კანონმდებელი მას იმ მოტივით მიიჩნევს, რომ დამნაშავე, რომელიც ადრე ჩადენილი დანაშაულებისათვის მინიმუმ ორჯერ უკვე იყო ნასამართლვეი, და მამსახადამე, მის მიმართ განხორციელდა კერძო პრევენციული სისხლის სამართლებრივი ღონისძიებები, მან სათანადო ნაყოფი ვერ გამოიღო. დამნაშავემ კვლავ განახორციელა ადრე ჩადენილი დანაშაულების მსგავსი დანაშაული, რაც ასეთი პირის უკვხ ხასიათზე და მის მომეგებულ საშიშროებაზე მეტყველებს. მამსახადამე, სასჯელის გამკაცრება, ასეთ შემთხვევაში, კანონით მითითებული იმ წმინდა პერსონალური ხასიათის მქონე თვისებით არის განპირობებული, რომელიც უშუალოდ ახასია-

²⁷⁹ მ. შნეიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66-67

²⁸⁰ მ. შნეიდერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75-76

²⁸¹ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შეაღობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბ., 1974, გვ. 165-166

ათებს თვით დანაშაულის ჩამდენს და არა განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ამიტომ, გაუმართლებელი იქნებოდა დამხმარე, რომელიც დაუშვავთ პირველად ჩადის დანაშაულს, და ამსრულებელი, რომელიც უკვე ნასამართლეუა ორჯელ სხვისი მოძრავი ნივთის მისაკუთრებისათვის ან გამოძაღვისათვის, ისინი თანაბარ პირობებში ჩაეყენოთ და ორივე მათგანს სასჯელი ამსრულებლის მხარეს მოცემული პერსონალური ხასიათის დამამძიმებელი გარემოებებით გამკაცრებული სანქციის ფარგლებში დაეუდგინოთ. ამსრულებლის მიერ ორჯერ ნასამართლობის შემდეგ მსგავსი დანაშაულის კვლავ განხორციელება აღსაკურებს იმას, რომ დამნაშავეს მიდრეკილება აქვს დანაშაულისაკენ, რომ მას დანაშაულებრივი ჩვევები შეუქმნავდა და მის გამოსასწორებლად უფრო მკაცრი ხასიათის სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებაა საჭირო. მაგრამ, იგივე პოზიციით მიდგომა და სასჯელის გამკაცრება დანაშაულში დამხმარე იმ პირის მიმართ, რომელიც პირველად ჩადის დანაშაულს გაუმართლებელი იქნებოდა. საპირისპიროს მგვიცხება ჭეშმარიტად ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.

ანალოგიურ პოზიციას, მოცემული საკითხის გარშემო, მხარს უჭერს მეცნიერთა ის ჯგუფი, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი ელემენტების კლასიფიკაციას მათი წარმომობის მიხედვით ახდენენ და ამ ნიშნებისადმი დიფერენცირებული მიდგომით ცდილობენ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისას განსხვავებული პრინციპები დაადგინონ მათ მიერ ერთნაირად შეცნობილი მაკვალიფიცირებელი ელემენტების მიმართ. მაკვალიფიცირებელ ნიშნებს ამ მიმართულების წარმომადგენლები²⁴⁷ ყოფენ ქმედებისა და პიროვნებისათვის დამახასიათებელ გარემოებებად. ქმედებასთან დაკავშირებულ გარემოებებს ობიექტური თვისებების მქონედ თვლიან და მიიჩნევენ, რომ ასეთი გარემოებები ჩადენილი ქმედე-

²⁴⁷ თ. წერეთელი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 217-219; პ. ტელნივი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 54-55; უ. დეკებაევი ლ. ვაიბერგი, რ. სუდანოვი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 134-137; ფ. ბურჩაი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 189; ლ. გაუხმანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 43-44; ე. გრიგორიევი, დასახლებული ნაშრომი, 49; А. Ф. Зелинский, Соучастие в преступлении, Волгоград, 1971, ст. 33 и др.

ბის მართლწინააღმდეგობაზე, მის სამოგალოებრივი საშიშროების ხარისხზე ახდენენ შეფასებას. ამიტომ, ამ ტიპის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება ამსრულებლის მიერ განხორციელებულ მოქმედებას თუ თანახლავს, იგი შეფასებას უნდა ახდენდეს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, შემადგენლობის ყველა ის ელემენტი, რომელიც შეეხება არა თვით ამსრულებლის პიროვნებას, არამედ მის მოქმედებას, ასეთი ელემენტები თანამონაწილეზე უნდა გადმოვიდეს და მას მნიშვნელობა ამ უკანასკნელის ქმედების კვალიფიკაციისათვისაც უნდა მიენიჭოს.

მაგრამ, რაც შეეხება, წმინდა პირადი ხასიათის სუბიექტურ მაკვალიფიცირებელ გარემოებებს, იქნება ეს დანაშაულის განხორციელებით ჩადენა, აღრიზნული ნასამართლობა, სისტემატიურობა თუ სხვა, მსგავსი ხასიათის ნიშნები, ამ ავტორთა აზრით, შეფასებას უნდა ახდენდნენ არა დანაშაულში მონაწილე ყველა პირის მიმართ, არამედ ისინი ბრალად უნდა შეერაცხოს მხოლოდ იმას, ვის მხარეზე არის მოცემული ასეთი სახის სუბიექტური, პერსონალური ხასიათის ნიშანი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიმართულების წარმომადგენელთა შორის შეინიშნება გარკვეული შეუთანხმებლობაც ერთ ფრიად საინტერესო საკითხზე. კერძოდ, მათ შორის პრინციპულად იყოფა აზრი იმის თაობაზე თანამონაწილეებს ბრალად უნდა შეერაცხონ თუ არა ამსრულებლის ის სუბიექტური გარემოებები, რომლებიც შეიძლება ახასიათებდეს როგორც პიროვნებას, ასევე განხორციელებულ მოქმედებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ძირითადად ისეთ სუბიექტურ გარემოებებზე მიუთითებენ, როგორებიცაა დანაშაულის მოგვი და მიზანი. მაგალითად, უ. დეკებაევი, რომელიც მაკვალიფიცირებელი ნიშნების დიფერენცირებულ შეფასებას ახდენს, იგი თვლის, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის ობიექტური გარემოებების „ანალოგიური მნიშვნელობა უნდა პქონდეს ამსრულებლის ისეთ სუბიექტურ მაჩვენებლებს, როგორებიცაა დანაშაულის მოგვი და მიზანის ხასიათი. ის შეერაცხება არა მხოლოდ მას, არამედ თანამონაწილეებსაც, თუ მათ იცოდნენ

ამის შესახებ, თუნდაც რომ მათ არ ჰქონდეთ ის გამოარებული და მოქმედებდნენ სხვა მოტივით და მიზნით, ვიდრე ამსრულებელი.²⁸⁵

როგორც ჩანს ანალოგიურ პოზიციას იცავს პროფ. თ. წერეთელიც. მართალია იგი თავის მოსაზრებას უშუალოდ მიზნის თაობაზე არ აკონკრეტებს, მაგრამ ამსრულებლის დანაშაულებრივი ქცევის მოტივს, რაც შეეხება მასთან დაკავშირებით წერს, რომ „ისეთი დამამძიმებელი გარემოება, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია არა ამსრულებლის პიროვნებასთან, არამედ ქმედებასთან, მაგალითად დანაშაულის ჩადენა ანგარებით ან სხვა ქვენაგრძნობით. ასეთი გარემოება ბუნებრივია თანამონაწილესაც შეიძლება შეერაცხოს. თუ წამქეზებელი ფულის დაპირებით დაიფიქსირებს მკვლელობის ჩასადენად ან თუ დამხმარე ხელს უწყობს ამსრულებელს ანგარებით მკვლელობაში, წამქეზებელი და დამხმარე პასუხს უნდა ატეხდნენ კვალიფიციური მკვლელობისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის „ა“ პუნქტით).²⁸⁶

დასმულ საკითხზე განსხვავებული შეხედულება აქვთ ამ მიმართულების მოტივით სხვა წარმომადგენელს. ასე მაგალითად ე. გრიგორიევი, რომელიც ზემოთ დასახელებული ავტორების მსგავსად მაკვალიფიცირებული ნიშნების დიფერენცირებულ შეფასებას ახდენს, იგი მიიჩნევს, რომ თანამონაწილეს არ შეიძლება ბრალად შეერაცხონ ამსრულებლის დანაშაულებრივი ქცევის მოტივები. ამიტომ, ეს გარემოება ინკრიმინირებულ მუხლში თუ მაკვალიფიცირებული ნიშნის როლში გამოდის, მაშინ თანამონაწილეთა მოქმედებების განსხვავებული მოტივაცია ასევე იწვევს განსაზღვრულ შემთხვევებში მათი მოქმედებების კვალიფიკაციას სსკ-ის კერძო ნაწილის სხვადასხვა მუხლებით. მაგალითად, განზრახ მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში, სადაც დანაშაულის ამსრულებელს ამოძრავებდა შურისძიება, ხოლო წამქეზებელი ანგარებითი ქვენაგრძნობით ხელმძღვანელობდა, პირველი თანამონაწილის მოქმედება დაკვალიფიცირდება რსფსრ 1960 წლის სსკ-ის 103-ე მუხლით, მეო-

²⁸⁵ უ. დვეკვაძე, ლ. ვაიხერგი, რ. სულანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 134

²⁸⁶ თ. წერეთელი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 219

რის მოქმედება – 102-ე მუხლის „ა“ პუნქტით.²⁸⁵ ანალოგიურ შეხედულებას იზიარებს ლ. გაუხმანიც.²⁸⁶

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ აქ გადმოცემული ორი სხვადასხვა პოზიციის მქონე მეცნიერებს თავიანთი შეხედულების განმტკიცების მიზნით არ მოაქვთ სათანადო თეორიული არგუმენტი იმის თაობაზე, თუ რატომ უნდა შეერაცხოს ან არ უნდა შეერაცხოს თანამონაწილეს ამსრულებლის დანაშაულებრივი ქცევის მაკვალიფიცირებული მოტივი. მათი პოზიციები სხვადასხვა თვალსაზრისის მქონე ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ ძირითადად სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილ მაგალითზეა დაფუძნებული. ეს კი, ვფიქრობთ დამეთანხმებით, რომ რეალურად აღსკვრებს არა დასმული პრობლემის გადაწყვეტას, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ ერთიანი ხედვა ამ საკითხზე არ არის შემუშავებული არც ამ პერიოდის სასამართლო პრაქტიკაში.

გარკვეული თავისებურებით და შესაბამისი არგუმენტაციით ხასიათდება განსახილველი საკითხის გარშემო მსჯელობა პროფ. თ. გამყრელიძის მონოგრაფიაში. ავტორი უსიგყვოდ უთანხმება იმ შეხედულებას, რომელიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხში შემადგენლობის ნიშნების ობიექტურად და სუბიექტურად დაყოფას ემყარება. „ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთმანეთისაგან გამოიჯენის იდეა უთუოდ სწორად არის მიგნებული, – აღნიშნავს თ. გამყრელიძე, – მაგრამ იმის გამო, რომ ეს იდეა ბოლომდე გააზრებული ჯერ კიდევ არ არის, ადგილი აქვს ამ სწორი გზიდან გადახვევას პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის საზიანოდ. ჯერ ერთი, გაუგებარია თუ რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობენ ობიექტური და სუბიექტური გარემოებების გამოიჯენისას. რატომ არის, მაგალითად, მიზანი და მოტივი ყველა შემთხვევაში ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების და არა ბრალის ნიშანი?“²⁸⁷ სვამს კითხვას და აღრმავეს აღნიშნული საკითხის გამორკვევას, ავტორი ამოღის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის შემადგენელი ობიექტური (უმართლობა) და

²⁸⁵ ე. გრიგორიევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48-49

²⁸⁶ ლ. გაუხმანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 43-44

²⁸⁷ თ. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 168

პერსონალური (ბრალი) ელემენტების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრიდან და კოდექსის ცალკეულ მუხლებში ჩამოყალიბებულ დანაშაულთა ურთიერთმედარებითი ანალიზიდან. „...მოგჯერ კანონმდებელი, — აღნიშნავს იგი, — ერთი დანაშაულის რამდენიმე შემადგენლობას ქმნის. ლიგერატურაში შემადგენლობათა დაყოფა ცნობილია ძირითად, პრივილეგირებულ და კვალიფიციურ შემადგენლობებად.“²⁸⁸ ავგორს ამის ნიმუშად მოაქვს საქართველოს სსრ-ის 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ჩამოყალიბებული განზრახ მკვლელობის, როგორც ერთი გიპის უმართლობაზე აგებული, ძირითადი (105-ე მ.), კვალიფიციური (104-ე მ.) და პრივილეგირებული (106-ე მ.) შემადგენლობები (შესაბამისად ამეკმად მოქმედი სსკ-ის 108-ე, 109-ე და 111-ე მუხლები), რომლებსაც ადარებს მათგან განსხვავებული გიპის უმართლობებზე დაფუძნებულ ისეთ დანაშაულებს, როგორებიცაა სხეულის განზრახ დაზიანება, გერორისგული აქტი და ა. შ. შედარებითი ანალიზისას ავგორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „შინაარსის მიხედვით შემადგენლობები ორ ჯგუფად იყოფიან: 1. ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული შემადგენლობები ანუ შემადგენლობები, რომლებიც განსხვავებული გიპის უმართლობებზე არიან აგებული (მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება) და 2. გიპიური უმართლობის შემადგენლობები (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (მ. 104), განზრახ მკვლელობა (მ. 105) და ა. შ.)“²⁸⁹ ავგორი აქვე მიუთითებს კიდევ ერთ კანონმომდებელზე, რომელიც ორივე ჯგუფის შემადგენლობისათვის არის საერთო. საქმე ეხება შემადგენლობის ნიშნების კლასიფიკაციას მათი წარმომტობის ხასიათის მიხედვით. „შემადგენლობის ნიშნები ამ თვალსაზრისით — აღნიშნავს იგი — უნდა დაიყოს პერსონალურ და არაპერსონალურ (ობიექტურ) ნიშნებად. პერსონალურ ნიშნებში შევა ბრალისა და სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო ობიექტური იქნება უმართლობის დამახასიათებელი ნიშნები.“²⁹⁰

²⁸⁸ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 170

²⁸⁹ იქვე, გვ. 170

²⁹⁰ იქვე, გვ. 170

აღნიშნული თვალსაზრისის ჩამოყალიბების შემდეგ, პროფ. ო. გამყრელიძე, მემოთ დასახული ამოცანის ლოგიკური გადაწყვეტის მიზნით, უმართლობისა და ბრალის ცნებების დამოკიდებულებებზე ახდენს აპელირებას და მიიჩნევს, რომ ბრალი არც სისხლისსამართლებრივ უმართლობას აფუძნებს და არც მის ხარისხზე მოქმედებს, რომ ბრალი პერსონალური კაგეგორიაა, უმართლობა კი არაპერსონალური (ობიექტური) ხასიათის არის. თავის მხრივ უმართლობას, ავგორის აზრით, მარტო ობიექტური (გარეგანი) მომენტები როდი აფუძნებენ, არამედ გვხვდება აგრეთვე უმართლობის სუბიექტური ელემენტებიც. ასეთ სუბიექტურ ელემენტად იგი ასახელებს მიზანს. „მიზანი უმართლობის დამაფუძნებელ ელემენტად ჩაითვლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, კერძოდ მაშინ, როცა იგი ქმედებას ახალ შინაარსს აბლევს. თუ მიზანი ან მოტივი ქმედების შინაარსს არ ცვლის, მაშინ ის ბრალის ხარისხზე მოქმედებს და, მამასადავს იმ ბრალის ელემენტია.“²⁹¹ ის დებულება, რომ ბრალი არც უმართლობას აფუძნებს და არც მის ხარისხზე ახდენს ზეგავლენას და რომ შეიძლება წარმოვიდგინოთ (თუ ყოველთვის ფაქტურად არა ლოგიკურად მაინც) უმართლობა ბრალის გარეშე, ეს გარემოება, ავგორის აზრით, არ ნიშნავს, თითქოს ასევე შესაძლებელი იყოს ბრალის წარმოდგენა უმართლობის გარეშე. სისხლისსამართლებრივი ბრალი ყოველთვის უმართლობაზეა აგებული. თუ ინდივიდს უმართლობა არ ჩაუდენია, ბრალის საკითხიც არ დაისმება. აქედან დასკვნა, რომ „ბრალის ხარისხი, უპირველეს ყოვლისა, უმართლობის ხარისხზეა დამოკიდებული. მაგრამ რადგანაც ბრალი და მართლწინააღმდეგობა (სამოგადობრივი საშიშროება) დანაშაულის ცნების დამოკიდებულ ნიშნებს წარმოადგენენ და ერთმანეთის ყოველთვის არ განსაზღვრავენ, არ არის გამორიცხებული, რომ ბრალის ხარისხი შეიცვალოს დამოკიდებულად, უმართლობის ხარისხის შეუცვლელად.“²⁹²

აღნიშნულის საილუსტრაციოდ პროფ. ო. გამყრელიძე მიმართავს კონკრეტულ მაგალითებს. იგი ერთმანეთს ადარებს საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე

²⁹¹ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 171, იხილეთ, აგრეთვე გვ. 81-87

²⁹² იქვე, გვ. 171

მუხლით და 104-ე მუხლის მეოთხე და პირველი პუნქტით (შესაბამისად ამჟამად მოქმედი სს.კ.-ის 108-ე მუხლით და 109-ე მუხლის „ა“ და „ი“ პუნქტით) გათვალისწინებულ შემადგენლობებს. „105-ე მუხლი – წერს ავტორი – ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას. ამ მუხლით გათვალისწინებულია ერთი ადამიანის მკვლელობა, რადგან ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა უკვე 104-ე მუხლით (პ. 4) ისჯება, ორი ადამიანის მკვლელობა უფრო მეტი ხარისხის უმართლობაა, ვიდრე ერთი ადამიანის მკვლელობა. ამიტომ აქ უმართლობის ხარისხის შესაბამისად გაიზრდება ბრალის ხარისხიც, ორი ადამიანის მკვლელის ბრალის ხარისხი უფრო დიდია, ვიდრე ერთი ადამიანის მკვლელის. მაგრამ არის შემთხვევები, როცა უმართლობის ხარისხი იგივე რჩება, ბრალის ხარისხი კი იცვლება. მაგალითად, ანგარებითი მკვლელობა ისჯება 104-ე მუხლით (პ.1) როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩაღწილი მკვლელობა. ანგარების მოტივი უმართლობის ელემენტი არ არის, რადგან იგი არც მკვლელობის ბუნებას განსაზღვრავს და არც მის ხარისხზე მოქმედებს. მკვლელობა შესაძლებელია როგორც ანგარებით ისე ამ მოტივის გარეშეც. ამიტომ ანგარება აქ უკვე ბრალის ელემენტია. მაშასადამე, ბრალის ხარისხი გაიზარდა. უმართლობის ხარისხი კი იგივე დარჩა.“²⁹³

პროფ. ო. გამყრელიძე აქვე აფიქსირებს თავის შეხედულებას კიდევ ერთ საინტერესო საკითხზე, კერძოდ, დანაშაულის სუბიექტის პიროვნულ ნიშნებზე. ასეთი ნიშნები, ავტორის აზრით, ბრალის ელემენტების მსგავსად უმთავრესად პერსონალური, არაობიექტური ბუნების არიან, მაგრამ აქაც გვხვდება ისეთი გარემოებები, რომლებიც უმართლობის დამაფუძნებელ ელემენტს წარმოადგენს. ასეთ გარემოებებზე იგი მიიჩნევს სუბიექტის სპეციალურ ნიშნებს – სამხედრო მოვალეობას, თანამდებობრივ მოვალეობას და ა. შ. სპეციალური სუბიექტით ჩამოყალიბებულ დელიქტებში მოვალეობა, ავტორის აზრით, ობიექტური ბუნებისაა და იგი უმართლობის გიჟს აფუძნებს. მაგრამ უმართლობას ეერ დააფუძნებს ისეთი პერსონალური ელემენტები, როგორცაა განმეორება ან განსაკუთრებით

²⁹³ ო. გამყრელიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 171-172.

საშიში რეციდივი და სხვ. განსაკუთრებით საშიში რეციდივისგის მიერ ჩაღწილი მკვლელობა თავისი მართლწინააღმდეგობის ხასიათით არ განსხვავდება იმ მკვლელობისაგან, რომლის სუბიექტსაც მანამდე არათუ რაიმე დანაშაული არ ჩაუღწია, არამედ მაღალი მორალური თვისებებითაც გამოირჩეოდა.²⁹⁴

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ავტორი თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის პრობლემის გადაწყვეტისათვის განამოგადებს. უპირველეს ყოვლისა იგი მიიჩნევს, რომ თანამონაწილეთა მოქმედებები მართალია აქცესორული ბუნებისაა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამსრულებლის პიროვნების და მისი ქმედების დამახასიათებელი ყველა მაკვალიფიცირებელი ნიშანისათვის თანამონაწილესაც უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ იგი ამ ნიშნებს ითვალისწინებდა. არამედ აქცესორობა ნიშნავს იმას, რომ არსებობს რაღაც ნიშანი ან ნიშანთა ჯგუფი, რომელიც საერთოა ყველა თანამონაწილისათვის. „ასეთი საერთო ყველა თანამონაწილისათვის – აღნიშნავს ავტორი – უნდა იყოს უმართლობა, როგორც ობიექტური, არაპერსონალური კატეგორია. ყველა პერსონალური ნიშანი ან ბრალის ელემენტია ანდა სუბიექტს ახასიათებს, ხოლო არაპერსონალური ნიშნები, სუბიექტური იქნებიან ისინი თუ ობიექტური (გარეგანი) თავისი წარმოშობით, უპირველეს ყოვლისა, უმართლობას აფუძნებენ ან მის ხარისხზე მოქმედებენ რახან უმართლობა არაპერსონალური, ობიექტური კატეგორიაა, ხოლო ბრალი კი პირიქით, პერსონალურ კატეგორიას წარმოადგენს, რაც ობიექტური უმართლობისადმი პერსონალურ დამოკიდებულებას გულისხმობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა თანამონაწილეს ამ საერთო უმართლობისადმი თავისი პერსონალური დამოკიდებულება ექნება. რაკი ბრალის ხარისხი ყოველთვის არ არის დამოკიდებული უმართლობის ხარისხზე, ამიტომ ერთი და იმავე ხარისხის უმართლობაში ერთ თანამონაწილეს შეიძლება მეტი ბრალი მიუძღოდეს, მეორეს კი ნაკლები და ა. შ., ერთი თანამონაწილე შეიძლება განსაკუთრებით საშიში რეციდივისგა იყოს ან განმეორებით სწავლიდეს ამ დანაშაულს, მეორე კი – არა. ერთი სიგყვიით, ის, რაც პერსონა-

²⁹⁴ ო. გამყრელიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 172.

ლურია, — დაასკენის ავტორი — იქნება ეს ბრალის ელემენტი, თუ დამნაშავეს პიროვნების დამახასიათებელი ნიშანი, ამსრულებელიდან თანამონაწილეზე არ ვაღმოვა, თანამონაწილეზე ვაღმოვა მხოლოდ უმართლობის ელემენტები.²⁹⁵

პოზიციას, რომელსაც იკავებს პროფ. თ. გამყრელიძე, სრულიად მისაღებია. დანაშაულში თანამონაწილეობისათვის გადაზღვრება ყველა თანამონაწილის მიერ ერთი და იგივე გიბის უმართლობის განხორციელება. ამიგომ ამსრულებლის ქმედებასთან მიმართებაში მყოფი უმართლობის ის ნიშნები, რომლებიც ობიექტურად რეალიზებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ძირითად და მაკვალიფიკირებელ ნიშნებს წარმოადგენენ, მათ მნიშვნელობა თანამონაწილეთა მოქმედებების კვალიფიკაციისათვისაც უნდა მიენიჭონ, თუ რა თქმა უნდა, ისინი მოცული იყო მათი განზრახვით. მაგრამ განსაკუთრებული პიროვნული ნიშნები, რომლებიც დანაშაულის სუბიექტის უაღრესად პიროვნულ ხასიათს აღწერენ (მაგალითად, დანაშაულის არაერთგმის ჩადენა, რომელსაც არ შეუძლია უმართლობის განსხვავებული გიბი დააფუძნოს ან შემოქმედება იქონიოს მის ხარისხზე, მაგრამ არა ის პიროვნული ნიშნები, რომელსაც კანონმდებელი სპეციალურ მოვალეობას უკავშირებს და რომლის დარღვევაც უმართლობის გიბს აფუძნებს, მაგალითად თანამდებობრივი მოვალეობა, სამხედრო მოვალეობა და ა. შ.) ან ელემენტები, რომლებიც შემოქმედებას ახდენენ ბრალის ხარისხზე, ასეთი ნიშნები, მხოლოდ იმ მონაწილეს უნდა შეერაცხოს, რომლის მხარეზეც არის ისინი მოცემული.

აღნიშნული თვალსაზრისი შეგვიძლია ეგემპლიარული განხილვით თვალნათლივ წარმოვაჩინოთ მკვლელობის შემთხვევებთან მიმართებაში. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ე“ პუნქტი მაკვალიფიკირებელ გარემოებად ითვალისწინებს მკვლელობას ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით. ეს ნიშანი, რომელიც მკვლელობის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს, ობიექტური ხასიათისაა. მართალია, იგი მკვლელობის უმართლობის გიბს არ აფუძნებს, ვინაიდან განზრახ მკვლელობა

²⁹⁵ თ. გამყრელიძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 173

შესაძლებელია, როგორც განსაკუთრებული სისასტიკით, ისე მის გარემოც, მაგრამ ზრდის განხორციელებული უმართლობის ხარისხს. ამიგომ, ამ გიბის მაკვალიფიკირებელი ნიშანი, რომელიც თავისი არსით ობიექტური ბუნებისაა, ჩადენილი მკვლელობის სხვა ობიექტურ ნიშნებთან ერთად (მაგ. დანაშაულებრივ შედეგთან ერთად) ბრალად შეერაცხება, არამარტო ამსრულებელს, არამედ დამხმარესაც, თუ რა თქმა უნდა, იგი მოცული იყო ამ უკანასკნელის განზრახვით. მაგალითად, დამხმარე, რომელიც მკვლელობის მიზნით ამსრულებელს მგანჯავი თვისების მქონე საწამლავს აწვდის და უხსნის მის ამგვარ თვისებებს, რომლის გამოყენებითაც ამსრულებელი კლავს (მოწამლავს) მათ საერთო მგერს, ასეთ პირობებში დამხმარეც და ამსრულებელიც პასუხს აგებენ დამამძიმებელ გარემოებებში (განსაკუთრებული სისასტიკით) ჩადენილი მკვლელობისათვის. ამასთან, ეს მაგალითი არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ობიექტური ხასიათის მაკვალიფიკირებელი გარემოებისათვის დამხმარის პასუხისმგებლობა, თითქოსდა, მხოლოდ მაშინ იყოს შესაძლებელი, როდესაც ეს გარემოება მისი უშუალო ხელშეწყობიდან მომდინარეობს (როგორც ამას აჩვენებს აქ მოცემული მაგალითი), არამედ ამისათვის გადაზღვრება ის, რომ ამსრულებლის მიერ განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვთქვათ ამ შემთხვევაში მკვლელობას, ახასიათებდეს ობიექტური მაკვალიფიკირებელი გარემოება და ეს გარემოება შეენობილი ქქონდეს დამხმარეს.

დასახელებული მუხლი ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს ასევე მკვლელობას ჩადენილს ანგარების მოცივით. აღნიშნული ნიშანი, წინა ნიშნისაგან განსხვავებით, არის არა ობიექტური, არამედ ქერსონალური ხასიათის. იგი არც უმართლობის გიბს აფუძნებს და არც მის ხარისხზე ახდენს შეგავლენას, არამედ იმის ბრალის ხარისხს ამაღლებს, ვის მხარეზეც არის იგი უშუალოდ მოცემული. ამიგომ მკვლელობისას, თუ ამსრულებელი ანგარებით მოქმედებს, და მაშასადამე, ყველაზე უფრო მდაბიო და მეშხანური ხასიათის მოცივაციურ დამოკიდებულებას ავლენს ჩადენილი დანაშაულის მიმართ, ასეთი ელემენტი, რომელსაც კანონმდებელი უფრო მკაცრ სასჯელს უკავშირებს, ბრალად შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ მას და არა მის დამხმარეს, რომელიც დანაშაულში ხელ-

შეწყობის დროს ხელმძღვანელობდა, დაუშვათ, შურისძიების მოგვიტო. ასეთ პირობებში დამხმარის მოქმედება დაკვალიფიცირდება 24-ე და 108-ე მმ-ით, ხოლო ამსრულებლისა — 109-ე მ-ის „ი“ პ-ით.

მკვლელობაში თანამონაწილეობისას სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ პერსონალურ ნიშანთანაც, რომელიც დანაშაულის სუბიექტის უაღრესად პიროვნულ ხასიათს აღწერს. ასეთ ნიშანს 109-ე მუხლის „თ“ პუნქტით წარმოადგენს მკვლელობა ჩადენილი „არაერთგმის (გარდა ამ კოდექსის 110-114 მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა).“ არაერთგმის დანაშაულის შინაარსი აღწერილია მე-15 მუხლში და იგი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის თანახმად — არაერთგმის დანაშაული ნიშნავს სსკ-ის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგმის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. მეორე ნაწილით — დანაშაული არაერთგმის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ პირი, კანონით დადგენილი წესით, წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ანდა თუ მას ნასამართლობა წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა. მესამე ნაწილით — თუ ამ კოდექსით არაერთგმის დანაშაული გათვალისწინებულია გარემოებად, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს იწვევს, პირის მიერ ჩადენილი ორი ან მეტი დანაშაული დაკვალიფიცირდება ამ კოდექსის მუხლის შესაბამისი ნაწილით, რომლითაც გათვალისწინებულია საჯელი არაერთგმის დანაშაულისათვის.

მე-15 მუხლში ჩამოყალიბებული დებულებების და 109-ე მუხლის „ი“ პუნქტში განსაზღვრული მაკვალიფიცირებელი გარემოების სინთეზი ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაეუშვათ ამსრულებელი 108-ე მუხლით გათვალისწინებულ განზრახ მკვლელობას ჩაიდენს და აღმოჩნდება, რომ მას ადრეც აქვს ჩადენილი ანალოგიური დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც ის არ ყოფილა

გათავისუფლებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან არ ჰქონდა მოხსნილი თუ გაქარწყლებული ნასამართლობა, ასეთ პირობებში მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება არა 108-ე მუხლით, არამედ 109-ე მუხლის „ი“ პუნქტით.

მაგრამ, ასეთი ნიშნის მქონე ამსრულებელს განზრახ მკვლელობაში თუ ხელს უწყობს დამხმარე, რომელსაც ანალოგიური ნიშანი არ ახასიათებს, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება 24-ე და 108-ე მუხლით. ეს იმიტომ, რომ ნიშანი — „არაერთგმისი“ არც მკვლელობის უმართლობის გიჟს აფუძნებს და არც მის ხარისხზე ახდენს შემოქმედებას, არამედ იგი თვით დამნაშავეს პიროვნების დამახასიათებელ გარემოებას წარმოადგენს და შესაბამისად მხოლოდ იმის პასუხისმგებლობა შეუძლია გაამკაცროს ვის მხარეზეც გვაქვს ასეთი ნიშანი მოკეჭული.

თანამონაწილეობის დროს ამსრულებლის და დამხმარის სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაცია შეიძლება უკავშირდებოდეს არა მარტო პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, არამედ შემამსუბუქებელ გარემოებებსაც. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლი ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას „უეცარი ძლიერი სულიერი აღუღების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგმისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ.“ აღნიშნული შემადგენლობა ე.წ. პრივილეგირებულ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება. პასუხისმგებლობის შემსუბუქება აქ ეფუძნება არა უმართლობის სიმძიმის დაბალ ხარისხს, მის ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას, არამედ ბრალის დაბალ ხარისხს. „უეცარი, ძლიერი სულიერი აღუღება — წერს ო. გამყრელიძე — შემოქმედებს ადამიანის ნებაზე და ხელს უშლის მას უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას სრული მოცულობით, ამიტომ ამ დროს ადამიანი იმყოფება შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.“

რეობაში, რაც ამცირებს მისი ბრალის ხარისხს.²⁹⁶ აფექტურ მდგომარეობაში მკვლელობა შესაძლებელია ჩადენილი იქნას, არა მარტო ერთპიროვნულად, ამსრულებლის მიერ, არამედ სრულებით დასაშვებია თანამონაწილეობა ასეთ დანაშაულში. თუ მაგალითად ვინმეს მძიმე შეურაცყოფამ მეორე აღაშინის აფექტური მდგომარეობა გამოიწვია, ხოლო ამ დროს მას მკვლელობის მიზნით იარაღი მიაწოდა დაშმარემ (რომელიც არ იმყოფება აფექტურ მდგომარეობაში), ამ უკანასკნელმა კი სასწრაფოდ გამოართვა იარაღი და მოკლა ის, ვინც მისი აფექტი გამოიწვია, ასეთ ვითარებაში გვექნება თანამონაწილეობით ჩადენილი მკვლელობა. მოცემულ შემთხვევაში აფექტში მყოფი ამსრულებელი პასუხს აგებს 111-ე მუხლის შესაბამისად, მაგრამ ასეთი შედეგით ვერ ისარგებლებს იარაღის მიწოდებელი დაშმარე, რომელიც აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა.²⁹⁷ მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 108-ე მუხლით (თუ ცხადია, მის მხარეს არ არის რომელიმე მაკვალიფიცირებული გარემოება, რომელიც გათვალისწინებულია 109-ე მუხლით).

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსზე დაყრდნობით არაერთი მსგავსი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. თუმცა ვფიქრობთ, აღნიშნული საკმარისია იმის ილუსტრაციისათვის, თუ როგორი ზეგავლენა აქვს ამსრულებლის მხარეს არსებულ ცალკეულ გარემოებებს დაშმარის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისათვის. ამ საკითხის გადაწყვეტისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, როგორც შემთხვევითი მაგალითები აჩვენებს, მასშტაბად, უნდა დაიყოს ორ ნაწილად: 1) გარემოებები, რომლებიც თავისი ბუნებით არიან არაპერსონალური ხასიათის და 2) გარემოებები, რომლებიც არიან პერსონალური ხასიათის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნიშნები, რომლებიც უმართლობის გიჟს აფუძნებენ, ან ზეგავლენას ახდენენ მის ხარისხზე, და ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ დამნაშა-

²⁹⁶ ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, // *გ. „დამაინი და კონსტიტუცია“*, 2002, №3, გვ. 77

²⁹⁷ იხ. სისხლისსამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული აღაშინის წინააღმდეგ), რედ. ო. გამყრელიძე, თბ., 2002, 68-69

ვის პიროვნებას, ან შემოქმედებენ ბრალის ხარისხზე. პირველი მათგანი ამსრულებელთან ერთად ბრალად უნდა შეერაცხოს დაშმარესაც, თუ ის მოცული იყო მისი განზრახვით, ხოლო მეორე, მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის იმ მონაწილეს, ვის მხარეზეცაა ასეთი ნიშანი.

სხვათა შორის, აღნიშნულმა პრინციპმა, თავისი საკანონმდებლო გამოხატულება პპოვა კიდეცაა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილში. მეოთხე ნაწილში ნათქვამია, რომ „როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეეცნობილი ჰქონდა.“ ხოლო მეხუთე ნაწილის თანახმად „პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისათვის ანდა ერთ-ერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს.“ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების დიფერენცირებული შეფასება და მისი საკანონმდებლო რეგლამენტაცია თანამონაწილეობის ინსტიტუტის სრულყოფის კუთხით ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან იგი უდაოდ უწყობს ხელს ერთიანი დასჯითი პოლიტიკის გატარებას და კანონიერების პრინციპის გამყარებას სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და მისი სწორი დომირების საქმეში.

ვასრულებთ, რა მსჯელობას ამსრულებლის მხარეზე მოცემული ცალკეული ნიშნების, დამხმარის პასუხისმგებლობაზე ზეგავლენის შესახებ, აქვე უნდა დავაკონკრეტოთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც. კერძოდ, ამ ნიშანთა ზეგავლენის შედეგად, დამხმარის და ამსრულებლის სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაციის შემთხვევები, არყვეს თუ არა თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას და ქმნის თუ არა საპირისპირო თვალსაზრისის მგვიცების საფუძველს? როგორც ცნობილია, აქცესორული თეორიის მიხედვით, თანამონაწილის მოქმედებას, არა აქვს დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა და მისი მოქმედების კვალიფიკაციას ამსრულებლის მოქმედება განსაზღვრავს. ამიტომ ეს კითხვა თვისთაივად იბადება, თუმცა,

მას, აქცესორული თეორიის კრიტიკისას, ხშირად შეგვახსენებენ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომსრელებიც, ასე, მაგალითად, აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგე, უ. კობიაშვილი გამოთქვამს ეჭვს, რომ თანამონაწილეობა თუ აქცესორული ბუნებისაა, მაშინ თანამონაწილეებმაც ყოველთვის იმავე მუხლით უნდა ავონ პასუხი, რომლითაც ამსრულებელი აგებს პასუხს. თუმცა, ეს, ყოველთვის ასე არ ხდება. რითაც, ავტორის ამრით, თითქოსდა, მგვიცდება ის დებულება, რომ თანამონაწილეთა მოქმედებებს დამოუკიდებელი, არა აქცესორული ხასიათი აქვს.²⁵⁶

ის ფაქტი, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისას ადვილი აქვს თანამონაწილის და ამსრულებლის სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაციას, ეს, როგორც დავინახეთ ცხადზე ცხადია. თუმცა, მეორეს მხრივ, არც ის უნდა იყოს რთულად გასაგები, რომ ეს ფაქტი არ ეწინააღმდეგება თანამონაწილეობის აქცესორულ თეორიას. ვინაიდან, ამ თეორიის ამოსავალი პრინციპი გამოიხატება არა იმაში, რომ ამსრულებელმა თანამონაწილის სისხლის სამართლებრივი შერაცხვის ფარგლები მთელი მოცულობით განსაზღვროს, ნებისმიერი მაკვალიფიცირებული თუ შემამსუბუქებელი ნიშნების ჩათვლით, არამედ – იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც პირველყოვლისა უმართლობის გიჟს აფუძნებენ, ან კიდევ შემოქმედებას ახდენენ მის ხარისხზე.

ეს კონსტრუქცია კი შენარჩუნებულია მემოთ განხილულ შემთხვევებში, სადაც ამსრულებლის მხარეს არსებული პერსონალური ნიშნების ზეგავლენის შედეგად მისი მოქმედება 109-ე მუხლით კვალიფიცირდება, ხოლო დამხმარისა – 108-ე მუხლით, ან კიდევ, ერთი მათგანის მოქმედება კვალიფიცირდება 111-ე, ხოლო მეორისა – 108-ე მუხლით. ამ შემთხვევებში ობიექტური თვალსაზრისით (ე. ი. უმართლობის დამაფუძნებელი გარემოებების მიხედვით) ამსრულებელი მაინც განსაზღვრავს დამხმარის სისხლის სამართლებრივი შერაცხვის ფარგლებს იმ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც მისი განზრახვით არის მოკული. დამხმარის გან-

ზრახვა და მისი ხელშეწყობა სხვა ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო მოსპობისაკენ არის მიმართული, რომელსაც უშუალოდ ასრულებს ამსრულებელი. ორივე მათგანი სჩადის მკვლევობას, ე. ი. ერთი და იგივე გიჟის უმართლობას, რომელიც საერთოდ როგორც 108-ე, ისე 109-ე და 111-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

თანამონაწილეობისათვის გადამწყვეტია სწორედ ერთი უმართლობის განხორციელება. ამიგომ თანამონაწილეობის დროს სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაცია თუ ერთი უმართლობის გიჟზე აგებული შემადგენლობების ფარგლებს არ ცდება, მაშინ არ არის საფუძველი თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების უარყოფისათვის. მაგრამ თუ ირღვევა ეს პირობა, შესაბამისად ირღვევა დანაშაულში თანამონაწილეობაც და დგება დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის საკითხიც. თუ, მაგალითად, დამხმარის ხელშეწყობა მიმართული იქნება მკვლევობისაკენ, მაგრამ ამსრულებელი ჩაიღვინს გაუპაგიურებას, მაშინ მათი მოქმედებების სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაცია ერთი უმართლობის გიჟზე აგებული შემადგენლობების ფარგლებს გაყვდება. ამიგომ, ასეთ პირობებში თანამონაწილეობა აღარ იარსებებს და შესაბამისად დამხმარე დამოუკიდებლად აგებს პასუხს მკვლევობის მომზადებისათვის, ხოლო ამსრულებელი გაუპაგიურებისათვის. მაგრამ, თუ დამხმარე ხელს შეუწყობს განზრახ მკვლევობას და ამსრულებელი მართლაც ამ დანაშაულს ჩაიღვინს, ასეთ შემთხვევაში, დამხმარის მოქმედება თუ დაკვალიფიცირდება მუხლით, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებაში, ხოლო ამსრულებლის მოქმედება დაკვალიფიცირდება მუხლით, რომელიც დასჯადობას იგივე ქმედებისათვის ადგენს ამ გარემოებების გარეშე, მაშინ სახეზე გვექნება თანამონაწილეობა. გვექნება მისი უცვლელი პირობაც, რომლის თანახმადაც თანამონაწილე პასუხს აგებს იმ უმართლობისათვის, რომელსაც უშუალოდ ჩადის ამსრულებელი. აქცესორულობის პრინციპის დედაბრძოც სწორედ ამ დებულებას ეფუძნება. თანამონაწილეობა აქცესორულია, ე. ი. დამოკიდებულია ამსრულებლის უმართლობაზე. დამხმარე არის იმ უმართლობის თა-

²⁵⁶ უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, // ვერ. „საბჭოთა სამართალი“, 1968, №3, გვ. 30-31

ნამონაწილე, რომელსაც ამსრულებელი სჩადის და რომლის განხორციელებასაც თვითონ უწყობს ხელს.

ამრიგად, ირკვევა, რომ თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება არ ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, ვინაიდან იგი იძლევა შესაძლებლობას, რომ თანამონაწილის ან ამსრულებლის მხარეს მოცემული პერსონალური ხასიათის შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით მათი მოქმედებები სხვადასხვა მუხლით დაკვალიფიცირდეს. სწორედ ასე უნდა ვიპოოთ ამ თეორიის არსი და მისი სხვაგვარი გააზრება არც შეიძლება. მაგრამ, მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ აღნიშნული პირობის (შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების) ძალით თანამონაწილის და ამსრულებლის მოქმედებები სხვადასხვა მუხლით კვალიფიცირდება, ეს არ არის იმის მგვიცების საფუძველი, საიდანაც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ თანამონაწილეთა მოქმედებებს, თითქოსდა, დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა აქვთ. ვინაიდან ამსრულებელი ეს არის ფიგურა, რომლის მიერაც უშუალოდ განხორციელებული უმართლობა, თბიქტური თვალსაზრისით, არის ბარომეტრი პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენისათვის, არა მხოლოდ ამსრულებლისათვის, არამედ მისი დამხმარის (თანამონაწილის) მიმართაც. ეს კი, ადასტურებს თანამონაწილის მოქმედების დამოკიდებულებას ამსრულებლის მოქმედებაზე.

დასკვნა

წინამდებარე თემის დამუშავებისას, როგორც ზემოთ დავინახეთ, გამოვლინდა არსებითი სირთულეები, რომლებიც დღემდე მძაფრი დისკუსიის საგანს წარმოადგენენ თანამონაწილეობის ინსტიტუტის პრობლემების მკვლევართა შორის. ამასთან აღმოჩნდა საკითხები, რომლებმაც სათანადო ასახვა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვეს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. განხორციელებული კვლევის ბაზაზე შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ გარკვეული მოსაზრებები რომლებიც შეეხებიან, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობის ზოგად პრობლემებს, ასევე ჩვენი გამოკვლევის უშუალო საგანს — დანაშაულის დამხმარეს:

1. დანაშაულში თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა. ეს ნიშნავს იმას, რომ პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების თითოეულ თანამონაწილეს — ორგანიზატორს, წამქმნებელს და დამხმარეს — არა აქვს დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა და მათი მოქმედების კვალიფიკაციას ამსრულებლის მოქმედება განსაზღვრავს.

2. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების აღიარება ლოგიკურად გულისხმობს იმასაც, რომ დანაშაულის ამსრულებლის გარეშე არ არის თანამონაწილეობა. ამიგომ დამხმარის ხელშეწყობის ან დანაშაულის ინიციატორის შემოქმედების მიუხედავად, თუ ამსრულებელი უარს იცხვებს დანაშაულის ჩადენაზე ან თავის ქმედებას დანაშაულის მომზადების სტადიაზე შეწყვიტავს, მაშინ თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის დაეკისრებათ და არა დანაშაულში თანამონაწილეობისთვის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თანამონაწილე თავისი მიზნის მისაღწევად „ყოცხალ იარაღს“ (ანუ პირს, რომელიც საერთოდ არ აგებს პასუხს სისხლისსამართლებრივი წესით, ან რომელმაც შეიძლება პასუხი აგოს გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის) გამოიყენებს, მაშინ თანამონაწილე პასუხს აგებს დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობისათვის.

3. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნების მგვიცება, ამ თეორიის კრიტიკოსთა საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ არამც

და არამც არ ნიშნავს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის უგულებელყოფას. პირიქით, აქცესორული თეორიის დებულებათა გაზიარება იძლევა სწორედ იმის საშუალებას, რომ თანამონაწილეთა მიმართ განეხორციელოთ არა მხოლოდ პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, არამედ თავი დაეხადოთ საერთოდ ამ ინსტიტუტის გაუქმებას და ამასთან, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა ავადგოთ ერთიან საფუძველზე.

4. სპეციალური ლიგერატორის, სისხლის სამართლის კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის გამოკვლევა ცხადყოფს, რომ თანამონაწილის ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ შედეგთან. აღნიშნული დებულების მკაცრი და განუხრელი დაცვა არის აუცილებელი წინაპირობა იმისათვის, რომ

ა) თითოეულმა თანამონაწილემ პასუხი აგოს მხოლოდ იმ შედეგისათვის, რომელიც მისმა მოქმედებამ ამსრულებელთან ერთად გამოიწვია;

ბ) გამოფრიცხოთ თანამონაწილეობის ინსტიტუტის შეტისმეტი გაფართოვება და დანაშაულის შემსებელი პირები არ მივიწინოთ ამავე დანაშაულის თანამონაწილეებად.

5. დებულება, რომ თანამონაწილის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ შედეგთან, შესაბამისად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ თანამონაწილე ხელყოფს და ამიანებს იმავე სამართლებრივ სიკეთეს, რომელსაც ხელყოფს და ამიანებს დანაშაულს ამსრულებელი. თუმცა, მხოლოდ ამ მარტივი დებულების გაზიარებით, ანუ მხოლოდ მიზეზობრიობის ფაქტორზე დაყრდნობით, თანამონაწილეთა დასჯადობის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია. ის ნაგურალისგური დამოკიდებულება, რომელიც ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულის მიმართ მოქმედებს, რომ ობიექტური მხრივ აუცილებელია მიზეზობრივ კავშირის არსებობა, ხოლო სუბიექტური მხრივ მართსაწინააღმდეგო შედეგის განზრახი ან გაუფრთხილებლობითი გამოწვევა, მისი შექანიკური გადმოღება და თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთან შეფარდება ამსოლუტურად დაუსაბუთებელია. თანამონაწილეობისათვის აუცილებელია არა დანაშაულში მონაწილე

პირების მიერ ერთი შედეგის მიზეზობრივი გამოწვევა, არამედ სუბიექტური მხარის ერთიანობაც.

6. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ამ ფორმით ჩადენილი დანაშაულისათვის შეუთავსებელია არა მხოლოდ გაუფრთხილებლობა, არამედ ევენტუალური განზრახვა. გაუფრთხილებლობის მსგავსად, ევენტუალური განზრახვის დროსაც ადგილი აქვს ერთიანი დანაშაულებრივი ქმედების გათიშვას. ამიგომ რამდენიმე პირის მოქმედების გარეგანი თანხვედრა შეიძლება ერთი დანაშაულებრივი შედეგის მიზეზი იყოს, თუმცა თანამონაწილეთა დაქსაქსული მოქმედების სუბიექტურ სფეროში გაერთიანება შესაძლებელია პირდაპირი განზრახვისას. ევენტუალური განზრახვა არ ხასიათდება ისეთი სუბიექტური სინკრეტიული ნიშნით, რომლის გარეშეც, თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის რთული კონსტრუქცია იშლება. შესაბამისად, თანამონაწილეების მოქმედებებიც მხოლოდ გარეგნულ, მოჩვენებითი ერთობის სახეს ღებულობს, რომელიც მხოლოდ მიზეზობრივად ერთი შედეგის გამოწვევას უკავშირდება. ერთი შედეგის გამოწვევა კი თავისთავად არ ნიშნავს დანაშაულში თანამონაწილეობას. ამიგომ თანამონაწილეთა დასჯადობის თეორიული საფუძვლის კუთხით არ ვიზიარებთ მიზეზობრიობის თეორიას.

7. ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია შვეიცარიულ იურიდიულ დოქტრინაში გავრცელებული თანამონაწილეთა დასჯადობის კორუფციის თეორიაც. მისი უარყოფითი მხარე გამოიხატება:

ა) მცადარ მეთოლოგიურ საფუძველში (ეკულისზმობით მიზეზობრივ კავშირის უარყოფას თანამონაწილის მოქმედებასა და ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს შორის);

ბ) თანამონაწილეთა დასჯადობის ერთიანი საფუძველის უარყოფაში;

გ) თანამონაწილეობის ინსტიტუტის გაუქმებისათვის ობიექტური წინაპირობის შექმნაში;

დ) პასუხმგებლობის ინდივიდუალიზაციის და სასჯელის განსამღერის კუთხით არსებულ არაერთ წინააღმდეგობაში.

მიუხედავად აქ ჩამოთვლილი უარყოფითი მხარეებისა კორუფციის თეორია ხასიათდება ერთი არსებითი მნიშვნელობის მქონე

პოზიტიური ასპექტით, რომლის არ შენიშვნაც მკდარი იქნებოდა. კერძოდ, მზღველობაში გვაქვს ის შემთხვევები, როცა თანამონაწილის მოქმედება, ზოგჯერ მართლაც მიმართულია ამსრულებლის წინააღმდეგ და ხელყოფს მის პიროვნებას. თუმცა, ასეთ ვითარებაში, წაქეზება და დახმარება დანაშაულის ამსრულებლობად განიხილება. ამის ნათელი გამოსატყულება საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ჩამოყალიბებული დანაშაულის პროვოკაციის (145-ე მ.), ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე დაყოფის (272-ე მ.) თუ რიგი სხვა დანაშაულები.

8. სისხლისსამართლებრივი უმართლობის სუბიექტური ელემენტების გამოკვლევა ცხადყოფს, რომ მიზანი, დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი უმართლობის დამაფუძნებელ კომპონენტს წარმოადგენს როგორც ფინალურ, ასევე შერეული გიპის დელიქტებშიც მაშინ, თუ ეს უკანასკნელი ჩაღწეულია პირდაპირი განზრახვით.

9. თანამონაწილეთა დასჯადობა დანაშაულში თანამონაწილე პირთა მიერ ერთიანი უმართლობის გავხორციელებას უნდა დაეფუძნოს. ამასთან, ეს ფენომენი იმ-ით არის საინტერესო, რომ იგი, თავისთავში მოიცავს იმ სუბიექტურ სინკრეტულ ნიშანს (მიზანს), რომელსაც შეუძლია რამდენიმე პირის მიერ განხორციელებული მოქმედებები ობიექტურთან ერთად, სუბიექტურ სფეროში დააკავშიროს. მიზანი, რომელიც პირდაპირი განზრახვისას უმართლობის შინაარსს განსაზღვრავს, და მაშასადამე, ობიექტურ სფეროში მოცემულ სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს, მას აქვს უნარი თანამონაწილეთა დაქსაქსული მოქმედებები ერთ მთელად შეკვრას. ამიტომ არის, რომ თანამონაწილეები პირდაპირი განზრახვით უნდა მოქმედებდნენ და ისახავდნენ ერთიანი უმართლობის განხორციელების მიზანს, რაც მათი დასჯადობის საერთო ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს. სხვათაშორის ამგვარი დასჯის გაკეთების საფუძველს გარკვეულწილად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე და 25-ე მუხლის I ნაწილის სინთეზური ანალიზიც იძლევა. კერძოდ, 23-ე მუხლი დანაშაულში თანამონაწილეობის ცნებას განზრახვის სფეროში შემოფარგლავს, ანუ იგი გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის ყოველგვარ შესაძლებლობას გამოირიცხავს, ხოლო 25-ე მუხლის I ნაწილი თანამონაწილეებს პასუხისმგებლობას აკისრებს

„...საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე...“ მართალია 23-ე მუხლის პირდაპირი გაგებით თანამონაწილეობა დანაშაულში ევენტუალური განზრახვის დროსაც არ გამოირიცხება. თუმცა, 25-ე მუხლის I ნაწილი თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე, ანუ ერთიანი უმართლობის განხორციელებაზე ხაზგასმით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი გარკვეულ ნაბიჯს, მხოლოდ პირდაპირი განზრახვით თანამონაწილეობის აღიარების სასარგებლოდ, მაინც აკეთებს.

10. უშუალოდ დამხმარის საკანონმდებლო ცნების და ამ საკითხზე სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოხატული პოზიციების გამოკვლევის საფუძველზე გამოირკვა, რომ საბჭოური პერიოდის კანონმდებლობა, რომელიც დამხმარის ცნების ამომწურავ განსაზღვრებას იძლეოდა (ვგულისხმობთ 1958 წ. „საფუძველების“ მე-17 მ. შესაბამისად, საქართველოს 1960 წლის 19-ე მ.) თავისი მოცულობით, იგი სრულიად ვერ ასახავდა დანაშაულში ხელშეწყობის იმ არეალებს, რაშიც იგი პრაქტიკულად შეიძლებოდა გამოვლენილიყო. ეს გარემოება კი, სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ქმნიდა დაუძლეველ ბარიერებს. დამხმარის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრებების შედარებითი გამოკვლევა ცხადყოფს, რომ უფრო მიზანშეწონილია მისი არა ამომწურავი, არამედ ზოგადი განსაზღვრება, რომელ პოზიციასაც იზიარებს კიდევაც ამემად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი. თანამონაწილის ამ სახისათვის მთავარია მითითება მისთვის დამახასიათებელ ზოგად ნიშანზე, რომ დამხმარე ხელსუწყობს სხვას დანაშაულის ჩადენაში, ხოლო თუ რაში შეიძლება გამოიხატოს ხელშეწყობის კონკრეტული სახეები, ისინი შეიძლება დადგინდეს სისხლის სამართლის თეორიაში.

11. დანაშაულში ხელშეწყობა, გარდა იმ გრადიციული ხერხებისა, რომლებიც საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობით იყო ცნობილი, შეიძლება გამოიხატოს: მსხვერპლის მიტოვებაში წინასწარ განსაზღვრულ დანაშაულის ჩადენის ადგილზე; ინფორმაციის მიწოდებაში; დარწმუნებაში; დანაშაულებრივი საქმიანობის მოწოდებაში; დანაშაულის განუცხადებლობის ან მიმჩნეებლობის წინასწარ შეპირებაში; დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექენისა

და გასაღების წინასწარ შეპირებაში; აღნიშნულს უნდა მივაკუთნოთ ის შემთხვევებიც, როცა დანაშაულის ამსრულებელი სისტემატიურად სარგებლობს დაზარალების ხელშეწყობით, თუმცა ამის თაობაზე მათ არ ჰქონდათ წინასწარი შეთანხმება.

12. დანაშაულის ნებისმიერი სახის მიმწველობა ან განუცხადებლობა არ შეიძლება დანაშაულში დახმარებას წარმოადგენდეს. ამისათვის აუცილებელია, რომ ის იყოს ან წინასწარ შეპირებული (ფსიქიკური დახმარება წინასწარი შეპირების ფაქტით), ან კიდე უნდა გამომდინარეობდეს ისეთი პირის უმოქმედობიდან, რომელიც ვალდებული იყო წინ აღდგომოდა დანაშაულის ჩადენას (ფიზიკური დახმარება დაბრკოლების აცილების სახით).

13. თანამონაწილეთა სახეობად დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს არა სუბიექტური, არამედ ობიექტური კრიტერიუმი. დამხმარე, მის მიერ შესრულებული მოქმედების ხასიათის მიხედვით დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობას არ იღებს. ამიტომ, ამსრულებლისაგან მისი გამიჯვნის თვალსაზრისით მკაცრად უნდა დაგვადგინოდ მოქმედების ის ნიშნები, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილშია აღწერილი. დახმარის ქმედება, რომელ ფორმაშიც არ უნდა გამოვლინდეს, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაემთხვეს ამ ნიშნებს. თუ ეს პირობა დარღვეულია და სუბიექტი უშუალო მონაწილეობას მიიღებს ამ ნიშნების თუნდაც რაიმე ნაწილის შესრულებაში მაშინ, ის იქნება ამსრულებელი და არა დამხმარე.

14. ინტელექტუალური დამხმარის წამქმნებლისაგან გამიჯვნის ძირითად კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს ამსრულებელზე მემოქმედების ფსიქიკური ინტენსიობა. წამქმნებლის პრეროგატივაა – ინიციატივა – შექმნას ამსრულებელში ისეთი ეფექტური მოტივი, რომ იგი დანაშაულის ჩასადენად დაიყოლიოს. ფსიქიკური დამხმარის როლი ამ მხრივ ნაკლებად მნიშვნელოვანია. იგი მხოლოდ განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას დანაშაულის ჩადენაზე, ხოლო ეს გადაწყვეტილება ამსრულებელს მის გარეშე აქვს მიღებული.

15. დამხმარის დანაშაულებრივ ქმედებაში ჩართვის დროის თვალსაზრისით მართებულად უნდა ჩაითვალოს პოზიცია, რომლის

თანახმადაც დანაშაულში თანამონაწილეობა, და ე. ი. დახმარება, შესაძლებელია დანაშაულის ფაქტობრივ დასრულებამდე. ამ დებულების დაფუძნებისას მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ განგრძობად და რთულ დანაშაულებში დამხმარის ხელშეწყობის დროის მუსგად დადგენას არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულ დანაშაულთა განხორციელების თავისებურებისა და მისი სტრუქტურული სპეციფიკიდან გამომდინარე დამხმარის მოქმედების კვალიფიკაცია შეიძლება არ დაემთხვეს იმ მუსლს ან მის ნაწილს, რომლითაც ამსრულებლის ქმედება კვალიფიცირდება, ანუ მათი პასუხისმგებლობის მოცულობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

16. ფიზიკური დამხმარე, როდესაც განზრახ ქმნის დანაშაულის ჩასადენ შესაბამის პირობებს, თუმცა ამსრულებელი მათ (თუ წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით ვიმსჯელებთ) არ იყენებს და ისე ჩადის დანაშაულს, ასეთ შემთხვევებში, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, დამხმარეს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს დანაშაულის მომზადებისათვის ან ამსრულებლის ერთად დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

17. დანაშაულის მომზადებად უნდა დაკვალიფიცირდეს არარეალიზებული ხელშეწყობა, ანუ ისეთი შემთხვევები, როდესაც დამხმარე დაგვიანებით სჩადის მოქმედებას, რომელიც ამსრულებელს დანაშაულის ჩასადენად უნდა გამოეყენებინა.

18. სისხლის სამართლის თეორიაში ერთობ გაბატონებულ მოსაზრებას, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ ორმხრივი სუბიექტური კავშირის არსებობისას, ანუ მხოლოდ მაშინ, როდესაც არა მარტო თანამონაწილემ, არამედ ამსრულებელმაც იყოს, რომ სხვასთან ერთად სჩადის დანაშაულს, არა აქვს საკმარისი საფუძველი. დანაშაულში დახმარება თეორიულადაც და პრაქტიკულადაც დასაშვებია მინიმალური, ანუ ცალმხრივი სუბიექტური კავშირის დროსაც. ამ მოსაზრებას დამხმარეზე მსჯელობისას აღნიშნული შეხედულების მოწინააღმდეგეებიც არ უარყოფენ, თუმცა თვლიან, რომ დამხმარემ, ასეთ შემთხვევებში, პასუხი უნდა აგოს შეუაღობითი ამსრულებლობისათვის. ეს მოსაზრება რეალურად ეწინააღმდეგება იურიდიულ აზროვნებაში დამკვი-

დრებულ შუალობითი ამსრულებლობის პოზიციას. გარდა ამისა, იგი შეიცავს შინაგან გადაუწყვეტელ წინააღმდეგობას დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების თვალსაზრისით მაშინ, როდესაც დამხმარე ხელსუწყობს საკუთარი ხელით ჩასადენ (ან კიდევ საპეციალური ამსრულებლით ჩამოყალიბებულ) დელიქტებში ამსრულებელს მისი მხრიდან ამ ხელმეწყობის აღმოჩენის ცოდნის გარეშე.

19. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის I ნაწილი, რომელიც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ზოგად წესს განსაზღვრავს, თავისი არსით სამ ფუნდამენტურ დებულებებზეა ბაზირებული. კერძოდ, მასში გამოხატულია თანამონაწილის და ამსრულებლის პასუხისმგებლობის ერთიანი თბიერეკური საფუძველი, მეორე, დაცულია პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, და მესამე, აღიარებულია თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება.

20. ამსრულებლის ექსცესთან დაკავშირებით მართებულად უნდა ვცნოთ იმ მეცნიერთა პოზიციები, რომლებიც თვლიან, რომ ექსცესის ცნებით მოცული უნდა იყოს ამსრულებლის მიერ ერთობლივი დანაშაულებრივი ქცევის ხაზისაგან ისეთი გადახვევა, რომელიც განხორციელებულია განზრახ და არა გაუფრთხილებლობით.

21. ამსრულებლის ექსცესი, რომელიც მხოლოდ მისი ამსრულებლის დამოუკიდებელი შეგნებისა და ნებითი მოქმედების ნაყოფია, იგი არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მის დამხმარეს, რაოდენობრივი ექსცესის დროს დამხმარეს პასუხისმგებლობა იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის უნდა დაეკისროს, რომლის ჩადენაც მისი განზრახვით იყო მოცული. თვისობრივი ექსცესის დროს, როცა ამსრულებელი თვისობრივად განსხვავებულ დანაშაულს სჩადის, საერთოდ არ გვაქვს თანამონაწილეობა დანაშაულში. ასეთ შემთხვევაში, დამხმარემ პასუხი უნდა აგოს იმ დანაშაულის მომზადებისათვის, რომლის ჩასადენადაც იგი განზრახ ქმნიდა შესაბამის პირობებს.

22. ამსრულებლის ექსცესისათვის ვინაიდან თანამონაწილეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ამ პირობის გამო, თანამონაწილის და ამსრულებლის მოქმედებები, როგორც წესი, სხვადასხვა

მუხლით კვალიფიცირდება. თუმცა, ეს გარემოება, აქცესორულ თეორიის მოწინააღმდეგეთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ნამდვილად არ წარმოადგენს იმ ხელმოსაჭიდ არგუმენტს საიდანაც, თითქოსდა, ცალსახად მტკიცდება თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის ბუნება. თვისობრივი ექსცესის დროს, როცა ამსრულებელი თვისობრივად განსხვავებულ დანაშაულს სჩადის იმასთან შედარებით, რომელსაც თანამონაწილის განზრახვა მოიცავდა, საეთოდ არ გვყავს ამსრულებელი ამ სიგვეის დანაშაულში თანამონაწილეობის თვალსაზრისით. ამიგომ, აღნიშნულ ვითარებაში, ერთის მხრივ, თანამონაწილის პასუხისმგებლობა იმ დანაშაულის მომზადებისათვის, რომელსაც მისი განზრახვა მოიცავდა, ხოლო მეორეს მხრივ, ამსრულებლის პასუხისმგებლობა მის მიერ თვისობრივად განსხვავებული სხვა დანაშაულისათვის, არათუ ეწინააღმდეგება თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას, არამედ პირაქით, აქ იკვეთება აქცესორული თეორიის ის ძირითადი დებულება რომლის თანახმადაც ამსრულებლის გარეშე არ არის დანაშაულში თანამონაწილეობა. რაოდენობრივი ექსცესის დროს დამხმარის პასუხისმგებლობა თანამონაწილეობის წესის შესაბამისად აიგება. თუმცა, ამ შემთხვევებში, მიუხედავად დამხმარის და ამსრულებლის მოქმედებების სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაციისა, ამსრულებელი მაინც განსაზღვრავს დამხმარის სისხლისსამართლებრივი შერაცხვის ფარგლებს, თუმცა მის მიერ უშუალოდ შესრულებული დანაშაულის იმ ნიშნების გამოკლებით, რომელიც ამსრულებლის ექსცესს წარმოადგენდა და რომელსაც ამსრულებლის განზრახვა არ მოიცავდა. რაოდენობრივი ექსცესის დროს ამ ნიშნების გარეშე პრაქტიკულად სახეზეა ის დანაშაული, რომლის ჩადენაც დამხმარეს სურდა.

23. დამხმარის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფილებით ხელის აღების გარეშე სისხლის სამართლის თეორიაში გამოითქმული მოსაზრებების და კანონმდებლობაში ასახული დებულებების ანალიზმა მოგვცა საშუალება დაგვედგინა შემდეგი:

ა) ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფილებით ხელის აღებისას დამხმარის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის მომზადებად ან მცდელობად – იმაზე დამოკიდებუ-

ლებამი, რომელ სგადიაზეც ამსრულებელი შეწყვიტავს თავის დანაშაულებრივ საქმიანობას;

ბ) თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფილებით ხელის აღება აქტიურ ხასიათს უნდა აგარებდეს და იგი მიმართული უნდა იყოს იმ მიზნით, რომ ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელება შეწყდეს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სგადიაზე. თუმცა, აღნიშნული წესიდან თრგანბატორისაგან და წამქესებლისაგან განსხვავებით გამოაკლისი ახასიათებს დანაშაულის დამხმარეს. თანამონაწილის ამ სახეს უმოქმედობის გზითაც შეუძლია ზოგჯერ ხელი აილოს დანაშაულის ჩადენაზე;

გ) დანაშაულზე ნებაყოფილებით ხელის აღების პირობით თანამონაწილეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის, როგორც წესი, აუცილებელია დანაშაულის თავიდან აცილება. თუმცა, დამხმარის სახეს ამ მხრივაც ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა. კერძოდ, დამხმარეს მის მიერ შესრულებული კონკრეტული როლის გათვალისწინებით შეუძლია თავისი მოქმედების უშუალო შედეგი აღკვეთოს. ამიტომ, თუ იგი ამას მიაღწევს, მაგრამ ამსრულებელი მაინც დაასრულებს დანაშაულს, დამხმარე, ნებაყოფილებით ხელის აღების პირობით უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.

სხვათაშორის „ბ“ და „გ“ პუნქტებში გადმოცემულმა მოსაზრებებმა თავისი უშუალო გამოხატულება ჰპოვა კიდეც მოქმედი სსკ-ის 21-ე მუხლის III ნაწილში. თუმცა, აღნიშნული მუხლის ამ ნაწილს, ჩვენი ღრმა რწმენით, ახასიათებს ერთი გამოაკლისი. კერძოდ, იგი მხოლოდ ფიზიკურ დამხმარესთან მიმართებაში უშვებს ისეთ შემთხვევებს, სადაც დამხმარეს შეუძლია თავისი ქმედების უშუალო შედეგი აღკვეთოს (დამხმარემ გადასცა დანაშაულის ჩასადენად იარაღი, ხოლო შემდეგ უკან წაართვა) და თუ ის, ამას მიაღწევს, ნებაყოფილებით ხელის აღების პირობით 21-ე მუხლის III ნაწილის საფუძველზე გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მაშინაც, თუ ამსრულებელი თავის განზრახვას მიიყვანს ბოლომდე. თუმცა, როგორც წინამდებარე ნაშრომიდან გაირკვა, ანალოგიური თვისება ახასიათებს ინგელექტუალური დამხმარების ცალკეულ სახეებსაც. ამ გარემოებაში კი, ჩვენი აზრით, უნდა

ჰპოვოს შესაბამისი საკანონმდებლო დამაგრება სისხლის სამართლის კოდექსში.

26. ამსრულებლის მხარეზე მოცემული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი ნიშნები, თავისი წარმოშობის მიხედვით უნდა დაფიქსირდეს ორ ნაწილად: 1) ნიშნები, რომლებიც არიან არაპერსონალური ხასიათის და 2) ნიშნები, რომლებიც არიან პერსონალური ხასიათის. პირველ მათგანს უნდა მიეკუთვნოთ ისინი, რომლებიც უმართლობის გიჟს აფუძნებენ ან ზეგავლენას ახდენენ მის ხარისხზე, ხოლო მეორეს — ისინი, რომლებიც დამნაშაულის პიროვნებას ახასიათებენ ან ზეგავლენას ახდენენ მისი ბრალის ხარისხზე. ამ ნიშნებიდან პირველი მათგანი ბრალად უნდა შეერაცხოს, როგორც ამსრულებელს, ასევე მის დამხმარეს, ხოლო მეორე, მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის იმ მონაწილეს, ვის მხარეზეც არის მოცემული ასეთი ნიშანი.

სარჩევი

შესავალი..... 3

თავი I. თანამონაწილეობის ბუნება და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი 6

§ 1. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება..... 6

§ 2. მიზეზობრიობის თეორია..... 29

§ 3. კორუფციის თეორია..... 73

§ 4. უმართლობის თეორია 88

თავი II. დამხმარის ცნება..... 120

თავი III. დამხმარის პასუხისმგებლობა 198

§ 1. დამხმარის პასუხისმგებლობა ამსრულებლის ექსცესის დროს 203

§ 2. დამხმარის ნებაყოფილებით ხელის აღება დანაშაულში თანამონაწილეობაზე 212

§ 3. ამსრულებლის მხარეზე არსებული ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ზეგავლენა დამხმარის პასუხისმგებლობაზე 229

დასკვნა..... 253

ტირაჟი 500



დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“

თბილისი, 0128, ი. ჯავახიძის შავზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

